


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

14 დეკემბერი 2012

№25(181)



ვანო ჩხიკვაძის ლექსები
მაკა ჯოხაძის ლოცვა ქარში
ნოდარ გურაბანიძე უშანგი ჩხეიძეზე
თემურ გაბუნია ამერიკელ მწერლებზე
მწერალთა სახლი — სულიერების კერა
ქეთევან შენგელიას ლექსი პატრიარქზე
ვასილ კიკნაძე ეხმაურება სიმართლეს
სულიერი საზრდო ავერინცევისაგან
ფრანსუაზ ჟირუს ნოველა
დევნილი სიყვარული

შინაარსი

ჩვენი ყოფა, წუთისყოფილი	2	მწარალთა სახლი — სულიერების კერა (თამარ ლონლაძეს ესაუბრება ნატა ლომოური)
განთიადიდან განთიადამდე	4	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ
მსარკის-ჩინებრკვი	9	ნინო ბეზარაშვილი „გიჟვარდის მოყვასი...“ (მომამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
დრამატურგია	10	გიორგი შენგელაია, ირაკლი სოლომონაშვილი დავნილი სიყვარული (სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი)
პოეზია	25	ვანო ჩხიკვაძე მონღოლური ცხენები და სხვა ლექსები
პოეზიის ერთი ლექსი	28	ქეთევან შენგელაია მე მოკრძალებით შეგბედავთ სიტყვას... (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს)
უსწოთის სხოვრებიდან	29	თემურ გაბუნია მწარლები მწარლების შესახებ (ერნესტ ჰემინგუეი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ჯერომ სელინჯერი)
გამოსაზრება	33	ლია სტურუა პირველ-მეორეზე გაითვალთ!
ანონსი	34	ქეთევან ჯერვალაძე სულიერი საზრდო ავირინცავისაგან
ღიაღობი	35	ათონის მთა და ქართველი მოღვაწენი (ნინო საბაშვილს ესაუბრება ქეთევან პავლიაშვილი)
კრიტიკა	38	ვასილ კიკნაძე ვენეციური სიმართლის!..
მოგონებათა სივრცე	42	შოთა ქურდაძე „მისვე ხმისა სიტკოსაგან“ ... (ვანო მჭედლიშვილის გახსენება)
შტრიხები პორტრეტისათვის	44	მაკა ჯოხაძე ლოცვა ქარში... (მერაბ ელიოზიშვილი)
გაფი კაცისა	52	ნოდარ გურაბანიძე „მაღალ ტაძარში მაღალია სულის კვეთივაც“ (როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია უშანგი ჩხეიძეზე „გადამწვარი მზე“)
ლიბრეტო-სხოვრება	56	სალომე ასათიანი ეს მე ვარ — შორენა ლეგანიძე (ბიოგრაფიული რომანი „ეს მე ვარ — ფიროსმანი“)
ჩანახტი	57	ჯემალ ინჯია შალვა ხერხეულიძე და ის ორნი (ოთარ ჩხეიძის ერთი ნოველის ექსკურსი)
უსწორი ნოველა	58	ფრანსუაზ ჟირუ რა ვუყოთ პლატონს?
ნაქვესები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	ქაბა ქართველი გატონიშვილისა

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge



შპს „ომეგა ტეგ პრინტ ჰაუსი“
საქართველო, თბილისი, სარაიშვილის 17
თელ: 995 322 55 03 62

PRINTED BY "OMEGA TEQ" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAIISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 55 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მაღლაზია იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: უფლისციხე

ირაკლი ბლუიშვილის ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 28 დეკემბერს

მწერალთა სახლი — სულიერების კერა

(თამარ ლონდაძის
ქაღალდის
ნათა ლომოური)

ყველგან და, მათ შორის ჩვენს დედაქალაქშიც, გამორჩეულ შენობებს ცნობილი და ასევე გამორჩეული პიროვნებების მსგავსად, განსაკუთრებული ბედი დაჰყვებათ ხოლმე. დიდი ქველმოქმედისა და საზოგადო მოღვაწის — დავით სარაჯიშვილის — სახლი, რომელიც აგერ უკვე საუკუნე შესრულდება, რაც მწერლებს გადაეცათ, ერთი მათგანია. „ჩვენი მწერლობის“ მკითხველისთვის მისი წარსული, მისი ისტორია, აგების დღიდან ვიდრე ჩვენამდე, ცნობილია. ცნობილია, რა ქართველებს გაუძლო; კულტურის ეს ნათელი კერა როგორ გადაიქცა საბჭოთა დიქტატურის ეპოქაში, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, კოლექტიური მორჩილების ტრიბუნად, ხშირად ხელისუფლების უსამართლო რისხვის სადამსჯელო იარაღად და უღმობელ სასამართლოდ მათ მიმართ, ვინც ყველას არ ჰგავდა, ვისი სიტყვაც სულს აცოცხლებდა, ერს სახეს უნარჩუნებდა... შემდეგ თითქოს მარწუხები მოუშვა, მაგრამ, როგორც მწერალთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, თავისუფალ ქვეყანაში ასეთი ორგანიზაცია ანაქრონიზმად იქცა. ეს დიდებული შენობაც ბოლო წლებში მიტოვებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თითქოს ჩვენი ისტორიის მართლაც გამორჩეული ძეგლი ძველი დროის გადმონაშთად შემორჩენოდა მანაბლის ქუჩას. არადა, მისი უჩვეულო სიცარიელე და მჩუმარებაც, უფრო მოჯადოებულის გაქვავებას რომ ჰგავდა, მაინც ანდამატივით იზიდავდა თვალსაც და გულსაც...

დღეს რა ხდება ამ დიდებული შენობის კედლებში? ბუნებრივია, საინტერესოა. ამის გასაგებად მწერალთა სახლის დირექტორს, ქალბატონ ნატა ლომოურს ვესაუბრეთ.

შენობაში ჯერ ისევ სარემონტო სამუშაოებია, მაგრამ ბევრი რამ — უკვე გაკეთებული. იქაურობას შნო და ლაზათი უბრუნდება. ბევრი რამ აღდგენილია, გარემო ანათებს და ათბობს სულსა და გულს მნახველისას. ახალგაზრდა, მომხიბლავი და ძალზე სასიამოვნოდ მოსაუბრე მასპინძელი მხვდება და კიბიდანვე იწყება ჩვენი უშუალო დიალოგი.

— ქალბატონო ნატა, თვალნათელია აქაურობის გამოცოცხლება, გაკოხტავება და გალამაზება. თუმცა მუშაობა გრძელდება, ცხადად ჩანს, რომ აქაურობას თავისი უნიკალური ლაზათი უბრუნდება. ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი? როდის გაიღება ამ სახლის კარი საზოგადოებისთვის?

— ალბათ, გახსოვთ, ამ შენობის ბოლოდროინდელი მდგომარეობა. ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, აღსადგენი. ერთ პრობლემას მეორე ერთვოდა, ერთი სირთულე მეორეს გამოაჩენდა ხოლმე. ჩვენც მიეყვებით და ვაკეთებდით, ახლაც ვაკეთებთ, ასევე განვაგრძობთ. მთელი შიდა კომუნიკაციები (სადენები, მილები, კონდიციონერებისთვის საჭირო გაყვანილობა) არა მხოლოდ აღსადგენი და გამოსაცვლელი, თავიდან გასაკეთებელი იყო. ამხელა შენობაში საერთოდ არ არსებობდა გათბობის სისტემა. აღსადგენი და სარესტავრაციო კი უამრავი რამ დაგვხვდა. ეს ყველაფერი თბილისის განვითარების ფონდმა დააფინანსა. დარბაზებს, შემოსასვლელს პირვანდელი სახე უბრუნდება. რესტავრატორებისა და ხელოსნების შესახებ მინდა გითხრა, რომ საოცარ სიფრთხილესა და სათუთ დამოკიდებულებას იჩენენ პროფესიონალიზმთან ერთად. თითოეულ დეტალსა და ნიუანსს ითვისებენ. ყველაფერი გულისყურითა და დაკვირვებით კეთდება.

გვინდა, პირვანდელთან მაქსიმალურად მიახლოებული იყოს, ნივთი იქნება თუ თვითონ შენობა. დარბაზებსა და ოთახებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ მარტო სარაჯიშვილისეული სახლის უნიკალური დიზაინის მქონე აივანს ხელოსნებმა სხვადასხვა დროს წასმული საღებავის არაერთი ფენა გადააცალეს, რომ როგორმე პირვანდელი იერის დასაბრუნებლად მოემზადებინათ. თვითონ ოთახებისა და დარბაზის აღდგენისთვის კი მე-20 საუკუნის დასაწყისის ცნობილი ფოტოხელოვანის, ერმაკოვის, ფოტოები მოვიშველიეთ. მათზე ამ სახლის ინტერიერი, გარემო, ყოველი კუთხე სარაჯიშვილის დროინდელი სახით არის აღბეჭდილი. მათი დახმარებით, ვცდილობთ, ყველაფერს პირვანდელი იერი დაუბრუნოთ. იმდროინდელი, სასწაულებრივად გადარჩენილი ავეჯიც აღვადგინეთ და ვეცადეთ, ყველა უნიკალური ლირსება შეგვენარჩუნებინა. მხოლოდ გავაახლეთ. აივანის მოზაიკურ იატაკს რაც შეეხება, იშვიათი რამ აღმოჩნდა. ერთ ამოვარდნილ ფილაზე მე-18 საუკუნიდან ცნობილი ფირმის დასახელება „Villeroy & Boch“ ამოვიკითხეთ. მივწერეთ ამის შესახებ ამ ფირმის წარმომადგენლობას და მივიღეთ პასუხი, რომ ასეთი მოზაიკური ფილები მთელ მსოფლიოში ორად ორ ადგილას იყო — აქ, ამ სახლსა და ცნობილ გემ „ტიტანიკზე“. ამ სახლში ყველაფერი უნიკალურია. თუნდაც დასავლური და აღმოსავლური კულტურის ეს დახვეწილი შერწყმა რად ღირს, რომელიც თითქოს იმ შეხედულებათა ამოსავლია, ჩვენ რომ ამ სახლის მთავარ კონცეფციად მოვიაზრებთ.

— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე წლების წინათ, 2003-ში, ქვეყნდებოდა ქართველი მწერლების მოსაზრებანი, თუ რას წარმოადგენდა მწერალთა კავშირი და როგორ უნდა შეცვლილიყო იგი. ცნობილი მწერლების სახელით იბეჭდებოდა წერილები,



რომელთა სულისკვეთება ნათელი იყო: „მწერალთა კავშირი აღარ უნდა ჰკავდეს მთავრობის სამსახურში ჩამდგარ პარტიულ უჯრედს. ...მწერალთა კავშირი უნდა გადაკეთდეს მწერალთა კლუბად, რომელსაც ეყოლება ადმინისტრაცია და, რაც მთავარია, აღარ უნდა იყოს პარტიული ტიპის დანებებულება, არამედ თავისუფალ მწერალთა არაპოლიტიკური გაერთიანება, სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა შესაკრებელი, რომლებიც მწერალთა სასახლის დარბაზს უსასყიდლოდ გამოიყენებენ ლიტერატურული შეკრებებისა და განხილვებისთვის...“ როგორც ჩანს, ამის დრო დადგა. რას გვეტყვი, ვისთვის იქნება ეს სახლი? როგორ გაქვთ წარმოდგენილი მომავალი? რა იქნება მწერალთა სახლის იდეური კონცეფცია?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, თვითონ ამ სახლის არქიტექტურული სტილიც კი გვკარნახობს, რა უნდა გაკეთდეს. ეს სახლი ყველასათვის ღია იქნება. აქ ჩატარდება ახალი ნიგნების პრეზენტაციები, გაიმართება ლიტერატურული საღამოები, განხილვები, ლექციები, საუბრები, სხვადასხვა ტიპის არაერთი შეხვედრა. განხილვება თარგმანთან დაკავშირებული საკითხები, რომ მთარგმნელობით საქმიანობასაც შევუწყოთ ხელი. ასეთი დატვირთული, საინტერესო და ცოცხალი ურთიერთობებისთვის სხვადასხვა სტილის დარბაზებია მომზადებული შენობის პირველ სართულზე. მეორე სართულზე ადმინისტრაციული ნაწილი განთავსდება. ერთი ოთახი კი, გვინდა, მუზეუმად გადავაქციოთ. პირობითად ასე დავარქვათ — ქართველ მწერალთა მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. რა ქართველობისთვის არ გაუძლია ამ სახლს და მის „ბინადართ“. გვსურს, ყველაფერი შემოვუნახოთ მომავალ თაობებს. მოკლედ, ერთი ოთახი იქნება ამ ისტორიის შემნახავი ადგილი. ჩვენ ამ საკითხს ასე ვუყურებთ: ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, ყველაფერი უნდა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ. გარდა ამისა, რაც ყველაზე მთავარია, აქ უნდა იყოს სამოქალაქო განათლების, კულტურისა და სულიერი განვითარების კერა. მისი კარი ყოველთვის ღია იქნება ყველასათვის.

ესეც მინდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ მძიმე და ცუდი დღეებიც ახსოვს ამ კედლებს, ეს სახლი მაინც იყო ის

ადგილი, სადაც თავს იყრიდნენ მთელი ქვეყნისთვის საამაყო და საყვარელი მწერლები. ერთი ძველი სოლოლაკელის ნათქვამი მახსენდება: საგანგებოდ მაჩაბლის ქუჩით მივდი-მოვდიოდით ზემო უბნის მაცხოვრებლები, რომ იქნებ ამ სახლთან ჩვენი საყვარელი მწერლებისთვის თვალი მაინც მოგვეკრა. მათთან შეხვედრის თითოეული წამი დიდი მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში. მინდა აღვნიშნო, რომ ეს სახლი მწერლებისთვის არავის ნაურთმევია. ის კვლავ მწერლების, შემოქმედი ადამიანებისაა.

აქ მოსვლა ყველას შეუძლია. უფრო მეტიც, ყველა მწერლისთვის იქნება ღია და ხელმისაწვდომი. საზოგადოება მხარს უჭერს ამ წამოწყებას და გულშემმატიკორობს სწორედ ასეთ პროექტს, იდეას „საზღვრების გაფართოებისა“. ყველა მწერალს, ყველა პოეტს შეეძლება აქ მოსვლა ნებისმიერ დროს. შეეძლება სტუმრის მიღება, შემოქმედებითი საღამოს ჩატარება თუ, უბრალოდ, კოლეგებსა და მკითხველთან შეხვედრა. ჩვენ ამისათვის კალენდარი გვექნება დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხით. მწერალთა სახლის შემოქმედებით საქმიანობას წარმართავს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები არიან: რეზო ქვიციანი, გივი ალხაზიშვილი, ირაკლი ჯავახიძე, მიხო მოსულიშვილი, თამაზ ხმალაძე, ზურაბ სამადაშვილი, მაყვალა გონაშვილი, თათი ებრაელიძე, ლაშა იმედაშვილი, დავით (დეფი) გოგიბედაშვილი, ბადრი ქუთათელაძე.

იმედი გვაქვს, რომ ნახალწლევს მუშაობას შევუდგებით. მწერლების შემოქმედების წარმოჩენას ყველანაირად ხელს შევუწყობთ. ჯერ-ჯერობით ზედა სართულების გარემონტება ვერ ხერხდება, მაგრამ სამომავლოდ გვინდა მესამე სართულზე ხუთი ოთახი სასტუმროდ გადაკეთდეს. ასეთი რამ ევროპულ ლიტერატურულ სახლებში ძალზე მიღებულია. ეს იქნება რეზიდენცია რეგიონებიდან ჩამოსული მწერლებისათვის. რამდენია სხვადასხვა რაიონში ნიჭიერი შემოქმედი ადამიანი?! ვფიქრობთ, ფინანსურად ამას მოვერევით. აქ ჩამოსული მწერლისათვის დროებით გაჩერება ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გარდა ამისა, ასეთი პანსიონის არსებობა საშუალებას მოგვცემს, უცხოელებიც მოვიწვიოთ (მწერლები, მთარგმნელები, გამომცემლები) და მთარგმნელობით საქმიანობასაც შევუწყოთ ხელი. ეს უკვე მომავლის გეგმა გახლავთ.



მწერალთა სახლის დარბაზი ძველად და ახლა



— თქვენი საუბრიდან ირკვევა, რომ მთელი შენობის ყოველი კუთხე-კუნჭული დატვირთული და ათვისებული იქნება. რამდენადაც ვიცი, ქვედა სართულიც არსებობს, რომელიც გარედან არ ჩანს. იქ რის გაკეთებას აპირებთ?

— დიახ, ქვედა სართულზე, რომელიც ნახევარსარდაფია, საგამოფენო დარბაზი, წიგნების საცავი, ბიბლიოთეკა და კაფე იქნება, რომელიც შეიძლება მსურველებმა მყუდრო და კამერული, მეგობრული შეხვედრებისთვის გამოიყენონ. ზაფხულში ამის გაკეთება მწერალთა სახლის უმშვენიერეს ბაღშიც შეიძლება. ასევე გვექნება წიგნების მაღაზიაც. მართალია, აქ ჯერ კიდევ რემონტია, მაგრამ ჩვენ უკვე ვგეგმავთ და ვემზადებით გახსნისთვის, რომ დრო არ დაგვკარგოთ და ნულიდან კი არ დავიწყოთ, პირველი დღიდანვე კონკრეტული ღონისძიებები ჩავატაროთ. არა მხოლოდ ქართველი საზოგადოება, ბევრი უცხოური ორგანიზაციაც ელოდება ამ სახლის გახსნას. კონტაქტი გვაქვს ბრიტანეთის საბჭოსთან, დიუმას ცენტრთან, სოროსის ფონდთან, სხვებთან...

დებულებაში პირდაპირ გვინერია მხატვრული თარგმანის განვითარება. ვინ იცის იქნებ „ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის“ მასპინძელი ქვეყანაც გავხედეთ 2015 წლისთვის. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი გამარჯვება. ამ კუთხითაც უნდა წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა. მრავალფეროვან და მრავალმხრივ მუშაობას ვგეგმავთ, რათა აქტიურად დავინყოთ წელი და მაშინვე გახდეს საზოგადოებისთვის ცნობილი, რომ ეს სახლი ისევ მწერლებისთვის, პოეტებისთვის, მხატვრული სიტყვის განვითარებისთვის არსებობს. ვფიქრობთ, ეს სახლი უნდა იქცეს კულტურის, სულიერების განვითარების კერად. ამ მიზნის მისაღწევად აქ გაიმართება კამერული კონცერტებიც, წარმოდგენებიც, გამოფენებიც, მივმართავთ თანამედროვე ინსტალაციებსაც. არ შევუშინდებით ნოვატორული იდეებისა და პროექტების განხორციელებას. ვფიქრობთ, ეს მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება. ჩაკეტილი სივრცეების დრო აღარ არის. მწერალთა სახლი იქნება ყველა თაობის, ყველა მიმართულებისა და მიმდინარეობის მწერალთა და შემოქმედთა შემკრები და გამაერთიანებელი.

მწერალთა დიდებული სახლიდან გამოსულს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჯერ კიდევ რემონტია, კიდევ მრავალჯერ მიზრუნების სურვილი გამოიყვება. ეს, რა თქმა უნდა, ქალბატონი ნატას დამსახურებაც გახლდათ, ისე დამიხატა სახლის მომავალი. ამაზე დაფიქრებულს თამაზ ბიბილურის ეს სიტყვები გამახსენდა: „... ვინ არ არის დავალებული წიგნისაგან? მწერლობისაგან?“

ვინ შთაავონა ფრენა კოსმოსში გაჭრილ ადამიანს? — მხოლოდ ტექნიკამ? თუ იმ გაბედულმა ოცნებამ, რაც წიგნის გარეშე არ შეიძინება? რამ ააღებინა გეოლოგს წერაქვი და რამ გაუყენა შორეულ გზებს კაცი, თუ არა წიგნისაგან წაქეზებულმა მაძიებელმა ბუნებამ? რამ აფიქრებინა კაცს ადამიანის გულის მოსმენა, თუ არა იმავე წიგნმა, რომელმაც გაუღვივა ყველაფრის შეცნობისა და შესწავლის რწმენა?

...წიგნი, მწერლობა შენც გიტოვებს შეუცნობლის შეცნობის ნადილს, სათქმელის მიღმა მუდამ იგულისხმება მეორე, იდუმალი სამყარო, და ეს სამყარო ისევე უსაზღვროა, როგორც ვარსკვლავებით მოჭდილი კოსმოსური უდაბნო და შეცნობასაც ისევე არა აქვს საზღვარი, როგორც თვით სამყაროს.“

ამ შეგრძნების კვლავ განცდის იმედით დაველოდოთ მწერალთა სახლის კარის გაღებას და იქ ახალი სიცოცხლის დაწყე-

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

ანტონიო მაჩადო და
მისი ნიღბები

ხუან დე მაირენას პერსონაჟად გამოყვანას თავიდან სულაც არ ვარაუდობდა ანტონიო მაჩადო.

ის არ არის აბაჯ ჟერომ კუანიარის მსგავსი მოვლენა, ანატოლი ფრანსი სწორედ პერსონაჟად რომ ჩაიფიქრებდა და ასეც შეასხამდა ხორცს. თავის პიროვნულ თვისებებსაც მიაწერდა ამ გმირს, ოღონდ მთავარი ის გახლავთ, რომ მოხეტიალე ფილოსოფოსად წარმოსახავდა. მთელი სიცოცხლე თვითონ რაც ენატრებოდა, რასაც მიეღწეოდა და ყოფით რეალობაში ვერ განახორციელებდა, საკუთარ პერსონაჟს მიაწერდა და ამით მოკლავდა მანანალობის წყურვილს — სოკრატული მანანალობისა და უსაქმურობის, მიუღებლად რომ ითვლებოდა ახალი დროის პირობებში, და არამარტო აკადემიურ წრეებში.

ანტონიო მაჩადო კი ამჯობინებდა, თავის მეორე მე-დ ეგულისხმა ეს მოაზროვნე, საკმაოდ კოლორიტული ნიღბი მოერგო და შესაფერისი ბიოგრაფიაც შეეთხზა მისთვის.

და არამარტო ხუან დე მაირენასათვის.

მოდღვარსაც გამოუგონებდა — აბელ მარტინის, და მასაც შეუქმნიდა ბიოგრაფიას.

და ისიც ანტონიო მაჩადოს მესამე მე-დ, მის მესამე ნიღბად წარმოგვიდგება.

და იყო ცალკე ანტონიო მაჩადო — 1898 წლის თაობად შერაცხილ მწერალთა დიდებული გუნდის თვალსაჩინო სახელთაგანი, და იყვნენ ცალკე მისი ეს ნიღბები, საბოლოოდ მწერალი მაინც ხუან დე მაირენას რომ გამოჰკვეთდა უფრო მეტად და მის ჩრდილსაც შეეფარებოდა, რაკილა თავისთვის მეტად ძვირფასსა და სასუკვარ სენტენტციებს, ესკიზებსა და მოგონებებს მისთვის გაიმეტებდა.

1898 წლის თაობად შერაცხილ მწერალთა დიდებული გუნდის თვალსაჩინო წარმომადგენელი...

საბედისწერო ჟამს მოვლენილი თაობის, გაუთავებელი უბედურებითა და მარცხით სასონარკვეთილსა და დაქვეითებულ ესპანეთს რომ უნდა გამოსჩენოდა გამამხნეველად და დაცემული ვინაობის აღმდგენელად, და კიდევ გამოეხსნა ქვეყანა სულიერი რღვევისა და ეროვნული ნიჰილიზმისაგან.

და ჩვენ კი ველარც გაგვიჩვენია, ესპანეთის სატკივარს უტრიალებენ ეს მწერლები თუ საქართველოს ბედისწერაც არანაკლებ განუცდიათ.

და რა გასაკვირია, ამ თაობის სალიტერატურო მოღვაწეობა განსაკუთრებით რომ გაიტაცებდა მერი ტიტკინიძეს და მიგულ დე უნამუნოს რომ აზიარებდა ქართული სიტყვის მაღლსაც და მის რომანებს, მოთხრობებსა და ესეებს ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული გარემოს სრულუფლებიან ნაწილად აქცევდა, რამონ დელ ვალიე-

ინკლანსაც შემოუძღვებოდა ჩვენს სივრცეში და ანტონიო მანადოსაც გაგვიშინაურებდა თავის ნიღბებიანად.

აპოკრიფული პროფესორიო, — ასე რომ მოიხსენიებს, სწორედ ეს აპოკრიფულობა ხიბლავთ ავტორსაც და მკითხველსაც, და თუმცა მანადოს ეს ნიღაბი თუ მეორე მე არ არის სოკრატესა ან ჟერომ კუანიარით მოხეტიალე და ვაგაბუნდი, რაც უნდა იყოს, მაინც ამ „აპოკრიფულობის“ მიწერით დაიშომინებდა იმ წყურვილს, თვითონაც ცხოვრების სოკრატული სტილი რომ ერჩივნა, მაგრამ ახალი ჟამი დიდად არა სწყალობდა ამ სტილს, და ანტონიო მანადოს ხელაღებით ვერ გამეიფნებოდა თანადროულობას.

აზროვნების პროცესი ხატოვნად მაინც როგორ წარმოუდგებოდა მაირენას?

ზუსტად ისევე, როგორც მის მასწავლებელს აბელ მარტინის:

— კაცი ჯერ ერთ ქუჩას გაუყვება, მერე მეორეს, ბოლოს კი იმდენს ივლის, ერთი შესახვევიდან მეორემდე, ვიდრე ბოლოს ჩიხში ამოჰყოფდეს თავს და მაშინლა დაფიქრდება, აქედან როგორ გამოვალნიოო. სწორედ ასეთ დროს იწყება მინდორში გასასვლელი გზის ძიებაც.

რაკილა გაშლილი და მხოლოდ გაშლილი სივრცე ეოცნება და ეზმანება ხუან დე მაირენას თავისი სულიერი ძიებების ასპარეზად, მინდორში გასვლას ამიტომაც ასიმბოლოებს ფიქრის, ჭვრეტისა და აღქმის შეუზღუდაობასა და ბუნებრიობასთან, და მშვენიერებასთანაც, რადგანაც მინდორი — თუმცა უშუალოდ ეს არ იხსენიება — ყვაილებითაა მოჩითული და სურნელებითაც გიზიდავს და გაბრუებს, ოღონდ ისე კი არა, სწრაფვა მოგიდუნოს, არამედ — ერთიანად მოცივას და ჩაგფლას თავის უჩვეულობასა და უსაზღვროებაში, და ისეთ „წვრილმანებს“ გაზიაროს, ამ სურნელების გარეშე მიუწვდომელი რომ იქნებოდა შენთვის.

ყვაილებით მოჩითვას რომ არა გულისხმობდეს მანადო-მაირენა არც ამ შეგონებას გაგვიზიარებდა:

— ეთიკისკენ ესთეტიკის გზით!

ეს გზა კი ძალდაუტანებლად აღავსებს ყოველივეს პოეზიით და ადამიანისა და დროის დიალოგსაც ლირიკული სულით მსჭვალავს.

— ეს ის დროა, რაც პოეტმა მარადისობად უნდა აქციოს, როცა დროის დინებიდან ამოზიდავს.


და კვლავ ხატოვან მეტყველებას უნდა დაესესხოს, მაცხოვრისეული სიმბოლიკით ნასაზრდოებს:

— პოეტიც მებადურია, მაგრამ იგი იჭერს მხოლოდ იმ ერთ განსაკუთრებულ თევზს, წყლიდან რომ ამოიყვან და მაინც ცოცხლობს.

წყლიდან ამოყვანილმა როგორღა უნდა იცოცხლოს?

ესაა სწორედაც მისი განსაკუთრებულობა.

პოეტური სული პოეტურ სულად, მაგრამ უმთავრეს სათნოებად ხუან დე მაირენა თავმდაბლობას აღიარებდა უპირველესად სწორედ და ამ თვალთახედვით გახედავდა მისთვის უძვირფასეს სახელებს: სოკრატეს ყველაზე დი-



დი ბედნიერება ის იყო, სასიამოვნო თანამოსაუბრე ყოფილიყო პირველივე შემხვედრისათვისო; პლატონმა, მისმა მონაფემ, თავის მასწავლებელს ყველაზე სანუკვარი აზრები ათქმევინაო; ვერგილიუსს ფიქრადაც არ მოსვლია, ჰომეროსს გატოლებოდაო; დანტეს სიზმრადაც არა ზმანებია, ვერგილიუსისათვის ეჯობნაო; ყველაზე უწინარეს კი მაინც სერვანტესი აგონდებოდა, დონ კიხოტის ამბის თხრობა ისე რომ დაინყო, სარაინდო რომანებზე პაროდის შექმნა ჰქონდა განზრახული — იმ დროისათვის ყველაზე მონივრული ჩანაფიქრი, ჩვენს დროში კი ალბათ მართოდენ ლიბრეტოების მოხზველებს თუ მოხიბლავდათო.

ხოლო განზოგადებას თურმე სადამდე შეიძლება მიეღწია:

— ისტორიის ყველაზე ნაყოფიერი ეპოქებიც სწორედ ისაა, როცა თავმდაბალი ადამიანები გულხელდაკრეფილნი არა სხედან.

ესეც გასაღები ანტონო მანადოს მიერ ნიღბების შექმნის უმთავრესი მიზეზისა — გადაელოცა თავისი ორეულებისათვის დიდება, რაკილა არ ენანებოდა მათთვის თავისი ყველაზე სანუკვარი აზრები, თავისი სულის ყველაზე ფაქიზი სიმები, თავისი პოეტური ბუნების ყველაზე ინტიმური გამოვლენანი.

და თუ გარშემომყოფთაგან ვინმეს უყურებდა ირონიულად, პოლიტიკოსებს, რაკილა ეს ის ადამიანები იყვნენ, რომელნიც რამდენჯერმე წამოჰკრავდნენ ხოლმე ფეხს ქვას და საკუთარი გამოცდილებაც ვერ ასწავლიდათ ჭკუას.

და ვერ დაეჯერებინა და გულიანი სიცილისა და მწარე ფიქრის გუნებაზე აყენებდა პროგრესისტებად და რეფორმატორებად თვითგამოცხადებულ ადამიანთა მოძალეობა, რადგანაც ამ მოძალეობაში ზერელეობას, დემაგოგობასა და გამორჩენის წყურვილს თვალდათვალ ხედავდა, თორემ რა დიდი ჩაღრმავება სჭირდებოდა, რომ:

ბევრი რამ, რაც გარედან ცუდად შეიძლება მოგვჩვენებოდა, შიგნიდან შესაძლოა კარგიც ყოფილიყო;

ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა-გადანაცვლება სულაც არ მოასწავებდა განახლებას;

განახლება სულაც არ მოასწავებდა გაუმჯობესებას;

და არც არაფერი არსებულა ისეთი ცუდი, რისი გაუმარესებაც წარმოუდგენელი იქნებოდა.

და ასე კანთიულად გაიზარებდა ამ სატკივარს და მოურიდებლადაც მიუჩენდა შესაფერის ადგილს, რადგანაც სამშობლო მისთვის არ გახლდათ მარტოდენ მემკვიდრეობით ნაანდერძევი ადგილ-მამული, რომელიც ჩვენგან მხოლოდ მტრისაგან დაცვას მოითხოვს.

— უნდა გვახსოვდეს, რომ სამშობლო იქმნება მარადიულად და შემოგვრჩება ისევე კულტურისა და დიდი გარჯის წყალობით.

ამიტომ არც არავის საძოვრად უნდა გადაქცეულიყო და არც ცხოვრების ბუნებრივ გზას აცდენოდა.

...და აღარც ის გიკვირს, რომ ხუან რამონ ხიმენესი სანობელო სიტყვაში განაცხადებდა: ეს პრემია ეკუთვნით

ანტონიო მაჩადოსა და გარსია ლორკასაც, რადგან მხოლოდ მათთან ერთად განვასახიერებ ესპანეთის სწორუპოვარ პოეზიასო.

მე რა შუაში ვარ, თუ მაინცდამაინც, ხუან დე მაიერენას ეკუთვნისო, — იტყოდა ანტონიო მაჩადო, ამ წუთებს რომ მოსწრებოდა.

ისედაც დრამატული ზიოზრაფია

(ჟან-პოლ სარტრის „სიტყვების“ ქართული თარგმანი)

როკანტენი მე ვიყავი, მისი საშუალებით სრულიად უწყალოდ ჩემი ცხოვრების ქსოვილს ვამზეურებდით, — განაცხადებდა ჟან-პოლ სარტრი, უფრო სწორად, დაადასტურებდა, რაკილა ისედაც არ ყოფილა ძნელი ამოსაცნობი, რომ „გულზიდვის“ მთავარი გმირის პროტოტიპი თვითონ ავტორი გახლდათ, სულიერად შეძრული და აფორიაქებული ახალგაზრდა კაცისა, ვისი მძაფრი შეგრძნებებიც ისე ვერ ეთვისებოდა გარემომცველ სინამდვილეს, რომ გულისრევა ახრჩობდა.

არავის ერიდებოდა როკანტენი.

საკუთარი სულის გაშიშვლებას არ უფრთხოდა და სხვას ვის აარიდებდა მზერას — მკაცრსა და მოურიდებელს.

ავტობიოგრაფიულ რომანში „სიტყვები“ გაამჟღავნებდა მწერალი თავის ალტერ ეგოობას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტობიოგრაფიულ რომანად ვიხსენიებთ დღიურებს ანდა მემუარისტულ ჩანაწერებს — ეს მაშინ, როდესაც ამ ყაიდის ქმნილებანი განსაკუთრებული ოსტატობითაა შესრულებული. პირობითად შეიძლება ასეც დაერქვათ, რატომაც არა, ოღონდ ავტობიოგრაფიული რომანი, თავისი კლასიკური სახით, სწორედ სარტრის „სიტყვებია“, რომელიც დაწერისთანავე ითარგმნებოდა ქართულადაც გასტონ ბუაჩიძისა და კოტე ჯავრიშვილის მიერ და ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზეც (№6,7) გამოქვეყნდა 1965 წელს, წიგნად კი ცოცხალ მოგვიანებით გამზადდებოდა, მაგრამ მაინც იხილავდა მზის სინათლეს 1974 წელს — გამომცემლობა „მერანის“ გრიფითა და 50 000-იანი ტირაჟით.

თუმც სინათლეს... წამიერად იხილავდა.

საბჭოთა ხელისუფლება შემოსწყრებოდა ჟან-პოლ სარტრს, ვის მიმართაც თავის დროზე დითირამებშიც არ დაეშურებინათ, და... „სიტყვების“ ქართული ვერსია გამოცემისთანავე აიკრძალებოდა.

და ახლალა ეღირსებოდა გამოცემა „ინტელექტის“ წყალობით, და წინასიტყვაობად დართულ სტატიაში — „სიტყვების“ ქართული თარგმანის თავგადასავალი — გასტონ ბუაჩიძე ორიოდ სიტყვით ფრანგი ფილოსოფოსისა და მწერლის გაორებულ დამოკიდებულებასაც რომ გვამცნობდა კომუნისტური სახელმწიფოს მიმართ და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ასეთივე გაორებას სარტრისადმი.

1948 წელს ფრანგი მწერალი განაცხადებდა, რომ მისი პიესა „ჭუჭყიანი ხელები“ ანტიკომუნისტური გახლდათ.

საბჭოთა კავშირში პირველად რომ იმოგზაურებდა (1954 წელს), დასავლეთში ისეთ ამბავს ჩაიტანდა: იქ კრიტიკის სრული თავისუფლებააო.

1956 წელს „მოდემ სახელმწიფოს“ ტანკები ბუდაპეშტში რომ შევიდოდნენ, სარტრი მოურიდებლად აღიარებდა საბჭოთა აგრესიას.

1961 წელს ორ ფრანგ კომუნისტს რომ გამოესარჩლებოდა, იტყოდა: ანტიკომუნისტი ძალღია, ასე მიმანია და ამას არც არასოდეს უარვყოფო.

1968 წელს საბჭოთა ტანკები ახლა პრალასაც რომ გადაუვლიდნენ, იგი კვლავ დაგმობდა აგრესიას.

1974 წელს ალექსანდრ სოლჟენიცინს საბჭოთა მოქალაქეობა რომ ჩამოერთმეოდა და საზღვარგარეთაც გააძევებდნენ, სარტრი — სხვა დასავლელ მწერლებთან ერთად — ხელს მოაწერდა მის მხარდამჭერ დეკლარაციას.

გასტონ ბუაჩიძე საგანგებოდ მიუთითებს სოლჟენიცინის განდევნის არამარტო წელს, არამედ დღესაც — 13 თებერვალს, იმ დეტალის წარმოსაჩენად: სწორედ იმ დღეს აიკრიფა „სიტყვების“ ქართული ტექსტიო.

მართლაც საგულისხმო დამთხვევაა.

და ეს იმიტომ, რომ სარტრის ამ ავტობიოგრაფიულ რომანის ქართული გამოცემა ავტორის იმ საპროტესტო ხელმოწერას შეეწირებოდა.

წინასიტყვაობის ფინალში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ:

— საბედნიეროდ, სტამბის ერთი პასუხისმგებელი ქალბატონი გაბედავს და გადაარჩინს წიგნის ორ ეგზემპლარს და მთარგმნელებს ჩუქნის. თქვენს წინაშეა ჟან-პოლ სარტრის „სიტყვები“ — სრული ტექსტი გადარჩენილი ეგზემპლარებიდან.

ის, რომ წიგნი აიკრძალა და მისი მრავალათასიანი ტირაჟი თითქმის მთლიანად განადგურდა, უკვე დრამატული ბიოგრაფიაა „სიტყვების“ ქართული ვერსიისა და ზედმეტია ყოველგვარი ხელოვნური ჩარევა დრამატიზმის კიდევ უფრო დასამძიმებლად.

გაბედულებას ნუ დაუწყარგავთ იმ უცნობ პასუხისმგებელ ქალბატონს, მაგრამ ამ ავტობიოგრაფიული რომანის ორი ეგზემპლარი კი არა, გაცილებით მეტი გადარჩებოდა — ეგებ რამდენიმე ასიც, ეგებ რამდენიმე ათასიც... რის შეძენასაც მოასწრებდა მკითხველი, ვიდრე მალაზიებში გამოტანილ ცალებს ერთბაშად აკრეფდნენ და ბიბლიოთეკებიდანაც ამოიღებდნენ.

რამდენადაც გვახსოვს იმჟამინდელი საზოგადოებრივი ვითარებაც და მკითხველის განწყობილებაც, ამ წიგნს დააცხრებოდნენ სწობებიც და ლიტერატურის ჭეშმარიტი მოყვარულნიც და თუნდ ერთ დღეშიც საკმაო რაოდენობით გაიყიდებოდა.

რამდენიმე ათასი შემთხვევით არ მიხსენებია.

რომ იცოდეთ, იმ მკითხველთა შორის იმყოფებოდა ჩემი მეგობარი უჩა შერაზადიშვილი, იმჟამად სკოლის მონაწივე, შემდგომ კი ლიტერატორი და მთარგმნელი, ვინც მოგვიანებით „სიტყვებს“ მისახსოვრებდა და ჩემს საყვარელ თხზულებებს შორისაც დაიმკვიდრებდა ადგილს ზურაბ ნიჟარაძის მიერ შთამბეჭდავად გაფორმებული ეს გამოცემა.

გარდა თავისთავადი მხატვრული ღირსებებისა, სარტრის ეს რომანი ბევრს მისცემს ყმანვილს გზის გასაგნე-

ბად წიგნის უჩვეულო, დიდებულ, მომხიბლავ სამყაროში.

რომანი წარმოსახავს მწერლად ჩამოყალიბების პროცესსაც, ღრმა ფსიქოლოგიზმით სავსეს და საკუთარ სულში მოგზაურობის შთამბეჭდავ დოკუმენტს, და თუ ეს მეორე ნაწილი წიგნისა იმ ყმანვილებისათვის იქნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, შემოქმედებით უნარს ვინც გრძობენ, პირველი ნაწილი — კითხვის შესწავლის და მისით გატაცების პროცესი — ყველასთვის ერთნაირად საგულისხმო და დამაფიქრებელი უნდა იყოს.

ეს თუკი „სიტყვების“ აღმზრდელი-ბით დანიშნულებასაც მიეკუთვნება ყურადღებას, თორემ ისე ფრანგი მწერლის ეს რომანი შედევრთა შორის იგულისხმება და ყველა თაობის მკითხველს ერთნაირად ალაფრთოვანებს.

და ერთნაირადვე შეაფიქრებინებთ სარტრის აღიარება: დიდხანს მიმაჩნდა კალამი ხმლად, ახლა კი დავრწმუნდი ჩვენს უძლურებაშიო.

თუმც რა ბედენა გახლდათ ეს მწარე გულისტკივილი: მაინც კვლავ დაწერდა წიგნებს.

ასე საჭიროთ, ასე სასარგებლოთ.

მაგრამ რადგანაც კაცნი ვგვქვიან, შვილნი სოფლისაო, — სკეპსისის წუთებში ყოველთვის როგორ წამოგვეშველება ხოლმე ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებიც სულის მოსათქმელად და გასამხნეველად, მიგდებულ კალამს ხელახლა რომ დავწვდებით ასაღებად.

გალაკტიონის პეტრონიუსობა


— დღემდის ითვლებოდა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს თარგმანი არასოდეს გამოუქვეყნებია.

არადა, თურმე ამ მოსაზრებას გადასინჯვა და შეცვლა ელოდა.

„დღემდის“ 2012 წლის 2 ნოემბერი აღმოჩნდება, „ლიტერატურული გაზეთის“ ახალი, 85-ე ნომრის გამოსვლის თარიღი, ვახტანგ ჯავახიძის კრიტიკულ-ესთეტიკური ციკლის „ლექსიდან ლექსამდე“ რამდენიმე ნიმუში რომ მოიყრიდა თავს და, მათ შორის, ჩანაწერიც: „მხოლოდ ინგოროყვას ჟურნალი“.

გალაკტიონის ის თარგმანები თურმე რომელიღაც უცნობი ანდა მივიწყებული გამოცემის ფურცლებზე კი არ გამოშვებულა, არამედ ჩვენთვის საყვარელი და კარგად ნაცნობი ჟურნალისა, რომელიც ხშირად აგვიღია ხელში, ზოგიერთი ფსევდონიმიც გაგვიფრავს და დავგიდგენია, მაგრამ ამოუხსნელი რჩებოდა ლათინურად მინერალი Petronius, „გიომ აპოლინერის ჯგუფის“ პოეტთა ლექსებს რომ ახლდა: უშუალოდ გიომ აპოლინერის „კოკოუსებს“, ჟან კოკტოს „მუხებს (ოდა პიკასოს)“ და ბლეზ სანდრარის „კოშკს“.

ფიქრი ხან ვისზე შეგვიჩერებია და ხან ვისზე, მაგრამ არა გალაკტიონზე, რაკილა იგი, ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, განუდგებოდა პავლე ინგოროყვას და



წყრომის მიზეზს დღიურში ასე ჩაინიშნავდა: რედაქტორი არავის არაფერს გვეკითხება, „კავკასიონი“ მისი და მხოლოდ მისი ჟურნალია და ასეთ გამოცემასთან მე ვერ ვითანამშრომლებდით.

და ჩემი არ იყოს, დარწმუნებული ვარ, თქვენც გწყდებოდათ გული, რომ ამ დიდებულ, მართლაც სანიმუშო ჟურნალის ფურცლებს არ ამშვენებდა გალაკტიონ ტაბიძის სახელი. მაგრამ თურმე არც ისე ყოფილა საქმე და მისი ორიგინალური ლექსი თუ არა, სამი თარგმნილი ლირიკული ნიმუშით მაინც გალამაზებულა, კიდევ ერთი შტრიხით ეს „მხოლოდ ინგოროყვას ჟურნალი“. თვითონ თარგმანები არ არის რალაც განსაკუთრებული და გალამაზებაც უპირველესად სწორედ ისაა, რომ გალაკტიონი მასში მაინც მონაწილეობს, მიუხედავად ასეთი გულისწყრომისა, კოლეგიას რომ მიატო-

ვებდა.

თუმც გულისწყრომის დაფარული ფსიქოლოგიური მიზეზიც არ დარჩენილა შეუცნობელი და სოსო სიგუა კიდევ ივარაუდებდა, რომ გალაკტიონი, როგორც ოკუფაციების სიძე, ახალი მთავრობის თვალსაჩინო წევრებისა, მოერიდებოდა ამ ახალ რეჟიმთან მკვეთრად დაპირისპირებულ გამოცემაში თანამშრომლობას.

საბაბის მოდებას კი რალა უნდოდა, მითუმეტეს, რომ პავლე ინგოროყვა არ გახლდათ ის კაცი, ჟურნალის მომზადება-შედგენისას ვინმესთვის ანგარიში გაენია — თუნდ კოლეგიის წევრებისა და თუნდ გალაკტიონისათვის.

ასე გამოეცლებოდა გალაკტიონი „კავკასიონს“.

თუმც პავლე ინგოროყვას დაენანებოდა უიმისობა და იმ თარგმანებს (უსათუოდ რედაქტორის მიერ შეკვეთილს!) ფსევდონიმით გამოუქვეყნებდა.

ამას უკვე თვითნებურად ველარ გადაწყვეტდა რედაქტორი.

არც ფსევდონიმის შერჩევას აიღებდა საკუთარ თავზე. რჩევით შესაძლოა თვითონაც ურჩია გალაკტიონს „პეტრონიუსი“, მაგრამ იმისი თანხმობის გარეშე თარგმანები ვერ იხილავდა მზის სინათლეს.

ვაითუ „კავკასიონის“ გამოსვლას სკანდალი მოჰყოლოდა გალაკტიონის მხრიდან, ეს კი ვის აძლევდა ხელს, მითუმეტეს, მიზანში ამოღებულ პავლე ინგოროყვას და, მითუმეტეს, ასერიგად გამწვავებულ ვითარებაში.

გალაკტიონისთვის სწორედაც ხელსაყრელი გახლდათ ფსევდონიმს ამოფარება. თან მაინც მონაწილეობდა ჟურნალში, თანაც თვალში აღარავის მოხვდებოდა მისი სახელი.

ვახტანგ ჯავახიძე პეტრონიუსის ბიოგრაფიასაც მოკლედ შეახსენებდა მკითხველს, პირველი საუკუნის რომაელი სატირიკოსისას, საქვეყნოდ აღიარებული „სატირიკონიც“ რომ ეკუთვნოდა და დაუვიწყარი ფრაზაც: კაცობრიობა კომედიას თამაშობსო. იგი ნერონის კარზე მოღვაწეობდა და სასახლის ინტრიგების გამო სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებდა.

ეს თვითმკვლელობა რალა იყო, არა? სად აუხდებოდა ფსევდონიმის ბედისწერა გალაკტიონს რამდენიმე ათწ-

ლელის შემდგომ.

ისე მაინც რატომ უნდა გულისხმობდეს „პეტრონიუსი“ მაინცდამაინც გალაკტიონს?

რა ცნობა აღმოჩნდა მაინც ამისთანა?

უშუალო ცნობა არც არავითარი.

მაგრამ სტრიქონებს შორის ამოცნობის უნარს, წვრილმანების გამონურვის ჟინს შეეძლო ამ საიდუმლოს გახსნაც.

გალაკტიონი სალექსო საზომებს ყოველმხრივ რომ უტრიალებდა და ამოწმებდა, მათ არითმეტიკული პროგრესიით აღმავალ ცხრილსაც შეადგენდა 20 მარცვლამდე და სანიმუშოდ ოთხი სტრიქონის თანამიმდევრობით განხრდობდნენ ვარიაციებს გამოიყენებდა.

მეოთხე ნიმუშად კი დამოწმებდა ამ სტრიქონს:

— შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი.

ამ თოთხმეტმარცვლოვანთან საგანგებოდ შეყოვნდებოდა, საზომში მეორე რიტმსაც აღმოაჩენდა, იქვე ანალოგიურ მეორე ვარიანტსაც წარმოადგენდა და ქვემოთ მიაწერდა: აპოლინერის ჯგუფი.

ესეც ის უნებლიე სიგნალი.

და ვახტანგ ჯავახაძე რომ ჩაუკვირდებოდა ამ გარემოებას და იმ სტრიქონსაც: შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამიო, — „კავკასიონის“ ფურცლებზეც დაადასტურებდა გიომ აპოლინერის ლექსის პირველივე სტრიქონად და ძალდაუტანებლად გაუჩნდებოდა ეს მოსაზრება:

ცხადია, 1923 წელს — წინა წელიწადს — 1924 წლის ჟურნალში დაბეჭდილ მასალას ვერ დაიმომბდა გალაკტიონი.

და ამ ძიების გზაზე წაადგებოდა კიდევ ერთი დეტალიც, გალაკტიონის იმავე — 1923 წლის — ბლოკნოტში ჩანიშნული ლაკონიური ფრაზა: ფრანგული ენა ხვალიდან, — რაც „უცნობის“ შემოქმედს აფიქრებინებდა: ეს სამი ფრანგი პოეტი ორიგინალიდან უნდა იყოს თარგმნილიო.

გაშიფრული, ამოხსნილი, დადგენილი ყოველთვის რა იოლად მოჩანს, არა?

არადა, რას გაანყობდი სტრიქონებს შორის ამოცნობის უნარის გარეშე...

და კიდევ — წვრილმანების გამონურვის ჟინის გარეშე... და კიდევ — იმ ტექსტების ბოლომდე შეთვისების, სრულყოფილად განცდის, სწორედაც „შეჭმის“ გარეშე იქ მიმოფანტული მინიშნებანი ყოველთვის მიუწვდომელი დარჩება.

ისე უნდა გქონდეს „გადაღეჭილი“ ამოსაცნობი ტექსტი, როგორც ვახტანგ ჯავახაძეს — გალაკტიონ ტაბიძის დღიურები თუ ჩანაწერები, ეს უზღვავე მასალა, შიგ რომ გითრევეს მორევით, თუმც იმდენ ძვირფას ცნობას გან-

ვდის და ისეთ საიდუმლოებებს შეგავლებინებს მზერას, გიღირს ამ მორევში ყურყუმალი, ხშირად სუნთქვასაც რომ შეგიკრავს ხოლმე.

ცხადია, შემეძლო ციკლის — „ლექსიდან ლექსამდე“ — ეს პასაჟი პირდაპირ გამომეყენებინა (სათანადო მითითებით!) ბიოგრაფიული რომანის „ბედი პავლე ინგოროყვასი“ ხელახალი გამოცემისას, სადაც რამდენიმე ახალი დეტალი მაქვს შესატანი და, მათ შორის, გალაკტიონის თარგმანების მიკვლევა „კავკასიონის“ პირველივე ნომრის ფურცლებზე, უთუოდ შეავსებს და რამდენადმე სხვაგვარად წარმოგვისახავს თხრობის იმ მონაკვეთს, ჟურნალის მზადების პროცესი რომ არის აღწერილი და არც პავლე ინგოროყვასა და გალაკტიონ ტაბიძის კონფლიქტია მიჩქმალული — ყველაფერი ხომ ისე უნდა იყოს ბიოგრაფიულ ქრონიკებში, სინამდვილეში როგორც მომხდარა.

მაგრამ მაშინ ჩაიკარგებოდა ვახტანგ ჯავახაძის ამ მიგნების მნიშვნელობა, ვეება წიგნში ეს დეტალი თავისთავად მიყრუვდებოდა, არადა, არ არის მისაყრუებელი და, მჯერა, თვითონ პავლე ინგოროყვასაც მოხიბლავდა ეს მახვილგონიერი დაკვირვება.

ასეც შეიძლება ითქვას: ინგოროყვასებრი.

მარჯვე, მახვილი დაკვირვებანი უამრავი გვინახავს და ყოველთვის გაგვხარებია, მაგრამ მათ შორის ცალკეც შეიძლება გამოიყოს სერია, რომელიც სწორედ ასე შეიძლება დასათაურდეს: ინგოროყვასებრი.

გაიუს პეტრონიუსი



ისე ნეტა „პეტრონიუსი“ ფსევდონიმად გალაკტიონს მოაფიქრდა თუ პავლე ინგოროყვამ შესთავაზა?!

რაც უნდა იყოს, ეს ნიღაბილა აკლდა გალაკტიონს — ოდინდელი რომაელი პოეტისა და პატრიციუსის ნიღაბი!..

ეს 1924 მაინც რა წელი იყო: შემოდგომაზე ლამაზ ველებს მოედო შხამი... ვინ გაცლიდა, რომ მარტოდენ საზომსა და რიტმს ჩაკვირვებოდი და მისი რეგისტრები გემოწმებინა.

ვინ გაცლიდა, რომ აპოლინერისა და მისი ჯგუფის გაქართველებზე გეზრუნა.

შხამი მოედებოდა ლამაზ ველებს, ზაფხულის მინურული და შემოდგომის დამდეგი საბედისწეროდ რომ გაგვითენდებოდა.

...მაინც რა უცნაურად იხლართება რაღაც ფარული


ნინო ბეზარაშვილი

„გიყვარდეს მოყვასი...“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- როცა ახლობლებს უჭირთ.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- მამაპაპისეულ სახლში — გურჯაანში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- როცა ახლობლები კარგად გყავს.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ნეხლიუდოვი, ლევ ტოლსტოის „აღდგომიდან“.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ერეკლე II.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ფიროსმანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- მოცარტი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- მე მამაკაცებს არ ვიცნობ...
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- პატიოსნებასა და ოჯახის ერთგულებას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- უანგარო სიყვარული. ჩემთვის ამის მაგალითია ლიდია მეგრელიძე, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ისეთი უყვარდა გალაკტიონი, როგორც იყო.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ლიტერატურული საქმიანობა, წერა. ძველი სახლ-კარის მოვლა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
- მაყვალა მრეველიშვილი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- მორცხვობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებასა და გულწრფელობას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- მორცხვობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- როცა ყველა შინაა.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- მარტოობა.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- გაბედული, მხიარული.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- იისფერი. როცა კარგი ამინდია და ცა მონმენდილია, მაშინ კაკასიონი იისფერია...
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?


— ფერიცვალა; ლექსიც მაქვს მასზე დანერვილი: „ფერიცვალავ, ფერიცვალავ, ნაზი ხარ და ქათქათა, ვინ ჩაგაცვა თეთრი კაბა, ან რა ხელმა დაგხატა! სიო გარხვეს, გინანავებს, მზე გიკოცნის ყვავილსა, მალე გულ-მკერდს დაიმშვენებ ღვინისფერი ხალითა! ეს ღრუბლებიც ჩაივლიან წვიმებად და ავდრებად, ამოვირბენ შენკენ ბილიკს გნახავ, გამიხარდება!“



- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- მოლალური, ასე რომ გალობს — ბიჭო, გოგია!!!
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ლევ ტოლსტოი.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- ნოე ჩხიკვაძე, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, ანა კალანდაძე, ლერმონტოვი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- „ბიძია თომას ქოხიდან“ მამიდა ხნოა, ქადებს რომ აცხობს.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- არა მყავს ასეთი გმირი.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ქეთევან წამებული, მაია წყნეთელი.
- საყვარელი სახელები?
- ნინო, თამარი, ქეთევანი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- სიცრუესა და ბოროტებას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?
- შაჰ-აბასი.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?
- ერეკლე II ბრძოლა სიღნაღის მიდამოებში, მაშინ ერეკლე 16 წლისა იყო.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- მე რეფორმებს ყურადღებას არ ვაქცევ.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- სინანულის ნიჭი...
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- ჩემი დიდი პაპა 110 წლისა ძილში გარდაიცვალა, მინდა, მეც ასე გარდავიცვალო.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- უიმედო...
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- შური.
- თქვენი დევიზი?
- გიყვარდეს მოყვასი!
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- მინდა რომ დამაიმედოს...



იდეის ავტორი
გიორგი შენგელაია (უმცროსი)



სცენარის ავტორები — გიორგი შენგელაია (უფროსი) და ირაკლი სოლომონაშვილი



ფილმი ამ სცენარის მიხედვით მე უნდა დამედგა 2011 წელს. მანამდე, სანამ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდებოდა. მაგ დროს, ჩვენ ცალკეული ქართველი ხელოვანები დამოუკიდებლად ვიღვწოდით, რომ ჩვენი წვლილი შეგვეტანა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი უნდა გამხდარიყო ჩემი პოლიტიკური და ეთიკური პოზიციის გამომხატველი. სამწუხაროდ ეს ფილმი არ შედგა. ფილმის გადაღებისათვის საჭირო თანხა ვერც საქართველოს კულტურის სამინისტროს კინოცენტრში, ვერც კერძო ინვესტორებთან ვერ მოვიძიე. იმედი მაქვს სცენარი ნაწილობრივ მაინც შეგიქმნით წარმოდგენას იმ ფილმზე, რომელიც მე უნდა გადამეღო.

გიორგი შენგელაია

დეჰნილი სიყვარული

□

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი

მთავარი როლები
და როლები:

ქერივი ნინო	40 წ.
ქერივის ქალიშვილი ანა	18 წ.
ქერივის ვაჟი სანდრო	16 წ.
მღვდელი ანდრია	60 წ.
ლელა (ლტოლვილი გოგონა)	16 წ.
ზაური (სამინისტროს ფუნქციონერი)	55 წ.
გეგა (ზაურის შვილი)	21 წ.
ზაურის ცოლი	45 წ.
ელზა (ლტოლვილი)	40 წ.
ლამარა (ლტოლვილი)	45 წ.
ნიკო (ლტოლვილი)	70 წ.
გოგია (ლტოლვილი)	65 წ.

სცენა №1.
2008 წლის საომარი მოქმედებების ამსახველი
ვიდეომონტაჟი.

სამაჩაბლოს ტერიტორიაზე იბრძვიან ქართული და ოსური სამხედრო შენაერთები, იბომბება და ნადგურდება საცხოვრებელი სახლები. ქართული მოსახლეობა საკუთარი სახლებიდან გაქცევით შველის თავს. ოს ბოევიკებს ტყვედ აპყავთ ისინი, ვინც გაქცევას ვერ ასწრებს.

სცენა №2.
დღე. ნატ. სამაჩაბლოს ერთ-ერთი სოფელი.

სოფელში ორმხრივი სროლაა. რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი სოფლის მღვდლის, მამა ანდრიას თანხლებით, სახლებიდან გამოქცეულ ადგილობრვ მაცხოვრებლებს სამშვიდობოზე გასვლაში ეხმარებიან, ისინი სოფლის ორლობეში, ერთი ეზოდან მეორეში გადარბიან. გზაზე დაღუპული მაცხოვრებლების გვამებია დაყრილი. ერთ-ერთი ეზოდან ისმის ქალის კივილი. ქართველი ჯარისკაცები და მამა ანდრია ეზოში შევარდებიან, იქ ორი ოსი ბოევიკი ქართველ გოგონას — ლელას აუპატიურებენ, ლელას მშობლები კი იქვე, დახოცილები არიან. ქართველი ჯარისკაცები ოს ბოევიკებს ავტომატის ჯერით ხოცავენ. სისხლში მოთხვრილი და უმონწალოდ ნაცემი ლელა ისტერიკულად კივის. მამა ანდრიას ლელა ხელში აპყავს და ქართველ სამხედროებთან ერთად სახლსუკანა ვაშლის ბაღის გავლით სამშვიდობოზე გააპყავს.

სცენა №3.
დღეა. ნატ. ავტობანი.

ავტობანზე მოძრაობა გადაკეტილია პატრულის მანქანებით. გზა აქვს დათმობილი კორტყეის თანხლებით მომავალ, შავი ფერის სამ ჯიპს.

სცენა №4.

დილა. ნატ. ლტოლვილთა დასახლება.

ლტოლვილთა დასახლების მთავარ ქუჩაზე აღმართულია დროებითი სცენა. სცენის უკან უშველებელი ბანერია ახალგაზრდა, მომღიმარი პრეზიდენტის გამოსახულებით. სცენის გარშემო ლტოლვილებს მოუყრიათ თავი, რომელთა შორისაც უმეტესობა ქალი და ბავშვია. შავი ჯიბები სცენის უკან ჩერდებიან. ერთ-ერთი მანქანიდან გადმოდის ჩინოვნიკი ზაური, მას მანქანებიდან გადმოსული ათიოდე ჩინოსანი უერთდება. ამ ჯგუფში არიან სამხედროებიც. ზაური დაცვასთან ერთად მიემართება სცენისკენ. ლტოლვილთა შორის მოჩანს მღვდელი მამა ანდრია, რომელსაც გვერდით ხელჩაკიდებული უდგას ლელა. ზაური ადის სცენაზე, ღიმილით გადახედავს ლტოლვილებს, მიდის მიკროფონთან და მიმართავს მათ.

ზაური. მეგობრებო, თანამემამულენო, ჩვენ არ ვიშურებთ ძალისხმევას იმისათვის, რომ შევამსუბუქოთ თქვენი ხვედრი და დასახლებაში შეექმნათ ყველა ის აუცილებელი პირობა, რომელიც თითოეულ თქვენგანს მშვიდი ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის საშუალებას მისცემს. სახელმწიფო დაფინანსებისა და ჩვენი ევროპელი მეგობრების დახმარებით, ჩვენ უკვე ავაშენეთ არაერთი სახლი, სულ მალე დასრულდება სკოლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა და დღეს ვინცერთ მეცხოველეობის ფერმას, სადაც თქვენ დასაქმდებით. რალა თქმა უნდა, ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო პირთა შემონირობებსაც. სწორედ ამის მაგალითია საყდარი, რომლის მშენებლობასაც კერძო პირები დააფინანსებენ. ვთხოვთ მამა ანდრიას, სცენაზე ამოვიდეს და აკურთხოს ჩვენი ახალი დასახლება.

ლელა ჩაბლაუჭებია მამა ანდრიას ხელს. მღვდელი გვერდით მდგომ ორ ლტოლვილ ქალს სთხოვს, ლელა დაიტოვონ. ლელა უხალისოდ უშვებს ხელს მამა ანდრიას.

მღვდელი სცენაზე ადის. ზაური სცენაზე ასულ მამა ანდრიას ჯვარზე ემთხვევა და მიკროფონს დაუთმობს. მამა ანდრია აკურთხებს ლტოლვილთა დასახლებას: „ვითარცა სახლსა ზაქესა შესლვითა შენითა ქრისტე ცხოვრება იქმნა ეგრეთვე, ან შესვლითა სამღვდელითა მსახურთა შენთა და მათთანა წმინდათა ანგელოზთა მომადლე სახლსა ამასა და ნყალობითა აკურთხე იგი. აცხოვნე და განანათლენ ყოველნი, რომელნი დაემკვიდრებიან მას შინა. შენ ანცა სახლსა ამასა მოხედ და რომელთა ნებაგს მკვიდრობა მას შინა, უვნებლად დაიცავ ესენი, აკურთხენ ესენი და სამკვიდრებელი მათი.“

მამა ანდრიას გამოსვლის დროს ზაური ლტოლვილებს ათვლიერებს, უფრო წინა რიგებში მდგომ ახალგაზრდა ქალებს, მისი მზერა შეჩერდება ერთ-ერთ ქალზე, ნინოზე, რომელსაც შავები აცვია. ნინო მიტინგზე შვილთან — სანდროსთან ერთად დაა მისული.

ზაურს ეტყობა, რომ ნინო მოეწონა. იგი გვერდით მდგომ თანაშემწეს მოიხმობს, თვალთ ანიშნებს ნინოზე და რალაცას გადაულაპარაკებს, თანაშემწე თანხმობის ნიშნად თავს დაუკრავს ზაურს.

აკურთხევის შემდეგ მამა ანდრია სიტყვით მიმართავს ხალხს.

მამა ანდრია. ძმებო და დებო, დღეიდან ჩვენ ყველა ამ ახალ დასახლებაში ვიცხოვრებთ, რომლის აშენებაზეც ჩვენმა მთავრობამ დიდსულოვნად იზრუნა. ჩვენ ახალ ცხოვრებას ვინცერთ. ერთმანეთის გვერდით უნდა დავდგეთ, ქრისტესმიერი სიყვარულით უნდა ვიცხოვროთ. შური და სიძულვილი უნდა დავივინყოთ. თქვენ რაც დაკარგეთ მშობლიურ მხარეში, იმას არაფერი შეგიცვლით, მაგრამ

იმედით ცხოვრობს ადამიანი. ომი სატანის მოგონილია. ბოლოს მაინც მშვიდობა დაისადგურებს დედამიწაზე. კრავი იზეიმებს გამარჯვებას და კრავი მართავს ქვეყანას. მტერიც კი არ უნდა შეიძულოთ. მაცხოვარი გვასწავლის: „გიყვარდეთ მტერი თქვენი, ვითარცა მოყვასი თქვენი“. გვარავდეთ ღვთისმშობლის მადლი, რომლის ხატსაც დიდსულოვნად გვპირდებიან ბატონი ზაური და მისი მეგობრები. ამ ხატს ჩვენს ეკლესიაში დავასვენებთ, როცა ეკლესიას დავამთავრებთ.

როდესაც მღვდელი ამბობს სიტყვებს: „გიყვარდეთ მტერი თქვენი, ვითარცა მოყვასი თქვენი“, ზაურის გარემოცვაში მდგომი სამხედროები აიმრიზებიან.

ერთ-ერთი სამხედრო (ზაურს მღვდელზე) ეს რეებს ლაპარაკობს, ამის ნებას როგორ აძლევ?!
ზაური. გამარჯობათ, სტუმრებს მიიღებთ?
ნინო. რა თქმა უნდა, მობრძანდით!
ზაური (ხელს გაუწვდის ნინოს). მე ზაური გახლავართ. ნინო. თქვენ ვინ არ გიცნობთ, ბატონო ზაური. მე ნინო მქვია.
ზაური ნინოს სახლში შედის.

სცენა №5.

დღე. ნატ. ლტოლვილთა დასახლება.

ლტოლვილთა დასახლებაში მიტინგი დამთავრებულია. ზაური დაცვისა და თანმხლები პირების გარემოცვაში ათვლიერებს ლტოლვილთა დასახლებას. შედის ახალაშენებული ლტოლვილთა სახლების ეზოებში და ესაუბრება ლტოლვილებს.

ზაურთან თანაშემწე მიდის, ყურში რალაცას ჩასჩურჩულებს და ერთ-ერთ სახლზე მიუთითებს. ზაური თანმხლებ პირებს გამოეყოფა და თანაშემწის მიუთითებულ ეზოში შედის. ზაურს სახლიდან ნინო გამოეგებება.

ზაური. გამარჯობათ, სტუმრებს მიიღებთ?
ნინო. რა თქმა უნდა, მობრძანდით!
ზაური (ხელს გაუწვდის ნინოს). მე ზაური გახლავართ. ნინო. თქვენ ვინ არ გიცნობთ, ბატონო ზაური. მე ნინო მქვია.
ზაური ნინოს სახლში შედის.

სცენა №6.

დღე. ინტ. ნინოს სახლი ლტოლვილთა დასახლებაში.

ნინოს სახლის ვინრო ინტერიერი სადა და ღარიბულია. კედელზე შავ ჩარჩოში ჩასმული ნინოს ქმრის ფოტო კიდია. ზაური სათვალეს იკეთებს და ფოტოს აცქერდება.

ზაური (ფოტოზე). ეს თქვენი მეუღლეა?
ნინო. დიახ, ცხინვალთან დაიღუპა.
ზაური. მარტო ცხოვრობთ?

ნინო. ქალ-ვაჟი მყავს. ბიჭი ახლა ჩემთან არის, გოგო დროებით, სანამ დავლაგდებით, გორში ცხოვრობს ნათესავეებთან.

ზაური. გასაგებია... რა ასაკისანი არიან თქვენი შვილები?

ნინო. ბიჭი თხუთმეტისაა, გოგო ჩვიდმეტის.
ზაური. საცხოვრებელი პირობები კაკმაყოფილებთ?
ნინო. რა ვიცი, ისე ვცხოვრობთ, როგორც ყველა.

ზაური მაგიდაზე დადებულ ოჯახურ ალბომს ამჩნევს, იღებს ხელში, რომ დაათვალიეროს. სათვალეს იხსნის (ეტყობა, რომ ახლომხედველია), მაგიდაზე დებს და ალბომს ათვალიერებს.

ალბომში ნინოს და მისი ქმრის ახალგაზრდობის ფოტოებია ჩაკრული. ნინოს ფოტოებზე სხვადასხვა, ფერად-ფერადი მოკლე კაბები აცვია, მხრები და კისერი მოშპვლებული აქვს, ამ ფოტოებზე ნინო კიდევ უფრო მომხიბლავად გამოიყურება. კარზე კაკუნია, შემოდის ზაურის თანაშემწე.

თანაშემნე. ბატონო ზაურ, წასვლის დროა.

ზაური (ნინოს). გისურვებთ წარმატებას, დროებით გემშვიდობებით.

ზაური სახლიდან გადის. ნინო ფანჯრიდან გახედავს ზაურს და მის თანხლებს პირებს, რომლებიც მანქანებში სხდებიან. ჯიპები დაიძრებიან. ნინო მაგიდისკენ ტრიალდება, მაგიდაზე ხედავს ზაურის დატოვებულ სათვალეს.

სცენა №7.

დღე. ექსტ. მხენიარაი ეკლესია ლტოლვილთა დასახლებაში.

მამა ანდრია ეკლესიის ეზოში ხარაჩოზე დგას, ბაზილიკას კრამიტს აფარებს. მღვდელი ხარაჩოდან აყოლებს თვალს ლტოლვილთა დასახლების ცენტრალურ ქუჩაზე მიმავალ შავ ჯიპებს.

სცენა №8.

სალამო. ინტ. ზაურის კაბინეტი.

ზაური საკუთარ კაბინეტში სანერ მაგიდასთან ზის და რაღაც საბუთებში იქექება. მის უკან კედელზე ახალგაზრდა პრეზიდენტის სურათი კიდია. კაბინეტში ტელევიზორია ჩართული. ტელევიზორში რაღაც კონცერტი მიდის. რეკავს ტელეფონი. ზაური ყურმილს იღებს.

ზაური (ყურმილში). — გისმენთ...

- ჰო, რა ხდება? საქონელი წამოვიდა?
- ძალიან კარგი. მოკლედ, იცით, როგორც უნდა მოიქცეთ.
- საზღვარზე რომ გადმოხვალთ, მაშინვე დამირეკეთ.

ზაური ტელეფონზე საუბრისას ტელევიზორს უყურებს. ტელევიზორში ნახევრადმიშველი ქალი მღერის. ზაური ყურმილს კიდებს და წუთით თვალი უშტერდება ტელევიზორზე. შემდეგ კი ისევ საბუთებს ჩახედავს. მოუსვენრობა ეტყობა, ისევ ამოხედავს ტელევიზორს და წამის შემდეგ ტელეფონზე რეკავს.

ზაური (ყურმილში). — ალო, გეგა.

- ჰო, მე ვარ. სახლში მშვიდობაა, შვილო?
- ძალიან კარგი. დედა სახლშია?
- არა, არ გინდა, ნუ დაუძახებ. მისმინე, მე დღეს საქმე მაქვს, რაიონში გავდივარ და ღამე არ მოვალ.
- არა, ისეთი არაფერია, შენი წამოყოლა არ არის საჭირო.

— კარგი, თქვენ იცით.

ზაური ყურმილს კიდებს და იმ წამსვე კრეფს ახალ ნომერს.

ზაური (ყურმილში მძლოლს). — გოჩა, ხუთ წუთში მანქანა კიბებთან. არა, დაცვა არ არის საჭირო.

ზაური სკამიდან წამოდგება, საქალაქდეს ხურავს. კაბინეტის კარისკენ მიდის, უცბად შეყოვნდება, მობრუნდება, სათვალეს იხსნის და კაბინეტის მაგიდაზე ტოვებს.

სცენა №9.

ღამე. ნატ. ავტობანი.

ავტობანზე კორტეჟის თანხლების გარეშე მოქრის ზაურის შავი ჯიპი.

სცენა №10.

ღამე. ზაურის მანქანის სალონი.

ზაურის მანქანაში საჭესთან ზის მძლოლი გოჩა, უკანა სკამზე კი ზაური. ჯიპი ლტოლვილთა დასახლებას უახლოვდება.

ზაური. გოჩა, ფარები ჩააქრე და ისე შედი დასახლებაში. გოჩა მანქანის ფარებს გამორთავს, მანქანა დაბალი სიჩქარით შედის დასახლებაში და მიუყვება მთავარ ქუჩას.

ზაური. აქ გააჩერე.

გოჩა მანქანას ნინოს სახლთან აჩერებს, ზაური მანქანის კარს აღებს.

გოჩა. აქ დაგელოდოთ?

ზაური. ხუთ წუთში თუ არ გამოვედი, მანქანა სადმე მოფარებულში გადააყენე.

ზაური მანქანიდან გადადის.

სცენა №11.

ღამე. ინტ. დასახლების ერთ-ერთი სახლი.

დასახლების ერთ-ერთი სახლის ფანჯარასთან ორი ლტოლვილი ქალი – ლამარა და ელზა — ფანჯრის ფარდას ამოფარებულნი მალვით უთვალთვალებენ მათ მოპირდაპირე სახლთან (ნინოს სახლთან) გაჩერებულ შავ ჯიპს. ჯიპიდან გადმოსული ზაური ნინოს კარზე აკაკუნებს.

სცენა №12.

ღამე. ექსტ. ნინოს სახლი.

ზაური ნინოს სახლის კართან დგას. კარს მიღმა ისმის ნინოს ხმა.

ნინო (კარს მიღმა). ჰო, ეხლავე, სანდრო.

ნინო კარს აღებს. მისი ვაჟის ნაცვლად კარში ზაური დგას. დაუპატიჟებელი სტუმრის დანახვა ნინოს აბნევს.

ნინო. თქვენ?!

ზაური. დღეს დილით, მგონი, სათვალე დამრჩა თქვენთან.

ნინო. დიახ, აქ არის, შემობრძანდით...

სცენა №13.

ღამე. ინტ. ნინოს სახლი.

ზაური ნინოს სახლში შედის. ნინო სახლის კარს ხურავს. ზაური ოთახს მოათვალეირებს.

ნინო. კარზე კაკუნი რომ გავიგე, ჩემი ვაჟი მეგონეთ. მეგობრის დაბადების დღეზეა და ვიფიქრე, დაბრუნდამეთქი.

ნინო სათვალეს აწვდის ზაურს. ზაური სათვალეს იკეთებს და ნინოს შეათვალეირებს.

ზაური. ლამაზი ქალი ხარ, ნინო.

ნინოს ზაურის სიტყვები აბნევს.

ზაური. დავიჯერო, მეგობარი კაცი არ გყავს?

ნინო. ვინ?

ზაური. შენისთანა ქალი კაცის გარეშე საცოდაობაა.

ზაური ჯიბიდან საფულეს იღებს და გარკვეულ თანხას მაგიდაზე დებს.

ზაური. პირველ ხანებში დაგჭირდებოდა.

ნინო. არ არის ეს საჭირო. ნაილეთ უკან ეხლავე!

ზაური. რუსებს ერთი გამოთქმა აქვთ: გაძლევენ — აიღე, გცემენ — გაიქცი. ასე რომ, აიღე.

ზაური ნინოსკენ დგამს ნაბიჯს და ხელს გაიწვდის. ნინო უკან დაიხვევს. ზაური წამით შეჩერდება, შემდეგ ნინოსკენ ისევ მიდის და ორივე ხელს იდაყვებზე წაავლებს. ნინო ხელებს ითავისუფლებს და ზაურს სილას გაანწავს. ზაური ლოყაზე ხელს მოისვამს და ცინიკურად იღიმება.

ზაური. მე შენ ჭკვიანი ქალი მეგონე, თანამდებობის პირისთვის ფიზიკური შეურაცხმყოფის მიყენება მკაცრად რომ ისჯება, არ იცი?

ზაური სათვალეს იხსნის.
ნინო. გაეთრიეთ აქედან!
ზაური. კარგი...

ზაური კართან მიდის, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ კარი გააღოს და გარეთ გავიდეს, შიგნიდან რაზავს და ნინოსკენ ტრიალდება. შეშინებული ნინო უკან-უკან იხევს. ზაური მისკენ მიდის, ხელს ჰკრავს და ტახტზე წამოაქცევს.

სცენა №14.

ღამე. ზაურის მანქანის სალონი.

ნინოს სახლთან მდგარ ჯიპში გოჩა მაჯის საათზე დაიხე-დება, მერე ნინოს სახლის ფანჯრებს გახედავს. ფანჯარაში ფარდებს მიღმა ნინოსა და ზაურის სილუეტები გაივლევს. ისმის ნინოს შეკვივლება. გოჩა მანქანას დაქოქავს და სახლის უკან გადააყენებს.

სცენა №15.

ღამე. ექსტ. ნინოს სახლი.

სანდრო დევნილთა დასახლების ქუჩას მეგობართან ერთად მოუყვება. ისინი ერთ-ერთ სახლთან ჩერდებიან. მეგობართან შინ შედის, სანდრო კი შინისკენ გაავრძელებს გზას.

სცენა №16.

ღამე. ზაურის მანქანის სალონი.

ნინოს სახლის უკან, მოფარებულში მდგარ ჯიპში, საჭესთან — გოჩა. გოჩა მანქანის წინა საქარე მინაში შენიშნავს შინ მიმავალ სანდროს და იძაბება.

სახლთან მისული სანდრო კარზე დააკაკუნებს და, კარს რომ არავინ გაუღებს, ფანჯარასთან მივა და შიგნით იჭვრიტება.

წუთის შემდეგ, ტყვიანკარავით ჩამოშორდება ფანჯარას, აფორიაქებული ეზოში დაძრწის, ბოლოს ეზოში დაგდებულ ქვას დასწვდება და ისევ ფანჯრისკენ მიდის.

გოჩა მანქანის ფარებს რთავს და ასიგნალებს. მანქანის სინათლე და სიგნალი სანდროს აფრთხობს.

სანდრო ქვას დააგდებს და ეზოდან გარბის.

წუთის შემდეგ ნინოს სახლის კარი იღება და ხალათის სწორებით გარეთ გამოდის ზაური. გოჩა მანქანას ძრავს და ზაურთან აჩერებს, ზაური სწრაფად ჯდება მანქანაში. მანქანა მიდის.

სცენა №17.

ღამე. ინტ. დასახლებაში ერთ-ერთი სახლი.

დასახლების ერთ-ერთი სახლის ფანჯრიდან ლამარა და ელზა მალევით გააყოლებენ თვალს დასახლებიდან გასულ შავ ჯიპს.

სცენა №18.

ღამე. ექსტ. მხნეპარა ეკლესიის ეზო დავნილთა დასახლებაში.

ეკლესიიდან გამოდის მამა ანდრია. ელზა და ლამარა, რომლებიც სხვა ქალებთან ერთად ეზოში მუშაობენ, მიახლოებენ მუშაობას თავს, მამა ანდრიასთან მიდიან და კალათს აძლევენ.

ლამარა. მამაო, აქ საჭმელია ლელასთვის. ხომ იცით, თქვენს გარდა სხვისი ხელიდან ლუკმას არ იღებს.

მამა ანდრია. გმადლობთ, ქალებო, მაგრამ კარგი იქნება, ნელ-ნელა თქვენც მიიჩვიოთ, მე სულ მის გვერდით ხომ ვერ ვიქნები.

ელზა. ვცდილობთ, მამაო, ვცდილობთ.

მამა ანდრია. დღეს ნინო არ მოსულა, ხო მშვიდობაა?..

ელზა. ქალაქში წავიდა.

მამა ანდრია. ექიმთან ხომ არა? მითხრეს, რომ ავად არის?

ლამარა. არა, არაფერი ისეთი, სხვა ამბავზეა წასული.

მამა ანდრია. რა ამბავზე?

ელზა ლამარას მუჯღუგუნს ნაჰკრავს და ანიშნებს, ბევრს ნუ ლაპარაკობო. მამა ანდრია ამას შენიშნავს.

მამა ანდრია. რალაცას მიმალავთ?

ელზა. არა, ისეთი არაფერი, უბრალოდ...

მამა ანდრია. ელზა, მითხარი, ნინოს თავს რა ხდება?

ლამარა. წუხელ ღამით ცუდი ამბავი მოხდა დასახლებში.

ლამარა აქეთ-იქით იხედება, გვერდით მდგომმა ხალხმა რომ არ გაიგოს და მამა ანდრიას ყურში რალაცას ჩასჩურჩულებს. მამა ანდრიას სახე შეეცვლება.

მამა ანდრია. კაცი ჩვენი დასახლებიდან არის?

ელზა. არა, ჩვენებიდან მაგ ამბავს ნინოს ვინ შეკადრებდა?

მამა ანდრია. მაინც, ვინ არის?

ელზა. ჯობია არ იცოდეთ, მამაო.

ლამარა. დიდი კაცია ძალიან.

მამა ანდრია. უნდა დაისაჯოს! სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს.

ეკლესიის ეზოში ლელა გამოჩნდება.

მამა ანდრია. ლელა! მოდი ჩვენთან.

ლელა მამა ანდრიას უახლოვდება.

მამა ანდრია. ლელა, აი ელზამ და ლამარამ ამ კალათით სანოვანე მოგიტანეს, მიდი ეხლა, გაჰყევი ამათ და გასადილებენ (ლელა უარის ნიშნად თავს გააქნევს). კარგი, ნუ ჯიუტობ. გამომართვი კალათი და გაჰყევი ქალებს.

ელზა ლელას ხელს მოხვევს.

ელზა (ლელას). ნამოდი, გენაცვალე, ნამოდი.

ლელა ართმევს კალათს მამა ანდრიას და კალათით ხელში უხალისოდ აედევნება ელზასა და ლამარას, თვალები უკან, მამოსკენ რჩება.

ლელა, ლამარა და ელზა ეკლესიის ეზოდან გადიან.

სცენა №19.

ღამე. ინტ. ზაურის კაბინეტი.

კაბინეტში მაგიდასთან ზის ზაური. ზაურის გარდა კაბინეტში არიან ზაურის თანაშემწე და კიდევ ორი მამაკაცი — ზურაბი (40 წლის) და ვალერი (45 წლის). ვალერი მაგიდაზე კეისს დებს და ხსნის. ზაური მობილურს გამორთავს და სხვებსაც იგივეს უბრძანებს.

ზაური. გამორთეთ მობილურები.

კაბინეტში მყოფნი მობილურებს იღებენ ჯიბიდან და გამორთავენ.

ზაური (თანაშემწეს კეისზე უთითებს). შეამონმე და დაითვალიე.

ვალერი თანაშემწეს ფულის ტესტერს გაუნვდის. თანაშემწე კეისს გადახსნის. კეისში ფულის რამდენიმე შეკვრაა. თანაშემწე ტესტერით ამოწმებს კუბიურებს.

ზურაბი. ჩვენ უკვე შევამონმეთ, ყალბი არცერთი არ არის.

ზაური (ვითომ ხუმრობით). არც დანიშნული არ არი?

ვალერი. რას ბრძანებთ, ბატონო ზაურ, არ გვენდობით?

ზაური. თქვენ კი გენდობით, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს. (იცინის) აბა, რა ხდებოდა, მითხარით.

ზურაბი. ჩვენ როგორც გვინდოდა, ისე ვერ მოხერხდა.

ზაური. რატომ?

ვალერი. ფიქტიური ავარია და საქონლის დაღუპვა კი გავაფორმეთ და საბუთებში წერია, რომ ორმოცდაათი ძროხა დაიღუპა და ჩამოვწერეთ კიდეც, მაგრამ რეალურად ოცის მეტი ვერ გავყიდეთ. რუსმა მესაზღვრეებმაც კაპიკი არ დააგდეს.

ზაური. მოიცა, ასი ძროხიდან ოცის მეტი ვერ გაყიდეთ.

ზურა. ვერა, ბატონო ზაურ.

ზაური. აბა რა უყავით?

ვალერი. ოთხმოცი ძროხა შემოვიყვანეთ. ამ ოთხმოციდან ოცდაათი ქალაღზე დაღუპულად ითვლება.

ზაური. თქვენ ხომ არ გაგიჟებულხართ! რა უნდა მოეუხერხო ამ ოცდაათი ძროხას? ვინმემ რომ იპოვოს?

ზურაბი. რამე უნდა მოვახერხოთ.

ზაური. თქვენ უნდა მოახერხოთ! სადაც გინდათ გაასაღეთ! გადამალეთ! მგლებს აჭამეთ! მე არ მაინტერესებს! ოლონდ იმ ოცდაათი ძროხის ფული მაქსიმუმ ხუთ დღეში აქ, მაგიდაზე უნდა მედოს.

ვალერი. საიდან უნდა მოვიტანოთ ამდენი ფული?

ზაური. ეგ ჩემი საქმე არ არის. რაც გინდათ ქენით, მანქანები გაყიდეთ, სახლები. ჯანდაბას, ხუთი დღის მაგივრად ათ დღეს გაძლევთ და, ოცდაათი ძროხის ნაცვლად, ოცი ძროხის ფული მაინც ჩამოიტანეთ. მეც კარგი სულელი ვარ, თქვენისთანა დებულებს ორ ბატს არ ანდობს კაცი და ამოდენა ნახირო ჩაგაბარეთ.

თანაშემწე ფულის დათვლას და შემონებებს მოამთავრებს.

თანაშემწე. ბატონო ზაურ, ფული სუფთაა.

სცენა №20.

დღე. ნატ. ფერმა დევენილთა დასახლებაში.

ლტოლვილთა დასახლებაში მშენებარე ფერმასთან ხალხმრავლობაა, ფერმის შენობა თითქმის დასრულებულია, მუშებს ვაჟყავთ წყლის არხი. მათ ორი ჰალსტუხიანი მამაკაცი ხელმძღვანელობს, მათთან არის ზაურის შვილი გეგაც (25 წლის).

გეგა არ თაკილობს მუშებთან ერთად შრომას, ის მათ არხის გათხრაში ეხმარება.

ერთ-ერთი ჰალსტუხიანი — სერგო (40 წლის) და ზაურის თანაშემწე ვალერი (35 წლის) მანქანიდან ადევნებენ თვალს მიმდინარე სამუშაოებს. ისინი გეგას თვალს არ ამორებენ.

სერგო (ვალერის). რა თავს იკლავს ეს ბიჭი, არ იცის, რომ მუშებს თავი არ უნდა გაუტოლოს. ვეტყვი, არხიდან ამოვიდეს და გადაადგოს წერაქვი.

ვალერი. გაანებე, ეხალისება. შენ ის განუხებს, მაგის ფონზე შენ არ გამოჩნდე უქნარად.

სერგო. ისე, მუშას თუ გაუღიძე და არ დაანახე, რომ შენი ტოლი არ არის, ეგრევე თავზე წამოგაჯდება.

ვალერი. ჰო, მუშის ფსიქოლოგია შენ არ გესწავლება, ხუთი წლის წინ შენც არ გადაადგე ლაფატკა და წერაქვი?

სერგო. რა ვქნა, მამაჩემი გეგას მამასავით თანამდებობის პირი არ ყოფილა და მეც წერაქვით და ორმოების თხრით დავიწყე.

სერგოსა და ვალერის მანქანას დევნილი მამაკაცი გოგია (60 წლის) უახლოვდება.

გოგია (სერგოსა და ვალერის). გამარჯობათ! ქალებმა სუფრა გაშალეს და ძალიან გთხოვთ, წამობრძანდეთ.

ვალერი. რატომ წუხდებოდნენ?

გოგია. რა შეწუხებაა... პირიქით, გავციხარდება. დიდი კი არაფერი გვაქ... წუხელ კაცებმა მტკვარზე თევზი დაიჭირეს.

სერგო. ჰო, კარგი, თქვენ მიდით და ჩვენ ეხლავე მოვალთ.

გოგია ხელით მიანიშნებს დასახლებაში ერთ-ერთი სახლისკენ.

გოგია. აი, იმ სახლში მობრძანდით. გელოდებით...

გოგია მიდის.

სერგო (ვალერის). გეგას არ დავუძახოთ?

ვალერი. გეგა! ერთი წუთით მოდი ჩვენთან...

გეგა არხიდან ამოდის და სერგოსა და ვალერისთან მიდის.

ვალერი. გეგა, აქაურებს პატარა სუფრა გაუშლიათ და გვთხოვეს, მოდიეთო.

გეგა (მუშებზე). ამით რა ვუყოთ?

სერგო. მაგათ ეხლა მოუტანენ სადილს.

სცენა №21.

დღე. ქესტ. ერთ-ერთი სახლი დევენილთა დასახლებაში.

სერგო, ვალერი და გეგა დევენილთა ერთ-ერთ სახლს მიადგებიან, მისულებს სახლის პატრონი, ნიკო (70 წლის) და გოგია გამოეგებებიან.

ნიკო. აქეთ მობრძანდით, თუ შეიძლება...

ნიკო ხელის ჩამორთმევით ესალმება სტუმრებს. გოგია შინ მყოფ ქალებს გასძახებს.

გოგია. ქალებო, წყალი და პირსახოცი გამოიტანეთ, სტუმრებს ხელი დააბანინეთ. (სტუმრებს) ჯერ წყალსადენი არა გვაქვს, მაგრამ არაუშავს, ძველებურად დაგაბანინებთ, როგორც ჩვენ ვიბანდით მისდღემში.

შინიდან გამოდიან ციცო (30 წლის) და ქვრივის ქალიშვილი ანა (18 წლის), მათ დოქით წყალი და პირსახოცი გამოაქვთ. გეგას ყურადღებას ანა მიიპყრობს. სტუმრები ქალებს ესალმებიან. გეგა ხელის დასაბანად ბოლო დეგება და წინ უშვებს სერგოსა და ვალერის. ციცო მამაკაცებს ხელზე წყალს უსხამს, ანა კი პირსახოცით ამშრალებინებს ხელებს.

გეგა ანას მისჩერებია, ანა შეამჩნევს გეგას მზერას და თვალს არიდებს მას. მოდის გეგას ხელის დაბანის ჯერიც. დოქში წყალი თავდება.

ციცო (გეგას). უკაცრავად, ახლავე მოვიტან წყალს.

ანა. მე მოვიტან, ციცო.

ანა ციცოს ართმევს დოქს. ანა წყლის გამოსატანად შინ შედის. გეგა სერგოსა და ვალერის გახედავს, რომლებსაც ხელი უკვე დაბანილი აქვთ და მას ელოდებიან.

გეგა (სერგოსა და ვალერის). ნუ მელოდებით, შედით, მე ეხლავე შემოვალ.

ყველანი შინ შედიან, გარეთ მხოლოდ გეგა რჩება. ანა მალევე ბრუნდება წყლით სახეს დოქით და მხარზე გადაკიდებული პირსახოცით.

გეგა. რა გქვია?

ანა. ანა.

გეგა. მე გეგაა...

გეგა ანას ხელს გაუნვდის ჩამოსართმევად, მაგრამ ისევ უკან წაიღებს, რადგან ხელი გვარიანად დასვრილი აქვს.

გეგა (ანას უღიმის). ჯერ დავიბან და მერე ჩამოგართმევ ხელს.

ანაც ღიმილითვე პასუხობს გეგას და ხელზე წყალს უსხამს.

გეგა. ამ დასახლებაში ცხოვრობ?

ანა. დიახ...

გეგა. ადრე არ მინახიხარ და იმიტომ გეკითხები.

ანა. ნათესავეებთან ვიყავი გორში, ორი დღეა რაც ჩამოვედი. აი, იმ სახლში ვცხოვრობ...

ანა ხელს გაიწვდის და გეგას სწორედ იმ სახლზე ანიშნებს, რომელშიც ქვრივი ნინო ცხოვრობს.

ანა. შენ რას აკეთებ აქ?

გეგა. მე მამაჩემს ვეხმარები. მამა ხელმძღვანელობს დასახლების მშენებლობას და კეთილმოწყობას.

ანა პირსახოცს გაუწვდის გეგას. გეგა ხელს იმშრალავს და პირსახოცს უბრუნებს ანას. ანა ხელს გაუწვდის გეგას, გეგა ვერ ხვდება, ანამ რატომ გაუწვდა ხელი.

ანა. ახლა ხომ სუფთა გაქვს ხელი.

ანა ხელს გაუწვდის გეგას. გეგა იცინის და ხელს ართმევს ანას.



მხატვარი ინა ჭელიძე

**სცენა №22.
ღღე. ინტ. ერთ-ერთი სახლი დავნიღთა დასახლებაში.**

დევნიღთა სახლში პატარა სუფრაა გაშლილი, ეტყობა, რომ დევნილებმა სტუმრების პატივსაცემად მაქსიმუმში მოინდომეს. სუფრას სულ ხუთი მამაკაცი შემოსხდომია: გოგია, ნიკო, სერგო, ზაურის თანაშემწე ვალერი და გეგა.

ციცო და ანა სუფრას ემსახურებიან.

იქვე, კედელთან, სკამზე სხედან ნიკოს შვილიშვილები — 5 წლის პიჭი და 6 წლის გოგონა. ღვინოს ჩამოასხამენ. პირველ ჭიქას ნიკო აიღებს.

ნიკო. აბა, გაგიმარჯოთ! კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს სახლში. სულ გამარჯვებითა და სიკეთით გველოთ და არასოდეს ჩავარდნილიყავით იმ უბედურებაში, რაც ჩვენ, სამაჩაბლოს ხალხმა გამოვიარეთ. თქვენი დიდი მადლობელები ვართ. თქვენ რომ არა, ჩვენი მთავრობა რომ არა, ეს ჭერიც არ გვექნებოდა და ღია ცის ქვეშ უნდა დავრჩენილიყავით. მოკლედ, გაგვიმარჯოს! გაჭირვება გვაშოროს ღმერთმა, სიკეთე, ჯანმრთელობა და ბარაქა მოგვცეს.

ყველანი ჭიქებს უჭახუნებენ და სვამენ. ჭიქას გოგია იღებს.

გოგია. ახლა, ამ მეორე ჭიქით იმ ჩვენი უბედური სამაჩაბლოსი უნდა დავლიოთ. ჩვენა, მე და ნიკო კეხვიდან ვართ. ჩვენი სოფელი ქართული სოფლების ბოლო სოფელია. ჯავის რაიონს ესაზღვრება, რა სახლები გვკონდა, რა ბალები, რა ვენახები... ყველაფერი ოხრად დარჩა. მე და ნიკო ბოლოები გამოვედით სოფლიდან. ჯერ ესენი გამოვეუ-

ვით (*ბავშვებზე ანიშნებს*), მერე, როდესაც ეს ზღვა ტანკები წამოვიდნენ ზემოდან, დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა.

გოგიას თვალზე ცრემლი მოადგება.

სერგო. ახლა რა მდგომარეობაა კეხვიში?

ნიკო. კეხვიც და დანარჩენი სოფლებიც მინასთან გაასწორეს. ერთი კედელიც კი არ დატოვეს. ეკლესიებიც არ დაანგრეს. ჩვენი სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიაში აღდგომობით ესეთი სასწაული ხდებოდა ხოლმე. ერთი წითელი ბურთივით რალაც ამოვარდებოდა ხოლმე ეკლესიის ძირიდან და გაფრინდებოდა ხოლმე ტყისკენ, სადაც ძველი წმინდა გიორგის ეკლესია იდგა. წელსაც, აღდგომას, ჩვენი ყოფილი მეზობლები, ოსები ჩამოვიდნენ თურმე კეხვიში ჩრდილო ოსეთიდან, ქრისტიანები არიან რჯულით. ეგენიც გაიქცნენ ომის დროს ჩვენსავით, ოლონდ ჩრდილო ოსეთში, ხოდა ამ აღდგომას, ამ გაზაფხულზე, ჩვენ ეკლესიასთან სურათები გადაიღეს და ჩვენს თანასოფლელებს თბილისში გამოუგზავნეს. ხოდა იმ სურათზე ის წითელი ბურთი ჩანს, ისევე ამოდის ღვთისმშობლის ეკლესიის ძირიდან, მიფრინავს წმინდა გიორგისკენ. ეს სასწაული მაძლევს იმის იმედს, რომ ჩვენს სოფელში ისევე დავბრუნდებით და იქ დავიმარხებით მაინც. გვფარავდეს ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის მადლი!

ნიკასაც ცრემლი მოადგება თვალზე. ნიკა სასმისს ასწევს და ჩაცლის. სხვებიც ერთმანეთის მიყოლებით სვამენ. გეგა მონუსხულივით მისჩერება ორ აცრემლებულ მოხუცს — ნიკოსა და გოგიას. გოგია ანასა და ციცოს გასძახებს.

გოგია. ანა, ერთი შენ და ციცომ გვიმღერეთ რამე, გავამხიარულეთ, თორემ ლამის გასკდეს გული დარდითა...

ნიკო. ეს ჩემი შვილიშვილებიც დაიყენეთ, ისეთი კარგი სიმღერა იციან...

ციცოს ფანდური გამოაქვს მეორე ოთახიდან, ანას დაიყენებს გვერდით. ბავშვებიც მათ გვერდით დგებიან და იწყებენ სიმღერას. შემოსასვლელი კარი იღება და ანას ძმა, სანდრო შემოდის. სიმღერა თავდება, ყველა აღტაცებით უკრავს ტაშს. სანდრო გვერდით გაიყვანს ანას.

სანდრო. ნადი სახლში, დედა გეძახის, ნემსის დროა. **ანა (ოთახში მყოფებს).** ბოდიში, მაგრამ უნდა წავიდე, დედას უნდა მივხედო.

გეგა. დახმარება ხომ არ გინდა?

ანა. არა, დიდი მადლობა.

ანა და სანდრო გადიან.

სერგო. დედამისს რა სჭირს?

ნიკო. ავადმყოფობს საწყალი ქალი, ანა ნემსებს უკეთებს. საუკეთესო ოჯახია, ამ ბავშვებს რომ მამა ჰყავდათ,

ეგეთი კაცი მეორე არ იქნება. ცხინვალთან მოკლეს ცხოვნი-ბული.

გეგა წამოდგება და გასასვლელი კარისკენ მიდის.

ვალერი. საით, გეგა?

გეგა. მუშებს გაგხედავ, ალბათ დაამთავრეს უკვე სამუშაო.

გეგა კარში გადის.

გოგია (სერგოს). კი არ მიკითხავს, ეს ბიჭი რა მოხელეა?

ვალერი. ეს ბატონი ზაურის ვაჟკაცია.

ნიკო. ოოო... კარგი კაცის შვილი ყოფილა. ზაური დღეს ჩვენთვის ყველაფერია. თვითონაც კარგი ბიჭი ჩანს.

სცენა №23.

დღე. ნატ. დევნილთა დასასვლავა.

მომავალი ფერმის სიახლოვეში მუშებს წყალსადენი რუს გათხრა მოუთავრებიათ. მუშები ნიჩბებსა და ბარებს სატვირთო მანქანის ძარაზე ყრიან. გეგა ჩამოშორდება მუშებს და დასახლების მთავარ ქუჩას მიუყვება. სახლებს ათვალიერებს, ანას სახლს ეძებს.

სცენა №24.

დღე. ინტ. ანას სახლი.

ანას სახლში, მაგიდაზე — გატეხილი ამპულა, გამოყენებული ერთჯერადი შპრიცი და სხვა მედიკამენტების კოლოფები აწყვია. ანა მაგიდას ასუფთავებს.

ანა. დედა დღეს ეს ნითელი აბები დალიე? ხომ არ დაგავინწყდა?

ანა ერთ-ერთი წამლის კოლოფზე მიუთითებს ნინოს.

ნინო. არ დამვიწყნია, უბრალოდ, გათავდა. ამ დღეებში ქალაქში გავალ და ჩამოვიტან.

ანა ნაგვის ურნაში გადაუძახებს ცარიელ ამპულასა და შპრიცს და ფანჯარაში შემთხვევით თვალს მოკრავს ქუჩაზე მოსივრნე გეგას.

გეგა ვილაცას დაეძებს. ანა ფარდას ამოეფარება. გეგა სახლს ჩაუვლის, ეტყობა, რომ ერთმანეთის მსგავს შენობებში ვერ გაურკვევია, რომელია ანას სახლი.

ანა. დედა, რამე თუ არ გჭირდება, ცოტა ხნით მეზობლებში გავალ.

ნინო. კარგი, ოღონდ არ დაგვიანო.

სცენა №25.

დღე. ექსტ. დევნილთა დასასვლავა.

ანა სახლიდან გადის და ქუჩაზე წელი ნაბიჯით მიმავალ გეგას აედევნება. გეგა ფეხის ხმაზე მოტრიალდება და ანას დაინახავს.

გეგა. ანა...

ანა. საით მიდიხარ?

გეგა. რა ვიცი, უბრალოდ ვსეირნობდი ჩემთვის. შენ სად მიდიხარ?

ანა, მე მეზობლებთან...

გეგასა და ანას ერთდროულად ეღიმებათ.

გეგა. შენ აქ ჩემი მასპინძელი ხარ. მე სტუმარი ვარ და დამათვალეირებინე დასახლება.

ანა ხელით ანიშნებს დასახლებასთან აღმართულ გორაზე.

ანა. აი, იმ გორიდან იცი რა ლამაზი ხედია.

გეგა. მანახებ?

ანა. განახებ რა...

ანა და გეგა დასახლების მთავარ ქუჩას ზევით გაუყვებიან.

სცენა №26.

დღე. ნატ. გორა დევნილთა დასასვლავასთან.

ანა და გეგა ლტოლვილთა დასახლების თავზე მდებარე გორაზე ადიან და ქართლის ველს გადაჰყურებენ, რომელზედაც მტკვარი ჩამოდის. მდინარე მზეზე ლაპლაპებს.

გეგა. ვა... მართლა ძალიან ლამაზი ხედია. თბილისში ისეთი ბინძურია მტკვარი. აქ როგორი ლამაზია, როგორ ლაპლაპებს.

ანა. ამ დღეებში დედაჩემი აპირებს თბილისში წასვლას, ნამალი უნდა იყიდოს, მე უნდა გავყვე.

გეგა. მითხარი წამლის დასახლება და მე ჩამოვუტან.

ანა. არა, შენ რატომ უნდა ჩამოვუტანო. თანაც, წამლის დასახლება ზეპირად არ მახსოვს.

გეგა. მაშინ, შენ და დედაშენი ქალაქში რომ ჩამოხვალთ, მე დამირეკეთ, წამლის ყიდვაში დაგეხმარებით.

ანა. მადლობელი ვიქნები. მე და დედამ არც კი ვიცი სად უნდა ვიყიდოთ. არც ისე ხშირად ვყოფილვართ თბილისში.

გეგა. სამაგიეროდ, მე ვიცი თბილისი კარგად. იცი რა? მოდი, ზვალ შუადღეზე მე ჩამოგაკითხავთ მანქანით და მე ნაგიყვანთ თბილისში.

ანა. კარგი, თუ მაგის დრო მექნება.

გეგა და ანა ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით ემშვიდობებიან.

სცენა №27.

ღამე. ექსტ. დევნილთა დასასვლავა.

გეგა დევნილთა დასახლებაში იმ სახლს უახლოვდება, რომელშიც სერგო და ვალერი სტუმრობდნენ. სახლის კარი იღება და გვარიანად მთვრალი სერგო და ვალერი გამოდიან, მათ გოგია მოაცილებს.

სერგო. აი, ჩვენი გეგაც აქ ყოფილა! ვინ თქვა, თბილისში წავიდაო!

ვალერი. მე არ მითქვამს, შენ თქვი!

სერგო (გეგას). სად იყავი? მამალივით საქათმეში დაიპარებოდი, ხო?

გეგა (სერგოს). სისულელეებს ნუ ლაპარაკობ!

ვალერი. ჰო, კარგით! აი, ჩემი მანქანაც აქ ყოფილა!

გოგია (გეგას). შენ ხომ ფხიზლად ხარ, ბიჭო?

გეგა. კი... ნუ გეშინიათ.

გოგია. აგაშენა ღმერთმა, თორემ ასეთ მდგომარეობაში მანქანით აპირებდნენ წასვლას. დარჩით-მეთქი, მაგრამ ვერ გადავაფიქრებინეთ.

გეგა და გოგია გვარიანად მთვრალ სერგოსა და ვალერის მანქანაში სვამენ. გეგა საჭესთან ჯდება და მანქანას დაძრავს.

სცენა №28.

აღრიანი დღე. ინტ. დევნილთა დასასვლავა.

მამა ანდრია ერთ-ერთ ისეთივე სტანდარტულ სახლში ცხოვრობს, როგორც ყველა დევნილი. ანდრია ლელას ასაუზმებს. ჩართულია რადიო, ახალ ამბებს გადმოსცემენ. კარზე კაკუნია, მამა ანდრია კარს აღებს, კარში ქვრივის ვაჟი, სანდრო დგას.

მამა ანდრია. შემოდი, სანდრო. ამ დილაადრიან რამ შეგანუხა?

სანდრო ოთახში შედის, ლელასთან მიდის. ლელა ღიმილით ამოხედავს სანდროს.

სანდრო. როგორ ხარ, ლელა?

ლელა. მე კარგად ვარ. შენ?..

სანდრო. არა მიშავს...

სანდრო მაგიდასთან ჩამოჯდება.

მამა ანდრია (სანდროს). დაგისხა ჩაი?

სანდრო. არა, გმადლობთ! სახლში დავლიე.

უხერხული პაუზა ჩამოვარდება. სანდრო შეწუხებული ჩანს. მამა ანდრია მაგიდას მიუჯდება და სანდროს გამომცდე-
ლად უყურებს.

მამა ანდრია. რა იყო, სანდრო, რამე ცუდი ხომ არ მოხ-
და? შეწუხებული ჩანხარ.

სანდრო. არაფერი, მამაო. უბრალოდ, დღეს დედა და
ანა ქალაქში მიდიან, დედასთვის წამლები უნდა იყიდონ.
ცოტა ფული აკლიათ, თქვენ ხომ არ მასესხებდით? რამდე-
ნიმე დღეში დაგიბრუნებთ. დედას გორელი ნათესავები
გვპირდებიან, დაგეხმარებითო.

მამა ანდრია. დედაშენს დიაგნოზი დაუდგინეს?

სანდრო. აქაური ჩვენი ექიმი გარკვევით არაფერს ამ-
ბობს. ჯერ ეს წამლები დაუნისნა, მაგრამ ამბობს, დედა ონ-
კოლოგებს უნდა გაესინჯოს ქალაქშიო. არც კი ვიცი ეს ონ-
კოლოგები ვინლა არიან...

მამა ანდრია. რა თანხა გაკლიათ წამლებისთვის?

სანდრო. ასე 150, 200 ლარი.

მამა ანდრია წამოდგება, კარადასთან მიდის, უჯრას გამო-
ალებს და რალაცა თანხა მოაქვს.

მამა ანდრია. აი, აქ 200 ლარია. ნაუღე დედას და მოი-
კითხე ჩემგან.

სანდრო ფულს ჯიბეში ჩაიდებს, წამოდგება და ლე-
ლას ემშვიდობება.

სანდრო. ნახვამდის, ლელა!

ლელა. ნახვამდის სანდრო!

სანდრო კარში გადის.

სცენა №29.

დღე. ექსტ. დევენილთა დასასვლავა.

გეგას მანქანა მოადგება ქვრივის სახლს. ანა ფანჯრიდან
დაინახავს, რომ გეგა მანქანიდან გადმოდის და მათი სახლის-
კენ მოდის.

სცენა №30.

დღე. ინტ. ძვრივის სახლი.

გახარებული ანა ფანჯარას მოსცილდება და სამზარეუ-
ლოში მყოფ ნინოს ეძახის, რომელიც ჭურჭელს რეცხავს.

ანა. დედა, დედა, გეგა მოვიდა!..

ნინო სწრაფად გაიმშრალეხს ხელებს და ოთახში გამოდის.
კარზე კაკუნია. ანა კარისკენ გარბის და ალებს. კარში გეგა
დგას.

გეგა. შეიძლება?

ნინო. მობრძანდი.

გეგა ოთახში შემოდის.

გეგა. ბედნიერი იყოს ჩემი ფეხი...

ნინო. გამარჯობა, მე ანას დედა ვარ.

გეგა. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე მზად ვარ, ქა-
ლაქში წავიყვანოთ. ვიცი, რომ წამლები გჭირდებათ, ანამ
მითხრა.

ნინო (გეგას). დიდი მადლობელი ვიქნები. ახლავე გამო-
ვიცვლი. დაბრძანდით.

გეგა (ნინოს). თუ თქვენ დაკავებული ხართ, მე და ანა
წავალთ. თქვენ მხოლოდ რეცეპტი მოგვეცით.

ანა. დედა, დედა, მე და გეგა წავალთ რა, შენ დარჩი სახ-
ლში, ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებთ.

ნინო გამომცდელად გადახედავს გეგას. გეგა ჩვეულებრი-
ვი ქალაქელი ბიჭია, მოდურად აცვია, სახეზე სანდომიანი ლი-
მილი დასთამაშებს.

ანა. დედა, გამიშვი რა... პატარა ხომ აღარ ვარ!

ნინო (გეგას). კარგი, მე წინააღმდეგი არ ვარ, ოღონდ
არ დაავიანოთ.

ანა. დედა, მომეცი წამლის კოლოფები და ფული.

ნინო თაროდან იღებს წამლის კოლოფებს, ცელოფნის პარ-
კში დებს, მერე კარადის უჯრას გამოალებს და ფულს იღებს.

ნინო (ანას). აჰა, ეს ფული. ქურთუკის შიდა ჯიბეში შეი-
ნახე, არ ამოგივარდეს.

ანა სასწრაფოდ მოიცვამს ქურთუკს. ფულსა და ცელოფ-
ნის პარკს გამოართმევს ნინოს.

გეგა (ნინოს). ნახვამდის, ქალბატონო. ვეცდებით, რაც
შეიძლება მალე დაგებრუნდეთ.

ანა და გეგა კარში გადიან. ნინო ღია კარში გამოდის და
უყურებს გეგასა და ანას, რომლებიც მანქანაში სხდებიან. ანა
სიხარულისგან „დაფრინავს“.

ნინო (გეგას). თუ შემთხვევით დაგავიანდათ, ჩემს მე-
ზობელს მობილურზე დაურეკეთ, ანამ იცის ნომერი.

გეგა. აუცილებლად, ქალბატონო.

მანქანა იძვრება და მიდის.

სცენა №31.

დღე. ნატურა. ქუჩა.

გეგას მანქანა ქალაქის ქუჩაზე მოდის. შემოუხვევს და მე-
ორე ქუჩაზე, აფთიაქის წინ ჩერდება.

სცენა №32

დღე. მანქანის სალონი.

მანქანაში გეგა და ანა სხედან.

გეგა (ანას). გამოგყვე?

ანა. არა, მე თვითონ ვიყიდი.

ანა მანქანიდან გადადის და თან მიაქვს ცელოფანში ჩადე-
ბული წამლების ცარიელი კოლოფები.

სცენა №33.

დღე. ექსტ. აფთიაქის შესასვლელი.

ანა აფთიაქში შედის.

სცენა №34.

დღე. მანქანის სალონი.

გეგა კოლოფიდან სივარეტს იღებს და გააბოლებს.

სცენა №35.

დღე. ინტ. აფთიაქი.

ანა აფთიაქარს წამლის ცარიელ კოლოფებს გაუნვდის.
აფთიაქარი კომპიუტერში წამლების ფასს ნახულობს.

აფთიაქარი

სამივე ფასდაკლებით 230 ლარი.

ანა ფულს ამოიღებს ქურთუკის ჯიბიდან და გადაითვლის.
ანა. ამდენი არ მქონია, ერთი მოაკელით. ისე, რომ 200
ლარში ჩავეტო.

აფთიაქარი. კი ბატონო, აი, ეს ორი წამალი დაგიჯდე-
ბათ 195 ლარი.

ანა 200 ლარს აწვდის აფთიაქარს, ის ორ წამალს, ხურდას
და ჩეკს აწვდის ანას.

სცენა №36.

დღი. მანქანის სალონი.

ანა ჯდება მანქანაში.

გეგა. ყველაფერი იყიდე?

ანა. ერთი ნამალი ვერ ვიყიდე, არა აქვთ, დეფიციტია.

გეგა ანას ართმევს იმ ნამლის ცარიელ კოლოფს, რომელიც ანამ ვერ იყიდა, კოლოფს დახედავს და ჯიბეში ჩაიდებს.

გეგა. აქ, ახლოს „ავერსის“ კარგი აფთიაქია. მფლობელები ჩემი ახლობლები არიან. ეგ ნამალი ექნებათ.

გეგა მანქანას დაძრავს.

სცენა №37.

დღი. ექსტ. აფთიაქის („ავერსის“) შესასვლელი.

გეგა მანქანას „ავერსის“ შესასვლელთან აჩერებს.

სცენა №38.

დღი. მანქანის სალონი.

მანქანაში ანა და გეგა სხედან.

გეგა. შენ აქ დამელოდე, მე გადავალ და ვნახავ, ეს ნამალი თუ აქვთ.

ანა. თუ აქვთ, დედა ამ დღეებში აპირებს ექიმთან ჩამოსვლას და ის იყიდის.

სცენა №39.

დღი. ინტ. „ავერსის“ აფთიაქი.

გეგა აფთიაქში შედის და ახალგაზრდა აფთიაქარ გოგონას მიმართავს.

გეგა. ამირანი აქ არის?

ახალგაზრდა აფთიაქარი. დიას!

აფთიაქარი გოგონა უკანკარში გადის და ნუთის შემდეგ ახალგაზრდა კაცთან — ამირანთან ერთად ბრუნდება. ამირანი და გეგა ერთმანეთს მეგობრულად გადაეხვევიან.

გეგა. როგორ ხარ, ამირან?

ამირანი. არა მიშავს, თავად?

გეგა. აი, რალაც ნამალი დამჭირდა, სხვაგან მითხრეს, არ იშოვებო. გააქვს?

გეგა ამირანს ნამლის ცარიელ კოლოფს გაუწვდის. ამირანი აფთიაქარს შორიდან აჩვენებს ნამლის კოლოფს.

ამირანი (აფთიაქარს). ეს გვააქვს?

აფთიაქარი. დიას, გვაქვს.

ამირანი. ერთი კოლოფი გამოიტანე.

აფთიაქარს ამირანისთვის მითითებული ნამალი გამოაქვს. გეგა ჯიბიდან საფულეს იღებს.

ამირანი. აბა, ეგეთები არ იყოს... ჩემგან ფეშქაში... სხვა ხომ არაფერი გინდა?

გეგა. დიდი მადლობა, სხვა არაფერი. რომ იცოდე, ერთი კარგი ადამიანისთვის რამხელა მადლს აკეთებ...

გეგა და ამირანი ემშვიდობებიან ერთმანეთს.

სცენა №40.

დღი. მანქანის სალონი.

გეგა მანქანაში ჯდება.

გეგა (ანას). აი, ვიშოვე დეფიციტური ნამალი.

გეგა ანას ნამალს გაუწვდის.

ანა. შენ გადაიხადე?

გეგა. არა, არ გადამხდევინეს. ხომ გითხარი, ჩემი მეგობრის აფთიაქია. ესლა კი ნავედეთ, „მაკდონალდსში“ ვი-სადილოთ, იქ სწრაფად შეეჭამთ, არ დაგაგვიანდება დაბრუნება და დედაშენიც არ ინერვიულებს.

სცენა №41.

დღი. ინტ. „მაკდონალდსის“ დარბაზი.

გეგა და ანა „მაკდონალდსის“ დარბაზში შედიან და ერთ-ერთ მაგიდასთან ჩამოსხდებიან.

გეგა. აბა, აირჩიე, რა გინდა. ხედავ, ყველაფერი, რაც აქვთ, რეკლამაზეა გამოკრული: ჩიზბურგერი, ჰამბურგერი, ქათმის და თევზის სენდვიჩი... მოკლედ, რაც გინდა.

ანა. რასაც შენ აიღებ, მეც იმას...

გეგა. კარგი, მაშინ ყველაფერს მოვიტან, გასინჯე და სხვა დროს გეცოდინება, რომელი მოგწონს.

გეგა დახლთან მიდის და უკვეთავს.

ანა დარბაზს ათვალთქვავს.

მაგიდებთან ძირითადად გადაპრანჭული დედები, გადაპრანჭულ შვილებთან ერთად სხედან.

ანასგან ახლო მაგიდასთან პროვინციული ოჯახი ზის — ცოლ-ქმარი და ბავშვი. პროვინციულ ოჯახს ჭამა დაუმთავრებია და სამივე სალექ რეზინს ლეჭავს. მამა ჯიბიდან იღებს დიდ სავარცხელს, თმაზე გადაიხვამს და სამივენი წამოიშლებიან.

გეგას მაგიდასთან მოაქვს „მაკდონალდსის“ კერძებით გადავსებული ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე ლანგარი.

ანას თვალი გაუბრბის, არ იცის, რომელი გასინჯოს. გეგა ანას უხსნის, რომელ ლანგარზე რა საჭმელი დევს.

დარბაზში შემოდის გეგას ასაკის ორი ბიჭი და სექსუალური გარეგნობის ორი გოგონა. მოსულები გეგას დაინახვენ.

I ბიჭი. ვა, გეგა, შენ გენაცვალე!

მოსულები გეგასა და ანას მაგიდას შემოეხვევიან.

II ბიჭი. სად ხარ, ბიჭო, რომ არ ჩანხარ?

ბიჭები და გოგონები გეგას გადაკოცნიან.

გეგა. როგორ ხართ, როგორ? არ ვჩანვარ იმიტომ, რომ მუშაობა დავიწყე. ქალაქში არა ვარ. გაიცანით, ეს ჩემი მეგობარი ანაა, ლტოლვილია სამაჩაბლოდან.

I ბიჭი. რა ლამაზი გოგონები სცოდნიათ სამაჩაბლოში... ყოჩაღ, გეგა, კარგი გემოვნება გაქვს.

ანას ელიმება და თავს მორცხვად ხრის.

II ბიჭი (გეგას). აბა, რაზე დაგპატიჟოთ?..

გეგა. გმადლობ, ჩვენ უკვე მოვრჩით და გავდივართ.

ერთ-ერთი გოგო (გეგას). გეგა, ნუ დაიკარგები, რა... უშენოდ ძალიან მოვიწყინეთ.

I ბიჭი (გეგას). აბა, დროებით... არ შეგიშლით ხელს.

მეგობრები ისევ გადაკოცნიან გეგას და დარბაზის სიღრმეში გადაინაცვლებენ.

ანა. ესენი ვინ იყვნენ?

გეგა. ჩემი ყოფილი თანაკლასელები...

„მაკდონალდსის“ კარში დედებისა და ბავშვების დიდი ჯგუფი შემოდის. ბავშვებს განსაკუთრებულად გადაპრანჭულად აცვიათ. დედებს მუყაოს დიდი კოლოფები უჭირავთ — ეტყობა ნამცხვრებით, ისინი „მაკდონალდსის“ დარბაზს გადაკვეთენ და მოხვეული კიბით ზედა დარბაზში ადიან.

ანა. ესენი ვინ არიან?

გეგა. აქ დაბადების დღეებს უხდიან ხოლმე ბავშვებს, მეორე სართულზე საბანკეტოა. ალბათ, ერთ-ერთის დაბადების დღეა.

სცენა №42.

სალამო. ექსტ. რუსი სამხედრო ძალების ბლოკპოსტი.

სანდრო და სანდროს მეგობარი ზურა (17 წლის) რუსი სამხედროების ბლოკპოსტთან ყივულის მარკის მანქანას აჩერებენ. ზურა საჭესთან ზის. ზურა მანქანის ფარებს რამოდენიმე-

ჯერ ანთებს და აქრობს. ბლოკპოსტიდან გამოდის ავტომატ-
მომარჯვებულო, ჩაფხუტიანი რუსი სალდათი და ყვივულს
უახლოვდება. სალდათი მძლოლის მხრიდან მანქანის ღია ფან-
ჯარაში იხედება.

სალდათი. Что надо?

ზურა. СТВОП понадобился.

სალდათი. бабки при себе?

ზურა თავს დაუქნევს, მანქანის კარს გააღებს, გადადის და
სალდათის წინ ჩერდება. სალდათი ქურთუკის ჯიბიდან „მაკა-
როვის“ მარკის პისტოლეტს ამოიღებს და ზურას გაუწვდის,
ზურა პისტოლეტს შეათვალიერებს.

ზურა. сколько?

სალდათი. Ты же позавчера брал? Знаешь, небось,
сколько.

ზურა. У нас только двести.

სალდათი. Зеленых, или грузинских?

ზურა. двести. грузинских.

სალდათი. Нет, мало, так не пойдет.

რუსი სამხედრო ზურას უკან ართმევს იარაღს.

სანდრო (ზურას). оრასზე მეტი მაქ.

ზურა (სანდროს). მაცაღე, ნუ ერევი. (რუს სალდათს). И
еще, два литра чаи?

სანდრო მანქანის ფანჯრიდან ორ ბოთლს აწვდის ზურას.
ზურა ბოთლებს რუს სალდათს აჩვენებს. სამხედრო ერთ
ბოთლს საცობს მოხსნის და დაყნოსავს.

სალდათი. Пахнет хорошо, давай деньги.

სანდრო მანქანიდან აწვდის ფულს ზურას. ზურა ფულს
სალდათს გადასცემს. სალდათი იარაღს უბრუნებს ზურას.

ზურა. Патронов сколько?

სალდათი. Один магазин.

ზურა. Давай, еще один!

სალდათი. Хватит вам один. Если дам больше, вы же
грузины, друг-друга перестреляете! Давай, уезжай!

ზურა მანქანაში ჯდება. იარაღს სანდროს აძლევს. სანდ-
რო პისტოლეტს ზურგსუკან, ქამარში გაიჩრის. მანქანა იძვ-
რება, ტრიალდება და მიდის.

რუსი სალდათი ორი ბოთლით ხელში ბლოკპოსტის ჯი-
ხურში ბრუნდება.

სცენა №43.

დღე. ნატ. დევენილთა დასახლება.

მამა ანდრია და ლელა დევენილთა დასახლებაში მოაბიჯე-
ბენ. ლელას ხელში კალათი უჭირავს და რაღაცას ლიღინებს.

მამა ანდრიას გვერდით ჩაუვლის გეგას მანქანა და ორ-
მოცდაათიოდე მეტრში ქვრივის სახლთან ჩერდება. მანქანი-
დან გადმოდის გეგა და ანა. ანა გეგას ემშვიდობება და შინ
შედის. გეგა მანქანას იქვე ატრიალებს და ისევ ჩაუვლის
გვერდს მამა ანდრიასა და ლელას.

მამა ანდრია მანქანას თვალს გააყოლებს. მამა ანდრია და
ლელა გზას გამოაგრძელებენ, ლელა ლიღინებს.

სცენა №44.

დღე. ექსტ. ავტობანი.

ავტობანზე მოძრაობა გადაკეტილია, გზა აქვს დათმობი-
ლი კორტეჟის თანხლებით მომავალ შავი ფერის მანქანებს.

სცენა №45.

დღე. ნატ. დევენილთა დასახლება.

შავი მანქანები დასახლების ცენტრალურ ქუჩას ამოივ-
ლიან და დასახლების ცენტრში ჩერდებიან. მანქანებიდან ზა-

ური, ზაურის ხელქვეითები და ევროპული მისიის წევრები
თარჯიმნის თანხლებით გადმოდის.

სცენა №46.

დღე. ექსტ. ეკლესია დევენილთა დასახლებაში.

ეკლესიის ეზოში მდგარ მშენებარე სამრეკლოს ხარაჩოვ-
ზე დგას მამა ანდრია, მის ყურადღებას იქცევს დასახლებაში
შემოსული მანქანები. ხარაჩოვზე შემდგარი მამა ანდრია ზე-
მოდან გადაჰყურებს დასახლებაში მოსულ სტუმრებს.

სცენა №47.

დღე. ნატ. დევენილთა დასახლება.

დევენილთა დასახლების ცენტრალურ ქუჩას ზაური და
უცხოური მისიის ხელმძღვანელი ერთად ფეხით მოუყვებიან.
მათ უკან მოსდევს დიდი დელეგაცია, დევენილები სტუმრების
გარემო ირევიან. ზაური მისიის ხელმძღვანელს თარჯიმნის
დახმარებით ესაუბრება.

ზაური. ზამთრისთვის მომზადებულები ვართ, ყველა
სახლში ღუმელი დგას. წყალიც უკვე მიყვანილია სახლებ-
თან და გაზიც.

თარჯიმანი უცხოელს სინქრონულად უთარგმნის ზაურის
სიტყვებს.

მისიის ხელმძღვანელი. შეგვიძლია სახლები დავათვა-
ლიეროთ?

თარჯიმანი ზაურს უთარგმნის.

ზაური. რა თქმა უნდა. მობრძანდით.

ზაური უცხოელებს დასახლების ერთ-ერთ სახლში მიუძღ-
ვება.

სცენა №48.

დღე. ინტ. ერთ-ერთი სახლი დევენილთა და-
სახლებაში.

დევენილთა ერთ-ერთ სახლში დელეგაციაა შესული. უცხო-
ელი სტუმარი დევენილ მასპინძელ ქალს თარჯიმანის დახმა-
რებით ესაუბრება.

დევენილი ქალი. ღვთის წყალობით, ამ ზამთარს ალბათ
გადავიტანთ. სამაჩაბლოში ისეთი სახლები გვექონდა, იმას-
თან შედარებით ესენი პატარებია, მაგრამ რას იზამ, მთავა-
რია ღია ცის ქვეშ არა ვართ, მაინც მაღლობელი ვართ.

თარჯიმანი სინქრონულად თარგმნის.

უცხოელი. მთავარი პრობლემა რა გაქვთ?

დევენილი ქალი. მთავარი პრობლემა სამსახურია. დახ-
მარებას ვიღებთ, მაგრამ ყველაფრისთვის არ გვეყოფნის.
საკუთარი შემოსავლის წყარო თუ გვექნება, ძალიან კარგი
იქნება. ველოდებით, ფერმა როდის დამთავრდება, დაგვ-
პირდნენ იქ დაგასაქმებთო და რა ვიცი...

თარჯიმანი უთარგმნის უცხოელ სტუმარს. ზაური გვერ-
დიდან უსმენს უცხოელისა და დევენილი ქალის საუბარს და
თავისთან ხელით მოიხმობს თანაშემწეს. ზაური თანაშემწეს
ჩუმად გადაულაპარაკებს.

ზაური. აქედან რომ გავალთ, (უცხოელზე) ამან შეიძლე-
ბა სხვის სახლებში შესვლაც მოინდომოს და ისე გააკეთე,
რომ ქვრივის სახლს ავერიდოთ.

თანაშემწე. გასაგებია.

სცენა №49.

დღე. ინტ. ქვრივის სახლი.

ქვრივის სახლში ფანჯარასთან დგას ანა და ფანჯრიდან
უყურებს მეზობელი სახლიდან გამოსულ დელეგაციას, რომე-

ლიც დასახლების მორიგ სახლში შედის. ანა ფანჯარას ჩამოშორდება და სამზარეულოში მყოფ ნინოსთან მივა.

ანა. დედა, უცხოელები აქეთ მოდიან. მივალაგოთ აქაურობა, ალბათ აქაც შემოვლენ.

ნინო სამზარეულოდან ოთახში გამოდის, ისიც ფანჯარაში გაიხედავს.

ნინო. ვინ არიან?

ანა. როგორც ვიცი, ჩვენი სპონსორები არიან, სახლებს ათვლიერებენ.

ნინო და ანა სახლის დალაგებას იწყებენ. ანა ისევ ფანჯარაში გაიხედავს.

ანა. თბილისელებიც არიან, ზაური და იმისი ხალხი.

ნინო შეკრთება.

ნინო. მე მეზობლებში გადავალ, არა მაქვს მაგათი თავი.

ნინო სახლიდან სწრაფად გადის.

სცენა №50.

დილა. ინტ. ქვრივის სახლი.

ანა ფანჯრიდან სტუმრებს შორის ხედავს გეგას. ის სარკესთან გადაინაცვლებს და ჩაიხედავს. ისმის მოახლოებული მანქანების ხმა.

სცენა №51.

დილა. ექსტ. დევენილთა დასახლება.

ქვრივის სახლის მახლობლად გაჩერებული შავი მანქანიდან მისიის წევრები გადმოდიან. ზაურის თანაშემწე მისიის ხელმძღვანელობას მიუახლოვდება და მიმართავს.

თანაშემწე. რაც ნახეთ ნინა სახლებში, ანალოგიური მდგომარეობაა სხვაგანაც. ეხლა უმჯობესია ფერმა დაავთვლიეროთ. დღეს ამ ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფერმაში დასაქმებაა.

თარჯიმანი თარგმნის.

მისიის ხელმძღვანელი წამით დაფიქრდება და თანხმობის ნიშნად თავს დაიქნევს.

სცენა №52.

დილა. ინტ. ქვრივის სახლი.

ანა სტუმრების მისაგებებლად სახლის კარს აღებს, მაგრამ ხედავს, რომ დელეგაციის წევრები მანქანებში სხდებიან. ანა ერთ-ერთ მანქანასთან მდგომ გეგას გახედავს. გეგა ერთ-ერთ უცხოელს გაცხარებით ესაუბრება, მასთან ერთად ერთ-ერთ მანქანაში ჯდება და მიდის...

სცენა №53.

დილა. ექსტ. ზერმა დევენილთა დასახლებაში.

ფერმის შენობის წინ შავი მანქანებია გაჩერებული, მანქანებიდან დელეგაციაა გადმოსული. ზაური უცხოელ სტუმრებს თარჯიმნის მეშვეობით ესაუბრება.

ზაური. შენობა უკვე დასრულებულია, ყველა საჭირო კომუნიკაცია მიერთებულია და ფუნქციონირებს.

მისიის ხელმძღვანელი. ძალიან კარგი, მაგრამ ძროხები აქამდე რატომ არ ჩამოგიყვანიათ?

თარჯიმანი თარგმნის.

ზაური. თქვენ საქონელი უკრაინისა და რუსეთის გავლით გამოგზავნეთ და ამიტომაც სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. რუსები საქართველოსთვის გამიზნულს ყველაფერს აყაჩაღებენ და ძარცვავენ. ამიტომ ძროხებს აგვიანდებათ.

მისიის ხელმძღვანელი. აქამდე რატომ არ შეგვატყობინეთ ამის შესახებ? ჩვენ დიპლომატიური გზებით მოვაგვარებდით ამ პრობლემას.

ზაური. ჩვენი ძალებით შევეცადეთ, პრობლემა მოგვეგვარებინა და ეხლა უკვე ყველაფერი რიგზეა. მომავალ კვირას ძროხები აქ იქნებიან და ფერმასაც გავხსნით.

ზაურს და უცხოელ სტუმრებს თანაშემწე უახლოვდება. თანაშემწე ზაურს გადაულაპარაკებს.

თანაშემწე. დროა, კლუბში გადავიდეთ, რესტორანში ვაგვიანებთ, დამირეკეს იქიდან, გაშლილია უკვე სუფრა.

ზაური (მისიის ხელმძღვანელს). ადგილობრივებმა თქვენს საპატივცემულოდ ახალაშენებულ კლუბში პატარა კონცერტი მოამზადეს და გვთხოვენ, დაესწროთ.

მისიის ხელმძღვანელი. დიახ, რა თქმა უნდა, დიდი სიმოვნებით!

სცენა №54.

დილა. ინტ. კლუბი დევენილთა დასახლებაში.

კლუბის კულისებში ლტოლვილი ქალები და მათი ბავშვები ირევიან. დედები შვილებს ნაციონალურ კოსტიუმებს აზომებენ. კულისებში შემოდის ქალბატონი, რომელიც თბილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა. ქალბატონი მთელ ხმაზე, ყველას გასაგონად მიმართავს კულისებში მყოფ დევნილ ქალებსა და მათ შვილებს.

ქალბატონი. კოსტიუმებს ფრთხილად მოეპყარით. ეს კოსტიუმები გვათხოვა ცნობილმა ანსამბლმა და ვეცადოთ, ნუ დავაზიანებთ.

ერთ-ერთი დევნილი ქალი. ჩვენ ბავშვებს რომ დაპირდით, კოსტიუმებს შეგიკერავთო, ისინი როდის იქნება?

ქალბატონი. არ, ვიცი. იკერება. დროზე, დროზე, მოემზადეთ, სტუმრები უკვე დარბაზში არიან.

სცენა №55.

დილა. ინტ. კლუბი დევენილთა დასახლებაში.

კლუბის დარბაზში ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი დევნილი ბავშვები ხალხურ სიმღერას ასრულებენ. სტუმრები ინტერესით უსმენენ. ზაურის თანაშემწე იმ ქალბატონთან მიდის, რომელიც კონცერტის ორგანიზებას ხელმძღვანელობს.

თანაშემწე (ჩურჩულით ქალბატონს). კიდევ ბევრი დარჩა?

ქალბატონი. ხუთი ნომერი.

თანაშემწე. ქალბატონო, ორი ნომერი კიდევ და საკმარისია. სტუმრები ძალიან მოშიებულნი არიან. რესტორანში გველოდებიან.

ქალბატონი თანაშემწეს თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს და კულისებში გადის.

სცენა №56.

სალამო. ინტ. რესტორანი.

ავტობანთან მდებარე რესტორანში დიდი ღრეობაა. სუფრას უამრავი ხალხი უზის. ისმის უგემოვნო რესტორნული სიმღერა. სუფრას ზაური, მისი ამაღლა და უცხოელი სტუმრები უსხედან. ყველანი გვარიანად შემთვრალები არიან. ზაურს ხელში ყანწი უჭირავს და სადღეგრძელოს ამბობს.

ზაური. ამ სასმისით მე მიიღა ჩვენი შვილების ნათელი მომავლის სადღეგრძელო დავლიო. აი, იმ ბავშვების, იმ ლტოლვილი ბავშვების, რომლებმაც დღეს ჩვენი სტუმრებისთვის იმღერეს და იცეკვეს! აი, აქ არი ჩემი შვილიც, გე-

გაც, ისიც აქტიურად ეხმარება — ახალგაზრდული ორგანიზაციის სახელით — დევნილი ბავშვების კეთილდღეობას. მოდი, მათი მომავლისა იყოს!

ზაურთან მისი თანაშემწე მიდის.

თანაშემწე (ზაურს ყურში ჩასჩურჩულებს). გეგა აქ არ არის.

ზაური. აბა, სად არის?

თანაშემწე. დასახლებაში დარჩა.

ზაური. რა ჯანდაბა უნდა იქ?

თანაშემწე. მერე გეტყვით..

სცენა №57.

სალამო. ნატ. დევილითა დასახლება.

დევილითა დასახლებაში ანა და გეგა მოსიერნობენ.

გეგა. იქითა კვირაში ფერმა გაიხსნება. დასახლებაში ალბათ ზეიმიც მოეწყობა და მერე მინდა თბილისში გამომყვე.

ანა. თბილისში?.. რისთვის?

გეგა. დედაჩემი მინდა გაგაცნო.

ანა. სიამოვნებით.

გეგა. ჰო, მართლა, დედაშენი როდის მიდის თბილისში დიაგნოზის დასადგენად?

ანა. ჯერ არ ვიცი. მაგას საკმაო თანხა სჭირდება. გორელი ნათესავები დაგვირდნენ, დაგეხმარებითო...

გეგა. მეც ვეცდები, დედაშენს დავეხმარო.

ანა. ფულით? არა, დედა ძალიან ამაყი ქალია, ამაზე არ წავა.

გეგა. კლინიკაშიც ბევრი ნაცნობი მყავს, ბევრ რამეს უფასოდ გავაკეთებინებ. ფულს კი ჩვენს ახალგაზრდულ ორგანიზაციას გადმოვარიცხინებ, ჩვენ გვაქვს სამაგიისო ფონდი.

სცენა №58.

დილა. ინტ. ძვრივის სახლი.

ნინო და ანა შინ არიან. ნინო ანას კაბის შესაკერად ზომებს უღებს. მაგიდაზე გადაფენილ ქსოვილზე ცარცით ხაზავს.

ანა. დედა, ექიმებთან როდის აპირებ წასვლას?

ნინო. ჯერ ფულს ველოდები.

ანა. გორელი ნათესავებისგან?

ნინო. ჰო, მაგრამ იმათაც ძალიან უჭირთ.

ანა. და მამას ნათესავები?

ნინო. სადღა არიან მამას ნათესავები? ყველა დახოცეს, თამარაშენში ჩარჩნენ, მანდ ყველაზე მეტი დახოცეს, თითქმის მთელი ჩვენი სანათესაო განყდა.

კადრსმიღმა ისმის მამა ანდრიას ხმა.

მამა ანდრია (კარსმიღმა). ნინო! შინ ხარ?

ანა ფანჯარასთან მიიღრმუნს და ეზოში მამა ანდრიასა და ლელას დაინახავს.

ანა (ნინოს). მამა ანდრიაა.

ნინო კარისკენ მიდის და აღედგინა.

ნინო (მამა ანდრიას). მობრძანდით.

მამა ანდრია და ლელა შინ შედიან.

მამა ანდრია. აქა მშვიდობა! შენს მოსანახულებლად მოვედი, როგორ ხარ?

ნინო. არა მიშავს... თქვენი ლოცვით, მამაო.

მამა ანდრია ანას შეჰყურებს, ეტყობა, რომ ნინოსთვის რაღაცის თქმა უნდა და ანას გამო თავს იკავებს.

მამა ანდრია. ანა, იქნებ გაცვე ლელას დარეჯანთან. თმას შეეუსწორებო, გუშინ მითხრა.

ანა. რა თქმა უნდა.

მამა ანდრია (ლელას). ლელა, მიდი გაცვეი ანას.

ანა და ლელა შინიდან გადიან. მამა ანდრია და ნინო მაგიდასთან ჩამოსხდებიან.

მამა ანდრია. ნინო, ანაზე მინდა დაგელაპარაკო.

ნინო. ანაზე?

მამა ანდრია. როგორ ატყობ, გათხოვებას ხომ არ აპირებს?

ნინო. არ ვიცი. ერთ ქალაქელ ბიჭთან რომ მეგობრობს, ეს კი ვიცი, მაგრამ გათხოვებაზე არაფერი უთქვამს. რატომ მეკითხებით?

მამა ანდრია. იმ ბიჭს იცნობ?

ნინო. კი, ვიცი, რომ თბილისელია და ჩვენს დასახლებაში დევნილების საქმეებს აგვარებს. რალაც ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მუშაობს. რამე ეჭვი გაქვთ მაგ ბიჭზე?

მამა ანდრია. პირადად იმ ბიჭზე ცუდს ნამდვილად ვერაფერს გეტყვი. მაგრამ...

ნინო. მაგრამ, რა?..

მამა ანდრია. ის ბიჭი ზაურის შვილია. აი, იმ ზაურის, აქ რომ ხელმძღვანელობს ყველაფერს.

ნინო გაფითრდება, გულზე ხელს ნაივლებს და მძიმედ ამოიხრებს.

მამა ანდრია. ეს აუცილებლად უნდა მეთქვა შენთვის, ნინო, შენ ყველაფერი უნდა იცოდე, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო ანასთან დაკავშირებით.

ნინო ხმას არ იღებს, ცრემლით ევსება თვალები.

სცენა №59.

დილა. ექსტ. ფერმა დევილითა დასახლებაში.

ფერმასთან დევნილი მოსახლეობაა შეკრებილი. მამაკაცებს სატვირთო მანქანიდან ჩამოჰყავთ და ფერმაში შეჰყავთ ჰოლანდიური ძროხები.

სცენა №60.

დილა. ინტ. ზაურის სახლი.

ზაურის მდიდრულად მოწყობილი სახლი. სასადილო ოთახში, რომელიც განყოფილია ყალბი „ბიდერმაიერისა“ და „ამპირის“ ავეჯით, დიდ მაგიდასთან ზის ზაური. ზაურის ცოლი, ელენე (45 წლის), იქვე ტრიალებს და მაგიდაზე საუზმეს აწყობს. სასადილო ოთახში შემოდის გეგა.

გეგა. დილა მშვიდობისა!

გეგა დედაშენს შუბლზე კოცნის.

ელენე. ასე დილაადრიან რამ გაგაღვიძა, შვილო?

ზაური. მე მომყვება დასახლებაში. დღეს დიდი დღე გვაქვს, დიდი. ჰა, რას იტყვი, გეგა? დღეს ფერმასაც გავხსნით და გეგასაც აირჩევენ ალბათ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარედ. როგორ არი?.. ის ურჩევნია მაშულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო...

ზაური მაგიდასთან მჯდომ გეგას მხარზე დაარტყამს ხელს. ელენე გეგას თეფშს და ჭიქით ჩაის უდგამს მაგიდაზე.

ზაური (გეგას). ისე, ერთი ამბავი გავიგე შენზე და მართალია?

გეგა. რა ამბავი?

ზაური. ვისთან დაძვრები, ბიჭო, დასახლებაში?

გეგა. დავძვრები რას ქვია? ვინ რა გითხრა?..

ზაური. ჩიტმა, ჩიტმა... (იცინის) რა იყო, კი არ გეჩხუბები. კაცი იმის კაცია, რომ გოგოებში უნდა იაროს. კარგ

სოფლელ ვარიკებს რა ჯობია. მაგრამ, ერთი რამე არ უნდა დაგავინცდეს, სოფლელი გოგოები ქალაქელები არ გეგონოს, თუ ჩაგავლეს ხელი, სანამ სისხლს არ გამოგნოვენ, არ მოგეშვებიან. ფრთხილად იყავი, მუცელგამობერილი და ჩემოდნებაკიდებული არ მოგადგეს სახლში.

გეგა არ პასუხობს. მაგიდიდან მამამისის სიგარეტის კოლოფს იღებს და გააბოლებს.

ელენე. გეგა, რატომ ეწევი უზმოზე?

ზაური (გეგას). რა იყო, ბიჭო, რას გაჩუმდი, მანამდე ხომ არ მიიყვანე საქმე?

გეგა დუმს, დაძაბული ეწევა სიგარეტს.

ზაური. ისე, ორსულსაც მოეველება, მაგრამ დაფიქრდი, აქ კარგი ოჯახისშვილების მეტი რა არი.

ზაურის მობილური რეკავს. ზაური ტელეფონს პასუხობს.

ზაური (ყურმილში). — ჰო, გოჩა.

— ჩამოვდივარ.

ზაური წამოდგება მაგიდიდან.

ზაური (გეგას). მე ჯერ სამსახურში უნდა გავიარო. შენ პირდაპირ იქ მოდი. არ დააგვიანო. დედაშენიც წამოიყვანე. **(ელენეს)** დღეს ყველა ცოლებით უნდა ვიყოთ. ასეთია პროტოკოლი.

ზაური სამზარეულოდან გადის. დერეფნიდან ისმის შემოსასვლელი კარის გაღებისა და მოჯახუნების ხმა. გეგა გაქვავებული ზის მაგიდასთან. ელენე გვერდით მიუჯდება.

ელენე. დედი, იმ გოგოზეა ლაპარაკი, რომ მითხარი გაგაცნობო?

გეგა თანხმობის ნიშნად თავს დაიქნევს.

ელენე. თუ მართლა გიყვარს, ხომ იცი, მე ყველაფერში შენს გვერდით დავდგები. მამაშენისთვის მთავარი კარიერაა. მაგას ჰგონია, რომ შენთვის სიკეთეს აკეთებს. შენს გულს მიენდე.

გეგა. იმ გოგოს აუცილებლად გაგაცნობ. წამოხვალ დასახლებაში?

ელენე. აუცილებლად.

სცენა №61.

დღე. ნატ. დევენილთა დასახლება.

დევენილთა დასახლებაში მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ სცენის დამონტაჟება. ტექნიკური პერსონალი ამონებებს სცენაზე მდგარ მიკროფონებს. სცენის უკან უშველებელი ბანერია აღმართული ახალგაზრდა პრეზიდენტის გამოსახულებით. პრეზიდენტი იღივება.

მამაკაცი (მიკროფონში). რას! რას! რას!

II მამაკაცი. კარგია, დინამიკები წესრიგშია.

ტელეკომპანიების მანქანები სცენის მახლობლად დგანან, ოპერატორები ტელეკამერებს შტატივებზე დგამენ. სცენასთან ნელ-ნელა გროვდებიან ლტოლვილები.

სცენა №62.

დღე. ნატ. ავტობანი.

ავტობანზე მოძრაობა გადაკეტილია, გზა აქვს დათმობილი პატრულის კორტეჟის თანხლებით მომავალ, შავი ფერის ჯიპებს.

სცენა №63.

დღე. ინტ. ძვრივის სახლი.

ანა სარკესთან დგას და თმას იხვევს, წამით გახედავს ტანსაცმლის საკიდზე ჩამოკიდებულ ახალ კაბას საკიდიდან ჩა-

მოხსნის და ტანზე მიიდებს, სარკესთან ტრიალებს. ფანჯრებს მიღმა ისმის მანქანების ხმა. ანა ფანჯარასთან მიიჭრება, ფანჯრიდან გახედავს ქუჩაზე ჩავლილ ჯიპებს.

სცენა №64.

დღე. ნატ. დევენილთა დასახლება.

დევენილთა დასახლებაში აღმართული სცენის გარშემო უამრავი ხალხი ირევა. სცენის უკან გაჩერებული ჯიპებიდან ზაური და სხვა ჩინოვნიკები მეუღლეებითურთ გადმოდიან. ჩინოვნიკების ცოლები კოცნიან ერთმანეთს. იქვეა გეგა და დედამისი ელენეც.

გეგა ცოტა ხნით დედამისის მარტო ტოვებს და გვერდით მდგომ ზაურის დაცვის ერთ-ერთ ნევრს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს. გეგა ჯიბიდან ამოღებულ კონვერტს გაუნვდის. დაცვის ნევრი გეგას კონვერტს გამოართმევს, თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს გეგას და ხალხის მასას გადაკევთ.

დაცვის ნევრი ქვრივის სახლთან მიდის.

სცენა №65.

დღე. ინტ. ძვრივის სახლი.

შინ მყოფი ანა ჩქარობს. იცვამს დედამისის შეკერილ ახალ კაბას. კარზე მოულოდნელი კაკუნი ანას დააფრთხობს. კაკუნი მეორდება.

ანა. რომელი ხარ?

დაცვის თანამშრომელი. გეგამ გამოგზავნა.

ანა. ეხლავე.

ანა კარს გამოალებს. კარში დაცვის თანამშრომელი დგას.

დაცვის თანამშრომელი (კონვერტს აწვდის ანას). ეს გეგამ თქვენთან გამომატანა.

ანა კონვერტს ართმევს დაცვის თანამშრომელს. დაცვის თანამშრომელი მიტრიალდება და მიდის, ანა კარს მიხურავს და კონვერტს შეათვალიერებს. ანას კონვერტის გახსნა უნდა, მაგრამ ამ დროს დასახლების მოედანზე დამონტაჟებული დინამიკებიდან საზეიმო მიტინგის სპიკერის ხმა გაისმოება.

სპიკერი (კადრსმიღმა დინამიკიდან). გამარჯობათ, ბატონებო, დღეს ჩვენს დასახლებაში საზეიმო დღეა.

ანა მიტინგის დაწყების მაუწყებელი ხმის გავრთვაზე ნერვილს აღარ ხსნის, მაგიდაზე დებს და კიდევ უფრო დაფაცურდება, ყელზე ირგებს რაღაც მძივებს, არ მოსწონს, მოიხსნის და სხვას ეძებს.

ნინოს სამზარეულოდან ანასთვის გამოაქვს განწმენილი ფეხსაცმელი.

სცენა №66.

დღე. ექსტ. საზიემო მიტინგი დევენილთა დასახლებაში.

მიტინგზე, სცენის გარშემო უამრავი ლტოლვილი შეკრებილია.

ხალხში ვხედავთ მამა ანდრიას და ლელას, ელზას, ლამარას, ქვრივის შვილს – სანდროს, ნიკოს და გოგიას თავიანთი ოჯახებით. სცენაზე ჩინოვნიკები თავიანთ ცოლებთან ერთად არიან. ცენტრშია ზაური, მას გვერდს უმშვენებსელენე.

გეგა, ვალერი და სერგო ძირითადად ჯგუფის განაპირას დგანან.

სპიკერი (მიკროფონში განაგრძობს). პატივცემულო საზოგადოებავ, მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე და სიტყვა გადავცე ამ დღესასწაულის სულის ჩამდგმელს, ბატონ ზაურს.

მომიტინგეები ტაშს უკრავენ. ზაური მიკროფონთან მიდის.

ზაური. ჩემო საყვარელო ძმებო და დებო. გილოცავთ დასახლების დამთავრებას. დღეიდან გექნებათ გაზი, წყალი და სინათლე (*ზაური სცენაზე მყოფთ გადახედავს*). აი, აქ არიან სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, რომ არა მათი დახმარება, ასეთ მოკლე დროში ამ სამუშაოების ჩატარება და დასახლების კეთილმოწყობა შეუძლებელი იქნებოდა. მივესალმეთ მათ!

ხალხი ტაშს უკრავს.

სანდრო, რომელიც მომიტინგეთა უკანა რიგში დგას, სცენისკენ ინყებს მოძრაობას, აუჩქარებლად მიიწევს წინ.

ზაური. განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ ფერმა დროულად დავამთავრეთ. ხვალიდან თქვენი უმრავლესობა ამ ფერმაში დასაქმდება. საქონელი ჩინებულია, ძალიან ბევრს ინველიან ეს ჰოლანდიური ძროხები. მომავალში შეგიძლიათ, ყველისა და რძის საწარმოც კი გახსნათ. ასე რომ, იცხოვრეთ, იმუშავეთ და ჩვენს მტერს დაუყენეთ თვალი.

ხალხი ტაშს უკრავს.

სანდრო ხალხში მოძრაობს და სულ უფრო და უფრო უახლოვდება სცენას.

ზაური. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ცოტა ხანში, დასახლებაში ეკლესიის მშენებლობა დასრულდება. მაღლობა გადაუხადოთ მათ, ვინც ამ საქმისათვის შემონიშნულობები გაიღო. და ბოლოს, ეკლესია რომ დასრულდება, მე ჩემი ხელით დავაბრძანებ იქ ღვთისმშობლის ხატს, რომელიც ჩვენ ყველას დაგვიფარავს და მტერზე გავგამარჯვებინებს!

ლტოლვილები მქუხარე ტაშს უკრავენ.

ზაური მიკროფონს ჩამოშორდება და სცენის სიღრმეში, ელენეს გვერდით დგება.

სპიკერი. ეხლა სიტყვა მივცეთ დასახლების ერთ-ერთ უხუცეს წევრს, ბატონ ნიკოს.

ნიკო სცენაზე ადის და მიკროფონთან დგება.

ნიკო. ხალხო, გაგიმარჯოთ! როგორც იქნა დამთავრდა ჩვენი წამება. ქერი გვახურავს თავზე, გვაქვს სითბო და სინათლე.

ზაურს ტელეოპერატორები და კორესპონდენტები მისცვივდებიან, უნდათ, რომ ინტერვიუ ჩამოართვან. ზაური აქეთ-იქით იყურება, მოშორებით მდგომ გეგას დაინახავს. ზაური თავის დაცვას იხმობს.

ზაური (დაბალ ხმაზე). მიდი, ბიჭო, გეგას დამიძახე, ინტერვიუს დროს ჩემს გვერდით მინდა იდგეს.

ნიკო (აგრძელებს სიტყვას). დიდი მაღლობა უნდა მოვახსენოთ ჩვენს მთავრობას, საქართველოს მეგობარ ქვეყნებს, რომ მათ არაფერი დაიშურეს ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის.

სანდრო უკვე პირველ რიგშია, ზაურისაგან სულ ახლოს. დაცვა გეგას ზაურთან მიაცილებს.

ზაური (გეგას). მოდი, გვერდზე დამიდექი! ამ გადაცემას მთელი საქართველო ნახავს.

გეგა ზაურის გვერდით დგება.

სანდრო უკვე სცენის წინ არის, ზაურისგან სულ რამდენიმე მეტრში. ის დაძაბული უყურებს ზაურს, რომელსაც ტელეოპერატორი ეფარება.

ტელეოპერატორი კამერას გვერდით გადაადგილებს და სანდრო ახლა კარგად დაინახავს ზაურს.

სანდრო ზურგსუკან ქურთუკს აიწევს, ქამარში გაჩრილ პისტოლეთს ამოიღებს და ზაურისაკენ მიმართავს.

გეგა მამამისისთვის ყურში რალაცის სათქმელად დაიხრება.

სანდრო უმიზნებს და ისვრის.

სროლის ხმაზე ხალხი დაფრთხება, ბევრი მინაზე წვება, ზოგიც ვარბის. სანდროს ნასროლი ტყვია, ზაურის ნაცვლად, გეგას ხვდება თავში.

გეგა ზაურს ჩამოეკიდება კისერზე. სისხლი გეგას ქრილობიდან პირდაპირ სახეში ასხამს ზაურს.

ზაური (ღრიალებს). გეგა, გეგა, რა მოგივიდა, ბიჭო?!

გეგას ხელები უსუსტდება, ზაურს ხელს უშვებს და სცენის ფიცარნაგზე ენარცხება.

ზაური მხეცივით ღრიალებს.

ზაური. მიშველეთ რამე, ხალხო! მიშველეთ!

სცენა №67.

დღე. ინტ. ქპრივის სახლი.

ქერივის სახლში ფანჯარასთან მდგომი ანა ჯერ სროლის ხმას გაიგონებს, შემდეგ ხედავს, სცენაზე მოცელილივით როგორ ვარდება გეგა. ანა დაიკვილებს და კარში გავარდება.

სცენა №68.

დღე. ექსტ. მიტინგი დეპნილით დასახლებაში.

სცენაზე მყოფნი და სცენაზე ამოვარდნილი დაცვა გარს ეხვევიან მუხლმოყრილ ზაურს და ძირს განოლილ, სისხლში მოთხრილ გეგას. გეგას დედა ელენე ისტერიკულად კივის.

პატრულისა და დაცვის თანამშრომლები სანდროს მისცვივდებიან, ურტყამენ, ართმევენ იარაღს, წიხლებით სცემენ.

მამა ანდრია სცენისკენ გაიწევს, მაგრამ მას ხელში ჩაფრენილი ლელა არ უშვებს.

სცენასთან ანა მიიბრუნს, ცდილობს სცენაზე ასვლას, მაგრამ მას დაცვა არ უშვებს.

ანა სცენაზე ასასვლელ ხის კიბეებთან ჩაიკეცება, ხელებში ჩარგავს თავს და ტირის.

მოდის სასწრაფო მანქანა, მანქანიდან გადმოხტებიან და სცენაზე არბიან ექიმები.

სცენა №69.

დღე. ინტ. ქპრივის სახლი.

ნინო სახლის კარის დირესთან დგას, ის გაქვავებული სახით იყურება სცენისკენ.

სცენა №70.

დღე. ექსტ. მიტინგი დეპნილით დასახლებაში.

პოლიციელები სანდროს პატრულის მანქანაში მიათრევენ, მანქანაში ტენიან და პატრულის მანქანა მიდის.

გეგა საკაცით ჩამოჰყავთ სცენიდან და სასწრაფოს მანქანაში აწვევენ.

სასწრაფო დიდი სიჩქარით მოწყდება ადგილიდან და მიჰქრის.

სცენაზე ზაური და მისი ცოლი რჩებიან, ორივე გულსაკლავად მოთქვამს.

ნინო აუჩქარებლად გადაკვეთს მოედანს, მას სახე სრულიად გაქვავებული აქვს, ძარღვიც კი არ უთამაშებს. ის სცენისკენ მიდის. ნინო სცენაზე ასასვლელ კიბესთან მუხლმოყრილ ანას უახლოვდება, ჩაიმუხლებს და შვილს მოეხვევა.

მოედანი ხალხისგან მთლიანად დაცარიელებულია, მხოლოდ მოედნის ცენტრში, იმავე ადგილას, სადაც ის აქამდე იდგა, მამა ანდრია, ლელასთან ხელახლაჩაკიდებული, გაუნძრევლად დგას.

მამა ანდრია სცენაზე ასასვლელ კიბესთან ჩახუტებულ ნინოსა და ანას უყურებს.

სცენა №71.

დღე. ნატ. ავტობანი.

ავტობანზე სირენით მოჭერის სასწრაფოს მანქანა. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან შავი ჯიპები.

სცენა №72.

დღე. ნატ. დევენილთა დასახლება.

მიტინგი უკვე დაშლილია. სცენის შუაგულში მიკროფონი ხისხლის გუბეში გდია. ნინო შვილის გაჭირვებით წამოაყენებს ფეხზე და შინისაკენ მიჰყავს.

სცენა №73.

დღე. ინტ. ძვირილის სახლი.

ანა და ნინო სახლში შედიან. ანა მაგიდასთან მიდის. მაგიდაზე კონვერტია. ანა ჩამოჯდება სკამზე და კონვერტს გახსნის. კონვერტში ფული და წერილია. ნინო ვადის სამზარეულოში. ანა წერილს ამოიღებს კონვერტიდან და კითხულობს. კადრს მიღმა ისმის გეგას ხმა.

გეგა (კადრსმიღმა). ანა, ჩემო სიყვარულო, ეს ფული დედაშენის ექიმებისთვის არის. დღეს მიტინგის დამთავრების შემდეგ აუცილებლად გნახავ. დედაჩემი გველოდება, შენი გაცნობა სურს.

ანას თვალებიდან ცრემლები წასკდება.

სცენა №74.

სალამო. ქესტ. დასახლების ერთ-ერთი სახლი.

მამა ანდრია და ლელა ხელჩაკიდებულნი დასახლების ერთ-ერთ სახლს მიადგებიან.

მამა ანდრია ფანჯარაზე მიაკაკუნებს.

ფანჯარაში ორი ლტოლვილი ქალი - ლამარა და ელზა - გამოიხედედა. წუთის შემდეგ ისინი სახლის კარს აღებენ.

ლამარა. შემობრძანდით, მამაო.

მამა ანდრია. არა, გმადლობ, სხვაგან მივდივარ. რალაცა მინდა გთხოვოთ. ლელას მიმიხედეთ. დღეს თქვენთან დააძინეთ.

ელზა. რასაკვირველია. მალე დაბრუნდებით?

მამა ანდრია. არ ვიცი.

ლამარა ლელას ხელს მოჰხვევს და შინ შეიყვანს.

სცენა №75.

სალამო. ნატ. დევენილთა დასახლება.

მამა ანდრია დასახლების მთავარ ქუჩას ჩაივლის, შემდეგ ავტობანზე ვადის და გზას მიუყვება.

ავტობანზე გასულ მამა ანდრიას ფარებანთებული მანქანები ჩაუქროლებენ ხოლმე.

მამა ანდრია მიაბიჯებს, მერე გაჩერდება და უკან მოიხედავს.

ის ერთხანს უყურებს ერთნაირი სახლებით გადაჭედულ დევენილთა დასახლებას, შემდეგ შეტრიალდება და გზას განაგრძობს.

ავტობანის გასწვრივ მიმავალი მამა ანდრია უკანმოუხედავად მიდის, მისი ფიგურა პატარავდება და ბოლოს სიბნელებში იკარგება.

წარწერა: „გავიდა სამი წელი“

დევენილთა დასახლების მთავარი ქუჩა. ის ადგილი, სადაც ადრე სცენა

იყო აღმართული. სცენა აღარ არის, მხოლოდ ნახევრად ჩამოხეული ბანერი დგას, რომელზედაც ახალგაზრდა, მომცინარი პრეზიდენტის გამოსახულების ნარჩენებიაა შემორჩენილი. ქარი აფრიალებს ბანერის ნაფლეთებს.

დღე ნატ. დევენილთა დასახლება

მჭიდროდ მდგარ დევენილთა ერთფეროვანი სახლები გარშემო პატარა ბოსტნები და ერთი ბენო ხეხილის ნარგავები ჩანს.

ტიტრი: „როდის გაიზრდება ეს ბალები?“

სცენა № 76

დღე ნატ. ფირმა დევენილთა დასახლებაში

შემოდგომის ქარი დაქრის ფერმის ეზოსა და შენობაში. ფერმა უკაცრიელია. ძროხები არსად ჩანან.

ტიტრი: „ძროხები დაიხოცნენ მოუფლელობის გამო. რა უნდა ჰოლანდიულ ძროხებს ჩვენს გეოგრაფიულ გარემოში, ამაზე მთავრობას პასუხი არ აქვს“

სცენა № 77

დღე ნატ. ავტობანი

შემოდგომის ცივი დღე. უბერავს ქარი. დევენილთა დასახლების განაპირას ავტობანის გასწვრივ სხედან ჩვენი ნაცნობი ლტოლვილები: ქვრივი ნინო და მისი ქალიშვილი ანა, ელზა, ლამარა, ლელა, გოგია, ნიკო და კიდევ სხვები. მათ წინ უწყვიტო სათლებით გასაყიდი ხახვი, ყუთებით კომპოსტო, ჭარხალი, ვაშლი, თავმობდილი პარკებით ლობიო. მათ შორის გადმობრუნებულ ყუთზე ზის დოლით ხელში მედოლე ბიჭი, რომელიც უცხოელებისათვის გამართულ კონცერტზე დოლზე უკრავდა. ის ნახევარ ხმაში უკრავს დოლზე სხვადასხვა ვარიაციებს. მის წინ, მინაზე, ალუმიინის ჯამი დგას, რომელშიც ხურდა ფული ყრია.

ამ ადგილს მოადგება ორი ჯიბი სახურავებზე დამაგრებული თხილამურებით. ჯიბიდან გადმოდიან სათხილამურო, ფერად-ფერად კოსტიუმებსა და ბათინკებში გამონყობილი ახალგაზრდა ქალები, კაცები და მათი შვილები. ყველას მზისგან გარუჯული სახეები აქვთ. ქალები მიდიან ლტოლვილებსაკენ, არჩევენ საყიდლად ხახვს, კომპოსტოს, ლობიოს. მამაკაცები ათვალაიერებენ ლტოლვილებს. ერთ-ერთი მამაკაცი მედოლეს ჩაუვლის, გაჩერდება და უსმენს.


ქალები ამთავრებენ სანოვავის ყიდვას, მიდიან მანქანებისაკენ და შიგ ტვირთავენ ხახვს, კომპოსტოს, ვაშლს, და თავიანთ კაცებს ეძახიან. კაცები მიდიან მათკენ, ბავშვები ყრიათ ულით სხდებიან მანქანებში.

ერთ-ერთ მამაკაცს თითქოს რალაც გაახსენდა. ის მობრუნდება, მისი მედოლე ბიჭთან და ხურდა ფულს უყრის ალუმიინის ჯამში, მერე მობრუნდება და მანქანაში ჯდება. მანქანები იქოქება, იძვრებიან და მიდიან.

მედოლე ბიჭი იწყებს დოლზე დაკვრას და სიმღერას:

ჩემო კარგო ქვეყანა,
რაზედ მოგინყენია,
ანმყო თუ არა გნჯალობს,
მომავალი შენია.

კამერა იწვევს ზევით და გადაჰყურებს ზემოდან უკიდევანო ლტოლვილთა დასახლებას.





ვანო ჩხიკვაძე

* * *

რად გიკვირს-მეთქი,
ძილშიც, ღვიძილშიც,
გულამოს კვნილი რომ მეკითხები,
რატომ ჰყვიდიან ძმას და ძიძიშვილს,
შენს ფესვებს რატომ ღრღნიან ვირთხები.

რად გიკვირს-მეთქი,
როცა გაბოლებს,
სულგაყიდული ამდენი ჩარჩი.
ველარ გაიგე? —
ვისთვის სამშობლო,
ვისთვის პანტა ხარ
და... ღორებს დარჩი.

* * *

გარბის, მივტირით, გარბის,
დრო, უღმობელი, ხარბი.

ჰკრებს, ამრავლებს და არბევს,
ჰკინძავს, ატყუებს ციფრებს.
დრო — უღმობელი, ხარბი,
ნეტავ სადამდე ირბენს.

არავინ გეტყვის —
დარჩი.
შხამის წვეთები ჯამში.
შენ სულში ისევ ტირის
უხმოდ პოეტი ბავშვი.

ჰკითხე რატომ ხარ ავად,
თორემ ხუთ წუთში გავა...

მოსახვევებში, როგორც,
გველი მოიქნევს ბოლოს.
უკანასკნელი ცრემლი,
უკანასკნელი — ოლ-ოლ!

დადის მსახური ამ დროს
და სასანთლებს აქრობს.
არ შეეკითხო როდის,
მაინც არ გეტყვის — რატომ!

გარბის, მივტირით, გარბის,
დრო, უღმობელი, ხარბი.

აივნანი

მოაჯირთან მომდგარი, დილის ცვარით ნაბანი —
ლურჯი იასამანი და თეთრი იასამანი.

ჩვენი უბნის მშვენება, ორი სათნო თამარი —
ლურჯი იასამანი და თეთრი იასამანი.

აივანზე მაგიდა, თბილი დედას პური და,
ილიმება დილის რძე, მორცხვად ქაშანურიდან.

ტახტზე ამოძენილი ჭრელა-ჭრულა საფენი,
ყველაფერი იქ დარჩა, აქეთ — აღარაფერი.

თეთრო იასამანო და ლურჯო იასამანო,
აფრასავით გაშლილა გაზაფხულის საღამო.

წლები ისე გარბიან, ამერია დავთრები,
მაგრამ მაინც სულ სხვაა, თქვენ რომ მომენატრებით...

ჩემს სახელზეც იყივლებს ბედისწერის მამალი —
მოვალ თქვენი სურნელით, წავალ თქვენი ამალით...

მოაჯირთან მომდგარი, გოგოსავით თამამი,
ლურჯი იასამანი და თეთრი იასამანი.

მონოლოური ცხენები

მათი ჭიხვინით დაფეთებულ საუკუნეებს,
ღვიძავთ და ზართა მწუხარე ხმას აგუგუნებენ.

ამხედრებული, დაოთხილი მოჰყავთ და მოდის,
აღმოსავლეთი — სპილენძისფერ მოდგმათა ჯოგი.

სხვა რაღა უნდათ დაუნდობელ ომის ქურუმებს —
ხარკის ზვინებში იზმორება ყარა-ყორუმი.

მონოლოურ შარდის ოხშივარი აზიას შხამავს,
ცხენებისთვის კი ქერით სავსე თოფრაკიც კმარა.

ვინ მოასვენებთ, ვიდრე სულ არ ამოხაპავენ —
ცხენების ზურგი არ გაზიდავს ძვირფას საპალნეს.

მოგრილებენ მიშვებული სადავებით,
აყალყულები მორჩილებენ მრისხანე კერპებს.
გახვითქულები, სათავეებთან,
დგანან და სისხლის მდინარეებს წყალივით ხვრევენ.

გადაუარეს დედამიწას, მოსრეს, დაღალეს,
არ მოასვენეს დღით და ღამითა.
ახლაც თვალებს მწვავს შიშით დამფრთხალი,
მხურვალე ბული, ავარდნილი ნაფლოქვარიდან.

მოუძღვებოდნენ აგორებულ ცეცხლის ნიაღვარს,
იხოცებოდნენ ჩვენს ველებზე სისხლით მთვრალეები.
ბევრის ხროტინი ისტორიის ფურცლებს შეახმა,
კამათელივით გააგორეს თავისქალები.

გარნისთან ფეხქვეშ რომ ჩხრიალებს, მათი ძვლებია,
მათი ნახტომი დავიწყების მტვერმა ჩახატა.
მინა უნდოდათ? —
მინა ჭამთ და მინით ძლებიან,
ერთ სამარეში, ულაცი და ვინმე ჩაღატა.

* * *

ის თოვლი, იმ თოვლის გრძნეული ფიფქები
ხსოვნაში მოდიან, ჩემ სულში დნებიან.
ჩავლილი დღეები, ცხვირსახოცს მიქნევენ,
ყმუის დავიწყება,
მომდევენ — მგლებია.

აქეთაც — იქითაც.
ცბიერი, კეთილი,
მეძახის. სანყალი წლებს დაუკორტნია.
აჩრდილი წარსულის, მთვარეს კვლავ შესტირის,
უიღბლო, მშიერი, ბებერი ტოტია.

ვაი, აბნელებენ უკვე თვალსანიერს,
თანდათან დავკარგეთ ნიჭი გაცეხის.
მოდი და ფიფქების ფარდა გადასნიე,
წარსულს შეაყარე შენი ნაოჭები.

ის თოვლი...
დარდებმა იცის გარინდება,
შემინდე, სული რომ აგიფორიაქე...
თოფის ხმა.
ყვავების გუნდი აფრინდება,
აედევნებიან დღეებს მგლოვიარეს...

* * *

თვალეებრილა, ჭრელი პანთერა —
დადის აპრილი კომპის რტოებზე.
ნისლი.
მონყენა.
ჯვარი დამწერა
დამლელმა სევდამ სიმარტოვეზე.

ქვაფენილებზე, ნალის წკრიალით,
გარბიან წვიმის ბედაურები,
არავინ არ ჩანს.
ღია სარკმლიდან,
გამვლელ ღრუბლებსლა ვესუბრები.

* * *

მადლობა, ლეკებს,
მადლობა, ლეკებს,
მკვლელებს, შარაგზის ყაჩაღებს.
ბევრჯერ დახევდნენ,
ბევრჯერ ნაგვეეკეს,
ბევრი დათოფეს, დახანჯლეს.

ჩემს მოსისხლებს,
ქურდებს, მპარაგებს,
მოვუბოდიშებ ათასჯერ,
უკან ნავილებ მათ საგინებლად
რაც კი სიტყვები დავხარჯე.

მომხდურის თავზე რისხვად იელვებს,
პატარა კახის — „ჰკა წუნკლებს!“
ლემისმჭამელი დაელირება
კოხტა ბელადის ნაკუნებს.

მადლობა, ლეკებს,
მადლობა, ლეკებს,
მკვლელებს, შარაგზის ყაჩაღებს.
ბევრჯერ დახევდნენ,
ბევრჯერ ნაგვეეკეს,
ბევრი დათოფეს, დახანჯლეს.

გიკვირს, მადლობით რატომ ვიხსენებ,
მკვირცხლებს, ფეხმარდებს, ჩაუქებს —
სოფლიდან ბიჭი გაიტაცეს და...
გურამიშვილი გვაჩუქეს.

* * *

იმედი მქონდა, არადა,
სახედარივით დავარდა.
ამაყად დაიფხოვრება,
კაცი კი არა, კარადა.
მოსრა ამერ და იმერი,
ის საქართველო სად არის,
დამჭლევედა, ჩაქრა ქვეყანა,
თავად კი მშვენივრად არის.

ვაიმე, სულო ჩაკლულო, —
ომახიანო ჩაკრულო,
ვინც მე მეგონა ფარადა,
სახედარივით დავარდა.

რამდენჯერ უნდა გავბრიყვედე,
რაც დამემართა, ახია,
ვაიმე, კაცი მეგონა,
სინამდვილეში ტახია.

რომ დავგიმსგავსა სალაფავს,
ცხოვრება, ეს უგემური...
სიცილით კვდება საფლავეში
სამარყანდელი თემური.

ლოზუნგი — „დიობანა“

მე ვეძებ იმედს, რომელიც ჩემმა სამშობლომ დაკარგა,
 პოეტის ამონაკვენესი — „გულს მიკლავს უიმედობა.“
 იმ კაცს, რომელსაც ვენდობი,
 იმ კაცს, რომელიც მენდობა.
 ვისაც სხვაგვარად არ ძალუძს, უნდა ვეძებო კარდაკარ!

ცარგვალზე გადმოატარებს ბერი ლუზუმი სანათას,
 ზეციურ საქართველოდან ეგებ დააფრთხოს სალათა.

ვეძებ. იმ კაცის ძებნაში წუთისოფელი გავლიე,
 შენ უკეთ მოგეხსენება, დავითია თუ საჩინო.
 ვიდრე ნატვრაში ქვეყანამ საბრალო სული დალია,
 ბოლოს და ბოლოს ის მხსნელი ხომ უნდა გამოაჩინო!

* * *
 შემოიქროლა ქარმა ბოროტმა —
 ღრმა სიბერისკენ მარტო მივიწვევ.
 მოწყდა ფოთოლი —
 ჩემი ბოლოთქმა.
 დახურე კარი და დამივიწყე.

* * *
 ... და ეს დღეც, როგორც უკანასკნელი —
 გადის.
 შემომერია ძველი ამკლები —
 დარდი.

თვალსაწიერზე მზის შუქნიშანი
 ჩაქრა.
 გადმოეკიდა ნახევარმთვარის
 აფრა.

შენც დაგიძახებს, ხმამ იდუმალმა,
 მითხრა,
 ლურჯი უდაბნო გადანინკლული
 წითლად.

... და ეს დღეც, როგორც უკანასკნელი...

* * *
 ბიჭებმა თავი გავიმეტეთ,
 თავკვერს ჩავუსხედით,
 ჰოდა,
 სარკმლიდან როცა გადვიხედე,
 მოხდა სასწაული —
 თოვდა.

ლავაშზე ღვინო დავანვეთეთ,
 ჩვენი მამა-პაპა ცხონდა,
 მალამო შევუქეთ ფანასკერტელს,
 მახვილი — ხახმატელ ჯონქას.

ყელში იადონი შეფრთხილდა,
 „ურმულს“ არხალალო მოჰყვა,
 თამადამ სანუთროს შეჰღრინა და,
 ცრემლმა ჩამოგაზა ლოყა.

ბებერი ყანნებიც მივაძინეთ,
 ჩუმად გავიხურეთ კარი,
 ფინიებივით მიგვაცილებს
 ოთხი, აცაბაცა კვალი.

* * *
 მე სხვა გაზაფხული აღარ მახსოვს,
 იქნებ იმის მეტი არც ყოფილა,
 ერთხელ სიყვარულით რომ აღმავსო,
 დღემდე წვეთ-წვეთობით მამყოფინა.

წვიმდა, თავდახრილი მათხოვარის
 ქუდი თბილი წვიმით ივსებოდა.
 ჩემი სევდიანი სახსოვარი —
 ხელში ნარცისებით, ის მელოდა.

მერე მივდიოდით თეატრისკენ,
 მერე მომყვებოდა თეატრიდან.
 ჩემი ბაფთიანი ბეატრიჩე,
 თმაზე პეპლები რომ შეაფრინდა...

ბევრი წყალვარდნილი გადავცურე,
 ყოფას ბევრჯერ სული ვუბერე და...
 როგორც ნანვიმარზე სატაცურის,
 მახსოვს იმ თითების სურნელება.

ქერა, მეტიჩარა კიკინებით
 ველარ ამოფრინდი ამ გულიდან,
 ღმერთო, რა ლამაზად იღიმები,
 ჩემი მოწყენილი წარსულიდან.

* * *
 ზნეობის დაწყვეტილ მოსართავეს
 ბევრი თავს წაართმევს, იფერებს,
 დროებას —
 პატივით მოაბრძანებს
 წითელი ხალიჩა მლიქვნელებს.

სად არის ამ ფარსის ბიდსტრუპი,
 ყალბ ძმას ეფერება ყალბი და —
 ბოლოს ვინც პირველი ისკუპებს,
 ხელმწიფის ცოდვილი ნავიდან,

მოითხოვს, დავუთმო, დავზავდე,
 ვიცხოვრო მედროვის აზარტით,
 ნეტავი, ვისი რძით დაზარდეს,
 დედის რძე ასეთებს არა ზრდის.





ქეთევან შენგელია

მა მოკრძალებით შეგაგადავთ სიტყვას...

ედგნება სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს,
უნწინდესსა და უნეტარესს ილია II-ს

მადლი და სიბრძნე გამოუბრწყინდათ,
ჩვენს დიდ წინაპრებს უფლის იმედად,
ანგელოზები ზეცის უბიდან,
რა საიდუმლომ გამოიმეტა?!

თუ სახარებით ლაზარე ჰქვია,
ენას საკვირველს, ენას მადლიანს,
მაშინ ტაძრების ფიქალებისთვის
ქართულ წარწერებს ცაში დათლიან.

„ამოდის წყლიდან ნათელღებული
იესო“, აჰა, ცანი გაიხსნენ!
ღმერთო, გვიხსენი ცოდვებისაგან,
შენ შეგვაგებე ცისკრებს, დაისებს!

დროს რა ძალა აქვს? მარადისობას
თავისი ხარკი მოუთხოვია:
ხან გლეხის უღელს დაგადგამს მხარზე,
ხან დაგიბარებს ჯავშან-თორიანს;

იბადებიან და მერე ალბათ,
ყველა დაეძებს თავის ბილიკებს...
წუთისოფელი ზოგს მეფედ აქცევს,
ზოგს უმოწყალოდ გააქლიკებს;

მაგრამ არსებობს დიადი გზებიც,
რომლებიც მუდამ სანთლად ანთია,
რა განუწესე, უფალო, იმ ყრმას,
ხელკურთხეული ვინ ჰყავს ნათლია?!

ყურომ გასძახა ქაბარჯინას მთას —
ამბავი ამცნე ყველა სოფელსო,



სნოში ვაჟკაცი დაბადებულა,
ნეტავი იმის გამზრდელ მშობელსო.

ჩამოუარეთ მინას და ზეცას,
ყვავილს და ბალახს, ხეს და მდინარეს,
განურჩევლად ჩაიკრავს გულში,
რომ გაიზრდება, მტირალ-მცინარეს.

გასულა ხანი, მუხლს ვიყრით, რადგან
შვიდგზის ლოცვებით ვილხენთ და ვხარობთ,
საქართველოა ამაყი თქვენით,
სტეფანწმინდას კი უამბე ქარო:

რომ მოწყენილი თბილისის დილა
და ნალვლიანი მთა და ყვავილი,
სიკეთის მადლით გადარჩენილა,
არ დაგვლევიან პური, მარილი...

არ განადგურდა ძალა და სული,
ხორციც გასწირეს თუმცა მრავალჯერ...
ბევრჯერ გადავრჩით თქვენი ლოცვებით,
საბედისწერო, სამიშ განაჩენს.

მადლობას გიხდით დიდი ღვანლისთვის,
სიყვარულისთვის, ღვთის ძალა მოგდევთ,
თქვენ ხანძთელივით ტაძრებს აშენებთ,
მთანწმინდელივით უზიხართ ლოცვებს.

ემმას ტაძრები მუდამ აშინებს,
გვებრძვის, სიშმაგე ეკლად ესობა,
ამ ჯვარს არავის ჩვენ არ დავუთმობთ,
თქვენო, მაღალო უწმინდესობავ!

თემურ გაბუნია

მწერლები მწერლების შესახებ

საზოგადოებას ხშირად უჩნდება სურვილი, შეეჯამებინა ეპოქალური მოვლენები. ამ მხრივ გამონაკლისს არც ვასული საუკუნე წარმოადგენდა, მის მიწურულს ტარდებოდა სხვადასხვა სახის კვლევები, გამოკითხვები, რათა დაედგინათ მსოფლიოს უდიდეს მწერალთა ასეული. ასე რომ, სტატისტიკოსებს სამუშაო ეძლეოდათ და ისინიც ითვლიდნენ, ანგარიშობდნენ, აჯამებდნენ. ქვეყნდებოდა საუკუნის გამოჩენილი მწერლების საუკეთესო ათეულთა და ასეულთა სიები, განსხვავებული რეიტინგებით. ამ სიებში ხვდებოდნენ ნობელისა და პულიცერის პრემიათა ლაურეატები, ხალხის დიდი სიყვარულით დაჯილდოებული მწერლები, რომელთა ნაწარმოებებიც მსოფლიოს მრავალ ენაზე ნათარგმნილიყო... მაგრამ ნუთუ ეს გახლდათ მთავარი? ნუთუ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვის რა ჯილდო მიეღო და ვინ რომელ ადგილს დაიკავებდა ახლა ამ სახელდახელოდ შედგენილ სიებში?

მსგავს კითხვებს რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ, როგორ უყურებდნენ ამ საკითხს თვითონ მწერლები, რა მიაჩნდათ თავიანთი მთავარ დანიშნულებად და როგორ აფასებდნენ ერთმანეთის დამსახურებას...

თუმცა, ალბათ, არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, მათაც ჰქონდათ ერთმანეთთან გატოლებისა და გაჯიბრების სურვილი; ტკიოდათ, როცა ღალატობდნენ; უხაროდათ, როცა შეაქებდნენ; ნანობდნენ, როცა ცდებოდნენ, და გული წყდებოდათ, შედეგების შესაქმნელად საჭირო დრო თვალსა და ხელს შუა რომ უსხლტებოდათ...

დიანხ, ისინიც ჩვეულებრივი მოკვდავები იყვნენ და მათაც ჰქონდათ თავიანთი ახირებანი...

მთავარი ჯილდო

„ჰემინგუეის ფანკლებთან თავმჯდომარე“, ასე უწოდებდა სელინჯერმა ხუმრობით საკუთარ თავს 1946 წლის ივლისში ერნესტ ჰემინგუესადმი მიწერილ წერილში. თუმცა 1951 წელს გამოქვეყნებულ რომანში „თამაში ჭვავის ყანაში“ მისი პერსონაჟი ჰოლდენ კოლფილდი ჰემინგუეის „მშვიდობით, იარაღს“ ცოტა არ იყოს აგდებულადაც კი მოიხსენიებს: „დ.ბ.-ზე ვარ გაბრაზებული: ხომ ასე სძულს ომი, შარშან ზაფხულს აიღო და „მშვიდობით იარაღს“ არ წამაკითხა! დიდებული წიგნიაო. ვერა გამიგია რა. იქ ერთი კაცია გამოყვანილი, ლეიტენანტი ჰენრი — ლმერთივით ბიჭიაო, დაუყუინიათ. ჩემი ძმისა მიკვირს — ჯარი და ომი ასე ეჯავრება და ყველაფერი. ეს პრანჭია ბიჭი კი მაინც მოსწონს. ერთი სიტყვით, მე ის ვერ გამიგია, როგორ შეიძლება კაცს ამისთანა ბითურული წიგნიც უყვარდეს და რინგ ლარდნერიც, ანდა „დიდ გეტსბიზე“ ჰკარგავდეს ჭკუას. დ.ბ.-ს წყნინა, ეს რომ ვუთხარი, ჯერ ღლაპი ხარ და რას გაიგებო. მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. მაშ რინგ ლარდნერი და „დიდი გეტსბი“ რატომღა მომწონს-მეთქი, მე ვუთხარი. „დიდ გეტსბიზე“ ჭკუას ვკარგავდი. გეტსბის რა შეედრება. კაცური კაცია. ვაჟკაცი“.

აი, ჰოლდენის მონოლოგიც, სადაც ნათლად ჩანს, რომ „მშვიდობით იარაღს“ — „ბითურულ“ რომანად მიიჩნევს. რით შეიძლება აიხსნას სელინჯერის პროტოტიპად აღიარებული ლიტერატურული გმირის ასეთი რადიკალური პოზიცია? ნუთუ ომის თემაზე სელინჯერისა და ჰემინგუეის შეხედულებანი ასე მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან? ან იქნებ ამ ორ მწერალს შორის მართლაც დიდი მსოფლმხედველობრივი განსხვავება იყო? ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, ალბათ, უპრიანი იქნება გავიხსენოთ თუ სად და როდის გაიცნეს ერთმანეთი ჰემინგუემ და სელინჯერმა.

1945 წლის ზამთრის მიწურულს ჰერტცეგვალდის ტყის ბრძოლების შემდეგ ამერიკულ არმიას საშუალება მიეცა სწორმანდიდან გერმანიაში შეჭრილიყო. სწორედ ამ საომარი ოპერაციის დასრულების შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს უმცროსი ოფიცერი სელინჯერი და ჰემინგუეი, რომელიც პარიზში სამხედრო ჟურნალისტად მსახურობდა. ჰემინგუემ სელინჯერზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თავის მხრივ, ჰემინგუეიც აღფრთოვანებულა ახალგაზრდა მწერლის ნაწერებით. „ღმერთო ჩემო, საოცრად ნიჭიერია!“ — უთქვამს მას.

1946 წლით დათარიღებულ წერილში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სელინჯერი საკუთარ თავს ხუმრობით „ჰემინგუეის ფანკლებთან თავმჯდომარესაც“ კი უწოდებდა და არც მალავდა, რომ მათ შეხვედრებსა და საუბრებს ომის წლების ერთ-ერთ იშვიათ და ყველაზე ნათელ მოგონებად მიიჩნევდა. იმავე წერილში სელინჯერი დასძენდა, რომ წერდა პიესას ჰოლდენ კოლფილდზე, რომელიც მისი მოთხრობის „მცირე ამბოხი მედისონ-ავენიუზე“ პერსონაჟი იყო და იმედოვნებდა, რომ მთავარ როლს ამ პიესაში ოდესმე თვითონვე ითამაშებდა.

აი, ასეთი თბილი დამოკიდებულება არსებობდა თავდაპირველად ორ ამერიკელ მწერალს შორის. მაშ, რა მოხდა შემდეგ? რატომ შეაფასა სელინჯერის ლიტერატურულმა გმირმა ასე მკაცრად „მშვიდობით, იარაღს“? ან რად უწოდა მის პერსონაჟს, ჰენრის, „პრანჭია ბიჭი“? როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც სელინჯერმა საკუთარი თვალთ ნახა ომის საშინელებანი, როცა გააანალიზა ყოველივე, შესაძლოა, ერთგვარი ანტიპათიაც კი გაუჩნდა ჰემინგუეის რომანისადმი, რომელშიც ომის თემა ცოტა არ იყოს რომანტიკულად იყო წარმოდგენილი. სელინჯერისთვის ომი ერთმნიშვნელოვნად საშინელი რამ გახლდათ — აღიქვამდა როგორც სისასტიკეს, რომელსაც ბრძოლაში ჩაბმული ორივე მხარე თანაბრად სჩადიოდა. ამ სისასტიკეს კი, მისი აზრით, შელამაზება არ სჭირდებოდა...

თუმცა არსებობდა სხვა მიზეზიც, რის გამოც სელინჯერს, შესაძლოა, აღარც მოსწონებოდა მისი სიყვარულისდროინდელი კერპი. როგორც მოგეხსენებათ, 1948 წლიდან იგი აღმოსავლური რელიგიებით იყო დაინტერესებული, ამიტომაც მისთვის უკვე მიუღებელიც უნდა ყოფილიყო ჰემინგუეის პერსონაჟებისთვის დამახასიათებელი თვისება, ლომებზე ნადირობით („ფურესის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერი ცხოვრება“) ან ადრენალინის გამოყვანილი სხვა ქმედებებით დაემარცხებინა სიკვდილის შიში. სელინჯერისთვის შიშის დათრგუნვის ერთადერთი გზა რელიგია იყო, რაც ნათლად გამოჩნდა „ტედიში“.

ჰემინგუეის სწორხაზოვნება ცოტა არ იყოს ფოლკნერსაც აღიზიანებდა. „ჰემინგუეი მშვენიერი მწერალია, ასევე მშვენიერია მისი „მოხუცი და ზღვა“, თუმცა უფრო შორს

ველარ წავიდა“. მაინც რას გულისხმობდა XX საუკუნის გიგანტად შერაცხული ფოლკნერი ამ გამოხატულებაში? ალბათ იმას, რომ ჰემინგუეის არ გააჩნდა რალაც ის, რაც მას დიდ მწერალთა ხალხმრავალი დასიდან გენიალურ შემოქმედთა შედარებით მცირერიცხოვან დასამდე აამაღლებდა.

საკუთარი სუბიექტური აზრი გააჩნდა, თავის მხრივ, ჰემინგუეისაც ფიცჯერალდის შემოქმედებისადმი: „მისი ტალანტი ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც პეპლის ფრთებზე ყვავილთა მტვრის მოხატულობა. იყო დრო, როცა ამას ისევე ვერ ამჩნევდა, როგორც პეპელა. მან ამ მოხატულობის ნაშლა და გაფერმკრთალება ვერ შენიშნა. მოგვიანებით მიხვდა, რომ ფრთები დაუზიანდა. იმასაც მიხვდა, თუ როგორ იყო ისინი მოწყობილი და ფიქრიც ისწავლა, თუმცა ფრენა აღარ შეეძლო, რადგან ფრენის სურვილი გაუქრა, მეხსიერებას კი მხოლოდ მოგონებალა შემორჩა, თუ რა ადვილად ახერხებდა ამას ოდესღაც...“ („განუყრელი დღესასწაული“).

მაინც რას გულისხმობდა ჰემინგუეი „ფრენის სურვილის დაკარგვაში“? ალბათ იმას, რომ ფიცჯერალდი „დიდი გეტსის“ შექმნის შემდეგ ველარ განვითარდა. ეს იყო მწვერვალი, რომლის დაპყრობის შემდეგაც სხვა უფრო მნიშვნელოვან სიმაღლეთა დაძლევა ველარ შეუძლო...

აი, ასეთ შეფასებას აძლევდნენ დიდი ამერიკელი მწერლები ერთმანეთს. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? როგორი იყო XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ჩატარებულ გამოკითხვათა შედეგები?

2002 წელს — World Library-ის კვლევის მიხედვით — ყველა დროის 100 საუკეთესო წიგნს შორის მხოლოდ რვა ამერიკელი მწერლის ნაწარმოებები მოხვდა — ფოლკნერის, ჰემინგუეის, მელვილის, მორისონის, ტვენის, პოს, უიტმენისა და ელისონის. მათგან ორი ნაწარმოებები „აბესალომ, აბესალომ“ და „ხმაური და მძვინვარება“ მხოლოდ უილიამ ფოლკნერი ყო წარმოდგენილი. XX საუკუნის 100 საუკეთესო რომანის ავტორთა შორის 1999 წელს „ლა მონდის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად კი ამერიკელ მწერალთა შორის ადგილები ასე გადანაწილდა: სტაინბეკი — მე-7; ჰემინგუეი — მე-8; ფოლკნერი — 34-ე; ფიცჯერალდი — 46-ე; სელინჯერი — 88-ე. საგულისხმოა, რომ დრახინის ნაწარმოებები ასეულში საერთოდ არ მოხვედრილა. ლარი მაკკაფერის კვლევამ კი ეს ამერიკელი მწერლები პლუს დრახინის ასეთი თანმიმდევრობით დაალაგა: ფოლკნერი (5), ვულფი (15), ჰემინგუეი (20), ფიცჯერალდი (22), სტაინბეკი (34), სელინჯერი (60), დრახინი (96).

1998 წელს XX საუკუნის 100 საუკეთესო რომანის სიები გამოაქვეყნა Modern Library-მაც. პირველი სია შედგენილი იყო კომპეტენტური ჟიურის აზრის გათვალისწინებით, ხოლო მეორე — მკითხველის. ჟიურის განჩინებით, სელინჯერის ლიტერატურული გმირის, ჰოლდენ კოლფილდის მიერ ხოტბაშესხმულ „დიდი გეტსის“ მე-2 ადგილი ერგო, ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ შემდეგ. უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“ ამ სიაში მე-6 ადგილზეა. ჯონ სტაინბეკის „მრისხანების მტევნები“ — მე-10; ტომას დრახინის „ამერიკული ტრაგედია“ — მე-16; ჰემინგუეის „ალმოდების მზე“ — 45-ე; სელინჯერის „თამაში ქვავის ყანაში“ კი — 64-ე. თუმცა, მეორე სიაში, მკითხველთა აზრის გათვალისწინებით რომ იყო შედგენილი, აღნიშნული რომანების ავტორებმა ადგილები ასე გაინაწილეს: ფიცჯერალდი — მე-13; სელინჯერი — მე-19; სტაინბეკი — 22-ე; ფოლკნერი — 33-

ე; ჰემინგუეი — 63-ე. დრახინის „ამერიკული ტრაგედია“ ამ გამოკითხვის შედეგადაც ვერ მოხვდა ასეულში.

როგორც ვხედავთ, ჰოლდენ კოლფილდისთვის — და, მაშასადამე, სელინჯერისთვისაც — ალლოს არ უმტყუნია, „დიდი გეტსი“ მკითხველმაც და ლიტერატორებმაც XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ამერიკულ რომანად აღიარეს. ამასთანავე, ლიტერატორთაგან 64-ე ადგილას ჩამოქვეითებულ სელინჯერსაც გაცილებით მაღალი რეიტინგი აღმოაჩნდა მკითხველთა გამოკითხვისას. ამრიგად, ფიცჯერალდისა არ იყოს, მასაც ერგო ერთ-ერთი მთავარი ჯილდო — ხალხის სიყვარული...

თუმცა სელინჯერისთვის უმთავრესი არც რეიტინგი უნდა ყოფილიყო, არც რომელიმე ჯილდო ან პრემია და არც თუნდაც ხალხის სიყვარული. მისთვის მთავარი გახლდათ, როგორ წარდგებოდა უფლის სამსჯავროზე, რადგან ხელოვნება სელინჯერისთვის ცოდვით დაცემული ადამიანის რაღაც გასართობი საშუალება კი არ გახლდათ, არამედ რელიგიის რანგში აყვანილი უსაყვარლესი საქმე. „მითხარი, როდიდან გახდა მწერლობა შენი პროფესია?“ ასეთ კითხვას უსწამს სიმორ გლასი ბადის, „შეგიძლია რელიგიაც უწოდო... ჰოდა, თუკი რელიგიაცა, მითხარი, იცი რას გკითხავენ, როცა მოკვდები? მაგრამ ჯერ იმას გეტყვი, რას არ გკითხავენ. არ გკითხავენ, წერდი თუ არა რაიმე მშვენიერსა და ამაღლებებელს სიკვდილის წინ. არ გკითხავენ, მოკლე იყო თუ გრძელი, სევდიანი თუ სასაცილო, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი. არ გკითხავენ, კარგ ფორმამი იყავი თუ ცუდში... დარწმუნებული ვარ, ორად-ორ კითხვას დაგისვამდნენ: „ბოლომდე გამოანათა თუ არა ყველა შენმა ვარსკვლავმა? ცდილობდი თუ არა, გულიდან ამოგეთქვა სათქმელი?“

დიხ, სელინჯერისთვის მთავარი სწორედ ღმერთის შეფასება იყო და არა ადამიანის. უმთავრესი გახლდათ, როგორ უპასუხებდა მისთვის დასმულ უკანასკნელ შეკითხვებს...

ყველაზე ჯანმრთელი მთელ პარიზში

ლიტერატორ ჯ.ჯერალდ კენედის ეკუთვნის ერთი მეტად ენაკვიმატი გამოხატულება ჰემინგუეისა და მისი ავტობიოგრაფიული წიგნის — „განუყრელი დღესასწაული“ — შესახებ: რომელიც მუდამ შენთანაა: „ჰემინგუეი ისე წარმოაჩენს საკუთარ თავს, თითქოს ერთადერთი სექსუალურად სტაბილური და ჯანმრთელი ადამიანი იყო პარიზულ ლიტერატურულ წრეში, განსხვავებით ფიცჯერალდისა და გერტრუდა სტაინისგან“. რამდენად შეესაბამება კენედის ეს თვალსაზრისი სინამდვილეს?

ჰემინგუეის ამ მემუარულ წიგნში, მართლაც, ბევრი საინტერესო რამ აქვს მოთხრობილი ოცინი წლების პარიზზე, ცნობილ მწერლებსა და მხატვრებზე, როგორებიც იყვნენ ჯეიმზ ჯოისი, ფორდ მედოქს ფორდი, პასკინი, ჯონ დონ პასოსი, ეზრა პაუნდი, უინდჰემ ლუისი და სხვები. რაც შეეხება სკოტ ფიცჯერალდს, მწერალი მასზეც ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვანდის, მაგრამ ხანდახან ისეთ ინტიმურსაც, არ არის გასაკვირი, მკითხველი შემფოთდეს კიდევ, სხვის ბინძურ თეთრეულში ხომ არ ვაფათურებ ხელსო. თუმცა მერე, როცა კარგად გაიაზრებს ნაკითხულს, შეიძლება ავტორის დასაცავად ასეთი რამაც კი წამოცდეს: „ჰო მაგრამ, ჰემინგუეი ხომ მასზე სიყვარულით წერდა?“



ერნესტ ჰემინგუეი



ჯერომ სელინჯერი



ერნესტის სკოტ ფიცჯერალდი

თუმცა მოდით ისევ მემუარებს დავუბრუნდეთ, ოციანი წლების პარიზს, დელამბრის ქუჩასა და ბარ „დინგოს“, სადაც ამ ორმა ამერიკელმა მწერალმა ერთმანეთი გაიცნო.

ჰემინგუეის თავიდანვე უჩვეულოდ ერგენა არა მხოლოდ ფიცჯერალდის გარეგნობა, არამედ ჩაცმულობაცა და ქცევაც. ერნესტის აზრით, სკოტს ტანთან შედარებით მოკლე ფეხები და ავადმყოფურად შეშუპებული სახე ჰქონდა, თუმცა ერთიანობაში მაინც სანდომიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. კაცს თვალში ეცემოდა მისი გვარდიელის ჰალსტუხიც, რომელსაც, როგორც წესი, ინგლისში ყოფილი სამხედროები ატარებდნენ, რათა ერთმანეთი ეცნოთ. ერნესტის აზრით, ეს ჰალსტუხი, შესაძლოა, აყალმაყალის მიზეზიც კი გამხდარიყო, ბარში შემთხვევით ომის მონაწილე ინგლისელი რომ აღმოჩენილიყო. ჰემინგუეის მაინცდამაინც არც ახალგაცნობილის საუბარი მოეწონა, ფიცჯერალდი პირში აქებდა, გენიალურ მწერალს უწოდებდა, რაც მისი აზრით, არაეთიკური იყო. თუმცა მას შემდეგ, რაც სკოტმა შამპანური მოსვა, უფრო გათამამდა და კითხვების ჯიქურ დასმაც დაიწყო:

„— ერნესტ, — თქვა მან, — ხომ არ გენყინებათ, ერნესტი რომ დაგიძახოთ? მითხარით, ინექით თუ არა ცოლთან ქორწინებამდე?

- არ ვიცი.
- როგორ თუ არ იცით?
- არ მახსოვს.
- როგორ შეიძლება არ გახსოვდეთ ასეთი მნიშვნელოვანი რამ?”

ამ საუბრისას ფიცჯერალდს ოფლმა დაასხა, მერე კი შეშუპება სადღაც გაუქრა, სახის კანი დაეჭიმა და მიცვალებულის ფერი დაედო. მაშინ ჰემინგუეიც მიხვდა, რომ სკოტზე ალკოჰოლის მცირე დოზაც კი ძალზე ცუდად მოქმედებდა...

აი, ასეთ უცნაურ ვითარებაში მოხდა ამ ორი დიდი ამერიკელი მწერლის შეხვედრა. ჰემინგუეი, რომელსაც ჯერ ნაკითხულიც კი არ ჰქონდა იმხანად ახალგაშობილი „დიდი გეტსბი“, ფიცჯერალდს სერიოზულ მწერლად არც აღიქვამდა, მითუმეტეს, თვით სკოტისგან ჰქონდა მოსმენილი, თუ როგორ წერდა „სეთერლდი ივინგ პოსტისთვის“ მოთხრობებს, რომ-

ლებსაც თავდაპირველ სახეს განგებ უცვლიდა, ჟურნალის რედაქციის გემოვნებისთვის რომ მოერგო. „ამან შემაცბუნა, — იხსენებს ჰემინგუეი, — და ვუთხარი, ეს პროსტიტუციას ჰგავს-მეთქი, დამეთანხმა... თუმცა დასძინა, იძულებული ვარ ასე მოვიქცე, რადგანაც ჟურნალები ამ მოთხრობებში ნამდვილი წიგნების შესაქმნელად საჭირო ფულს მიხდიანო“.

ფიცჯერალდთან ურთიერთობა ყოველთვის მოულოდნელობებით იყო სავსე, თუმცა მათმა ლიონურმა თავგადასავალმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ერთ საღამოს, როცა კაფე „ლილას“ ღია ტერასაზე ისხდნენ, ვისკის სვამდნენ და ტროტუარზე მოარულ ხალხსა და საღამოს პარიზს გასცქეროდნენ, სკოტმა ჰემინგუეის სთხოვა, ლიონში წაყოლოდა, სადაც მან და მისმა მეუღლემ ღია რენო დატოვეს მოულოდნელად თავსდამტყდარი წვიმის გამო. ჰემინგუეი დათანხმდა, რადგან მომავალი მოგზაურობა რომანტიკულადაც კი მოეჩვენა. და აი, დროც დათქვეს... თუმცა მატარებლის სადგურზე მისულ ერნესტს სკოტი არ შეხვედრია. ჰემინგუეი იძულებული გახდა მარტო გამგზავრებულიყო ლიონში, სადაც ბევრი ძებნისა და წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მიაგნო დაგვიანებით ჩამოსულ მეგობარს...

ღია მანქანით ლიონიდან პარიზამდე მგზავრობა თითქოს სასიამოვნოც უნდა ყოფილიყო, რომ არა წვიმა და ფიცჯერალდის სიმთვრალე. როგორც გზაში გაირკვა, თურმე სკოტს ძალიან ეშინოდა პნევმონიით სიკვდილის, რადგან იმ დროს (XX საუკუნის ოციანი წლებში) ალკოჰოლიზმით დაავადებულთა უმეტესობა სწორედ ამ სენით კვდებოდა, სათანადო ნაძვლების არარსებობის გამო. „მე მაშინ ალკოჰოლიკების შესახებ არაფერი ვიცოდი“, — წერს ჰემინგუეი, — და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ერთ სირჩა ვისკის შექმნა ასე ძლიერ ემოქმედა ღია მანქანით წვიმის მოგზაურ ადამიანზე. იმ ერთმა სირჩა ვისკიმ კი სკოტს ბოლო მოუღო, მან თავი რატომღაც მომაკვდავად წარმოიდგინა და მეგობარს აუხიროდა, მგონი, ვკვდები და სიკვდილის წინ თერმომეტრი მაინც მიშოვე, რომ სიცხე გავიზომოო. სამწუხაროდ, ერთადერთი თერმომეტრი, რომელიც იმ საღამოს სასტუმროში აღმოჩნდა, წყლის ტემპერატურის საზომი იყო, ხის

კორპუსითა და ლითონის საძირავით. ერნესტმა თერმომეტრი პროფესიონალივით დაბერტყა და თქვა:

- „ — გაგიმართლა, რომ ანალური არაა.
- აბა, სად იდებენ?
- ილლიის ქვეშ“.

თერმომეტრი გაფუჭებული აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, სულ ოცდაათს აჩვენებდა, თუმცა ერნესტს ეს სკოტისთვის არც გაუხელია, პირიქით, მის დასამშვიდებლად თვითონაც გაიზომა სიცხე...

პნევმონიის დარდი მოხსნილი იყო, თუმცა სკოტს ახლა თავისი მეუღლე ზელდა გაახსენდა. პარიზთან ტელეფონით დაკავშირებას დრო სჭირდებოდა და აი, ვისკით შემთვრალმა ფიცჯერალდმა გადაწყვიტა, თავისი სიყვარულის სევდიანი ისტორია რამდენიმე ვარიანტად მოეთხორო. ჰემინგუეის პირველი ვარიანტი ყველაზე სევდიანად მოეჩვენა, რადგან თავდაპირველად სკოტმა ძალიან თანმიმდევრულად და სრულად მოუყვა, თუ რა ვითარებაში გაიცნო ზელდა ომის დროს, „როგორ დაკარგა და კვლავ როგორ დაიბრუნა...“ არც დაუმალავს, სან რაფაელოში მის მეუღლეს ფრანგი მფრინავი რომ შეუყვარდა. ჰემინგუეისთვის, ისევე როგორც მამაკაცთა უმეტესობისთვის, გაუგებარი უნდა ყოფილიყო, როგორღა ახერხებდა სკოტი ყოველ დამე ზელდასთან ერთად ყოფილიყო იმ საშინელი ამბის შემდეგ. თუმცა სკოტს ალბათ პატიების და სიყვარულის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. ეს თვით ჰემინგუეის მემუარული ნიგნიდანაც კი ჩანს, რომელიც, ლიტერატორთა აზრით, ცოტა არ იყოს, ტენდენციურია. სკოტის მეუღლე ზელდა ხომ, როგორც ეს მოგვიანებით გაირკვა, ფსიქიურად იყო ავად. ფიცჯერალდს კი მაინც უყვარდა... ამ თვალსაზრისით, ჰემინგუეი მისი სრული ანტიპოდი გახლდათ, რადგანაც სავსებით ჯანმრთელი და ერთგული ცოლი მიატოვა, რომელთან განშორებასაც სიცოცხლის ბოლომდე მტკივნეულად განიცდიდა.

მწერალს თავისი პირველი ცოლის, ჰედლის, სახე ძალიან რომანტიკულ ფერებში აქვს დახატული მოგონებათა ნიგნში, რომელშიც ნათლად ჩანს, რა დაუეწიყარ დროს ატარებდა ახალგაზრდა წყვილი ავსტრიის სათხილამურო კურორტ შნურსში. როგორც ირკვევა, XX საუკუნის ოციან წლებში ზამთრის სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს ფეხით უწევდათ გორაკებსა და მწვერვალებზე ასვლა საბაგიროთა არასებობის გამო. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ერნესტისა და ჰედლისთვის, პირიქით, უდიდეს სიამოვნებასაც კი განიცდიდნენ გაუკვალავ თოვლიან ფერდობებზე ასვლისას. მადლენერ-ჰაუსიდან დაშვების წინ ლამის გათევა ერთ ძველებურ სასტუმროში უწევდათ. შუადღისას წყლით გაჟღენთილ თოვლში სრიალი და ზვაში მოხვედრის საფრთხე რომ აეცილებინათ, გათენებამდე ადგებოდნენ გზას, თხილამურები მხრებზე შემოენწყათ, თავზე კი ვარსკვლავები დაჰნათოდნენ.

ჰედლის ისე უყვარდა ეს სპორტი, რომ თვით ფენძიძიობის დროსაც ვერ შეეღია. „როცა ზამბი უნდა დაბადებულიყო, მილანელმა ექიმმა თხილამურებით სრიალის ნება დართო, იმ გარანტიით, თუკი შევპირდებოდი, რომ არ დაეცემოდა... თუმცა მას ძალიან ლამაზი და საოცრად ძლიერი ფეხები ჰქონდა და არც ერთხელ არ წაქცეულა“, იხსენებს ჰემინგუეი. მას მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა მადლენერ-ჰაუსზე ასვლის წინ ძველებურ სასტუმროში გატარებული ღამეები, როცა ერთმანეთთან მიხუტებულაბს ეძი-

ნათ დიდ სანოლში, ფანჯარა ღია იყო, ცა კი კამკაშა ვარსკვლავებით მოჭედელი. მერე ზამბიც დაიბადა, მისტერ ზამბი, როგორც მას ერნესტი უწოდებდა. მას მომვლელ ქალს უტოვებდნენ, რომელიც ციგით ასეირნებდა. შნურსში ახალგაზრდა წყვილი ნოემბრის ბოლოს ჩადიოდა და აღდგომამდე რჩებოდა, ეს ხანა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ჰემინგუეისთვის. იქ გადაამუშავა მან რომანი „აღმობედების მზე“, დაწერა მრავალი მოთხრობა. თუმცა ეს ბედნიერი ხანა ხანგრძლივი არ ყოფილა. მალე მათ ცხოვრებაში შეიჭრნენ მდიდრები. ჰემინგუეი აღნიშნავს, რომ მათ ისე მიენდო, „როგორც ცირკის განვრთნილი ღორი“ თავის მწვრთნელს, როცა აქებდნენ, სიამოვნებისგან ინაბებოდა, ცხოვრება კი „დაუსრულებელი ფიესტა“ ეგონა... და მალე მასა და ჰედლის შორის ვილაც მესამე ჩადაც ძველი ნაცადი ხერხით. ის ჯერ ჰედლის დაუმეგობრდა, მერე სტუმრობას მოუხშირა, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ მწერალს, რომელიც აქამდე თავისი საქმით იყო გართული, გვერდით ორი მიმზიდველი ქალი ჰყავდა... და მალე ისინი უკვე სამნი გახდნენ, რადგან იმ მესამემ ყველაფერი იღონა, თავი უჩვეულოდ და იდუმალებითმოცულად რომ მოეჩვენებინა...

ჰემინგუეი თავის მემუარებში აშკარად ნანობს პირველ ცოლთან განშორებას, რის გამოც საკუთარ თავს ხან ცირკის განვრთნილ ღორს ადარებს და ხანაც მდიდარი მონადირის ერთგულ პოინტერს, თუმცა ლიტერატორები დარწმუნებულები არიან, რომ სინანული უფრო მძაფრი იქნებოდა, გამოცემისას მწერლის მეოთხე მეუღლეს, მერის, ვრცელი ციტატები რომ არ ამოეღო ნიგნიდან სხვადასხვა პირადულ მიზეზთა გამო. ამ თვალსაზრისის მომხრე ლიტერატორი ბრედლი აღნიშნავს, რომ ორიგინალში იყო ადგილები, სადაც ჰემინგუეი ბოდიშს უხდის თავის პირველ მეუღლეს ყველაფრისთვის, თუმცა ეს ვრცელი ციტატები ნიგნში ვეღარ მოხვდა, რადგან ჰედლის წამოწევა წინა პლანზე აშკარად დაჩრდილავდა ჰემინგუეის დანარჩენ მეუღლეებს, მათ შორის, მერისაც.

ამრიგად, თვით მწერალიც ადასტურებდა, რომ პირველ ცოლს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა, სრულიად უმიზეზოდ დაშორდა გაცილებით მდიდარ ქალთან რომანტიკული ცხოვრების პერსპექტივის გამო...

სრულიად სხვა ფსიქიკის ადამიანი გახლდათ ფიცჯერალდი, მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი მოღალატე და ავადმყოფი ცოლიც კი არ მიუტოვებია, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით უშლიდა ხელს მუშაობაში. დაიწყებდა თუ არა წერას, ზელდაც აუხირდებოდა, მომწყინდა შინ ჯდომა, სადმე წავიდეთ, გავერთოთო. სკოტი იძულებული ხდებოდა სამუშაო შეენწყვიტა და ცოლს გაჰყოლოდა. მათი ღამის გართობები, როგორც წესი, ალკოჰოლური მონამვლით მთავრდებოდა. ჩვეული ფორმის აღდგენა ადვილი არ იყო და სკოტსაც ხშირად უწევდა ერნესტთან ერთად შორ მანძილზე გასეირნება. ფეხით სიარულს ალკოჰოლი ორგანიზმიდან გამოყავდა და ისიც მტკიცე გადაწყვეტილებას იღებდა, აღარ დაეღლია და ემუშავა. გარკვეულ ხანს ამას ახერხებდა კიდევ, თუმცა მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა...

სამხედრო მფრინავით გატაცების შემდეგ ზელდას სკოტისთვის მამაკაცთან ეჭვიანობის მიზეზი აღარ მიუცია, თუმცა, როგორც ჰემინგუეი აღნიშნავს, სკოტი მაინც დაძაბული იყო... ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა, თვით მეგობარ ქალებთან ზელდას ურთიერთობასაც კი... ფიცჯერ-

რალდს ამჯერად ყველაზე მეტად გონების დაკარგვამდე დათრობისა ემინოდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან მეგობრებს ის და ზელდა მონმარტრის კაფეებიდან ახლა უფრო ხშირად მიჰყავდათ სახლში ბავშვებივით ჩაძინებულები, რათა ლოგინში ჩაენვინათ... ყოველივე ამას კი შედეგად ის მოჰყვამდა, რომ სკოტს თავისი ძირითადი და უსაყვარლესი საქმიანობისთვის — მწერლობისთვის — დრო და ენერგია აღარ ჰყოფნიდა... მას მართლაც „არაფერი კარგი აღარ დაუწერია, ვიდრე არ მიხვდა, რომ ზელდა ჭკუიდან შეიშალა“.

პირველი შეტევის შემდეგ, რომელიც ზელდამ ასე თუ ისე გადაიტანა, ერნესტი კვლავ შეხვდა მეგობარს პარიზში. სკოტმა იგი რესტორან „მიშონი“ დაპატიჟა, თან დასძინა, რომ რალაც სერიოზული კითხვის დასმა სურდა, რომლის პასუხსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. რესტორანში მეგობრები თავდაპირველად ზოგად საკითხებზე საუბრობდნენ, საერთო ნაცნობებზე, თუმცა ბოლოს, როცა სადილობა დაამთავრეს და ალუბლის ტორტზე გადავიდნენ, სკოტმა, როგორც იქნა, გაბედა მთავარი კითხვის დასმა:

„ — იცოდი, რომ ზელდას გარდა სხვა ქალთან არასოდეს ვნოლილვარ?

— არა, მე ეს არ ვიცოდი.

... ..

— სწორედ ამის შესახებ მინდოდა მეკითხა.

— კარგი, გისმენ.

„ზელდამ მითხრა, ისეთი აგებულება გაქვს, არცერთი ქალის გაბედნიერება არ შეგიძლიათ. მიაჩნია, რომ მისი ავადმყოფობის უმთავრესი მიზეზი სწორედ ესაა. რაც ეს მითხრა, ადგილს ვეღარ ვპოულობ, მინდა სიმართლე ვიცოდე.

— კაბინეტში წავიდეთ, — ვუთხარი მე.

— სად?

— ტუალეტში...“

ჰემინგუეი იხსენებს, როგორ ცდილობდა დაერწმუნებინა მეგობარი, რომ სრულიად ნორმალური აგებულებისა იყო, ამისთვის ლუვრში წასვლა და მამაკაცთა შიშველი ქანდაკებების დათვალიერებაც კი შესთავაზა, რათა საკუთარი თავი მათთვის შეედარებინა და დამშვიდებულიყო.

„ — მამ რატომ მითხრა ასეთი რამ? — აღარ ეშვებოდა სკოტი.

— იმიტომ, რომ შენთვის თავგზა აერია. — უპასუხა ერნესტმა, — ეს ადამიანისთვის ტვინის არევის უძველესი მეთოდია“.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ფიცჯერალდისადმი მიძღვნილი თავების წაკითხვის შემდეგ წიგნიდან „განუყრელი დღესასწაული“? ალბათ, მხოლოდ იმის, რომ ფ.სკოტ ფიცჯერალდი არა მხოლოდ უდიდესი მწერალი, არამედ ერთგული ადამიანიც გახლდათ. მასზე, როგორც ჩანს, ძლიერ იმოქმედა მეუღლის ფსიქიურმა აშლილობამ. გარდაიცვალა ზელდაზე რვა წლით ადრე, 1940 წელს, გულის შეტევით.

პირველ-მეორეზე გაითვალეთ!

ამას წინათ „ლიტერატურულ გაზეთში“ (№85, 2-15 XI. 2012) პოეტმა ვახტანგ ჯავახიძემ წერილი დაბეჭდა, რომლის პირველ ნაწილში მოჰყავს რამდენიმე ამონარიდი ქართული ლიტერატურისა და გ. ტაბიძის სალანძღავი წერილებიდან, რაც, რა თქმა უნდა, არ მოსწონს, ისევე, როგორც ქართული ლიტერატურის ორიოდ მწერლის ანაბარა დატოვება, ხოლო წერილის მეორე ნაწილში თვითონ აკეთებს იმას, რასაც სხვას უკიჟინებს. ძალიან თვითდაჯერებულად აცხადებს, რომ საქართველოში მხოლოდ ორი პოეტია გ. ტაბიძე და ბ. ხარანაული. თუ სხვას ვინმეს ახსენებს, მხოლოდ „გალაკტიონის მოყვარულთა ლეგიონის“ სახით.

ბ. ხარანაულის ვერლიბრის გარდა, თურმე სხვათა თავისუფალი ლექსები იწერება და იწერება, იბეჭდება და იბეჭდება და მერე რა? ხვიშტი.

ჩვენი პროვინციული მენტალიტეტი სულ პირველ პოეტს ეძებს, პირველ მხატვარს, პირველ მუსიკოსს, ამოიჩემებს ერთს, იარლიყს მიაკრავს და მორჩა. კონკრეტული შემსრულებლებისთვის ამ მენტალურ-რიტუალური ცეკვის, ალბათ, გარკვეული მიზეზებიც არსებობს, შეიძლება ცოტა, მაგრამ წონიანი.

მინდა გავახსენო ბატონ ვახტანგს, რომელსაც სრული უფლება აქვს ჩემი ლექსები არ მოსწონდეს (ისევე, როგორც არანაკლებ მნიშვნელოვან ადამიანებს შეიძლება ბ. ხარანაულის ან რომელიმე არნახსენები პოეტის ლექსები არ მოსწონდეს), რომ როცა მე ვერლიბრის წერა და ბეჭდვა დავიწყე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე მიყვიროდა: — შენი სტურუიზმებით რყვნი ახალგაზრდობასო, პრესაშიც მლანძღავდნენ და ცეკას პლენუმებზეც, ვერლიბრს ანტიქართული მოვლენად მიიჩნევდნენ, ბ. ხარანაული მაშინ არ ჩანდა, მან ქრონოლოგიურად უფრო გვიან დაიწყო ბეჭდვა. თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მთავარი ისაა, რომ არავის, არასოდეს, მტერს და მოშურნესაც კი არ უთქვამს, რომ ჩემი და ბ. ხარანაულის ლექსები რამით ჰგვანან ერთმანეთს. ბატონი ჯავახიძე კი ყველას, მათ შორის რამდენიმე ძალიან კარგ ქართველ პოეტს, ხარანაულის მიმბაძველებს უწოდებს (გვარების დაუსახელებლად). მე ჩემს თავზე არასოდეს მილაპარაკია და დამინერია, მაგრამ ახლა ვაძლევ თავს უფლებას ვთქვა, რომ არანაკლები პატივისცემელი და მიმდევარი მყავს, ერთი განსხვავებით, ისინი, ჩემი არ იყოს, ყოჩაღები და პიარის ხელოვნებაში განაფულები ვერ არიან.

ერთადერთ ციტატას მოვიყვან: „ლია სტურუა კოსმოსის პოეტი. მისი ხილვები, როგორი შემადრწუნებელიც არ უნდა იყოს, უსასრულობისკენ, თავისუფლებისკენ გვეძახის. არ დავმალავ, მათი სახეობრივი, თუ მეტაფორული სიმძლავრე იმდენად ტევადია, ხშირად მთელ ფილმს ეყოფა და ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ სიხარულითა და შური აღფუფისივარ“ (რეზო ესაძე, „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 11 აგვისტო).

ანა ახმატოვა ამბობდა: „ჩვენ ოთხნი ვართ“ („Нас четверо“) იგულისხმებოდნენ მ. ცვეტაევა, ბ. პასტერნაკი, ო. მანდელშტამი და თვითონ, გავისხენოთ პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი, ფრანგი სიმბოლისტი პოეტები. ამ კულტურასთან, ეტყობა, კიდევ, მისასვლელები ვართ, ამისთვის ალპინიზმი არ არის საჭირო, სიძნელე კი არსებობს, თუმცა მენტალიტეტების ომში სისხლი არ იღვრება.

— ქართველო პოეტებო! სდექ! სწორდით! პირველ-მეორეზე გაითვალეთ!

ლია სტურუა

სულიერი საზრდო ავერინცევისაგან

დიდი რუსი მეცნიერი, ფილოლოგი, „ანტიკოსი“, ბიზანტი-ნისტი, გერმანისტი, სლავისტი, მთარგმნელი, ლექტორი, პოეტი, სსრკ მწერალთა კავშირის წევრი (1985, ამ კუთხით ის სრულიად უცნობია ქართული საზოგადოებისთვის); რუსეთის ბიბლიური საზოგადოების თავმჯდომარე (1990); მანდელშტამის საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარე (1991); კულტუროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი. სსრკ მა-ს წევრ-კორესპონდენტი (1987); რმა-ს ნამდვილი წევრი (2003); სსრკ დეპუტატი (1989-1991). მისი სამეცნიერო შრომების, სტატიების, თარგმანებისა და სხვა საქმეთა ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს. ის კი უნდა აღვნიშნოთ, მან 1961 წელს დაამთავრა ლომონოსოვის სახელობის მსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილება; 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „პლუტარქოსი და ანტიკური ბიოგრაფია“, რომელსაც მიენიჭა ლენინური კომკავშირის პრემია; 1977 წელს გამოვიდა მისი ძალიან ცნობილი ნაშრომი „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“, სრულიად ახლებურად დანახული და გადააზრებული უზარმაზარი მასალა, რომელმაც მეცნიერს მსოფლიო აღიარება მოუტანა და რომელიც 1979 წელს წარდგენილ იქნა სადოქტორო დისერტაციად... მის შრომებს, ცხადია, ძალიან კარგად იცნობენ საქართველოშიც. მას ბევრ ქართველ მეცნიერთან აკავშირებდა პირადი ნაცნობ-მეგობრობა, საქართველოში ყოფნისას სტუმრობდა ხოლმე მათ. ისინი ალბათ დანერგნენ ოდესმე ამ ურთიერთობის შესახებ. ჩვენ არ ვისარგებლებთ მათი გამოუქვეყნებელი „მოგონებებით“, ამიტომაც მკითხველთა ფართო საზოგადოებას სერგეი სერგეევიჩის მეგობრის ქალბატონ ტ. ა. მილერის ორ, ჩვენი თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო გასაჯაროებულ მოგონებას შევთავაზებთ:

1974 წელს სერგეი სერგეევიჩ ავერინცევი გაემგზავრა ტარტუში. მან ჩემგან იცოდა, რომ ტარტუდან პეჩორაში მიდიოდა ავტობუსი... პატივცემული პროფესორი ღამის სამ საათზე წავიდა ავტობუსით პეჩორაში, შევიდა მონასტერში, შეხვდა ვილაც ბერს, რომელმაც უბრძანა: „ნადი, მიეხმარე სეფისკვერების ცხობაში“. სერგეი სერგეევიჩიც წავიდა სეფისკვერების გამოსაცხობად და თან მოასწრო ტარტუში სამეცნიერო სხდომის დაწყებამდე დაბრუნებულიყო. ამ ეპიზოდში მე დავინახე ცხადი მინიშნება, რომ ეკლესია სერგეის იღებდა, ვითარცა თავისიანს და ამიტომ სიხარულით ვიმეორებდი: „რა კარგია, რა კარგია, რომ თქვენ მოგანდეს ეს!“;

ტ. ა. მილერის მეორე მოგონება სერგეი სერგეევიჩზე კი საქართველოს დედაქალაქთან, თბილისთანა დაკავშირებული: „1975 წელს, აღვსების ოცდამეხუთე დღეს, თბილისში ჯვარი დაინერეს სერგეი და ნატალია ავერინცევიებმა. ამ ქალაქში ისინი კლასიკური ფილოლოგიის კონფერენციაზე ჩამოვიდნენ, მათი პასპორტები იყო სასტუმროში, რომელთა წარდგენის გარეშეც

ჯვრისწერა შეუძლებელი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ნაცნობთა მეოხებით, მათ ჯვარი მაინც დაინერეს სიონის საკათედრო ტაძარში, რომელშიც ინახება მოციქულთა სწორი წმიდა ნინოს თმით შეკრული ვაზის ნასხლევათა ჯვარი. ამ ქართულ ტაძარში არის გამოქვაბულის მსგავსი მცირე ნიში, რომელშიც ღვთისმსახურება რუსულად აღესრულება. აი, სწორედ იქ დაინერეს ჯვარი ახალგაზრდებმა. იქ მყოფი დიდი გულითადობით შეხვდნენ მოსკოველ ჯვარდანერეულ და უხვად აძლევდნენ სეფისკვერებს. „იმდენი მოგვცეს, — იხსენებდა შემდეგ სერგეი, — რომ მთელ

დღეს მხოლოდ იმით ვიკვებებოდიო“; 1976 წლის 25 თებერვალს, ივერიის ღვთისმშობლის ხსენების დღეს კი დაიბადა მისი პირველი შვილი მამა ავერინცევა. სერგეი სერგეევიჩი ამაშიც რალაც ერთგვარ საღვთო მინიშნებას ხედავდა (რამდენიმე წლის დაქორწინებულ წყვილს შვილი არ ეძლეოდათ, ქ. ჯ.), რომ შეეძინა არა ვაჟი, არამედ — ასული“ ...


დაბოლოს, სერგეი სერგეევიჩის უცნობილესი ნაშრომიდან — „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“ — ერთი თავი „სიტყვა და წიგნი“ მცირე შემოკლებით ჯერ კიდევ XX ს-ის 80-იან წლებში თარგმნა თამაზ ჩხენკელმა, ხოლო 1994 წელს მე მოვიკიდე ხელი მთელი ნაშრომის თარგმნას, ვინაიდან მსურდა ეს ნაშრომი ვინრო სპეციალისტთა წრიდან ფართო საზოგადოებამდე მიმეტანა, როგორც ჩვენი კულტურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი. თარგმანზე მუშაობა მიწვედა იმ დროს, როდესაც საქართველოში იყო უაღრესად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სერგეი სერგეევიჩის ნაშრომი, მის თარგმანზე მუშაობა ცხოვრებას მიაღვლიდა, შინაგანად მათობდა. ისეთი განცდა მქონდა, რომ

დიდი მეცნიერი უხილავად მედგა მხარში და მკარნახობდა ყველაფერს. თარგმნისას ვამონებდი და ვეცნობოდი ყველა წყაროს, რასაც კი მივწვდებოდი და აი, ერთი თავის ლიტერატურაში — „სამყარო, როგორც სკოლა“ — ტექნიკური შეცდომა აღმოვაჩინე, წყარო სწორად არ იყო მითითებული, ისუ ზირაქის XXIV თავის ნაცვლად დასახელებული იყო ეკლესიასტე XXIV. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... ზემოხსენებული ნაშრომის ერთი თავის — „თანხმობა და უთანხმოება“ — თარგმანი გამოქვეყნებულია „ჩვენს მწერლობაში“ №4, 2001; რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხედი როსტომ ჩხეიძეს...

ძალიან მწყდება გული, რომ არ მეყო გამბედაობა, „უცნობობის სინდრომით შეპყრობილს“ და ამავე დროს წუთისოფლის კანონის დამინყებელს, პირადი ურთიერთობა დამემყარებინა ამ უდიდეს რუს მეცნიერთან, მართლმადიდებლობის რჩეულ შვილთან — სერგეი სერგეევიჩ ავერინცევიტან...

ახლა კი მის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, დიდი მეცნიერისადმი ჩვენი პატივისცემის ნიშნად, მკითხველებს ვთავაზობთ მისი მეუღლის, ქალბატონ ნატალია პეტროვნას მოგონებებს მეუღლეზე და ასევე სერგეი სერგეევიჩის ორ ინტერვიუს ზოგადად ფილოლოგიის საკითხებზე, რომლებიც, დარწმუნებულნი ვართ, ძალიან დიდ სულიერ საზრდოს მიაწვდიან ქართველ მკითხველს.

ქატიკან ჯირკალაძე



სერგეი სერგეევიჩ ავერინცევი (10.12.1937 მოსკოვი — 21.2.2004, ვენა) მისივე ანდერძის თანახმად, დაკრძალულია მოსკოვის დანილოვსკის სასაფლაოზე

ათონის მთა და ქართველი მოღვაწენი

(ნიმუ საგაგრილს
ქსაუზრება
ქეთეპან პავლიაშვილი)

— მე-19 საუკუნე არა მარტო საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნისთვის — რუსეთის იმპერიისათვის — არამედ ზოგადად ქრისტიანული სამყაროსთვისაც რთული პერიოდი. ისტორიკოსები მე-19 საუკუნეში მიმდინარე პროცესებს მე-18 საუკუნის განმანათლებლობისა და რაციონალიზმის ეპოქის შედეგს უწოდებენ.

რაციონალიზმმა გამოიწვია არა მხოლოდ იდეურ-სარწმუნოებრივი ცვლილებანი ეკლესიის შიგნით, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზეც, რასაც მოჰყვა პოლიტიკური კატაკლიზმები. ევროპაში დაიწყო ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის ძალთა გადანაწილებისათვის ბრძოლა, გაიზარდა კოლონიების მიტაცებისათვის ბრძოლები, ერთმანეთის სასაზღვრო ტერიტორიათა დაუფლების მცდელობანი და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო იძაბებოდა ამ მხრივ სიტუაცია.

— რა შუაშია საქართველო და ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთი ზემოაღნიშნულთან მიმართებით?

— XIX საუკუნეში რუსეთი უკვე კარგა ხნის შემდგარი იმპერიაა, რომელიც კულტურულ აღმავლობას — „ვერცხლის ხანას“ განიცდის. შესაბამისად, დიდი ამბიციები აქვს საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის. მას, როგორც დიდი ამბიციის მქონე ქვეყანას, პირველ რიგში საერთაშორისო არენაზე უნდა დაემკვიდრებინა მაღალქრისტიანული, პოლიტიკურ-იდეურად ძლიერი სახელმწიფოს რენომე, რასაც ზოგადად ქმნიდა ისტორიული მემკვიდრეობა. რუსეთს, შეიძლება ითქვას, ასეთი რეპუტაცია XIX საუკუნეში უკვე ჰქონდა.

— გთხოვთ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს ისტორიული მემკვიდრეობა?

— იმ დროისათვის, ქრისტიანულ-ისტორიული მემკვიდრეობა ნიშნავდა წმინდა ადგილებზე — ათონის მთასა და იერუსალიმში — სარწმუნოებრივ-კულტურულ-პოლიტიკურ იურისდიქციის ფლობას.

ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ პეტრე პირველმა დაიწყო, მე-19 საუკუნიდან კი გაძლიერდა რუსეთის ძალისხმევა საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის. იმისათვის, რომ რუსეთს წმინდა ადგილებზე ძალაუფლება მოეპოვე-

ბინა, ორი მიმართულებით უნდა გაეშალა მუშაობა და განსაკუთრებით დაეხვეწა საეკლესიო დიპლომატია, რასაც რუსეთმა წარმატებით გაართვა თავი. ალბათ, მსოფლიოს დღემდე ასეთი დახვეწილი და მაღალი დონის საეკლესიო დიპლომატია არ ახსოვს. საეკლესიო დიპლომატიით რუსეთმა მართლმადიდებლობა და ეკლესია აქტიურად ჩართო საგარეო პოლიტიკაში. ეკლესია და სახელმწიფო ხელისუფლება ერთობლივად მოქმედებდა რუსული პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ამრიგად დაიწყო რუსეთმა პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებისათვის ორი მიმართულებით მუშაობა: შორეული აღმოსავლეთით — იერუსალიმისაკენ, ხოლო დასავლეთით — ათონისაკენ. იერუსალიმში გაბატონებას მისთვის უნდა მოეტანა მთელ აღმოსავლეთზე დომინანტობა, ხოლო ათონზე — ევროპაში.

ასე გადაეჯახა ერთმანეთს რუსეთში საეკლესიო და სამოქალაქო დიპლომატია და გაჩნდა შესაბამისი ტერმინები: რუსული „პალესტინიანა“ და რუსული „ათონიანა“.

— რა ადგილი უკავია ამ დროს საქართველოს რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში?

— მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველო უკვე რუსეთის იმპერიის ნაწილია. მართალია, მას განაპირა და სასაზღვრო რეგიონად იხსენიებს, მაგრამ ეს მხოლოდ გეოგრაფიული ნიშნის განმსაზღვრელია, რუსეთისთვის საქართველოს ძირითადი დატვირთვა აქვს მის საგარეო პოლიტიკაში. მისთვის ცნობილია, რომ ქართველებს ძველი და უდიდესი საგანე აქვთ ათონზე — ივირონი, რომელიც გადაგვარების საფრთხეს განიცდის. იმის გამო, რომ

საქართველო საუკუნეთა მანძილზე ოსმალებისა და ყიზილბაშთა სათარეშო ასპარეზი იყო, ქართველები ვერ იცლიდნენ სათანადოდ ეზრუნათ სულიერ საგანეებზე, რის გამოც დროთა განმავლობაში ათონზე მცირდებოდა ქართველი ბერების რაოდენობა, ბერძნები ამით სარგებლობდნენ და სულ უფრო მეტად მძლავრობდნენ მასზე.

არსებული ვითარება რუსეთის იმპერიისთვის კარგად იყო ცნობილი. იგი საჯაროდ აცხადებდა, რომ ივირონი მისი კუთვნილება იყო, რადგან საქართველო მისი იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახლდათ.

— თუ რუსეთი საქართველოს მის კუთვნილებადაცხადებდა და საზღვარგარეთაც მისი კუთვნილი ქონება მას ეკუთვნოდა, რატომ ქმედით ნაბიჯებს არ დგამდა ივირონზე გაბატონებისათვის?

— თუ რუსეთის იმპერია ღიად დაინყებდა ბრძოლას ივირონისათვის, მაშინ მას აშკარად მოუხდებოდა მსოფლიო პატრიარქთან დაპირისპირება, რამეთუ სწორედ მისი მეთვალყურეობის ქვეშ იყო ათონის წმინდა მთა.

მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი დაეცა, ბერძენ ერს იმპერატორი აღარ ჰყოლია, ოსმალებისგან მათი მფარველი და პატრონი კონსტანტინეპოლის პატრიარქი იყო. ეს ისტორიული სურათი გვახსენებს იმ რეალობას, რაც V-VI საუკუნე-



* დიალოგი მეორე

ებში რომის იმპერიის დასავლეთ ტერიტორიაზე განვითარდა. ბარბაროსთაგან ლათინებს რომის პაპი იცავდა. ანალოგიური პირობა შეექმნა კონსტანტინეპოლის პატრიარქსაც მე-15 საუკუნის შემდეგ, როდესაც კონსტანტინეპოლი დაეცა.

მიუხედავად ამისა, კონსტანტინეპოლის პატრიარქი თავის მოქმედებებში დამოუკიდებელი არ ყოფილა და მაინც ის ბერძენი ერის დამცველი იყო, თანამოსაყდრე იმ უბედურებისა, რაც მაშინ ბერძენ ერს სჭირდა. ერთადერთი ცენტრი, რომელზედაც პატრიარქს ჯერ კიდევ იურისდიქციული უფლება ჰქონდა კონსტანტინეპოლის ფარგლებს გარეთ — ათონი გახლდათ.

შესაბამისად, ცდილობდა, რომ ათონის მონასტრები, რომლებიც აშენებული იყო სხვადასხვა ერის მიერ, ბერძენების ხელში ყოფილიყო, რადგან მათ უკვე სხვაგან უფლებები აღარ ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ათონის არაბერძნულ მონასტრებს ბერძნული აგრესიის მუდმივი საფრთხე ემუქრებოდათ. მათ შორის რუსული მონასტრებიც იყო.

თავის მხრივ რუსეთსაც ჰქონდა პრობლემები ათონის მთაზე და შესაბამისად ივირონისთვის ვერ იცლიდა.

— ათონზე ქართველთა პრობლემები გასაგებია, მაგრამ რა პრობლემები უნდა ჰქონოდათ რუსებს?

— ამის ასახსნელად საჭიროა გავიგოთ, რა დამოკიდებულებაშია რუსეთი ამ დროს ივირონთან. მე-18 საუკუნიდან რუსი ბერები ათონზე რიცხოვნობით მრავლდებიან; ისინი იმპერიისგან უხვად ფინანსდებიან, რაც საშუალებას აძლევთ ათონის მიტოვებული ტაძრები და მიწის ნაკვეთები შეიძინონ. როგორც ცნობილია, საბერძნეთი ისევ თურქეთის ბატონობის ქვეშაა, მას ეკონომიკურად ძალიან უჭირს ათონზე სხვადასხვა ერთა მიერ მიტოვებული მონასტრების შენახვა. ვერც პატრიარქი ახერხებს მათ მატერიალურად უზრუნველყოფას, არც მზრუნველი, იმპერატორი აღარ ჰყავთ, ამიტომ იძულებულნი არიან, ათონზე მონასტრების ირგვლივ ნაკვეთები გაეყიდონ, რომლებსაც რუსები ჩალის ფასად იძენენ.

რუსეთის იმპერია იერუსალიმში არაბებისგან და ათონის მთაზე ბერძენებისგან შესყიდულ მიწებზე აშენებს გრანდიოზულ ტაძრებს და ჰქმნის დიდ სამონასტრო კომპლექსებს. მაგალითად; ათონის ე.წ. რუსიკი, იმავე წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის სამონასტრო კომპლექსი. მასში ათობით მონასტერი შედის. უკვე ფაქტი იყო, რომ ათონს იპყრობდა რუსეთის იმპერია, ეს კი კონსტანტინეპოლის პატრიარქისა და იქაური ბერძენებისთვის უკიდურესად გამაღვიანებელი გახლდათ. ყველაზე გრანდიოზული, ძალიან მდიდრულად მორთული ტაძრები რუსების აშენებული იყო.

ივირონიმ და მაკარი ამ უდიდესი კომპლექსის — რუსიკის — XIX საუკუნეთა ილუმინები იყვნენ. ეს „რუსული ათონიანას“ აღორძინების პერიოდი იყო. იმავდროულად მიმდინარეობდა ბრძოლა ბერძნებსა და რუსებს შორის, რადგან არც კონსტანტინეპოლის პატრიარქს და არც ბერძნებს ხელს არ აძლევდათ რუსების ასეთი გაძლიერება. ისინი ხვდებოდნენ, რომ დღედღეზე ათონს დაკარგავენ, ამიტომ მათ შორის დაპირისპირება სულ უფრო ღრმავდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩევა საერთაშორისო მასშტაბით გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომელიც საეკლესიო ისტორიაში „ბერძნულ-რუსული პანტელეიმონის პროცესის“ სახელით შევიდა, რომელიც ორი წელი გრძელდებოდა. როგორც იმდროინდელი პრესა იუწყება, მათ შორის ქართულიც, სასამართლო პროცესის მოსაგებად რუსეთის იმპერიამ დიდძალი თანხა გადაიხადა.

საისტორიო წყაროთა თანახმად, ივირონიმ დიდძალი ოქრო ჩაიტანა კონსტანტინეპოლში. მართალია, ეს ტერიტორიები რუსებს ჰქონდათ შესყიდული, მაგრამ თავის დროზე ისინი ბერძენების, სერბების, ბულგარელების საკუთრება იყო, რომლებიც თურქებისგან ერთნაირად დაზარალებდნენ და ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. როდესაც ეს პროცესი მიმდინარეობდა, ბერძენები ივირონის საქმეებში არ ერეოდნენ.

— როგორ განვითარდა მოვლენები „ბერძნულ-რუსული პანტელეიმონის პროცესის“ დასრულების შემდეგ?

— ამ „პროცესის“ დასრულებისთანავე რუსებმა ყველაზე დიდი გავლენა მოიპოვეს ათონზე, არცერთი ბერძენი არ დატოვეს „რუსიკი“. პროგრამა მაქსიმუმში იყო დანარჩენი წმინდა ბერძნული მონასტრების ხელთ გდება, მაგრამ ამის განხორციელება რუსებს აღარ დასცალდათ, რადგან XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიაში იწყება უკუსვლა, რომელიც რევოლუციით დასრულდა. რუსებმა ვეღარც ივირონზე გაბატონება მოასწრეს და ასე დაკარგეს ქართველებმა საბოლოოდ ივირონი.

რუსულ რევოლუციას საბჭოთა წყობილების დამყარება და ათეიზმის ხანა მოჰყვა, რომელმაც არათუ ივირონზე, არამედ რუსულ მონასტრებზეც დააკარგინა უფლებები.

სტალინის ხელისუფლებაში მოსვლისას კვლავ დადგა პალესტინისა და ათონის კუთვნილების საკითხი. საისტორიო წყაროების მიხედვით, სტალინს შემუშავებულიც ჰქონია პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ათონსა და პალესტინაში სრული უფლების მოპოვებას.

— ათეიზმის დროს სრული უფლებების მოპოვება ათონსა და პალესტინაში ხომ არ ნიშნავდა პოლიტიკური გავლენისთვის ბრძოლას?

— ბუნებრივია, აქ არაა საუბარი გულწრფელ რწმენაზე. ამ შემთხვევაშიც, როგორც ეს რუსეთისათვის იყო დამახასიათებელი, ეკლესია და სარწმუნოება პოლიტიკური ინტერესებისთვის იქნა გამოყენებული.

ანტისაეკლესიო იდეოლოგიის გამო საბჭოთა კავშირს ამერიკასა და ინგლისში სახელი ჰქონდა შეღახული, რაც არ იყო სტალინის ინტერესებში. მას სურდა მსოფლიოსთვის დაენახებინა, რომ საბჭოთა ქვეყანა სულიერი საგანძურის დამფასებელია.

რაც შეეხება პალესტინას, ამ კუთხით კიდევ უფრო სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა. რევოლუციის გამო იმპერიამ იქ ბევრი ტაძარი დაკარგა. საბჭოთა ხელისუფლების დროს სტალინის დამსახურებით რამდენიმე ტაძარი გამოისყიდეს, მაგრამ შემდგომ ხრუმჩოვმა ჩალის ფასად — 2 მილიონ დოლარად — გაყიდა. საბჭოთა დიპლომატიის ისტორიაში ეს გადამწყვეტილება შევიდა „ფორთოხლის გარიგების“ სახელით.

სტალინის ინტერესი საეკლესიო თვალსაზრისით საერთაშორისო მასშტაბისა იყო. შორეულ აღმოსავლეთსა თუ ბალკანეთს ის თავის უფლებებში მოიაზრებდა, ისევე როგორც თავის დროზე რუსეთის იმპერია. ამ მხრივ მათ ინტერესებში განსხვავება არ შეინიშნება.

— რატომ გაყიდა ფასდაუდებელი საგანძური ხრუმჩოვმა?

— ხრუმჩოვს სურდა, რომ საბჭოთა ქვეყანაში გაეშენებინა ციტრუსის პლანტაციები, განეხილათ საფეიქრო მრეწველობა, რისთვისაც, ბუნებრივია, თანხები ესაჭიროებოდა. პალესტინის ხელისუფლებასთან დაიდო ხელშეკრულება, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში შევიდა

„ფორთოხლის გარიგების“ სახელწოდებით.

— როგორ შეიქმნა „ახალი ათონი“ აფხაზეთში?

— „ბერძნულ-რუსული პანტელეიმონის პროცესი“ თითქმის ორი წელიწადი გაგრძელდა. რუსეთმა იცოდა, რომ ეს გამარჯვება დროებითი მოვლენა იყო. ბერძნები ისევ დაინყებდნენ ბრძოლას „რუსიკის“ დაპატრონებისათვის. მათ ზურგს უმაგრებდა მსოფლიო პატრიარქი, სარგებლობდა რა იმით, რომ მსოფლიო საქრისტიანოში პირველი ავტორიტეტი იყო. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ რუსებმა დაიწყეს ფიქრი, თუ გაჭირვების დროს თავი სად შეეფარებიან. წლების მანძილზე მიმდინარეობდა რუსეთის უწმინდესი სინოდის მოლაპარაკებანი რუსეთის იმპერატორთან, სინოდის ობერ-პროკურორთან ალტერნატიული ადგილის შესარჩევად. ასეთ ალტერნატიულ ადგილად შეირჩა აფხაზეთი, დღევანდელი „ახალი ათონი“.

ეს არის ერთგვარი ფილიალი, უჯრედი ძველი ათონის „რუსიკისა“. მოლაპარაკებათა დაწყების დროს ათონელ ბერებს, იმპერატორსა და ობერ-პროკურორს შორის გადაწყდა, რომ ჩრდილოკავკასიის მთელი მასშტაბით უნდა აშენებულიყო „რუსიკის“ მსგავსი სავანეები, დაახლოებით 10-15 მონასტერი მოზდოკისკენ, მინერალურ წყლებთან, მაგრამ ათონის მთის ცენტრი კავკასიაში ახალი ათონი უნდა ყოფილიყო, რომელიც ისევე იწოდება, როგორ ათონის „რუსიკი“ — „დიდმონამე წმინდა პანტელეიმონის სახელობის მონასტერი“.

ახალი ათონის მონასტერი იმავე ტიპიკონით მოქმედებდა (დღესაც ეს წეს-განგება მოქმედებს), როგორც ძველი ათონის რუსული მონასტერი. მოლაპარაკებათა შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით, ათონის მთიდან ილუმენმა იერონიმემ ადგილის შესარჩევად 5-კაციანი იერომონაზონთა ჯგუფი გაგზავნა. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ფილიალისთვის უნდა შერჩეულიყო ზღვის სანაპირო და აუცილებლად ათონის ნახევარკუნძულის მსგავსი.

ასეთი ადგილი აფხაზეთი, კონკრეტულად კი სოხუმი აღმოჩნდა, რომელიც გეოგრაფიულად ათონის გარემოს, კლიმატის მსგავსია. მონასტერი შენდებოდა დაახლოებით 10 წელს. იმპერიის მასშტაბით გამოცხადდა შენერულობათა გაღება. დღეს იქ ასობით რუსი ბერი მოღვაწეობს. ის წმინდა რუსული სავანეა.

საინტერესოა, რომ ათონიდან ახალ ათონზე მშენებლობის დასაწყებად ჩასულ ბერებს დახვდათ სიმონ კანანელის სახელობის ქართული მონასტრის ნანგრევები, სადაც განისვენებს მოციქულის ნეშტი. რუსეთის იმპერატორის მიერ გაცემულ სიგელში აღნიშნული იყო, რომ პანტელეიმონის მონასტრის მშენებლობისას სიმონ კანანელის ტაძრის ნაშთები ხელშეუხებლად დარჩენილიყო. მიუხედავად ამისა, იმპერატორის ბრძანება არ შესრულდა. დღეს რუსული პანტელეიმონის მონასტერი ქართული ტაძრის ნაშთებზეა აგებული, რომელიც 100-ზე მეტ ეკლესია-მონასტერს მოიცავს. მათ შორის ნამყვან ეკლესიად ითვლება სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი.

— ცნობილია, რომ აფხაზეთი კატაკომბელ ბერთა თავშესაფარია, რა არის ამის მიზეზი?

— როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია „განითხალა“ და თავის სამსახურში ჩააყენა, შექმნა ეკლესიაში მისი ერთგული სამღვდლოების ჯგუფი, ე.წ. „განმახლებლები“. ეს იყო საბჭოთა საეკლესიო პოლიტიკის შედეგები — ეკლესიის მოდერნიზაცია, ანუ თანამედროვე მოთხოვნებზე მისი მორგება, რაც ეკლესიურად ძვირად ითვლება. „განმახლებლები“ („ობნოვლები“) დაუპირისპირდნენ ტრადიციულ სამღ-

ვდლოებას. რუსეთი ცდილობდა საქართველოს ეკლესიაშიც გაეტარებინა მსგავსი პოლიტიკა, მაგრამ მარცხი განიცადა, სამაგიეროდ, შეძლო აფხაზეთში, რუსულ პანტელეიმონის მონასტერში „ობნოვლენური“ ჯგუფის შექმნა.

თანამედროვე ეპოქაში, საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორების პროექტი ახალ ათონზე პანტელეიმონის მონასტერში ჯერ კიდევ ათი წლის წინათ შედგა, ვიდრე 1992 წლამდე, აფხაზეთის დაკარგვამდე. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. მსგავს მცდელობებს აქვს ადგილი სამაჩაბლოსთან მიმართებითაც.

— მიუხედავად იმისა, რომ ახალი ათონი აფხაზეთის ტერიტორიაზეა, ის აფხაზეთის კუთვნილება არ არის?

— რუსეთი არ დათმობს ახალ ათონს, ის არც არის ჩვენი, წლების მანძილზე პირდაპირ ემორჩილებოდა ძველ ათონს. აფხაზეთის ახალ ათონს მეტი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა იმ გაგებით, რომ ძველ ათონს საჭიროების შემთხვევაში უნდა დახმარებოდა, ასევე, ახალ ათონს აფხაზეთი სამუდამოდ უნდა მოეგლიჯა საქართველოსათვის და ყუბანის ეპარქიისათვის მიეერთებინა. აქედან გამომდინარე, მას ყოველთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოსათვის.

— საბოლოოდ როდის დაკარგა საქართველომ ივირონის მონასტერზე უფლებები?

— XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისისთვის ივირონის მონასტერში ხუთიოდე ქართველი ბერი იყო დარჩენილი. ილუმენი ბენედიქტე (ბარკალაია) იბრძოდა წლების მანძილზე ივირონის შესანარჩუნებლად, მაგრამ უშედეგოდ. ბერძნებმა ქართველები გამოდევნეს. ივირონიდან არცთუ მოშორებით ქართველებს სენაკი ჰქონდათ ანდრია პირველწოდებულის სახელზე, სადაც შეაფარეს თავი და იქ დაიწყეს ახალი ქართული ტაძრის მშენებლობა ბერძნებისგან დევნილებმა.

წყაროების თანახმად, მშენებლობაში ქართველებს „რუსიკი“ — პანტელეიმონის მონასტერი და მისი ილუმენი ივირონიმე ეხმარებოდა. სესხის სახით აძლევდნენ: ფულს, სამშენებლო მასალას, პროდუქტს. ქართველებს დროთა განმავლობაში ვალი დაუფროვდათ, რითაც რუსეთმა ისარგებლა და ივირონი ფინანსურად დააკაბალა.

— ქონება ხომ იურიდიულად ისევ ქართველებს ეკუთვნოდა?

— რასაკვირველია, ივირონის დაკარგვას ჩიოდნენ ქართველები რუსეთის იმპერატორთან, კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, მაგრამ ბერძნებიც და რუსებიც თავისას აგრძელებენ. ბოლოს ბერძნებმა ქართველები იმ ახალაშენებული ტაძრიდანაც გამოდევნეს, დევნილები „რუსიკმა“ შეიფარა.

ივირონიდან გამოდევნილი ხუთი ბერიდან ორი დღემდე უცნობია, ერთ-ერთის ვინაობა ჩემს გამოკვლევაში დავადგინე. იგი ცნობილი ეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძის) ძმაა. სამი რუსეთის ხელისუფლებამ იერუსალიმში გაგზავნა ქართული ხელნაწერების გამოსავლენად და შესასწავლად. დარჩენილი ორი ბერის ბედი უცნობია, ისინი, სავარაუდოდ, ათონზე დარჩნენ.

საბოლოოდ ქართველებმა სამუდამოდ დაკარგეს ივირონი. ბერძნებს არასოდეს უარყვიათ ტაძრის ქართული წარმომავლობა. ისინი სრულუფლებიან ბატონებად მიიჩნევენ თავს ათონზე. მათ საუკუნეების წინათ ბულგარელების, ქართველების, სერბებისა და სხვათა მიერ აშენებული

ვასილ კიკნაძე

ვეხმაურები სიმაართლეს!..

ყოველი რევოლუცია რადიკალიზმით არის დაღდასმული. რადიკალიზმი კი უკიდურესობის ცალსახა (მე ცალტვინობას ვეძახი!) აზროვნებას ეფუძნება. იგი ზუსტად შეესაბამება კომუნისტური იდეოლოგიის ძირითად პრინციპს — „ვინც ჩვენთან არ არის — ჩვენი მტერია“, რომელიც მარქსისტული „კლასთა ბრძოლის“ თეორიით არის გაჯერებული.

მასობრივი რეპრესიებიცა და შერჩევითი დევნაც ამ იდეოლოგიურ ბაზაზე იყო დაფუძნებული. 1955 წელს ყოფილ „რკინგზელთა კლუბში“ ძველი „ჩეკისტების“ გასამართლება მოეწყო, რომელსაც ესწრებოდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რუდენკო. მაშინ მთელი საქართველო შეძრა სასამართლოზე მოსმენილმა ამბებმა, თურმე რაები ხდებოდა საბჭოთა ციხეებსა და კოლონიებში. რეპრესირებულთა ოჯახებმა და ზოგადად ყველამ იცოდა, რომ რაღაც საშინელებანი ხდებოდა, მაგრამ შიშის გამო ვერავინ ვერ ლაპარაკობდა. სტალინის სიკვდილისა და ბერიას დახვრეტის შემდეგ კი ყველა ალაპარაკდა, მაგრამ სასამართლო პროცესზე მოყოლილმა ამბებმა მაინც ყველა გაგვაოგნა. ამ პროცესებს ერთხანს მეც ვესწრებოდი ეროსი მანჯგალაძის საშვის წყალობით. ველარ გაუძელი და აღარ დავდიოდი, მაგრამ დიდხანს ვფიქრობდი, რატომ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირში რეპრესიების მასშტაბების მხრივ გამოირჩეოდა საქართველო. ყველაზე მეტი მსხვერპლი ჩვენ გავიღეთ. ნუთუ მარტო სტალინისა და ბერიას ანტიქართული პოზიციის გამო იყო? — არა მგონია, როგორც ჩანს, უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა ამ მოვლენას.

1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 8 მაისს კონსტანტინე გამსახურდიამ წერილი მისწერა ლენინს (სტატიის ხელახალი პუბლიკაცია მოვახდინე 1991 წელს). დიდი მწერლის პატრიოტულ წერილს ლანძღვა-გინებით ოპერატიულად გამოეხმაურა გაზეთი „პრავდა გრუზიი“ და ამ ბარათს „ავადმყოფი ადამიანის სიტყვა“ უწოდა. გაზეთმა „მოითხოვა მწერალს პასუხი გაეცა კითხვაზე „სოციალიზმის მხარესა თუ შოვინიზმისა?“

ეროვნული ინტერესების დაცვა „შოვინიზმად მიიჩნის“ კონსტანტინე გამსახურდიას წერილში არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი, ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე პასუხისაღები ფრაზა — „საქართველო რადიკალიზმის ქვეყანაა!..“

დიახ, სწორედ ეს ავადსახსენებელი რადიკალიზმი მიიჩნევა ჩვენი ბევრი უბედურების სათავედ და მიზეზად იმისა, თუ რატომ გამოვირჩეოდით რეპრესიების მასშტაბებითაც!..

რუსთაველმა ბრძანა — „რომელმან შექმნა სამყარო... გვაქვს უთვალავი ფერთა...“ ქართველებმა კი უთვალავი ფერიდან მხოლოდ ორი ავირჩიეთ — თეთრი და შავი, და არჩევანის შედეგმა მძლავრად იჩინა თავი დამოუკიდებლობის წლებშიც.

სულ რაღაც ოც წელიწადში სამჯერ მოხდა რევოლუცია. ყველაფერი ერთბაშად დავანგრეთ, თვით კულტურის სახლებიც, კინოთეატრებიც და ათასი რამ დაინგრა და იავარქმნილი გახდა ქვეყანა. მერე ვერ გავუძელით დამოუკიდებლობის სიმძიმეს და მილიონზე მეტი ქართველი საზღვარგარეთ წავიდა ლუკმაპურის საძიებლად. მაშინ, როცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად მთელი მსოფლიოდან დაიძრნენ ებრაელები და უმძიმეს პირობებში დაიწყეს თავიანთი ქვეყნის შენება.

მრავლისმთქმელი პარადოქსია, არა?!..

ოც წელზე მეტია განუწყვეტლივ გვესმის რუსული საბჭოთა იმპერიის კრიტიკა და ეს სავსებით გასაგებიცაა. ვის მოუტრიალდება ენა მის დასაცავად, მაგრამ შეიძლება ნაბან წყალს ბავშვიც თან გადააყოლოთ?.. 70 წლის ისტორია მხოლოდ „საბჭოურის“ ცნებას დავუქვემდებარეთ, ეჭვქვეშ დადგა უმდიდრესი კულტურა, მეცნიერება და განათლების სისტემა, რომელიც საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა. პოლიტიკურმა კონიუნქტურამ და რადიკალიზმმა შეინარა და თაობების ცნობიერებიდან განიდევენა ეროვნული ფასეულობანი, დაკნინდა მისი ისტორიული დამსახურება, ბოლო ათწლეულში სულ დაიკარგა კულტურისა და მეცნიერებისადმი ინტერესი.

უფროსი თაობების მთელი დამსახურების ინგორირებამ და მათი ღვაწლის შეუფასებლობამ წარმოშვა ნიჰილიზმი ეროვნული ფასეულობებისადმი. თითქმის დანაშაულად გამოცხადდა საბჭოთა ეპოქაში ცხოვრება. მათ „ჩარეცხილებს“, „მუმიებს“ უწოდებდნენ.

რაც უფრო უვიცია ადამიანი, მით — გაბედული. სულაც არ ანალვლებს, რომ სულიერ ემიგრაციაში ცხოვრობს. ამას წინათ „ლიტერატურულ გაზეთში“ (2012, 85) ნავიკითხვ ვახტანგ ჯავახიძის სამაგალითო წერილი „ლექსიდან ლექსამდე“. სწორედ რომ სამაგალითოა პოეტის სიახლის გრძნობა და თანადროული აზროვნება.

ალარაფერი არ უნდა მიკვირდეს, რაც უნდა დაწერონ, ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ მაინც მიკვირს ჩვენი რედაქტორების უმრავლესობისა. სიტყვის თავისუფლების ასე გაუკუღმართება შეიძლება? რაც უფრო შეურაცხყოფელია, პროვოკატორულია, კაცობასა და სინდის-ნამუსზეა ხელაღებული სტატია, მით უფრო გზახსნილია. ზოგჯერ მგონია, რომ რედაქტორს ნაკითხულიც არა აქვს, რადგან შეუძლებელია ასეთ დონეზე აზროვნებდეს. პროფესიული პასუხისმგებლობის დიდი დეფიციტია. სხვა რით უნდა აიხსნას იმის გამოქვეყნება, რასაც ვახტანგ ჯავახიძე იმონმებს. ერთი ასე წერს: „ქართული ცოტა არ იყოს მოუქნელი და მოძველებული ენაა“... მეორე: „საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილი მთელი ქართული ლიტერატურა „ცარიელ ფურცლებს“ წარმოადგენს“... მესამე: „ერთი-ორი ადვილად ამოსაცნობი წვეთის გარდა სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ ქართული პროზა ნაგავია და ჩვენს ცხოვრებას ნავით ვავსებს“. ამ უვიცობის ავტორები არიან: დ. ჩიხლაძე, დ. ბარბაქაძე, მ. ლუკიაშვილი.

მათ საკადრისი პასუხი გაცა ვახტანგ ჯავახიძემ. მე მხოლოდ ილიას სიტყვებს გავიმეორებ ამ სულისშემძვრელ აზრთა გამო: „დე, ამ უკეთურმა აზრმა აქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დამარხოს“.

ასეთ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ატმოსფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

ნონა კუპრეიშვილის გონივრულ, მეცნიერულ და მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციიდან დაწერილ სტატიას „კულტურის დოქტრინა“ ბოლშევიზმის დიქტატურის წინააღმდეგ“ („ჩვენი მწერლობა“, 2012, 19).

ნონა კუპრეიშვილის სტატიის სათაურშივე გაცხადებულია მკაფიო მოქალაქეობრივი და მეცნიერული პოზიცია.

დიდი ხანია ველოდებოდი ასეთ სტატიას. ლოგიკურია, რომ იგი დაიბეჭდა სწორედ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე.

კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს ნონა კუპრეიშვილის მთავარ დებულებას. იგი წერს: „პოლიტიკურ ასპარეზზე ევროპული ორიენტაციის დამარცხებას უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევ „კულტურის ფრონტის გამაგრება... კულტურა განიხილება როგორც ნაციონალური უსაფრთხოების საშუალება, კულტურული პოლიტიკა“ კი ერის სასიცოცხლო ძალთა კონსოლიდირების ლეგალური საშუალება“ (ხაზგასმა ჩემია).

ეს არის ქართველი ხალხის ისტორიული მისიის მეცნიერული შეფასება, ჩანს მკვლევარის ეროვნული პოზიცია და ისტორიული სამართლიანობის გრძნობა. ისტორიული რეალობის კონტექსტში მისი აზრი თანხმდებოდა არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებისა, რომელიც მან მეფის რუსეთის საქართველოს 50-იანი წლების შესახებ თქვა, რომ ეს პერიოდი (ვორონცოვის ეპოქა) „იყო მთავრობისა და საზოგადოების სოლიდური თანამშრომლობის ეტაპი“. მთავრობისადმი ერთგულება „ეროვნული კულტურის აღორძინების უზრუნველყოფის სანაცვლოდ“.

იგივე პროცესი განახლდა საბჭოთა ეპოქაშიც, რომელიც შეესაბამებოდა ილიასეულ პოზიციას, ილიას მიერ დასმულ კითხვაზე — თუ როგორ გადაურჩა საქართველო ათასგვარ მტერს, მანვე უპასუხა: „დროთა შესაფერისი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერისი ხერხი“. სწორედ ასეთი „დროთა შესაფერისი ღონისა და ხერხის“ ცოდნის გამო ქართველმა ხალხმა მე-20 საუკუნის საბჭოთა ეპოქაში შექმნა ისეთი მაღალი დონის კულტურა, მეცნიერება და მაღალი ხალხის საერთო განათლების ისეთ მასშტაბებს, რომლის მსგავსი მას მრავალი საუკუნის მანძილზე არასოდეს არ ჰქონია. ეს მოხდა რუსული საბჭოთა გლობალიზაციის პირობებში. ქართულმა კულტურამ თავისი დიდგორის ომი გადაიხადა. ამის დაუნახაობა და შეუფასებლობა როგორც ამ ბოლო წლებში მოხდა, დანაშაულია, თუმცა რა უნდა გვიკვირდეს, უმაღლესი სახელისუფლებო ლექსიკიდან საერთოდ ამოვარდა კულტურის ცნება.

საბჭოთა ეპოქის ქართული ეროვნული სულიერი ენერჯის მეტაფორული სახე შესანიშნავად გამოხატა ოთარ იოსელიანმა ფილმში „საპოვნელა“. აქ ვხედავთ: ქუჩაში ასხამენ ცემენტს, როგორ გადაუვლის „კატოკი“ ცხელ გუდრონს, ტკეპნიან, ერთნაირად ასწორებენ ქუჩის ასფალტს,

მაგრამ გააპობს მასას პატარა ყვავილი, თავს წამოყოფს და მღერის. ისევ გადაუვლიან „კატოკით“, მაგრამ ყვავილი ისევ წამოყოფს თავს და მღერის.

აი ასე, მრავალჯერ გადაურჩა კომუნისტური დიქტატურის ეპოქაში საქართველო მძიმე „კატოკით“ გადავლას, მაგრამ როგორც უცხოელები და თვით რუსები წერდნენ: „საქართველო მაინც ქმნიდა თავის დიდ კულტურას“, ინერებოდა ქართული თეატრის, ქართული კინოს უნიკალური, „განსაკუთრებული ფენომენის“ შესახებ. საბჭოეთის ყველაზე განათლებული მინისტრი ა. ლუნაჩარსკი ახმეტელის თეატრზე წერდა: „ეს გენიალური თეატრი ეყრდნობა თავისი ხალხის რასიულ ნიჭს“.



ვასილ კიკნაძე

დღეს ბრძოლისა და წინააღმდეგობის ამ ფორმებზე, მის თითოეულ მიღწევაზე უნდა ინერებოდეს, უნდა ვლაპარაკობდეთ, და არა ისე, როგორც ეს ჩვენში მოხდა. პოლიტიკურმა პროვინციალიზმმა და რევოლუციურმა რიტორიკამ, ზედაპირულმა „კულტურისნობამ“ და სნობიზმმა ფასი დაუკარგა ნამდვილ ღირებულებებს, რომლის შექმნასაც შეეწინააღმდეგებოდა. როცა 1937 წლის მასობრივი რეპრესიების დროს ციხის ჯურღმულებში წამებით იტანჯებოდნენ ათასები, იმავე 1937 წელს, აკაკი ხორავა თამაშობდა „ოტელოს“ და სცენიდან გამოსატავდა ადამიანთა რწმენის ტრაგედიას...

საბჭოთა სისტემას ჰქონდა თავისი ეტაპები. ყოველ დროში სხვადასხვაგვარი იყო „კულტურის დოქტრინის“ ბრძოლის ფორმები. მაგონდება 60-იანი წლები, როცა კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი, მაშინ გამოვიდა „მოსფილმის“ კრიტი-

კული ფილმი „თავმჯდომარე“, სადაც მიხაილ ულიანოვი დიდი წარმატებით ასრულებდა თავმჯდომარის როლს. ფილმის გასინჯვას (საქართველოს კინოთეატრებში რომ ეჩვენებინათ) ესწრებოდა პარტიის ცკ-ის მდივანი, განათლებული კაცი დევი სტურუა, კულტურის მინისტრი თენგიზ ბუაჩიძე და კინოკომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ქინქლაძე, კულტურის მინისტრის მოადგილე, რეჟისორი აკაკი დვალისვილი. ფილმის ნახვის შემდეგ დევი სტურუამ განაცხადა, რომ ნებას არ დართავდა ფილმის ჩვენებას საქართველოს კინოთეატრებში. ცკ-ს მდივანს დაუპირისპირდნენ მინისტრები. ძალა პარტიის ცკ-ს მხარეზე იყო, მაშინ მინისტრებმა საბჭოთა სისტემისათვის გაუგონარი გადაწყვეტილება მიიღეს. პროტესტის ნიშნად ცკ-ს ბიუროს მიმართეს ოფიციალური განცხადებით, რომ არ იზიარებდნენ ცკ-ს იდეოლოგიურ კურსს. დაუპირისპირდნენ თავიანთ უშუალო უფროსს, იდეოლოგიური დარგის მდივანს დ. სტურუას... ვასილ მჭავანაძემ დევი სტურუას დაუჭირა მხარი, მაშინ მინისტრები ოფიციალურად გადადგნენ. უპრეცედენტო მოვლენა მოხდა. ორი საბჭოთა მინისტრი გადადგა სიმართლისა და კულტურის ფასეულობათა დასაცავად. მათ მხარი დაუჭირა აკაკი დვალისვილიმაც და განცხადება მანაც შეიტანა გადადგომის შე-

სახებ, რადგან მინისტრების პოზიციას იზიარებდა. ვასილ მუჟავენაძემ აკაკი დვალისძე იყო არ გაათავისუფლა, მინისტრები გადადგნენ. ამ ფაქტზე დღეს ადვილია ლაპარაკი, მაგრამ მაშინ, საბჭოთა იდეოლოგიის ჟამს ნამდვილი გმირობის ტოლფასი იყო მინისტრების გადადგომა.

საბჭოთა დიქტატურასა და კულტურის დიქტატურას შორის მუდამ იყო ხან აშკარა და ხანაც ფარული ბრძოლა. ორივე ფორმა მისაღები იყო. მიუხედავად ამისა რამდენი ლანძღვა-გინება, ქილიკი და შეურაცხყოფელი სიტყვები მომისმენია ფარული ფორმის ბრძოლებზე, მათ „გაორების ხერხებზე“, ასეთი ქილიკი მუდამ გვახსენებს ჩვენს სენს — რადიკალიზმს. მახსოვს მწერალთა კავშირში ერთ-ერთ შეხვედრად დისკუსიის დროს გურამ ასათიანმა გააკრიტიკა ძველი რეპრესიების ეპოქაში მოღვაწეები, თქვა, რომ „გასვრილი“ თაობა იყო, მაშინ ბესო ჟღენტიმა ტრიბუნადან გურამს ჰკითხა:

- გურამ, შენ ბერიას თვალები გინახავს?!
- საიდან! როგორ ვნახავდი?..
- ჰოდა, გაჩუმიდი!..

მე კარგად გავცანი „სუკის“ არქივში მასობრივი რეპრესიების დოკუმენტებს, ვესწრებოდი 1955 წელს რკინიგზელთა კლუბში გამართულ ძველ ჩეკისტთა სასამართლო პროცესებს. მიკვირს, რა ძალა ჰქონდა ჩვენს ხალხს, რომ მაინც შექმნა „კულტურის დიქტატურა“.

განსაცვიფრებელი ამბავია. ამ ფენომენის კვლევა საჭირო.

რასაკვირველია, მე არ ვლაპარაკობ მამულებზე. საკითხი ეხება დიდ ეროვნულ და ფართო მასშტაბის პრობლემას. ვითომ რა დააკლდა აკაკი ბაქრაძეს იმით, რომ რუსთაველის თეატრის დირექტორად დანიშნვისათვის პარტიაში შევიდა? ამით მას საშუალება მიეცა თავისი ნვლილი შეეტანა რობერტ სტურუას პოლიტიკური თეატრის შექმნაში, რომელიც დიქტატურის წინააღმდეგ იბრძოდა. რეალურად რამეს ნიშნავს ის ფაქტი, რომ გახლავითონი მკერდზე ლენინის ორდენს ატარებდა? რომელ ნორმალურ ადამიანს მოუბრუნდება ენა ეჭვქვეშ დააყენოს ლადო ასათიანის პატრიოტული გრძნობა, მაგრამ როცა მის ოჯახს თავს დაატყდა რეპრესიები, როცა მასაც ემუქრებოდნენ განადგურებით, დაწერა ლექსი „ლენინის ტომი“. ან რატომ არის საქილიკო, თუ კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე რომანში „მთვარის მოტაცება“ ერთ-ერთ ბოლოსიტყვაობაში ნახსენები იყო ბერია? სხვა რომელი ერთი მაგალითი უნდა დავასახელოთ.

ასეთ მოვლენებზე, ვისაც მამულიშვილური გრძნობა არ დახმობია, პრიმიტიული პოლიტიკანობის სენი არ შეპყრია, მოკრძალებულად უნდა ლაპარაკობდეს!..

ნიკა აგიაშვილმა დეტალურად მიაბო სტამბაში როგორ დაჭრეს ლადო ასათიანის პირველი ნიგნის მთელი ტირაჟი. ერთ-ერთი გადარჩენილი ეგზემპლარიც მაჩვენა, ვისი განკარგულებითაც დაიჭრა, ისიც მითხრა, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა.

ილიას სიბრძნემ შეინახა და გადაარჩინა საქართველო სწორედ იმიტომ, რომ რეალისტურად და დროის ადეკვატურად მოქმედებდა. მახსოვს, ერთხანს რამდენი კამათი და აურზაური ატყდა დიმიტრი ყიფიანის ირგვლივ, ლამის ეჭვქვეშ დააყენეს მისი პატრიოტიზმი, აქაოდა მეფის რუსეთის კანცელარიაში მუშაობდაო. ვისი გული ძვე-

რდა უფრო პატრიოტული გრძნობით — რუსეთის სახელმწიფო მოხელის დიმიტრი ყიფიანისა თუ ორთაჭალის ბალებში მოქიფე ქართველებისა, რომლებიც საქართველოს სადღეგრძელოს დიდი ჭიქებით სვამდნენ?!..

თეატრალურ ინსტიტუტში თემურ ბაბლუანის სადიპლომო ფილმის „ბელურების გადაფრენა“ განხილვის დროს ყველანი ალტაცებულნი იყვნენ ახალგაზრდა რეჟისორის ნარმატებით. ყველა კეთილგანწყობილი იყო, მაგრამ მაინც ატყდა კამათი ფილმის იდეურობის შესახებ. ამ დროს რეზო ჩხეიძემ ოფიციალურად განაცხადა: **„მე იმიტომ გადავიღე „რაიკომის მდივანი“, რომ ჩვენმა სტუდენტებმა ასეთი ფილმები გადაიღონ და იმუშაონ თავისუფლად“.**

დიპლომატიური აზროვნება განსაკუთრებით სჭირდება ჩვენისთანა პატარა ქვეყანას, თუმცა არამცთუ ჩვენ, ერთხელ აშშ-ს პრეზიდენტს რონალდ რეიგანს ჰკითხეს: რას ფიქრობთ, როცა ოპონენტები უსამართლოდ თავს გესხმიან და გაკრიტიკებენ? მას ასე უპასუხია: ამ დროს მე ვფიქრობ, ნეტავ ერთი ქვა მათხლეშინა ამ იდიოტისათვის, მაგრამ ვუღიმი და ვეუბნები, — თქვენ საინტერესო აზრს ამბობთ, ვიფიქრებ-მეთქი...

ნონა კუპრეიშვილის წერილის პათოსი, რომელმაც ასე მომხიბლა, ილიასეული კონცეფციით არის შთაგონებული. ქართული ხალხი სხვაგვარად ვერ შექმნიდა დიდ კულტურას. იყო ბრძოლის მრავალფეროვანი მეთოდები. საბჭოთა ქვეყნის გარკვეულ ეტაპზე აშკარა, პირდაპირი ბრძოლის ანუ შეკვდომის ფორმაც იყო, როგორც გამონაკლისი, მაგრამ ძირითადად მაინც ილიასეული ბრძოლის გზით იარეს ქართული კულტურის მოღვაწეებმა. რა იყო ეს გზა? ილია წერს: „იქნებ არ დაიჯეროთ, მაგრამ ერთი საოცარი და უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ ეს სენი მარტო მე არ მჭირს, ყველას, ვისაც ჭკუასთან რამე საქმე აქვს, იმათაც ასე ემართებათ. დაფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩაუვკვირდები რასმეს და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალნი და არა მშორდება. ეხლაც თვალნი მიდგა და საშინელ ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მინდა, ის სულ სხვას მალაპარაკებს. ენა ჩემი იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმის გამოდის. რა შემართება, არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემს თვალნი როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უკულმა ტრიალებს, თითქოს ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო... ის ჩემი სულთამხუთავი კი თავს მადგა და იღრიჯება, იცინის: რას იღრიჯები, შე უგვანო, უმსგავსო-მეთქი, ვეუბნები, იმან პასუხად ღორის ემგებსავით თავისი სიბერისაგან ფამფალა ღოჯები წამომიყარა და ამოჭვარტლულ ბუხარსავით შავი პირი უფრო დიდად დაალო, ფუი, ეშმაკს-მეთქი, — დავიყვირე. შენც არ მომიკვდე, არც ამან მოაცვლევირა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ! ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მანამ მამალი იყივლებს. რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცბად თვალნი გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი. ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა, ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დალღობი და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!..“ (ციტირების ხაზგასმა ჩემია. ვ.კ.).

კარგად ჩაუფიქრდეთ ილიას აზრს: **ეს „სენი“ ყველას ემართება, ვისაც ჭკუასთან რაიმე საქმე აქვსო“**. რა არის ეს სენი? **„ენა იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის“... ქართველი ხალხის ცხოვრების მთელი ეპოქის სურათია დახატული. იგი თანაბრად ეხება მეფის რუსეთსაც და საბჭოთა ეპოქასაც.**

და არამარტო საქართველოს, ეს არის ყველა პატარა, დაპყრობილი კოლონიური ქვეყნის ხალხთა ბედი. „გაორების“ ეს ფორმა ადამიანთა ნაკლი და უპრინციპობა კი არ არის, როგორც რადიკალებს მიაჩნიათ, არამედ ისტორიული პასუხისმგებლობით განსაზღვრული ცხოვრების წესია მოცემულ კრიტიკულ პირობებში... ვინ იყო ილიასავით მთლიანი და პრინციპული ადამიანი, მაგრამ მასაც ერთის თქმა უნდოდა, — „ის სულ სხვას ალაპარაკებდა“...

ეს ფრაზა — „კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის“ — მთელი საბჭოთა ტოტალიტარული ეპოქის ტრაგიზმს გამოხატავს.

ილიასებური განცდა ეუფლებოდა ყველას, ვისაც საქმე გონებასთან ჰქონდა. ამ ფონზე ლოგიკურია ნონა კუპრეიშვილის აზრიც: „ტოტალიტარიზმიც ცივილიზაციის გარკვეული ტიპია. აქედან კი ის მარტივი დასკვნა კეთდება, რომ ალექსანდრე ყაზბეგი და ვახტანგ კოტეტიშვილიც (ეს უკანასკნელი მთელ თავის განწირულ თაობებთან ერთად) პრაქტიკულად ერთი და იმავე მოვლენის „მსუბუქად“ ვარიანტული ფორმების პირისპირ აღმოჩნდნენ“.

ერთხელ დავენერე და ახლაც ვიმეორებ, ბ-ნ ოთარსაც აქვს დაწერილი: სოხუმში დაიდგა ოთარ ჩხეიძის პიესა „ძველი რომანსები“. პრემიერის წინა დღემდე პიესას დადგმის ვიზა არ ჰქონდა, პიესას ცენზორის ბეჭედი არ დასმოდა, აფხაზეთის კულტურის სამინისტროში კი ერთი ამბავი იყო ატეხილი, წარმოდგენის საჯაროდ ჩვენების უფლებას არ აძლევდნენ. მაშინ კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი, უშუალოდ მეხებოდა სპექტაკლის ბედი. ბ-ნ ოთართან ერთად ნავედი ცენზორთან. რემარკაში ერთი ფრაზა ჩავასწორეთ — „ფეხი დაუცდა“, გმირმა თავი კი არ დაიხრჩო — ფეხი დაუცდა. ამით მწერლის კრიტიკული პათოსი არსებითად არ შეცვლილა, მხატვრულ ლოგიკაში იყო ყველაფერი ჩაქსოვილი, სწორედ ამაზე ითქმის ილიას აზრი: „დროის შესაფერისი ხერხი“ ვიცოდითო.

ვიქტორ გაბისკირიას პიესასაც („უფსკრულთან“) აუხირდა ცენზურა. მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა. ფინალი „იდეური“ არ არისო. ფილტვების ანთებისაგან ილუპებოდა ბავშვი, პენიცილინი ახალაღმოჩენილი იყო და თითქმის არ იმოყვებოდა, ამის გამო კვდებოდა ბავშვი. მხოლოდ მთავრობას ჰქონდა შემონახული მათი წევრებისათვის რამდენიმე ამპულა, მაგრამ მთავრობა არ იძლეოდა, ბავშვი კი კვდებოდა. დახურულ სპექტაკლს დაესწრო ვასილ მჟავანაძე, ცრემლები მოერია ბავშვის დაღუპვის გამო. მან თქვა: სპექტაკლს გაუშვებთ, თუ ბავშვი არ მოკვდება, კულისებში ვინმემ დაიძახოს მაინც, პენიცილინი ვიმოვეთო.

ქართული თეატრის, ლიტერატურის, კინოსა და საერთოდ კულტურის ყველა დარგის ისტორია უმდიდრესია სხვადასხვა ფორმის ბრძოლებით, რათა შენარჩუნებულიყო „კულტურის დიტატურა“ ანუ ეროვნული თვითმყოფადობის მძლავრობა.

რუსთაველის თეატრის ისტორიიდან მხოლოდ ერთ ტრაგიკომიკურ ფაქტს გავიხსენებ: დავით გაჩეჩილაძის „ამირა-

ნის“ წარმოდგენის განხილვისას, სადაც საბჭოს წევრებთან ერთად ესწრებოდნენ მოწვეული საზოგადო მოღვაწეებიც, ცკ-ს მდივანმა დევი სტურუამ გვითხრა: ვისი გათავისუფლება უნდა ამირანს? საქართველო ხომ თავისუფალი ქვეყანაა?!

ამ პოლიტიკურ კითხვას თეატრი მომზადებული შეხვდა. სხდომაზე უპასუხეს: რა თქმა უნდა, საქართველო თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ ამირანი ზოგადკაცობრიულია, რუსთაველის თეატრმა თავისი ტრიბუნიდან სხვა ხალხების გათავისუფლებაზეც ხომ უნდა ილაპარაკოსო. დევი სტურუა ნიჭიერი კაცი იყო და მიგვიხვდა დიპლომატიურ პასუხს და ასევე დიპლომატიურად გვითხრა: ჰოო... ეგრე... მართალია...

ასე გადაურჩა წარმოდგენა მოხსნას, თუმცა ერთი ფრაზა მაინც ჩაგვამატებინეს, — თავისუფლება მოვა ჩრდილოეთიდანო. დავით გაჩეჩილაძემ სადღაც მოიძია, რომ „ბორიას“ მხარედ თურმე ოდესღაც ჩრდილოეთი იგულისხმებოდა, და ჩაამატა ტექსტში, მაინც ვერ გაიგებსო.

ქართული კულტურის ბედზეც შეიძლება გავიმეოროთ სალვადორ დალის სიტყვები: „ომი და რევოლუცია ჯიჯგნიდა ჩემს სამშობლოს და ეს უბედურება უფრო მეტად მიღვიძებდა შემოქმედებით ჟინს. მაშინ უკვე ვიცოდი, რომ საყოველთაო სილატაკის გაბატონებისა და კოლექტიური დოქტრინების მსხვერვის შემდეგ კვლავ ცხოველმყოფელ ძალას შეიძენდა სულიერი და რელიგიური ფასეულობანი, მაგრამ მე შევიმეცნებდი სიკვდილსა და ხელოვნებას, სურვილი მკლავდა მომეპოვებინა უფლება, პირველს წარმომეთქვა სიტყვა — აღორძინება“.

დაიხ, მეოცე საუკუნის საბჭოთა საქართველოს ტრაგიზმით აღსავსე ეპოქა იმავდროულად **ქართული კულტურის აღორძინების ეპოქაც იყო!..**

ნონა კუპრეიშვილის სტატიაში დამოწმებულია ცნობილი ნიჭიერი მკვლევარის ლევან ბრეგვაძის აზრი იმის შესახებ, რომ „ტოტალიტარული რეჟიმი თავის ე.წ. „ურავნილოვკის“ თეორიით სწორედ არა ნიჭიერსა და გამორჩეულზე, არამედ სწორედ უნიჭოსა და უსახურს, ფაქტობრივად კი ადვილადმართვად ადამიანებზე ახდენდა“.

ტოტალიტარიზმისათვის მართლაც დამახასიათებელი იყო „ურავნილოვკის“ ტენდენცია, მაგრამ იგი ეხებოდა არამარტო უნიჭობებს, არამედ ნიჭიერ ადამიანებსაც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აღზევდა 20-30-იან წლებში. მაგალითად, სტალინის ხელდასხმითა და სერგო ორჯონიკიძის აქტიური ხელშეწყობით, 1936 წელს რუსთაველის პირველი პრემია მიანიჭეს ვინმე პოეტ (?) ნ. ფხაკაძეს პოემისათვის „შრომადლე“. თუ როგორი პოეტი იყო, მარტო ერთ ციტატას მოვიტანთ: „ჩვენ სტალინს, — ჩვენს ცეკას ვადიდებთ, ვერთგულობთ, ერთად ვშრომობთ, ერთად ვცეკვავთ, ერთად ვმხიარულობთ. ლენინის ცეკა. ვით დირიჟორი, დგას კრემლის დიდი, წითელი მხრებით, ყოველი მხრიდან სცემს მაჟორული სოციალიზმის მუსიკის ხმები“.

აი, ასეთი დონის პოემას მიენიჭა იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული რუსთაველის საიუბილეო ოქროს მედალი. მეორე მხრივ, ფართო მასშტაბით გაიშალა დიდი მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეების მოთვინიერების პროცესი. ებრძოდნენ კოტე მარჯანიშვილს „ბურჟუაზიული ესთეტიზმისათვის“, სანდრო ახმეტელს „ნაციონალური გადახრებისათვის“, ებრძოდნენ ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძესა და სხვებს. მარტო თეატრის დარგიდან დახვრეტილი იქნა 13, ხოლო გადასახლებული — 15 კაცი.

ნონა კუპრეიშვილის წერილში წამოწეულია სხვა საინტერესო პრობლემაც. საკითხი ეხება ტფილისის როლს ვახტანგ კოტეტიშვილის ნააზრევის კონტექსტში. ნონა კუპრეიშვილი წერს: „გარდამავალი ეპოქის კონტექსტში ტფილისის, როგორც დედაქალაქის მაკონსოლიდირებელი ფუნქცია“. ტფილისი კი „ქალაქი-ბაბილონია“, როგორც შეუნიშნავს ვახტანგ კოტეტიშვილს. მართლაც, საოცარ დემოგრაფიულ სიტუაციაში უხდებოდათ ქართული კულტურის მოღვაწეებს ბრძოლა ეროვნული მენტალობის შესანარჩუნებლად. 1910 წელს თბილისში ცხოვრობდა 305 207 კაცი, მათ შორის ქართველი მხოლოდ 54 120 იყო, სომეხი — 124 901, რუსი — 79 და 58 ათასამდე სხვადასხვა ეროვნებისა. ეს ხომ დემოგრაფიული აგრესიისა და კოლონიზაციის საშინელი შედეგებია. მაშინ თბილისს არ გააჩნდა შიდა რესურსები ახალი მაცოცხლებელი ეროვნული ენერჯის გამოსავლენად. ამ დროს პერიფერიებიდან დაიძრნენ ახალი ეროვნული ძალები და სულ რაღაც 12 წელიწადში თბილისის ქართული მოსახლეობა თითქმის გაორმაგდა (თბილისში ქართველობამ 57%-ს მიაღწია 1970 წელს). იმავდროულად ძლიერდება პოლიტიკური დაპირისპირება ეროვნულ ძალებსა და კოსმოპოლიტური აზროვნების ინტერნაციონალისტებს შორის. ილიას მკვლელობამ თითქოს კედელი გამოაცალა ეროვნულ ძალებს, რაზედაც იყვნენ მიყრდნობილნი. ერთიანი ეროვნული ცნობიერების პარტიულ აზროვნებად დაშლისა და დაპირისპირების ურთულეს პროცესში ქართულმა კულტურამ ითავა სულიერი გამთლიანებისათვის ბრძოლის ისტორიული მისია. ბრძოლის ცენტრი იყო თბილისი. ქუთაისიდან თბილისში გადმოსულ „ცისფერყანწელებს“ გვერდში ამოუდგა მოდერნისტული თეატრალური გაერთიანება „დურუჯი“. გაიმართა ბრძოლა კულტურის ევროპეიზაციისათვის. „დურუჯელებმა“ უარი თქვეს ჰაჯიბეკოვის ოპერეტის „არშინ მალ-ალანის“ დადგმაზე, როგორც „აზიურ ნალექსზე“.

ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა ევროპულია და აზიურის განსხვავებული ცნებები ასე განსაზღვრა: ევროპული ნიშნავს კანონის უზენაესობას, ხოლო აზიური — კანონისადმი ჩემს დამოკიდებულებას. ამ თვალსაზრისით, ასე მგონია, რომ ჩვენ ვაზროვნებთ ევროპულად, მაგრამ ვცხოვრობთ აზიურად. ეს სხვათაშორის!..

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა თვითონვე განსაზღვრავს, სად რა არის ევროპული ან აზიური, მისი სინთეზი მტკიცედ ეფუძნება ეროვნულ ფუნდამენტს, ამიტომაც, მიუხედავად რთული დემოგრაფიული სიტუაციისა და ისტორიული კატაკლიზმებისა, თბილისმა შეძლო შეესრულებინა მთელი საქართველოს სულიერი ძალების გამაერთიანებელი და მაკოორდინირებელი ფუნქცია.

ათასი საფიქრალი და საღერღელი ამიშალა ნონა კუპრეიშვილის მაღალპროფესიულმა წერილმა, რომელმაც ჩვენი ისტორიის ფასეულობებისაკენ მიგვახედა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა — ანმყო შობილია წარსულისაგან!..

შოთა ქურდაძე

„მისვე ხმისა სიტკბოსაგან“...

ბატონო როსტომ, დიდი ინტერესითა და ყურადღებით გავეცანი რობიზონ უზნაძის თქვენდამი მოძღვნილ ლია წერილს „დაუფასებელი ღვანლი ვანო მჭედლიშვილისა“ („ჩვენი მწერლობა“, №17, 2012). ჩემი აზრით, წერილში ობიექტურადაა აღძრული ეროვნული მუსიკალური კულტურის ფენომენალური შემოქმედის ვანო მჭედლიშვილის დიდი ღვანლის აუცილებელი დაფასების საკითხი.

ტექსტში ვკითხულობთ: „ვანოს განუმეორებელი ნიჭიერებით, პროფესიონალიზმით, ტიტანური შრომისმოყვარეობით შექმნილა და ქართველ ერს ძღვნად მიერთვა 40-ზე მეტი საკუთარი ტექსტებით, მელოდიებით, ლექსითა თუ სინამდისით დამუშავებული ქმნილებანი, სამი საბალეტო სპექტაკლი, განსაკუთრებული ჟღერადობით, ჰარმონიით, რიტმის შეგრძნებით აღორძინებული ძეგლები, რომელთაგან არც ერთი არ ნაავაგს მეორეს და არ არის შემთხვევითი... არც ერთი ვანოსეული საოცრება მისნაირად არასოდეს არავის შეუსრულებია“.

აქვე ვეცნობით ეროვნული მუსიკალური კულტურის დამსახურებულ მოღვაწეთა (16 მოღვაწის) სოლიდურ მოსაზრებებს ვანო მჭედლიშვილის ორიგინალურსა და გაუხუნარ შემოქმედებაზე.

87 წლის მკვლევარი ვარ. ძალიან მიყვარს ქართული ხალხური ჰანგები, სამწუხაროდ, სასიმღერო-საშემსრულებლო უნარს მოკლებული ვარ. თუმცა მეხსიერებას და მოსმენილის შეგრძნება-შეფასების უნარს ჯერჯერობით არ ვუჩივი...

მახსოვს, სოფელ იტრიაში პირტიტველა ბიჭი შემთხვევით როგორ გავეცანი ვანო მჭედლიშვილის დიდად საამო, ტონალურად მოქნილ-მოქსოვილ, ძლიერი ხმის ძალისა და მელოდიურად დახვეწილ ხალხურ სიმღერებს.

ამ სოფელში დავიბადე, იქ და დაბა სურამში არასრული და სრული საშუალო სკოლები დავამთავრე. გლესურ ოჯახში ვიზრდებოდი, მშობლები კოლმეურნეობის წევრები იყვნენ; მამა მოხუცი იყო, ხშირად მის მაგივრად ვმონაწილეობდი „ნადურისა“ თუ „თბილურის“ სახის საკოლმეურნეო და სამეზობლო საქმიანობაში. იტრიამი კოლნეურები მწირ მიწებს ამუშავებდნენ, შრომადღეებზე საზრდამი ხალხს გრამობით უნაწილებდნენ. ხალხი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას ნაწილობრივ რიკოთისა და ძლიაურის ტყეებში მოპოვებულ სანავაი მერქნის სურამსა და ხაშურში გაყიდვით იმსუბუქებდა... მაშინ გლესებს მერქანი მყიდველამდე ძირითადად ურმებით გადაჰქონდათ. იმ სასაქონლო ყიდვა-გადატანას ერთგვარი სარიტუალო-სანახაობრივი ელფერი ჰქონდა. ყველაფერს დიდი ინტერესით აღვიქვამდი, ერთხელ ზედა იტრიელმა გლესმა ილია ულუმბელაშვილმა გვიხმო მეზობლები და გვთხოვა, ხაშურში გადაგვეტანა სანავაი მერქანი მყიდველის ვანო მჭედლიშვილის სიდერის ოჯახში. ისიც დასძინა, ამ ხნის კაცი ვარ, სანავაი მერქნის მეტი რა გამოიყიდა და, ღმერთს გეფიცებით, დღემდე არ მქონია შემთხვევა, სიძეს სიდედრისთვის მაინცდამაინც ასე რომ გამოეჩინოს თავი და მოდით, მეზობლებო, გაყიდული მერქნის ადგილზე მიტანაში დაეხმარეთ და ისიც შევიტყოთ, რამ შეახმატკბილა ეს სიდედრ-სიძეო?

მერქნის გამყიდველისა და მყიდველის დახმარებით ურმები მალე დაიტვირთა. ასაკობრივად უფროსისა და გონიერი საქმიანობით გამორჩეული გლესის მითითებით სანინაო-სამოგზაურად ჯერ მისი

ურემი გაამწესეს, შემდეგ გიორგი მურჯიკნელისა ჩააყენეს, მესამე რიგი ჩემს ურემს ერგო. მეოთხე-მეხუთე და მეექვსე ურემები შემდეგ გაამწკრივეს: ასე აჯობებსო, მეზობლებო, თქვა ვასო პაპამ, ეე ბაღლის ურემი შუაში მოვიტყვიოთ, თუ რამ დახმარება დასჭირდება, იოლად დავეხმარებითო.

უხუცესი მეურმის ნათქვამს მერქნის მყიდველმა ვანო მჭედლიშვილმა დაუმატა: ამ ბიჭის ურემზე მე მოვთავსდები, ყურადღებას არ მოვაკლებ და ჩემებური სიმღერებითაც ხაშურამდე გავართობთო...

ცხადია, მერქნის მყიდველი კაცის სურვილის სანინაღმდეგო არა მითქვამს, თუმცა შინაგანად გამიჩნდა ინტერესი, რა და როგორ უნდა ემღერა იმ კახელ მომღერალს... შემოდგომის საღამო შემოდინდა. სოფელი ახმაურდა მინდვრებიდან დაბრუნებული ნახირის ბლავილ-ზმუილითა და ცნობილი მენახირის ნიკალა ვარდოსანიძის ჩვეული შეძახილებით. სადაისო სხივებაკრეფილი მზე გამოსათხოვებლად ელაციციებოდა გორას გვერდა მინებსა და სანვეროს ხოდაბუნებს.

მერქნის გამყიდველმა ილია ულუმბელაშვილმა სახელდახელო ტაბლაზე იხმო მეურმეები და ვანო მჭედლიშვილი: მობრძანდით, თქვენი ჭირიმეთ, ერთმანეთი დავლოცოთო. დაწვდა საარაყე ხელადას, შუავსო სასმისი ჭინჭილები და თქვა: ეე ჩემი დამკრახული სანვაგი კახელმა კაცმა, როგორც თვითონ გვამცნო, სიდედრს შეუძინა საზამთროდა. ეტყობა, მეზობლებო, იი სიდედრიც იმსახურებს სიძის ასეთ ყურადღებასა, ჰოოდა, მოდი ამ ორი ადამიანის საუცხოო ურთიერთობას გაუმარჯოს, ეე მერქანიც კეთილად მოეხმაროთო... მოეხმაროთ, ილია, მოეხმაროთო, — შეუბანეს მეურმეებმა და სასმისები გამოცალეს.

მეორე სადღეგრძელოს თქმა კახელმა კაცმა ისურვა: ამ სოფელში, ბატონებო, პირველად ვარ, მირჩიეს, სანვაგი მერქანი აქ შემეძინა, სიამოვნებით წამოვედი, გავიცანი ჩვენი მასპინძელი, თქვენც გავიცანიო. კახურად გეტყვი: სოფელი იტრია თავის მდებარეობით, ჰაერით, მშრომელი ხალხით ძალიან მომეწონა, მინდა ჩვენმა მასპინძელმა მერქანში ალებული საფასური კეთილად მოიხმაროს და ოჯახს დოვლათი და ბარაქა არ მოაკლდესო. ეგრე იყოს, ეგრეო, — შეუძახეს მეურმეებმა, გამოცალეს სასმისები და თქვეს: ახლა ჩვენი წასვლის სადღეგრძელოც შეესვათ და გზას ბარაქა დავაყენოთო... ვანო მჭედლიშვილმა სადღეგრძელო სიმღერით ირჩია: „მასპინძელო, მხიარულო, მარნის კარი გიჭრიალებსო, გულს მზე მთვარე დავფენია, რა სჯობია შენს სილაღესო, ხვავ-დოვლათი არ მოაკლდეს შენს ოჯახს და შენს სანახებსო“... სიმღერა იმგვარად საამო, შთამბეჭდავი მოსასმენი იყო, რომ თანამეინახენი, განუზომლად მადლიერნი, სიტყვიერად ვერას ვამბობდით და ვირტუოზო მომღერალს გაბრწყინებული თვალებით შევცქეროდით...

ამ არნახული და არსმენილი ესთეტიკური სიამოვნებისაგან ვასო პაპას სიტყვებმა გამოგვიყვანა: პატივცემულო ვანო, თქვენმა სიმღერამ ჩვენ სოფელზე ადრინდელ ჩხეიძეთა და მასთან სტუმრად მყოფი სხვა თავადის ნათქვამი ორი შაირი მომაგონა, თუ ისურვებთ, გეტყვიოთ. ბრძანეთ, ვასო პაპა, ბრძანეთო, — მიუგო მომღერალმა. — სოფლის ასაკოვანი ადამიანებისგან მსმენია, თურმე ერთხელ ჩხეიძეებს სტუმრებია მათი ძველი ნაცნობი თავადი, გაუცნია ეს სოფელი, მისი ველ-მინდვრები, ჩხეიძეთა კოშკი, მონინებით ხლებია იტრიის სალოცავ ტაძარს, მერე ოჯახში ლაზათიანი სუფრა გაუმართავთ და როცა შეზარხოშებულა



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

სტუმარი, როსტომ ჩხეიძისათვის ლექსად უთქვამს: „იტრიაო, იტრიაო, თვალის ჩინად მიჩნიაო, გადმომიგდე ეე სოფელი, ვითომ შუშა კიტრიაო“.

მასპინძელს მოუსმენია სტუმრისათვის, ოდნავ ჩაფიქრებულა, მერე შეუვსია სასმისები და უპასუხია: „კარგად ვიცი სტუმრის ფასი, და სურვილიც მიცვნიო, ვერ გაჩუქებ ამ ჩემ სოფელს, სულში ხატად მიჩნიაო“. მომღერალს მოსწონებია ნათქვამი შაირები, ამოუღია ჯიბიდან ფანქარი და ბლოკნოტი, ჩაუნერია, მერე ხმამალა წაუკითხავს და ვასო პაპასთვის უკითხავს, მითხარი: სწორე ჩავინერე თუ არაო. დიახ, შეუმტყდარად ჩავინერიათო, — უთხრა ვასო პაპამ...

მერე ყველა მეურმემ თავის ურემს მიაშურა, მეგზურობა, როგორც ითქვა, ვასო პაპამ იკ-

ისრა. მე ჩემი ურემის წინა ნაწილზე მოვთავსდი, მომღერალი კაცი ურემის შუა ადგილზე დაბრძანდა. დავიძარიო სოფლის ჩიხის ოღროჩოლო გზიდან ხაშურისკენ მიმავალ შარავზაზე გასასვლელად. ურემი უსწორმასწორო გზის გამო ირყეოდა, აქეთ-იქით გადაქან-გადმოქანდებოდა, რასაც ვანო მომღერლისათვის ოდნავადაც არ შეუშლია ხელი თავისი მომხიბლავი ხმინობით, განსხვავებული ტონალობით, მელოდიკითა და სიტყვა-ფრაზათა მიხვრა-მოხვრით მოგვესმინა იტრიაზე რამდენიმე წუთის წინათ ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი ლექსები.

მიუახლოვდით ჩხეიძეთა წყაროს, გაისმა „წინწყაროს“ საამო ჰანგი, გავედით შარავზაზე, შეწყდა ურემების რყევარყვევით აქეთ-იქით გადახრა-გადმოხრა, მომღერალმაც მშვიდად იგრძნო თავი და შემოსძახა: „გაფრინდი შავო მერცხალო“, მერე სააღდგომო ჭონა მოგვასმენინა... ხაშურამდე გასასვლელი გზა სიმღერ-სიმღერით ჩავგატარა, გზაზე შემხვედრი მგზავრები, გზის პირას მცხოვრებლები ეზოებში გამოდიოდნენ, მოსმენილი სიმღერით ტკბებოდნენ, მომღერალს დიდ მადლობას უხდინდნენ მომხიბვლელი ჰანგებისათვის და, ვიდრე შესაძლებელი იყო მოესმინათ ურემზე მჯდომარე საოცარი მომღერლის სიმღერები, სულგანაბულად უსმენდნენ...

მაკა ჯოხაძე

ლოცვა ქარში...

ჭეშმარიტი სულიერება სიკვდილზე გამძლეა, მოვესწრებით, ღვთის წყალობით!

მერაბ ელიოზიშვილი

როცა მის თხრობას, მის დაგემოვნებით საუბარს ყურს ვუგდებდი, ისეთი განცდა მეუფლებოდა, რომ ფერადოვანი ჭირნახულის უსასრულო ტალავერში მივაბიჯებდი, მწიფობის სურნელითა და არომატით რეტდასხმული.

მისი სიტყვაც ხილს ჰგავდა, შეთვალულსა თუ უკვე მოწეულს. ჩნდებოდა განცდა, რომ სიტყვათქმნალობით ზედმინვნით იმეორებდა პირველი ადამის გაცეცხას. თითქოს სამოთხის ბაღში, ნაყოფით დახუნძლული ხეებიდან, ნება-ნება წყვეტდა ხილს, ნაივური კმაყოფილებითა და ერთგვარი უშიშარი, მაგრამ ბავშვური ცნობისნადილით ფრთხილად უსინჯავდა გემოს.

ადამს, სამყაროს ამ პირველ დეფუსტატორს, ღვთისგან კურთხევა მიეღო, ყველაფრისათვის სახელი დაერქმია, ყოველივეს — სულიერისა თუ უსულოს ნათლიად ქვეყლიყო. გახარებული დაიარებოდა ამ უზარმაზარ საბრძანებელში ამპარტავნების გარეშე, ოღონდ „მე ვარ დიადის“* სრული შეგრძნებით, ერთგვარი სიამაყითაც. დილიდან დაღამებამდე სამოთხიდან გამომავალი ოთხი მდინარის — ტიგროსის, ეფრატის, ნილოსისა და განგის — შორეულ გუგუნს ისმენდა. ტენიანი, წყალუხვი სამყარო ბედნიერების ტალღაზე ანანავებდა ამ სრულყოფილ ბავშვს, თუმცა შესაქმიდან მოკიდებული, ევასთან ერთად ადამი ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც დროის არც რეტროსპექტული, არც ინტროსპექტული და არც არანაირი გაგებით ბავშვობა არ ჰქონია. უცოდველობისა და უბინობის გამო ადამი თავად იყო ბავშვი, უფრო ზუსტად — ხატი, ბავშვობით შეთრთვილული, ბავშვობაში ამოგანგლული, ნეტარი უზრუნველობითა და სიმსუბუქით გარემოცული და დაცული.

მერაბ ელიოზიშვილი ძალიან ჰგავდა ადამს, ოღონდ იმ განსხვავებით, მის ნარსულში ჩავლილ ბავშვობას ხელს უჭერდა, არ ეთმობოდა, თითქმის სულ თან დაატარებდა, როგორც ადამი ედემის ხსოვნას. გულში დამბალი მჭექარე მუქარიდან, უმსგავსობაზე ფიციხი რეაქციიდან, მისი სიმკაცრიდან, რომლის წინაშეც შიშით გაისუსებოდა მიმართვის ობიექტი, არაფერი რჩებოდა თუკი თვალეში შეხედავდი, ჩახედავდი... ხომ ამდენი რამ ბობოქრობდა მღელვარე სულში, გარდა სიყვარულისა და ღრმა ადამიანური სევდისა, მზერაში არაფერი ედგა. მის გამანადგურებელ, ხშირ შემთხვევაში სამართლიან შეფასებას, ირონიის ზღურბლამდე მისული, რაღაცნაირი, ფენებად ჩახვეული იუმორი ენაცვლებოდა და ანიეტრალბდა.

სიყვარული და სევდა — აი მისი თვალის აღმოსავლური ჭრილიდან გამონაშუქი ორი უმთავრესი ფერი. რაც შეეხე-

* სტრიქონები ესმა ონიანის ლექსიდან: „რა უბრალოა, რა უღალატო“ (ციკლიდან — ისევ გადახვევები ოთხ ნაწილად): „მე დავიბადე ადამიანად, არაფრიდან გამოვმზიანდი, რა უბრალოა, უღალატო, როცა იტყვი — მე ვარ დიადი!“

ბა ცისარტყელას — ბედნიერების მანიშნებელ ამ ღვთაებრივ პალიტრას, ჟამიდან ჟამზე მინისთვის გამომეტებული სიხარულის შხეფებს, მის ცხოვრებაშიც, ისევე როგორც თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, ხანმოკლე დღესასწაულებად მოჩანს. როგორც ქართლის ღამეულ მდუმარებაში მოულოდნელად ჩავლილი ციციანათელების ქარავანი.

„დიდი მწვანე ველიც“ იმ დღესასწაულისა იყო, იმ ციმციმისა იყო მთის ფერდობზე გადაპენტილი ცხვრის ბიბლიური ფარა — „თეთრი ქარავანიც“, ლელვისა თუ თუთის ხეებით მოჩრდილულ ეზოებში შეყუჟული „დიდელები და შვილიშვილებიც“ იმ ბედნიერების ბადაგში იყო ამოვლებული და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ამდაგვარი შემოქმედებითი წარმოსახვებითა და ხილვებითაა გასხვივონებული მერაბ ელიოზიშვილის მხატვრული სამყარო.

„ნათელას გამოჩენამ ცხინვალის ქუჩებში ზაფრა დამცა. რა ლამაზი, ფეხადგმული კელაპტარივით მოდიოდა“... გაისხენებს ერთხელ ჩემთან საუბარში.

აი, ეს კი უკვე რეალობა იყო, მისი რეალური ქალი რეალურ ცხოვრებაში, მისი ბედისწერა და კაცად ყოფნის გამართლება. მისთვის ნათელა, სხვათათვის ნათელი ქალბატონი. სახარებისეული მართასავით ფუსფუსა და მოუცლელი, მაინც მუდამჟამს მარამივით სიბრძნისკენ მიდრეკილი, კეთილი, თავმდაბალი, ოჯახური სიმშვიდისა და წონასწორობის გარანტი ამ სასტიკ, მღვრიე წუთისოფელში, სხვადასხვა ბედ-იღბლის მქონე სამი უნიჭიერესი შვილი რომ აჩუქა მარტო მერაბს კი არა, ელიოზიშვილების უძველეს, კეთილშობილ გვარს, სანათესაოს, სამეგობროს, ქვეყანას.

ეთერ ელიოზიშვილი — უფროსი ქალიშვილი, ნამდვილი ინტელექტუალი, ნიჭიერი, გულიანი, არაჩვეულებრივი პროფესიონალი, ექიმი-ფსიქიატრი — ადამიანური ბუნების იშვიათი მცოდნე. სხვათაშორის, მეტაფორული აზროვნებითა და მდიდარი ლექსიკით ძალიან ჰგავს თავის დიდ მამას. მეგობრობითაც, ასე მგონია, ყველაზე მეტად მეგობრობდა მერაბთან და ყველაზე უკეთ ესმოდა მისი. ჩემი ხსოვნა სამუდამოდ შეინახავს ორმოცის დიდებულ სუფრასთან ეთერის მიერ გზადგზა ნაკითხულ მერაბ ელიოზიშვილის ლექსებს, მამის სულის საოხად დანთებული სანთლებივით რომ ციმციმებდნენ მთელი საღამო.

დათო — მსახიობი და რეჟისორი. მისეული იუმორის შუშუნები არასოდეს დაავიწყდება, ვინც ერთხელ მაინც მჯდარა მის გვერდით ლხინში. დათო ელიოზიშვილის მიერ თავის დროზე ცხინვალის დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლი „სარკე“ ნამდვილ ზეიმად იქცა თეატრალუბისათვის.

და ბოლოს, მამის ნატრული და ნაბოლარა, უმშვენიერესი რუსუდანი, გამოჩენილი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის რძალი — თავადაც მუსიკოსი — პიანისტი, რომელიც თავის ჭკვიან ოჯახთან ერთად 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე დუბაიში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ოჯახი — მერაბის ბედნიერება, საფიცარი და საფიქრალი. სამშობლო კი — საქართველოს უკეთესი შვილებივით, მარადიული დარდი და სანუხარი, საფლავში რომ თან ჩაიტანა, რადგან ბოლომდე ვერა და ვერ გაიხარა მისი კარგად ყოფნით, რადგან ახალგაზრდა პოეტის, ირაკლი კაკაბაძის შეკითხვასავით —

**სად არის ჩემი სამშობლო
ლტოლვილი ბავშვის ცრემლში,
თუ სახელმწიფო დროშის
მოფრიალე ღიმილში —**

ღია ჭრილობად დარჩა.

მერაბ ელიოზიშვილს მეხსიერება უძველეს საწინააღმდეგარს მიუგავდა, რომელშიც როგორც პიროვნული, ისე ეროვნული გამოცდილების ყოველი თვე და ყოველი წელი ყურძნის მტევანით იჭყლიტებოდა მაჭაროვით მოუსვენარი სიყვარულისა და ჭარბი ემოციის წყალობით. ათასწლეულების შემდეგაც ისეთივე რეალური და ისეთივე მართალი იყო, როგორც ადამის პირველი ცრემლი (ცრემლი მის ცხოვრებაში ერთი დიდი, ცალკე აღებული თემია...).

თავიდან ბატონ მერაბს, როგორც იტყვიან, დაუსრებლად ვიცნობდი. ბუნებრივია, წაკითხული და ნანახი მქონდა მისი „ბებერი მეზურნეები“, „ძმანო კახელნო“, „ბერიკონი“, „ამკლების დაბრუნება“... მერაბ ელიოზიშვილის პიესები რუსთაველის, ერეკლის, ცხინვალის, გორის, თელავის, ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრებში იდგმებოდა ისეთი სახელმძღვანელო რეჟისორების მიერ, როგორებიც იყვნენ არჩილ ჩხარტიშვილი, დოდო ალექსიძე, ლილი იოსელიანი, ლევან მირცხულავა, უ. მინდიაშვილი, ლ. კოტირაძე, ე. ჩხეიძე... ხოლო ქართული კინემატოგრაფი ხომ საერთოდ წარმოუდგენელია მისი სცენარების გარეშე, რომელთაც თამაზ მელიავამ, ელდარ შენგელაიამ, ნანა მჭედლიძემ, მერაბ კოკოჩაშვილმა, რამაზ შარაბიძემ, ვალერიან კვაჭაძემ ეკრანული ცხოვრება აჩუქეს.

ეს, რაც ძალიან გახმაურდა, რაც თვალმა დაინახა და გაინახა.

ის, რაც სხვებთან ერთად ჯგუფურად, კოლექტიურად, მასობრივად არ ინახება, რასაც ინტიმი სჭირდება, განმარტობა, მარტო დარჩენა წიგნთან... ვინ იცის, რამდენი ბრწყინვალე მოთხრობა და მოგონებაა მის მხატვრულ ტექსტებში შენახული, რამდენი უჩვეულო ტროპი და მეტაფორა თავის დროს ელოდება ფრთების გასაშლელად და ლიტერატურული სივრცის გასაოცებლად თუ გასამდიდრებლად.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს, ნოდარ დუმბაძის მეურვეობით საბურთალოს ქუჩაზე მწერალთა შვილებისათვის აშენებულ კოოპერატიულ სახლში რამდენიმე მწერალიც მოვხვდით. ასე გავხვდი ჩემი უფროსი და უმცროსი კოლეგების მეზობელიც. ხუმრობა — ყველას შვილებს სახლები აქვთ, მწერლების შვილებმა რა დააშავესო — ბოლოს მაინც თავისი დიდი სიყვარულისა და გავლენიანობის წყალობით ბ-ნმა ნოდარმა რეალობად აქცია.

ცხოვრება ასე თუ ისე თავის კალაპოტში იდგა. გამოდიოდა წიგნები, იდგმებოდა სპექტაკლები, მაგრამ მერაბ ელიოზიშვილს თითქოს წინათგრძნობა არ ასვენებდა —

დავკარგავთ ცხინვალსო, პირადი საუბრებისა თუ საჯარო გამოსვლების ამ მუდმივი რეფრენით აღიზიანებდა კიდევ უდარდებლობისაკენ, უფრო სწორად, ნირვანისაკენ მიდრეკილ (უდარდელი ხელოვანი ვის გაუგია) კოლეგებს.

უკვე თითქმის 10 წლის მეზობლები ვიყავით, მაგრამ ჩვენი ურთიერთაღმორჩენა და მეგობრობა სწორედ იმ საბედისწერო 90-იან წლებში დაიწყო და გაძლიერდა. ამას თავისი დიდი და უმნიშვნელოვანესი მიზეზი ჰქონდა.

მოგეხსენებათ, 80-იანი წლების მინურული ეროვნული მოძრაობის გააქტიურებით ხასიათდება და ავანსცენაზე ახალ-ახალი სახელები ჩნდებოდა. აღარაფერს ვამბობ ლიდერებზე, რომელთა დისიდენტურ მოღვაწეობასა და ანდერგრაუნდში ყოფნას ერთგვარი მასტიმულირებელი ქვეტექსტით დაატარებდა საბჭოთა საქართველოს შემოქმედებითი მიღწევები თუ წარმატებები.

უცნაურია, მაგრამ, სამწუხაროდ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, შემოქმედებით ინტელიგენციას, განსხვავებით ექიმებისაგან, სამეცნიერო ტექნიკური ინტელიგენციისაგან (ირაკლი გოცირიძის რედაქტორობით გამოშვებულ გაზეთ „იბერია სპექტრის“ გვერდებზე თვეობით ქვეყნდებოდა პრეზიდენტის მომხრე ათასობით ხელმოწერა გვარებში), რბილად რომ ვთქვათ, რატომღაც ძალიან აღიზიანებდა გამსახურდია და მისი ეროვნული მთავრობა. ეტყობა მათი ყოფნა ანდერგრაუნდში იერიშით და ამ ხიზლის წართმევა არ უნდოდათ მათთვის.

სპეცსამსახურებისა თუ წვრილმან-პიროვნული ვნებებისა და ამბიციების წყალობით სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა სიძულვილის ქაროშხლები, უფრო და უფრო რთული ხდებოდა თანამოაზრეთა პოვნა და ეს შეხვედრა ოაზისის პოვნას უტოლდებოდა უდაბნოში.

მახსოვს, ერთხელ ლიტერატურის ინსტიტუტიდან გამოსულმა გამსახურდია და კოსტავა დავინახე. იმდენად ჩქარი ნაბიჯებით მოდიოდნენ, რომ მათი თანმხლები რამდენიმე ბიჭი გაჭირვებით ეწეოდა. მერაბი მგზნებარედ უყვებოდა თუ უხსნიდა ზვიადს რაღაცას. გამსახურდიას მთელი არსება სრულ ყურადღებას გამოხატავდა, ქუჩისათვის უჩვეულოდ კონცენტრირებულსა და დაყურსულს.

„ნეტა რას უხსნის?“ — ჩემთვის გავიფიქრე და ის დრო გამახსენდა, როცა ქალაქს მოულოდნელად აქოჩრილ ტალღასავით ურყოლოვით გადაუარა ჩურჩულმა: „კოსტავა ჩამოსულა!..“

სხვისი არ ვიცი და იმ დღიდან მოყოლებული, პირადად მე, აშკარად ვგრძნობდი დროდადრო როგორ ძლიერდებოდა საყოველთაო ნატვრითა და სულისკვეთებით გაჯერებული ყოფნა-არყოფნის სეისმური ბიძგები.

„ზვიადი და მერაბი!“ „მერაბი და ზვიადი!“ — ეს სახელები დროშებით ალემართა ეპოქის უჩინარ ხელს ქარში. ამიერიდან ეს დაწყებული ტყუპ ძმებად აღიქმებოდა თავისუფლებამონყურებულ წარმოსახვაში. ცოცხალი, ხორც-



მერაბ ელიოზიშვილი

შესხმული ჰერალდიკა დაიარებოდა თითქოს მომავლიდან ანმოს ქუჩებში მათი სახით.

ბუნებრივია, თავდაპირველად სწორედ ამ წყვილის გათიშვისა და განცალკევებისთვის იწყებენ გააფთრებულ ბრძოლას საიდუმლო ორგანიზაციები, ათასი ჭორი და სიბინძურე ციბრუტივით ტრიალებს მათ ირგვლივ, მაგრამ ყოველთვის სათამაშო ბზრიალას კოჭლობით ამთავრებს „ფერადოვან“, მექანიკურ მოძრაობას და აშკარად აჩენს თავის შავ-თეთრ ზრახვებს.

ვინ იცის, რა გველოდება, როგორ განვითარდება მოვლენები?! — ამაზე იმ ბედნიერ და ავბედით წლებში არაერთი საღამო გვისაუბრია ბატონ მერაბთან ერთად აბაჟურის რძისფერ, მშვიდ ნათებაში ჩაძირულ ჩვენს სასტუმრო ოთახში. რამდენი ვარაუდი, რამდენი შიში გამოგვითქვამს და გაგვიანალიზებია, რომ იმედის ფერმკრთალი სხივები მაინც მოგვეცია.

ერთ რამეში ვთანხმდებოდით, ერთი რამე ვიცოდით დაბეჯითებით — რაც უნდა მომხდარიყო, ხსოვნის მედალიონზე ამოტვიფრულ ამ წყვილ ხატებას, სამუდამოდ ჩაკირულს ეროვნულ ნიაღში, მის გულისგულში, ველარაფერს მოუხერხებდნენ, ველარაფრით ამოშანთავდნენ. დიდი-დიდი მიეჩქმალათ, გაექრთ დროებით, მზერა დაებნელებინათ მათთვის, როგორც ტაძარში შევარდნილ პირველ ბოლშევიკებს, მაუზერის ტყვიებით ხატებს რომ ცხრილავდნენ.

ხატები დაზიანდა, მათი მზერის გამონაშუქი კი ვერაფრით ჩააქრეს სულში... საქართველო თავისი დუმილით ჟამიდან ჟამზე ყოველთვის ინახავდა აკრძალულ სახელებს ისე, როგორც დედის კალთაში იზრდებოდა მკერდზე ჩუმად ლოყამიკრული ჩვილი.

მერაბი და ზვიადი! ზვიადი და მერაბი!..

ისეთი საყოველთაო ვაკანალია იდგა, ჭკუისა და გულის მოსასმენად ვის ეცალა.

რა გველოდება, როგორ განვითარდება მოვლენები?! ავი წინათგრძნობა განგაშებდა ქვეყნის ჭირისუფალთა და არა საკუთარ კარიერისტულ ამბიციებსა თუ ამპარტავნების წყვილიაღში ჩანთქმულთა გულებში.

შეშფოთებული მერაბ ელიოზიშვილი პირდაპირ წერდა:

„კავკასიონის ცეცხლში გახვევს რუსის ჟანდარმი, ძმებო, დავეიჯერეთ! ძმათა ომი დაავზნებს, სულ მალე, ამ პატარა ცხინვალურ ნაკვერჩხლიდან! ბოლოს ადგება და ახალი გეტოს კვალის მოსასპობად კრემატორიუმიდან ნაცრად გამოგვიზიდავს: ზოგს ევროპის მებაღეებს მიჰყიდის მტკიცე ვალუტის ხელში ჩასაგდებად, ნაცრის დიდ ნაწილს კი შინ გაზიდავს სამხედრო პოლიგონებით გატყავებული, ატომურ რეაქტორთა აფეთქებით გატიალებული ნიადაგის გასაცოცხლებლად, რუსული სტეპის გასაპოხიერებლად!..“ („ანდერძი“)

მწერლის განგაში 90-იანი წლების და ეროვნული მოძრაობის გააქტიურების წლებში არ დაწყებულა. ნამდვილი მწერლები უტყუარი წინათგრძნობით არიან დასჯილები. მაგალითი, ჩემს თვალწინ, მერაბ ელიოზიშვილი გახლდათ თავისი მშფოთვარე, გაუთავებელი ხილვებითა თუ სიზმრებით, რომელთა მოყოლასა და გაზიარებას ვერ აუდიოდა. ნებისმიერი საუბრის მერე ბოლოს მაინც ცხინვალს რომ მიუბრუნდებოდა, სამაჩაბლოს, შიდა ქართლს რომ დაუნყებდა აწყლიანებული თვალებით რაღაც უცნაურ გამოტირებას.

თურმე უცნაური კი არა, საცნაური ყოფილა მოაზროვნე გულის ბიძგები. ვაცხადდა კიდევ. აგვისტოს ომმა ერთბაშად 150 ქართული სოფელი შეინირა შიდა ქართლში.

მათი სახელების ჩამონათვალი, ჟღერადობით უძველეს ქართულ საგალობლებს რომ მოგვგაგონებდა და ესალბუნებოდა გულს, XXI საუკუნის საქართველოში ქართლის რეკვიემად იქცა.

„ახალი გეტოებიო“ ...

მართლაც გეტოები არ აშენდა ტრასის გადაღმა, წეროვანის გზისპირა ტერიტორიებზე?! ისე სწრაფად, სახელდახელოდ, თითქოს კარგახნის შეკვეთილი მუყაოს მაკეტები ვილაციის ნიშანს და დროს ელოდა ასანწყობად.

ხელისგულისოდენა მინაზე ვაზის გაშენებას ვინ ჩივის, ხის დარგვა, მწვანის მოყვანა, ყვავილის გახარება იქნა შეუძლებელი თუ აკრძალული.

სურნელოვან ხეხილსა თუ ხასხასა ბაღჩა-ბოსტნებს მიჩვეული და ასე ერთბაშად ნიადაგამოცლილ, კერიადა-ნაცრულ ადამიანთა ტრაგიკული სული არაჩვეულებრივი დრამატიზმით გამოიხატა ახალგაზრდა მხატვრის თამუნა მელიქიშვილის ნამუშევარში ზუსტი სახელწოდებით — „მზის ამოსვლის სანინალმდეგოდ“. ზუსტი იმიტომ, რომ მთელი ატმოსფერო, რასაც ეს ნამუშევარი ასხივებს, არის ანტიბუნებრივი, ანტიადამიანური, ანტიღვითური. „მზის ამოსვლის სანინალმდეგოდ“ პროცესი მზის ჩასვლა კი არა, არამედ ზუსტად „მზის არ ამოსვლა“, მზის დაბნელება, „მკვდრის მზე“, როგორც სიცოცხლის დასასრული.

ეს არის ნახატისა და ფოტოშოპის ერთგვარი სინთეზი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს სახლები გამთენიისას გადაურღია, როცა ეს-ესაა ამოწვერილ მზის სხივებზე, როგორც ბავშვობის გზაზე დაგებული შუშის ნამსხვრევი, მნათობის წყალობით ზღაპრულად ბრწყინავს, ისე განათდნენ ეს სერიული, უდიდამო, მკვდრადმოილი შენობები. რა თქმა უნდა, ეს მატყუარა გაბრწყინება ხელოვანს უნდა დაეცხრო, რადგან რეალობის სიცრუესთან შეუღლება შემოქმედისათვის მიუღებელია.

ზემოდან ფოტოშოპით დამუშავებისას მხატვარმა ზუსტად იგრძნო ფერი, რომელიც ასე ძალიან ჰგავს იმ ტანჯვისფერს, თემო ჯავარის მიერ დახატულ, რეპრესირებულ ინტელიგენტთა პორტრეტებს რომ აფენია სახეზე. თემოსთან პიროვნებებია, სახეებია. აქ სახლებია ამ სახეების გამოსვლა დამთრგუნველი. ჰილზებით მიჯრით ჩანს თვალსადავრებში გამორიცხულია ადამიანური არსებობა, ოჯახური მყუდროება, მოკრძალება, სიყვარული, გამრავლება... აქ ცხოვრება განირევა და ცოცხლად დამარხვა... თითქოს საკუთარ სამშობლოში დევნილთა განანამები, მბორგავი სული, როგორც სხეული, ისე მოუხელთებიათ, შეუპყრიათ, დაუტუსაღებიათ.

სურათის წინა პლანზე დამწვრისფერი ბალახით შემოსილი მინის ქვეშიდან გამოშხირალი ლტოლვილი კი არა, ადგილის დედა იცქირება საოცრად ნატანჯი სახით. ამ გამომეტყველებამ და ამოღამებული თვალის უპეზეზე დაფენილმა ჩრდილმა მუნკის ტანჯვა („კივილი“) გამახსენა. ოღონდ იქ, შარაზე მდგარი ერთი კაცის სასონარმკვეთი კივილი, გადამწვარი სიცოცხლის სხეულიდან, როგორც კრემატორიუმის მილიდან ამომავალი უკანასკნელი კვამლი, ისე მიიზღაზნება ზეცისაკენ.

აქ, ეს კივილიც სადღაც შიგნით, ქვესკნელშია ჩაბრუნებული და არც არავის ესმის. იგივე სახე უკვე მიჯრით მიდგ-

მული წინა ოთხი-ხუთი სახლის წიაღში, ეკრანივით, შუქდებდა. ფიჩხივით მკლავზე ნიკაპამოყრდნობილი ისე მოჩანს, როგორც შეურაცხყოფილი, გასრესილი ადგილის დედა.

ვინ იცის, იქნებ ეს სახე სულაც კერიის მფარველი კი არა, ბავშვის სულია, მისი ანარეკლი, აქაურობის ტყვე, ამ ყუთში ჯდომა რომ მიესაჯა ცივისსხლიანთა წყალობით, თანდათან რომ უთეთრდება სისხლი: სპირტიან კოლბაში ჩასმული სხეულივით რომ მოუნდომეს შენახვა, მუმიფიცირება, როგორც უმომავლო, ცრუ-მომავლის ექსპერიმენტს.

ეს რაც შეეხება მხატვრობას და ახალი თაობის მიერ „პოსტ ფაქტუმ“ რეალობას: „პრინციპში, ძალიან გახსნილი ადამიანი ვარ, მაგრამ რასაც არ ვლაპარაკობ, ის კონტექსტები, ნახატებში შეიძლება იპოვო. უფრო თამამი იქ ვარ“ — იტყვის გაზეთის „Weekend“ ინტერვიუში ახალგაზრდა მხატვარი და უნდა ითქვას, რომ ეს „სითამამე“ მისი ზნეობრივი პორტრეტის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ახლა კი ისევ მწერალს მივუბრუნდეთ.

მერაბ ელიოზიშვილის მიერ აღწერილი მამაპაპისეული კარმიდამო სულაც არ აღიქმება ერთი ოჯახის ვენახის ისტორიად. ეს ისტორია მთელი საქართველოს დაწურული ყურძნის ცრემლითაა გალიცლიცებული.

„ჩვენი უკანასკნელი ვენახი, მწვანე ჩინური, თავკვერი, შავკაპიტო, ბუდეშური, ხარისთვალა. 1956 წლამდე შევინარჩუნეთ შუაგულ ცხინვალში, ოცდაათ მეასედს არაფერი უკლდა!

მერე დაიჭრა კომუნისტური საჭიროებისათვის. ხუთ ნაწილად დაიკვეთა, როგორც ყაჩაღებისგან მოკლულ-აყუნული — კვალის დასაფარავად: თავი სამხედრო ჯართა ნაწილს არგუნეს, საზარბაზნე ეზოს გასაფართოებლად. მარჯვენა, თავის ბეჭიანად — პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მიიერთა, საცდელ საბაღე საქმიანობისათვის, ანუ ვენახიდან როგორ უნდა მივიღოთ ტყემლნარი...

დანარჩენი ორი კიდური — ორ მობინადრეს ებოძა და მხოლოდ ერთი ფეხის ჩადგმაც — ჩვენ; ბევრი ღრეჯვისა და სირბილ-სირბილების, საოლქო მთავრობის ხორხოცული ჩაცინებითი დასტურით...

ნეკნებში აფეთქებულ ნაღმს ღია ჭრილობიდან მოწყვეტილი კოლტივით გდია ვენახის ნაფლეთი, პაპისეულ ლომა-კამეჩის ნაფეხურში წვნიანდება სისხლიან შეჭამადად, პატრონის გაჭირებულ მოლოდინში სისხლივით ინურება დრო ლომას ნატერფალ, ჩაბუფებულ მიწაში („ანდერძი“).

იშვიათია მწერალი, რომელსაც მიწისა და სიტყვის ისეთი, თითქმის იდენტური გრძნობა და განცდა გააჩნდეს, როგორც ეს მერაბ ელიოზიშვილს ჰქონდა. ისევე, როგორც არ არსებობს ნამდვილი გლეხი, ნამდვილი მეურნე მიწის გრძნობის გარეშე, სამყაროს მარადიული ციკლის: გა-

ზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთრის რიტმის აღქმის გარეშე, ასევე არ არსებობს ნამდვილი მწერალი სიტყვის გრძნობის გარეშე.

XX საუკუნის საყოველთაო ტექნიზაციამ, კომპიუტერიზაციამ, ცივილიზაციის ათასნაირმა ე.წ. „პროგრესულმა“ აღმოჩენებმა არა მხოლოდ ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროება შექმნა, არამედ ზნეობრივ-მორალური, სულიერი კატასტროფებისაც. და რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს კატასტროფა, უპირველეს ყოვლისა, სიტყვას დაემუქრა, სიტყვა გამოფიტა, გამოაშრო, ლიტონდა, უქმად და უაზრობად აქცია.

ეს აბსოლუტურად ლოგიკური და სამართლიანი პროცესი და შედეგია იმ შემთხვევაში, როცა სიტყვის მსახური ანუ შემოქმედი პატარ-პატარა დათმობებზე მიდის. მიდის კომპრომისებზე, ხდება კონფორმისტი.

სიტყვა, ისევე როგორც ყველაფერი სამყაროში, უფლის საჩუქარია და თუ მას სიკეთის, სიყვარულის სამსახურში არ აყენებს მწერალი, მისი სიტყვა განწირულია, სიტყვის ენერგეტიკა ველარქმნის იმ ბიოველს, რითაც უნდა მოინუსხოს, გათბეს, გაკეთილშობილდეს მკითხველი.

სიტყვა მხარზე დადებული ხელივითაა უდიდესი მარტოობის ჟამს.

მხატვრული სიტყვის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამუდმებით აცლის სასონარკვეთილების ეკლებს ჩვენს სიმწუხარეს, დარდს, ვარაშს.

მამა ელიოზი



ვინ, თუ არა ქართველმა კაცმა იცის ნამდვილი სიტყვის ფასიც. სწორედ ამიტომ იმახსოვრებდა ქართველი ხალხი „ვეფხისტყაოსანს“, ამიტომ ამრავლებდა საუკუნიდან საუკუნეში სახარებისეული ხელნაწერებით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსაც. ამიტომ ენდობოდა თავის გულშემატკივართ და ყველაზე დიდ ჭირისუფალთ: ვაჟას, ილიას, აკაკის, გალაკტიონს... ამიტომ გამოხატავდა უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს იმით, რომ მათ ასე უბრალოდ, სახელებით მოიხსენიებდა, და ბოლოს, ვინ, თუ არა ქართველმა ხალხმა იცოდა ჭეშმარიტი პოეზიის ფასი — განა თავად არ ქმნიდა შედეგებს?! განა „ვეფხისტყაოსანის“ მისი შთაგონების ნაყოფი არაა, მისი დიდსულოვნებისა და მენტალობის გამომხატველი?!

და მაინც, ისევე როგორც ბუნებაში არსებობს განსაკუთრებით მდიდარი ნიადაგი, შავმიწა ნიადაგი, მინერალებითა და სიცოცხლით სავსე, უხვი, თბილი, წვნიანი, ასევე არსებობენ მწერლები, რომელთა სიტყვის მაღლიც განსაკუთრებული არომატითა და სიმძაფრით აფრქვევს საქართველოს მთა-ბარის სურნელს, მიწის ფშვინვას, მის მაღლსა და ბარაქას. მერაბ ელიოზიშვილი სწორედ ამგვარი ოსტატია.

სიტყვის გრძობის ეს უნარი მით უფრო საკვირველი და დასაფასებელია დღეს — ამ საყოველთაო გამყინვარების, გაუცხოებისა და გაუდაბნოების პროცესში, ტოტალური სიცრუისა და ტოტალური დაღლილობის ფაქტში. ამიტომ იქცა ყოველი ნამდვილი, მაღლიანი სიტყვა ჟანგბადად, წყაროდ, ოაზისად უდაბნოში.

პირადად ჩემთვის, ყველაზე დიდი ლიტერატურა ღვთისმადიებელი ლიტერატურაა. მერაბ ელიოზიშვილი ამ სიტყვის არა მხოლოდ შემოქმედებითი, არა აბსტრაქტული, არამედ პირდაპირი, ფიზიკური მნიშვნელობითაც ღვთისმადიებელი კაცი იყო. წლების განმავლობაში გარს უვლიდა ჩვენს ტაძრებს, მონასტრებს, სოფლის პანა საყდრებს. ვინც კარგად იცნობდა და ვისაც დაკვირვებული თვალი ჰქონდა, მიხვდებოდა, რომ იგი რალაცას აპირებდა, რალაც ძალიან მნიშვნელოვანისათვის ემზადებოდა. ფიქრის კაცი იყო, ოცნების კაცი იყო. ალალი და უემშაკო კაცი იყო და სულ უფრო და უფრო ეძნელებოდა „ამაოების ბაზრად“ ქვეულ ყოველდღიურობაში ჩარჩენა. ამიტომაც გადადგა თავის დროზე ერთსა და იმავე დროს ბუნებრივი და უცნაური ნაბიჯი:

„მაშინ, როცა მე თქვენ გეახელით, არსად — არანაირი ბათქი, ზათქი, არანაირი სამოქალაქო ომი, ღრიანცელი, გიორგი ერისთავის „გაყრა“ და წითელი მუთაქების გადანაჭერი, თეთრი ბუმბული ჯერ არ გახლდათ ქუჩებს მოდებული.“

სასოებით მოგმართეთ: — გამწაფე, უწმინდესო და უნეტარესო, მზად ვარ ყველაზე პატარა ეკლესიას, ჯერ შვილად შევუდგე და შევეკედლო, მერე, თუ ღვთის ნებაც იქნება, მამადაც გავუხდე. თუნდაც იმდენად მცირე საყდარი იყოს, ძლივს რომ მოვიბრუნო მხარი. რამსიმორესაც გნებავთ, იყოს, არ მეშინია. სამად-სამი ქართველიც რომ მყავდეს მრევლში, არ დავიხვევ: ვიქადაგებ, ვივალაგებ, ვიყველაფრებ. უკარო ეკლესიაც რომ იყოს, კარად მივედულები, მოყვარეს გაველები, მტრებს დავეკეტები. ვიჭრიალებ, უწმინდესო და უნეტარესო, რასაც და როგორც მოვახერხებ: მწერლობითაც, კინობითაც, ყველაფრიდან ყველაფრამდე, სულიერების ჩიტი ვიქნები, იმ ჩემს გალიაში და ბოლოს, როცა გამჩენი ინებებს, ერთიც ჩემი საფლავი გაიჭრას, იმის ეზოში...

დიდი მამის, დიდი პაპისეული სუნთქვა ამოდიოდა პატრიარქის გადახსნილი გულიდან... დიდი საჩუქარი იქნებოდა, ჩვენთვის! — ღიმილით მომიგეთ...

ნეტავ შეგყოლოდით იმ ღია გულში!..

ცხრა-ათი წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებ და გაკვირვებული ვფიქრობ:

— რამ დამადო ბორკილი? რატომ შევეყვინდი? რატომ ჩავუჯექი, კვლავ, საქექად, ამაოების, ამაო ნაცარს?!

რამ ჩამკეტა? რამ დამბრკოლა?! რა მოხდა? რატომ დავეკარგე უფალს, კიდევ რამდენი წლით?! რატომ? რატომ? რატომ?..“

ამ კითხვას ისე სვამდა, ისე გულამოსკვნილი იმეორებდა, ხშირად ვგრძობდი, უკვე სამუდამოდ მოქცეულსა და რწმენაში მდგარს, აშკარად ენანებოდა გარდასული, დაკარგული წლები, ამ გარდასულ წლებში ვერგანეული სწორედ ასეთი ღვანლი: „პირდაპირ რატომ არ შევტოპე მტკვარში, ჯვარსა და სვეტიცხოველს შორის?! დავმდგარიყავი, დიდი ქრისტიანობით ვაჯერებული, ნათლიდედა წყალში, გავქვავეებული-

ყავი, თუნდაც და ქრისტიანული, ქვის ტურებით მეთქვა ღვთისადმი: „აცხოვნე, უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი...“ („ალემართენით“).

მან უკვე რახანია იცოდა, რომ ყველა დროის, ყველაზე დიდი სატიკივარისა და ჭირის მალამო ლოცვა იყო, ლოცვა ქარში.

ამიტომაც, როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს მანც აირჩია ღვთისმსახურის თალხი სამოსი და საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს არაორდინარული ადამიანი, არაჩვეულებრივი არტისტი, მთხრობელი, მუსიკოსი და დიდებული მწერალი მერაბ ელიოზიშვილი დააკვნად აკურთხა.

ვიზუალურად, გარეგნულად თითქოს ამითაც გამოხატა ის მგლოვიარე სული, რითაც ეცოდებოდა და ენანებოდა თავისი დარბეული სამშობლო, დაშლილი, გაყიდული, დანაკუნებული. თითქოს ამ სამოსითაც ცდილობდა ღვთისაგან განდგომილი ხალხისათვის, ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებისათვის დაენახებინა, რომ ღმერთი არსადაც არ წასულა, რომ მათ შემხედვარეს ისე რცხვენია, ხანდახან თვალებს ხუჭავს და იქმნება ილუზია, რომ გამკითხავი აღარც კაცია და აღარც მამაზეციერი...

ეს მისი, როგორც მწერლისა და მოქალაქის, არც აქცია იყო და არც პროტესტი. ეს გახლდათ სულის მოთხოვნილება და ღრმა შეგრძნება იმისა, რომ სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს, რომ მხატვრული სიტყვა და ლოცვა ერთსა და იმავე მალამოს უნდა აფენდეს დამაშვრალი და გაუბედურებული ადამიანის სულს.

ისე როგორც მწერლობა ადამიანობის შესხენებაა, მწერლის ანაფორა ღვთის შესხენება იყო ადამიანებისათვის.

90-იანი წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლო ნუთებამდე, შემთხვევითი არაა, რომ მერაბ ელიოზიშვილი განსაკუთრებული ინტენსიობით სწორედ პუბლიცისტიკაში მუშაობდა. სამართლიანად აღნიშნა ერთმა ჭკვიანმა ყურნალისტმა — ბოლო ურთულესი ორი ათეული წლის განმავლობაში ქართველ მწერალთა მხოლოდ უიშვიათესმა გამონაკლისებმა გაიმეტეს თავი პუბლიცისტიკისთვისო. პერმანენტული გადატრიალება — რევოლუციებისა და სხვადასხვა ფორმით გამოხატული ნაირნაირი პოლიტიკური რეპრესიების ფონზე მერაბ ელიოზიშვილის (მამა ელიოზის) რადიო-სატელევიზიო გამოსვლები, პუბლიცისტური ნერილები თუ ინტერვიუები ნამდვილი მოქალაქეობრივი გამირობა იყო.

მისი მდიდარი შემოქმედების ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარია ბრწყინვალე წიგნი „ალემართენით“, რომელიც პატრიარქის კურთხევით წმინდა ნინოს გზაზე პილიგრიმობისას მოგვრილი ფიქრებით, განცდებით, ემოციებით დაინერა.

„ალემართენით“ უფრო დოკუმენტური ესეისტიკის ჟანრს განეკუთვნება, ვიდრე წმინდა წყლის პუბლიცისტიკას. ეს მიკუთვნება პირობითია, იმდენად სავსეა სიკეთით, რწმენით, მიზნითა და სიყვარულით, არაჩვეულებრივი იუმორითა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რალაცნაირი მსუყე ირონიით, სასულიერო პირთა ღვანლის ღრმა ცოდნითა და მრევლის უჩვეულო მაღლიერებით.

როგორ ესმის და როგორ ენანება ამაო დარდისთვის შვილებ „დაკარგული“ თუ „წართმეული“ ბერ-მონაზონთა

მშობლები, როგორ ბუნებრივად და მშვიდად უხსნის მათ აფორიაქებულ გულებს:

„კარგი შვილები გყოლიათ, აფერუმ თქვენს მშობლობას, თქვენს ქართველობას! მე მათზე უფრო მოცლილი ვარ: ცოტა — მწერალი, ცოტაც — დიაკონი. ვიოლინოზეც ვუკრავდი, უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრში. დაკვრა-დაკვრით წამოვალ გზაში. გინახულებთ, უეჭველად გინახულებთ და როგორც ჩემს მამას, აბელსა და დედას, მარიამს, ისე ჩაგიხუტებთ და გულში ჩაგიკრავთ!.. უცოლმ-ვილობაზე ნუ შემოსწყრებით ვაჟებს, გმირები არიან, დამიჯერეთ! საქართველოს, დღეს „ბუტკა-ბუტკა“ სარტყელი რომ შემოუკრავს, ბიჭ-ბუჭა ვაჭარისა და დახლის ნრუნუნასავით, ევროპული არყის ბოთლის თავსახურად რომ გაუმეტებია ქართველ ახალგაზრდას მამა-პაპურ მუზარადქვეშ სამშობლოსათვის სატარებელი თავი, აი, ასეთ დროს, ბერ-მონაზონთა გმირი მშობლებო, გახსოვდეთ, რომ თქვენი მისია, ღვთისა და ერის წინაშე შესრულებული გაქვთ! „რამეთუ იტყვის მოციქული პეტრე: დღენი ცხოვრების ჩვენისანი, ათას წელ და ათას წელ ვითარ ერთი დღე, და არარა სარგებელ მას შინა... ყოველივე უქმ და ამაო თვინიერ მოღვაწეებისაგან ვიდრე, რამეთუ, თუცა ღვანლი მოიღვანო ცხოვრებისათვის სულისა, და აღასრულო თქმული ესე და ისნაო მცნებანი ღმრთისანი, მეყვესულად აღგეხილოს თვალნი გონებისა შენისანი, და შეიგნო საკვირველებანი სახიერებისა ღმრთისანი, თუ ვითარაობენ“.

ეს წიგნი („ალემართენით“) ჩემთვის სამშობლოსა და ჭეშმარიტების, მოყვასისა და ღმერთის განუყოფლობის ბრწყინვალე ნიმუშია.

უბაღლოა მერაბ ელიოზიშვილის სიტყვის ენერგია — ზუსტი, საყვარელი, სამკურნალო მცენარესავით უანგარო, შვებისმომგვრელი.

წიგნი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. მენანება კიდევ მისი დაშლა ფრაგმენტებად, ციტატების ამოგდება კონტექსტიდან. მარადიული ფიქრის იმდენად ერთიანი ქსოვილია, ერთიანი ძაფით ნაქსოვი ისტორიაა, თითქოს კვართივით დაუშლელად, დაუნანვერებლად უნდა ჩაანვიწიო ხსოვნაში.

„ალემართენის“ მხატვრულ ქსოვილში სახარებისეული ტექსტის ნებისმიერი ფრაგმენტი გალობასავით შემოდის და არსად ტოვებს მსგავსი შემთხვევებისათვის დამახასიათებელი ციტირების განცდას. ეს არ არის ოსტატობა, მონტაჟის ხელოვნების სრულყოფილი ცოდნა. ეს უფრო ბიბლიის იდუმალ მღვიმეებში შესული კაცის მძაფრი განცდა და სურვილია, მარილიანი სტალაქტიტებივით აქ დარჩეს სამუდამოდ, თითქოს მარადიულში შეღწევის დნობით, განლევით, მიერთებით ლამობს.

რისთვის არ შეუდარებიათ მერცხალი — გაზაფხულის უპირველესი მაცნე ფრინველთა შორის. გულთეთრა და კუდმაკრატელა. ილიას წყალობით ხომ საერთოდ სინონიმად იქცა იმედის, მომავლის, განახლების, მაგრამ მერაბ ელიოზიშვილამდე მერცხალთა გუნდი წყალკურთხევის ჯვრებად არავის მოლანდებია. ეს მისი ხილვაა, მისი უჩვეულო წარმოსახვა.

„მონყდა ბუდეს ზარის მერცხალი“ — ეს კიდევ მისი იშვიათი სმენაა. თავისი არსით ეს თითქმის იგივეა, პიკასოს მტრედი მშვიდობის სიმბოლოდ (ელჩად) რომ იქცა სამყაროსთვის.

„მერცხალთა გუნდი — წყალკურთხევის ჯვრები!“

წიგნი „ალემართენით“, როგორც ცხოვრება ისე ტოვებს შენს ხსოვნაში ფრაზებს, სურათებს, პეიზაჟებს, პორტრეტებს, ამინდებს, განწყობას, განათებას, სიტბოს, ატმოსფეროს, სურნელს...

ახალქალაქის ტყვიით დაცხრილული, ისედაც დაფეხვილი სკოლის შემყურე მამა ელიოზს, გაკვირვებულს რომ გამოჰქონდა განაჩენი — რა არაკაცი უნდა იყო, ამას რომ ესროლოო, — სკოლის დირექტორი გასუსული უგდებდა ყურს, თან ხაზგასმული მონდომებით ბოქლომს ვერმორგებულ გასაღებს აჩხაკუნებდა.

„მომეჩვენა, რომ ჩვენები აქ უფრო ჩუმად არიან, ვიდრე საინგილოში...“ როგორ შეიძლება ამ ერთი ფრაზის დავინყება, რომლითაც ამდენი რამაა გამხელილი.

იშვიათი ბუნებრიობით ენაცვლებიან წიგნში ტკივილისა და სიხარულის, დარდისა და იმედის, მწუხარებისა და ნუგეშის მაუნყებელი გვერდები. ფანტასტიური იუმორითაა გამხელილი მერაბ ელიოზიშვილის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გასტრონომიული პრაგმატიზმი, რითაც იგი შიდა ქართლის დამმუღ მოსახლეობას მარხვის დღეებში „ნამძელი მწვანეების“ — ჩვენი ხილკენკრისა და მცენარეების შეგროვებას, დამუშავებას და გახმობას ურჩევს. თან მათგან კერძების დამზადებას ასწავლის. ამ პანია მონაკვეთში განსაცვიფრებელია ქართული ფლორის ასეთი სრულყოფილი ცოდნა და გააზრება მწერლის მიერ.

„სალამოს ლოცვისთვის ვდუღდი და გადმოვდუღდი“ — რამხელა სიყვარული, როგორი მზაობა და მონატრებაა ლოცვის.

„ერთ მშვენიერ დღესაც, შენს თვალწინ მოშრიალე, სულიერი ხილით დახუნძლული ეს „ნატურის ხე“ ტოტებს ფრთებივით აიქნ-დაიქნევს, საყვარელი ტაძრის ეზოდან ამოზიდავს ფესვებს, აინწვ და იქ გადაფრინდება, სადაც უფრო მეტად უჭირთ“ — მერაბ ელიოზიშვილისეული ეს ხილვები კი მეუფე დანიელს ეკუთვნის, ეს შეფასებაც: „გალადებული ხარ იმ დღეებში, მთავარეპისკოპოსი დანიელი რომ წირავს. შენზეც გადმოდის მადლი ღვთისა და სხივი სარწმუნოებისა. მაშინ ვეღარა გრძნობ, რამდენი დღისა თუ რამდენი წლისა ხარ...“

ეს ის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელია, რომელიც ჩვენი ქვეყნის უმძიმეს დღეებში ცხუმ-აფხაზეთში წამითაც არ მოსცილება ქართველობას, თავზარდამცემ დღეებში მხნეობას მატებდა და აძლებინებდა მოსახლეობასა და მრევლს.

ჩემს თანამედროვე მწერალთაგან მერაბ ელიოზიშვილი — ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც სასულიერო პირთა როლი და ღვანლი საქართველოს ისტორიის უახლეს პერიოდში ასე ბუნებრივად, ღრმად დაინახა და მხატვრული სიტყვით მათი იქნებ ეპიზოდური, მაგრამ უაღრესად შთამბეჭდავი პორტრეტები დაგვიტოვა თუნდაც ამ წიგნში.

თანდათან, როგორც იქნა, წარსულს ბარდება ის სავალალო ფაქტი, როცა სასულიერო პირებს არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ რეჟიმის მონა-მორჩილი მწერლები, მხატვრები, რეჟისორები ერჩოდნენ. სულ მალე ხელმეორედ გამოიცემა როსტომ ჩხეიძის შევსებული, საკმაოდ სოლიდური, უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფია, „ხანი უნდობარი“, რომელიც სამზეოზე გამოიტანს ტოტალიტარული რეჟიმებისათვის დამახასიათებელ ამ სამარცხვინო ტენდენციასაც — დაემცროთ, კარიკატურული იერი და ტონალობა მი-

ეცათ ქართული სამღვდლოების ცხოვრებისა და ღვანლისათვის. სამწუხაროდ, ამ ტენდენციისაგან დაზღვეული არც დღევანდელი ვითომდა ლიბერალურ-დემოკრატიული განწყობილებების მატარებელი, ხშირ შემთხვევაში ფსევდონიმებს ამოფარებული ფსევდომწერლები აღმოჩნდნენ.

უაღრესად დამაფიქრებელია მერაბ ელიოზიშვილისეული დასკვნა იმის შესახებ, რომ: „უეკლესიოზამ, ათწლობით უმღვდლობამაც, დიდი უარყოფითი როლი ითამაშა ჩვენსა და ოსებს შორის ურთიერთობაზე. გაქრა იქაურობაში ჯვარი, ხატი, ანგელოზი, ნათლია, ნათლიმამა, ნათლული, ნათელ-მირონი. გაჩნდნენ ხარისხიანი ცრუმოდვრები, ცრუმქადაგებლები, ცრუჭირისუფალნი, ცრურუქებით, ცრუნიგებით გაიზარდნენ თაობები!“

ისეთი განცდა გრჩება, რომ წმინდა ნინოს გზაზე მოგზაურობისას თან ახლდი შემოქმედს, რომელმაც ლაღად, ერთსა და იმავე დროს არაჩვეულებრივი სისასვითა და სიმსუბუქით მოგვითხრო ისე, რომ უამრავ შთაბეჭდილებასთან ერთად, არასოდეს დაგავიწყდება ჯავახეთის მცხუნვარე მზისგან გამოხუნებული შავი ანაფორა, რომლის ეკრანზეც შთამბეჭდავი მოხაზულობით გამოქუდა მეტად წარმოსადგევი დიაკვნის ანატომიური აგებულება. მისი თანმხლები ბიბლიური სახედრის ალბატროსივით ფართე ყურები და მწერლის ოცნება მძიმეწონიანი წიგნების გამოცემისა ორტომად. პირველი ტომი, როგორც სასწორის პინეტზე, სახედრის მარჯვენა ყურზე დატეული, მეორე კიდევ მარცხენაზე. ასე მხოლოდ მერაბ ელიოზიშვილს შეუძლია იხალისოს და გვახალისოს.

საოცარი, ფიზიკური და სულიერი ღვანლი გასნია იმისათვის, რომ ქრისტიანად აღსრულებულიყო. ღრმად გაითავისა ეკლესიური ცხოვრების არსი და ამიტომაც დატოვა დარიგება თუ ანდერძი:

„ეკლესიური ცხოვრება რომ შეისისხლხორცო, წლები გჭირდება, ღმერთზე ფიქრით რომ დანვე, ღმერთით რომ ადგე, სიყვარული და სინანული რომ იყოს შენი სარჩო-საბადებლის თავი და თავი, ეს რომ პირველ მოთხოვნილებად, ეს რომ ძვალსა და რბილში გაგიჯდეს, განა ამას წლები არ სჭირდება?!.. ამაზე მეტი, ამაზე კაცობრიული რა უნდა დავივლო?! ყოველი დღის სინმინდით, მშვიდობით და უცოდველად აღსასრულზე მეტი?!“

რა მტკიცე, რა გამოკვეთილი ხასიათი სჭირდება ქრისტიან კაცს, ქრისტიანული მრწამსის შესათვისებლად, მისით საცხოვრებლად! ასეთი ხასიათის გამოკვერვას კი მშვიდობიანი, ეკლესიური აზროვნების წლები, წლები, წლები და წლები სჭირდება! ეკლესიური სუნთქვა რომ დავამკვიდრო, რომ ენიდან კი არა, მეც ფესვებიდან ამოვდიოდე!“

მერაბ ელიოზიშვილს არ უყვარდა სამეცნიერო ტერმინოლოგიითა და ფილოსოფიური კატეგორიებით საუბარი. არც დამინებული, ყოფითი ემპირიკისათვის დამახასიათებელი სიმჩაბითა და აღწერილობით გამოირჩეოდა. იგი ძირითადად სახეებით, ტროპებით, მეტაფორებით, იდიომებით აზროვნებდა.

იქმნებოდა სრული განცდა იმისა, რომ ხალხური საუნჯის სალაროდან ამოჰქონდა ნაირ-ნაირი სახეები. არადა ამ სახეების 90 პროცენტზე მეტი მისი წარმოსახვისა და ხილვების ნაყოფი იყო, რომლის ნაკადებიც ციცაბოდან დაშვებული ჩანჩქერით არასოდეს შეწყდებოდა, სიმძლავრე არასოდეს დაიკლებდა, არასოდეს შეთხელდებოდა. მოდი-

ოდა და მოდიოდა შეუფერხებლად, ბუნებრივად, გაუთავებლად, როგორც მუსონური წვიმები, აშრობას რომ არ აპირებდა. ეს იყო მხატვრული აზროვნების ფოიერვერკი, სიტყვით ფერწერის, სიტყვით ხატწერის მაღალი ოსტატობა, მაღალი კულტურა, იმდენად მაღალი, რომ თითქოს ამ ხელწერის, სიუხვის, სისავის, სიმსუყის აღარც დრო იყო და აღარც ადგილი. მოყირჭებულად, ძველმოდურად, გადმონაშთად გამოიყურებოდა გამეჩხერებულ, გრძობაგაქუცულ, სიცოცხლეზე ჩალისფასდადებულ რეალობაში, მორალური სიმახინჯის კულტურაში, ფორმათა სილიკონურ სისავსეში, დალტონიზმის ზეიმებში, უსქესოთა ეგზოტიკურ პარადებში. დიახ, ეს ასე იყო, ასე ხდებოდა და ამაზე, რა თქმა უნდა, არ ღირდა თვალის დახუჭვა. რადგან პროცესი სულ უფრო და უფრო ღრმავდება და ბოლოს იქამდე შეიძლება მივიდეთ, რომ ქართული ანბანის ხუთი ხმოვანილა შეგვრჩეს ხელში, როგორც მეტყველების გარეშე დარჩენილთა შორისდებილური ამოძახილები.

რა ეშველება ყველაფერ ამას? ფილოსოფიური კატეგორიებით არ საუბრობდა, თორემ კულტურის დეკადანსის ზუსტად ისეთივე სიღრმისეული განცდა ჰქონდა, როგორც ბერდიაევს:

„მაღალი კულტურის კრიზისი და ინტელექტუალური ელიტის სავალალო ხვედრი, როგორც ჩანს, გარდუვალა მსოფლიოში სულიერი რევოლუციისა და რელიგიური აღორძინების გარეშე.“

პირწმინდად კულტურული აღორძინება უკვე შეუძლებელია მსოფლიოს ხანდაზმულობის გამო.

შესაძლებელია მხოლოდ რელიგიური აღორძინება, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვიტოს კულტურაში არისტოკრატიულ და დემოკრატიულ, პროვინულ და საზოგადო საწყისთა ურთიერთშესაბამისობის საკითხი.“

რა ეშველება ამ ქვეყანას?

ყოველგვარი რიტორიკისა და პათოსის გარეშე ჩუმად იკითხავდა და აეცებოდა თვალეები ცრემლით.

ამის დანახვაზე ყოველთვის მახსენდებოდა წმ. ისაკ ასურის სიტყვები: „მარიამისა და მართასაგან ვისნავლოთ „ცრემლის ხმა“. მეორე წმინდანი კი გვარიგებს: „უპირველეს ყოვლისა ილოცე, რომ ცრემლის დენა შეძლო“.

ცნობილი ფსიქიატრი **პიერ ჟანეც** მიჩნევდა, რომ უცრემლობა **XX** საუკუნის ყველაზე პოპულარული დაავადება იყო. პაციენტები ყველაზე ხშირად და მტკივნეულად სწორედ ამას განიცდიან, რომ ტირილი უნდათ და ვერ ტირიან.

მერაბ ელიოზიშვილი სულიერად უაღრესად ჯანმრთელი ადამიანი იყო და ამიტომ საშინლად ენანებოდა განვლილი წლები:

„60 წელი სულიერების გარეშე! სამოცი წრებრუნვა ბრწყინვალეების გარშემო, სამოცდამეერთეს, აგერ, იმ ქვეების იქით რომ ქვებია, იმის იქით რომ კიდევ ქვების გროვა მოსჩანს, მასზე ცოტა უფრო იქით რომ გაუშლელი ქვა ყრია, მანდ-სადლაც, ვგონებ ცოტაც კიდევ იქით, მთების ჩამონაბერზე, ბარს რომ მოსდგომიან და შეჩერებულან, მანდ შემომხვდება მეშვიდე ათეულის პირველი, სულიერების ერთადერთი წლის დასასრული!..“

მაცვია დიაკვნის, კოჭებს ჩაცილებული შავი კაბა...

გავდივარ აღსავლის კარებნი, მრევლისაგან ზურგშექცევით ვდგები და როგორც კი მგალობლები საგალობელს შეწყვეტენ, ხმამალა ვამბობ:

„ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი მოიხსენოს უფალმან ღმერთმან ჩვენმან სასუფეველსა თვისსა ყოვლადვე, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“. — ამა-საც ვამბობ და მონივნებით, ფრთხილზე ფრთხილად შევდივარ აღსავლის კარში, საკურთხეველთან, დიაკვნის ადგილზე ვდგები და მეუფის შემოსვლას ველოდები...“

როგორც იქნა აისრულა ცნობიერად თუ არაცნობიერად წლობით ნალოლიავეები ლტოლვა: ხმაურიანი, ჭრელი წუთისოფლის გზებზე ნახეტიანები და დამაშვრალი ზეციური მამის სახლს დაბრუნებოდა, ტაძრის კედლებში ეპოვნა ნავთსაყუდელი და ეკლესიის წიაღში დაუნჯებულ იყო.

ათასწლეულებამოვლილი ეს სახლი ყველაზე მყარი, ნაცადი და ერთგული ადგილი იყო დედამინის ზურგზე, რომელიც თეთრი ხომალდით მიაპობდა განსაცდელებით სავსე ცხოვრების ბობოქარ ტალღებს და მგზავრები სამშვიდობოს გაჰყავდა.

მერაბ ელიოზიშვილმა უღმერთო საუკუნეში, პირადად ჩემი თაობისათვის შექმნა პრეცედენტი — მწერალი სასულიერო პირი გამხდარიყო.

ახლა ბევრმა მსახიობმა ჩაიცვა ანაფორა, კინო მოღვაწემ და თეატრალმა.

მაგრამ მაინც სხვა არის, როცა ამას მწერალი ან ექიმი გადანყვეტს, რაღაცით მაინც სხვა წონა და ფასი აქვს ამ ნაბიჯს.

ბოლო წლებში ისე ჩანდა, თითქოს აღარ ტიროდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სივარებას და უმწეობას თვალსაჩინოდ აღარ დასტიროდა. ბოლო წლებში მხოლოდ ლო-

ცულობდა, წერდა და ლოცულობდა ქარში... (გამიმხილა კიდეც, ტატო ბარათაშვილზე რომანს შევუდექიო).

ლოცულობდა და მინდიასავით გაფაქიზებული მგრძნობელობის წყალობით ნიაფი ღვთის ფშვინვად ესმოდა, ქარი — ღვთის სუნთქვად, ქარიშხალი — ღვთის რისხვად.

ქარში ლოცვა მაინც სხვა იყო. სხვა ძალისა და დატვირთვის მაუწყებელი. რადგან სქესად დაყოფილ სამყაროში ქარს უსასრულო სივრცის ერთი წერტილიდან მეორე წერტილში ღვთის სიტყვა გადაჰქონდა და კაცის გულში ჩაგარდნილს ისევე აღივებდა და ამრავლებდა, როგორც მცენარის თესლს წიაღაგში.

იგი ბავშვობაში ბრუნდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ბევრი ილოცა, იღვანა და ძალიან ეცადა, რომ ედემში დაბრუნებულიყო.

მჯერა — კეთილშობილი ხეები სურნელოვანი ზემოთ შეეგებნენ.

ჩვენთვისაც ილოცა, ჩვენთვისაც ეცადა, ძალიან ეცადა და შექმნა ლოცვა ქარში. დიახ, ქარში ლოცვაა მისი საოცარი წიგნი „აღმართენით“.

ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, იგი უკეთ მიხვდება, ვინ იყო მერაბ ელიოზიშვილი, უკეთ დაინახავს და გაიაზრებს, როგორც ცხოვრებისეულ, ისე შემოქმედებით გზას „ბებერი მეზურნეებიდან“ „აღმართენით“ — ამ მოწოდებამდე; იგრძნობს როგორ იშრომა ფიზიკურად, როგორ იღვანა სულიერად, რამდენი ოფლი და ცრემლი ღვარა, სანამ მაღლიერი მრეველი სიყვარულით უბასუხებდა, სანამ საყვარელ მწერალს, მერაბ ელიოზიშვილს, მამა ელიოზად მოიხსენიებდა.



ფოტოგრაფიული თამუნა მელიქიშვილისა

ნოდარ გურაბანიძე

„მალალ ტაქარში მალალია სულის კვეთიჯაც“

უილიამ შექსპირი, „ჰამლეტი“

(როსტომ ჩხეიძის „გადამწვარი მზის“ გამო)*

ასე მგონია, როსტომ ჩხეიძე დიდი ხანია ემზადებოდა „გადამწვარი მზის“ შექმნისთვის. მრავალი ღირსშესანიშნავი ბიოგრაფიული რომანის ავტორს იმანენტურად მოუხმობდნენ თავისკენ ბავშვობიდანვე მისთვის თავისი იდუმალებით კარგად ცნობილი თეატრალური სამყარო და მისი პროტაგონისტები.

მისი ბიოგრაფიული რომანების მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, რომ როსტომ ჩხეიძეს იზიდავს ცხოვრების უკიდურესობანი, დრამატული კონფლიქტის მოულოდნელი რაკურსით შემოტრიალება, სტერეოტიპების მსხვრევა, სულიერი კატაკლიზმებით გატანჯული ადამიანის ვნებები, ბედისწერის თუ „მოყვარეთა“ უკუღმართობით დაღდასმულთა ცოცხალი პორტრეტების ხელახლა შექმნის პათოსი. ამჯერად სად იპოვნოდა უკეთეს მასალას თუ არა თეატრალურ სამყაროში, სადაც ადამიანები გამუდმებით ცხოვრობენ ირეალურ-წარმოსახული და რეალურად არსებული ვნებებით, სადაც სცენური კონფლიქტები ენაცვლებიან ცხოვრებისეულ კონფლიქტებს და ერთმანეთს მსჭვალავენ, სადაც მრავლისშემცნობი და მრავლისმნახველი ადამიანები ხშირად ბავშვური გულუბრყვილობით გამოირჩევიან, რათა შემდგომ ერთმანეთს დესპოტებად ექცნენ, და ბოლოს, არსად ისე მკვეთრად არ ენაცვლება გულისმომკვლელ შურს თუ ეჭვს გულწრფელი აღტაცება და სიხარული კოლეგის წარმატების გამო.

მჯერა: ადგილისა და დროის ატმოსფეროს (რაც უმთავრესია ამ ჟანრის ნაწარმოებისათვის) შესაქმნელად არ დასჭირდებოდა დიდი ძალისხმევა, რადგან ყმანვილობიდან მოყოლებული ხედავდა სახელოვანი მამის, ოთარ ჩხეიძის, შეუდრეკელ ზნეობრივ სიმამაცეს, უკომპრომისობას და მის ბრძოლას დროისა და თეატრალურ სამყაროში გამეფებული უკუღმართობის წინააღმდეგ. ახლა რომ ვფიქრობ, მან უფრო მეტს გაუძლო ვიდრე მიხაილ ბულგაკოვის „თეატრალური რომანის“ გმირმა, ახალგაზრდა დრამატურგმა მასკუდოვმა (ავტორის ალტერ ეგო), რომელიც სულიერად გატეხა თეატრში მოთუხთუხე მძვინვარე კონფლიქტებმა თუ ინტრიგებმა.

როსტომ ჩხეიძე თავის „ბიოგრაფიებში“ არასოდეს კმაცოფილდება მთავარი გმირის ცხოვრებისეული ეპიზოდების, დეტალების, მის თავს გადამხდარი ამბების თხრობით. იგი, როგორც კარგი აქტიორი, „გარდაისახება“ ამ გმირში, თუმცა ბოლომდე რჩება როსტომ ჩხეიძედ, მაგრამ „სხვად ქცევის“ თეატრალური ეფექტი აშკარაა. ამის საფუძველზე აღმოცენდება იმის ცოდნა, რაც მან, წესით, არ უნდა იცოდეს, ანუ „იცის“ რეალურად არსებული გმირის ფიქრები, მისწრაფებანი, მეტიც, გრძნობს მის ცხოვრებისეულ და ში-

ნაგან იმპულსებს (უშანგი ჩხეიძის შემთხვევაში მის აჩქარებულ გულისცემასაც) ქვეცნობიერების სამყაროში. ხელშესახები ისტორიული რეალობისა თუ რეალების ეს ნამდვილობა, შერწყმული ავტორის ინფერნალურ წარმოსახვასთან, ბიოგრაფიის გმირს მთელი „მოცულობით“ წარმოგვიდგენს: იგი ცოცხლობს, ფიქრობს და მოქმედებს მკითხველის თვალწინ. ასეთი ფსიქო-ტიპისა თუ მენტალობის მწერალი ვის აირჩევდა თავისი „თეატრალური რომანის“ გმირად თუ არა თავის დიდ მოგვარეს (თუმცა ამ გარემოებას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ) უშანგი ჩხეიძეს?! სწორედ ამ გენიალური მსახიობი-შემოქმედის სცენურ და რეალურ ცხოვრებას, სასესეს უჩვეულო სულიერი მოვლენებით, დაძაბულობით და სცენის გენიოსისათვის დამახასიათებელი აღმაფრენით, შეგობრების ლალატით გამოწვეული გულისტკივილით (რბილად ვამბობ!) იმედგაცრუებით და ბოლოს, სცენაზე გასვლის დაუძლეველი შიშით.

მართალია, თვით უშანგი ჩხეიძე თავის მემუარებში კიწერს, ჩემი რკინის ჯანმრთელობა გავტეხე ქალებსა და ღვიზოს გადაყოლილმამო, მაგრამ ამ ფრაზას როსტომ ჩხეიძე მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს და სწორადაც იქცევა — მასთან მხოლოდ ერთხელ გაიღვებს მშვენიერი ქალწულის ლანდი, ერთი გაკრთება და წავა, თვალს მიეფარება.

გაუთავებელი ქეიფ-ღრეობანი, არტისტული ბოჰემა (რაც ასე უყვარდა კოტე მარჯანიშვილს) ჩვენს ავტორს არ აინტერესებს — მისი ყურადღება ფოკუსირებულია უშანგის სულიერ მდგომარეობაზე, განწყობაზე (ისე, როგორც ეს ესმოდა დიმიტრი უზნაძეს), სცენურ ქმნილებებზე და ეს სრულიად საკმარისია ამ დიდი მსახიობის პორტრეტის შესაქმნელად.

გამაოცა მისმა ტაქტმა: იგი სრულიადაც არ ცდილობს მოირგოს თეატრმცოდნის მანტია და არ მოუხმობს სპეციალურ ტერმინოლოგიას (რომელსაც კარგად იცნობს). იგი უპირველესად მწერალია და მწერლის ინტუიცია (ცხადია, სათანადო ცოდნაზე დაფუძნებული) ხშირად უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია, უფრო შემღწევი სცენურ-მხატვრულ იდუმალებაში, ვიდრე „მცოდნეთა“ ტერმინებით დამძიმებული ვრცელი მსჯელობანი. მითუმეტეს, თუ ეს ინტუიცია ური მიხვედრები, სულიერი საფანელის ამოცნობანი მონოდეგულია მხატვრული ექსპრესიულობით. ასე, სულ რამდენიმე შტრიხით იხატება მკითხველის თვალწინ უშანგი ჩხეიძის შედეგური – ჰამლეტ, ურიელი, ჩენჩი (შელის „ბეატრის ჩენჩი“), ყვარყვარე თუთაბერი.

ადრეც შემიწინავეს და მითქვამს კიდევ როსტომისთვის, რომ მას შეუძლია საგულდაგულოდ შერჩეული, თუნდაც ერთი ფრაზის, გაშლა-გაფართოება და მის მიღმა მთე-

* „ჩვენი მწერლობა“, №18, 19, 20, 21. 2012წ.

ლი სამყაროს სურათის წარმოსახვა. აქაც იგი მოუხმობს პოეტ სიმონ ჩიქოვანის (უშანგის დიდი მეგობრის) ლექსის ერთ სტრიქონს — „ძმაო, ჰამლეტ, ბრძენო ყვარყვარე, ბავშვო ურიელ“, აკეთებს მცირე კომენტარს — „ეს რა გამოგონებულ შესატყვისობაში მოქცეულა უშანგი ჩხეიძის როლები და მათგან გამონვეული შთაბეჭდილებანი“ — და შემდეგ გვთავაზობს ამ როლების მისეულ ინტერპრეტაციებს და აქ, ბუნებრივად შემოდის როსტომ ჩხეიძის ქმნილების მეორე გმირი — კოტე მარჯანიშვილი. უშანგის თანამედროვენი აღნიშნავენ თუ რა მოულოდნელი იყო კოტე მარჯანიშვილის გადაწყვეტილება, როცა სრულიად ახალ-

გაზრდა, სცენურად ჯერ გამოუცდელ მსახიობს მიანდო მსოფლიოს კლასიკური რეპერტუარის უმთავრესი გმირის — ჰამლეტის — განსახიერება. ამბობდნენ, კოტემ გარისკა და გაუმართლაო! სინამდვილეში არავის უცდია იმის გარკვევა თუ ამ სარისკო გადაწყვეტილებას რა ფსიქოლოგიური საფუძველი გააჩნდა, და აი, როსტომ ჩხეიძე გვთავაზობს თავის მოსაზრებას ამის თაობაზე: „კოტე მარჯანიშვილი ჩინებული ფსიქოლოგიც რომ გახლდათ — ერთბაშად რომ დაატეხა თავს ჯერაც გამოუცდელ მსახიობს ამხელა როლი და დრო არ დაუტოვა შესაჩვენად. და ამ აჩქარებულ დროსაც აღენთო და გამოაგნებელ განცდებში ებორიალებინა, და მთელი არსების ყოველი კუთხე-კუნჭული ექსტრემალურ ყოფაში მთელი ძალით ამოქმედებულიყო. ჩანსახვიით შემართული მსახიობის წინაშე კი შეუძლებელიც შესაძლებლად გადაიქცეოდა“.

ავტორის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ერთი უმთავრესი დრამატული, შეიძლება ითქვას, საკვანძო სიტუაცია, რაც ამდენი ხნის შემდეგ შენიშნა და იგრძნო ჩვენმა ავტორმა. „ჰამლეტის“ წარუმატებლობა, ანუ „ჩავარდნა“, როგორც თეატრალურ წრეებში ამბობენ ხოლმე, მაშინ შეიძლება აღქმულიყო როგორც რიგითი და არა როგორც განსაკუთრებული მოვლენა. განსაკუთრებული მოვლენა უკვე იყო — „ცხვრის წყაროს“ პრემიერა. მაგრამ იმდროინდელი საზოგადოება ისე იყო მიჩვეული უსახურ სპექტაკლებს, რომ ამის გამო არ შეიქმნებოდა დიდი აჟიოტაჟი. როსტომ ჩხეიძე სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს. მისი აზრით, ამ სპექტაკლის დადგმისას კოტე მარჯანიშვილი „ბედისწერას ეთამაშებოდა“. წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, „განწირულიყო კოტე მარჯანიშვილი“... „უშანგი ჩხეიძე რომ განწირულიყო“. აი, ასე უკავშირებს იგი ერთმანეთს ორ გენიალურ შემოქმედს და ასე გადააქცევს „ჰამლეტს“ უფრო დიდ მოვლენად, ვიდრე „ცხვრის წყაროს“ ფენომენალური წარმატება იყო, რადგან კოტე მარჯანიშვილმა იცოდა, ხოლო უშანგი ჩხეიძე გუმანით ხვდებოდა, რომ ერთი დიდი სპექტაკლი ქმნის შესატყვის

ატმოსფეროს და არა თეატრს, მითუმეტეს, ახალი მიმართულების თეატრს, რომელსაც აუცილებლად სჭირდებოდა პროტაგონისტი მსახიობი, რეჟისორის თეატრალური ესთეტიკის სრულყოფილი გამომხატველი. კოტემ მოულოდნელად გადაადგილა აქცენტები და უშანგი წამოსწია თეატრალური ცხოვრების ავანსცენაზე, რამაც უშანგის ერთგვარი შეშფოთება და სირცხვილის გრძნობა გამოიწვია (არც ეს დეტალი გამორჩენია როსტომ ჩხეიძეს), მაგრამ როლზე მუშაობის პირველსავე დღეებში მან ის განსაცვიფრებელი შემოქმედებითი ენერგია, გონიერება და ინტუიცია გამოავლინა, რაც შემდეგ ლეგენდად იქცა.



როსტომ ჩხეიძე უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმში

მაინც რას მიხვდა გუმანით თავად როსტომ ჩხეიძე? აი, პასუხიც: „კოტე მარჯანიშვილს უკვე ჩაფიქრებული აქვს, რომ სწორედ უშანგი ჩხეიძე მოაქციოს თავისი თეატრის შუაგულში, მასზე ააშენოს ახალი თეატრალური მიმართულება“.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს თითქმის ყველა წინ უსწრებდა აკაკი ვასაძე, განსაცვიფრებლად მრავალმხრივი, პოლიფონიური ნიჭის მსახიობი, ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე ჭეშმარიტი ოსტატი სცენის, ანუ ისეთი სინთეტიკური მსახიობი, რომელზედაც ოცნებობდა კოტე, ჯერ კიდევ მისკოვის სამხატვრო თეატრში მუშაობისას და, განსაკუთრებით, თავისი „თავისუფალი თეატრის“ შექმნისას. მაგრამ მაინც ახალი ქართული თეატრის „შუაგულში“ კოტემ უშანგი ჩხეიძე მოაქცია. მართლაც, გამორიცხული არ იყო, რომ რეჟისორის მარცხის შემთხვევაში შექმნილიყო ისეთი ვითარება, როცა „მარჯანიშვილთან ერთად დასრულდებოდა მისი (ე.ი. უშანგის ნ.გ.) ასერიგად წარმატებული არტისტული კარიერა“. ამიტომაც ჩერდება იგი ასე საგულდაგულად უშანგის ჰამლეტის შესრულების დეტალებზე და ახალი რაკურსით გვიჩვენებს სცენური გმირის ფსიქოლოგიურ პორტრეტს... ისევე, როგორც მის უმთავრეს როლებს. „როლები როლებს ემატებოდა, წარმატება წარმატებას მოჰყვებოდა, ეს რკალი კი აქ იკვეთებოდა: „ძმაო, ჰამლეტ, ბრძენო ყვარყვარე, ბავშვო ურიელ“, ზუსტ ეპითეტებში ჩაძირული დიდი ვნებათაღელვანი და აღმაფრენანი, ღრმა სიმბოლოებად აზიდულნი, მეტორის გადაღვლების სახიერი ნაკვალევი ზეცაზე“.

მწერალი უშანგი ჩხეიძის ცხოვრებისეულ გზას და შემოქმედებას ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს და ამ გზით ქმნის მრავალფეროვან და უკიდურესი დრამატიზმით აღსავსე პანორამას. მას არ ღალატობს ობიექტურობა და პირუთვნელობა და მისი პირადი ასოციაციები, მიხვედრები, ვარაუდები, პარალელური ამბები ისეა მოწოდებული, რომ უშანგის პიროვნება ყოველთვის ცენტრშია, ანუ, როგორც თვით ამბობს, „შუაგულშია“. ბუნებრივია, თვით უშანგი იძლევა ამგვარი სიმულტანური „დეკორაციის“ შექ-

მისი შესაძლებლობას. როსტომ ჩხეიძე ორ ჰიპოთეზაში გვევლინება, როგორც მწერალი, უპირველესად, და როგორც თეატრმცოდნე. უშანგი ჩხეიძის პიროვნული დრამაც, ასევე, ორმხრივი, საბედისწერო, ნამლექავი ტალღის შეჯახების შედეგია. მისი როლები — ჰამლეტი, ურიელი, ჩენჩი (განსაკუთრებით ეს უკანასკნელი) წარმოუდგენილ ძალისხმევას ითხოვდა. არა, კი არ ითხოვდა, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ თვით უშანგის არ შეეძლო სხვაგვარად თამაში. ადამიანი-მსახიობის ზღვარზე მისული განცდების სიღრმე, ინტელექტუალური და ფიზიკური დაძაბულობა, სხვადქცევის პროცესის ენითუთქმელი ემოციურობა, რითაც სამუდამოდ აჯადოებდა და ზოგჯერ „ანადგურებდა“ მაყურებელს (როსტომ ჩხეიძე აგვიწერს თუ როგორ გავარდა გალაკტიონი დარბაზიდან უშანგი ჩხეიძის ჩენჩის პათოლოგიური ვნებების ამოფრქვევისას) მძიმე ფსიქოლოგიურ კვალს სტოვებდა მის სულში. საქმეს ვერ შევლოდა კომედიური გმირების (ყვარყვარე, კვიციანიძე — შალვა დადიანის „კაკალ გულში“) ლალი, მსუბუქი, დაძაბულობის გამფანტავი თამაში. ეს ერთი, განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა მსახიობის ცხოვრებისა. ახლა ვნახოთ, მეორე, უშანგის ცხოვრებისეული პერიპეტეიები, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, ჩამოაცილეს თეატრის სცენას, სადაც მისი არსებობა გაცილებით მეტი და ყოვლისმომცველი იყო, ვიდრე ცხოვრება რეალობაში... ანუ, ფაქტობრივად დაუხშეს ის სივრცე, სადაც იგი სუნთქავდა, განიცდიდა და მთელ თავის არსს ავლენდა. მოვლენათა ამ გრძელ ჯაჭვში როსტომ ჩხეიძე გამოარჩევს რამდენიმე კულმინაციურ ეპიზოდს, რომლებმაც განსაზღვრეს დიდი მსახიობის და დიდი ადამიანის დრამა, ვთქვათ ბოლომდე — ტრაგედია. ესაა რუსთაველის თეატრში წარმოქმნილი უმძაფრესი კონფლიქტის შედეგად კოტე მარჯანიშვილისა და მისი თანამოაზრეების წასვლა თეატრიდან; კოტე მარჯანიშვილისა და მისი თეატრის მსახიობებს შორის, გაუგებრობის ნიადაგზე, აღმოცენებული განხეთქილება, რასაც ფაქტობრივად მოჰყვა დიდი რეჟისორის წასვლა მოსკოვში და იქვე გარდაცვალება, დაბოლოს, თვით უშანგი ჩხეიძის ჩამოცილება სამხატვრო ხელმძღვანელობიდან, რასაც ღირსეულად შეხვდა, მაგრამ რამაც უშინძის ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მას.

როსტომ ჩხეიძეს, როგორც ეს მას საერთოდ სჩვევია, საგულდაგულოდ აქვს შესწავლილი ყველა ის მასალა (დოკუმენტები, მოგონებები, მემუარები, ბელეტრისტული ნაწარმოები, თეორიული გამოკვლევები), რომელიც უშუალოდ ეხება არა მხოლოდ უშანგი ჩხეიძეს, არამედ მთელ იმდროინდელ თეატრალურ გარემოს, სოციალურ ატმოსფეროს, აშკარა თუ ფარულ ინტრიგებს ე.წ. „ინტერესთა კონფლიქტებს“. ეს არის მისი შთამბეჭდავი თხრობის ფონი, მაგრამ მას უფრო იზიდავს ამ გარემოში მოქცეული ხელოვნების ფსიქოლოგიური სუბსტანცია, შინაგანი დიალოგები (რომელსაც თვითონ თხზავს). ქვეცნობიერების სიღრმიდან წამოსული მოტივები, როგორც ადამიანი-სუბიექტის ტანჯვისა თუ სიხარულის იმპულსები, ამათ საფუძველზე აღმოცენებული ის განწყობა, რომელმაც წარმოქმნა კონკრეტულ ქმედებათა მთელი ჯაჭვი.

უშანგი ჩხეიძე, როგორც მაღალი ზნეობის პიროვნება და შემოქმედი, ყოველნაირად ცდილობდა განრიდებოდა თეატრში შექმნილ კონფლიქტებში მონაწილეობას. მაგრამ

ასეთ დიდ, ხალხისათვის უსაყვარლეს მსახიობს (და ამდენად საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების უთვალსაჩინოეს ფიგურანტს) ვინ დაანებებდა დამოუკიდებელ ცხოვრებას? პოლარიზებული საზოგადოების (და არა მარტო თეატრალურის) წევრები ყოველნაირად ცდილობდნენ თავის მხარეზე გადაეყვანათ ეს ტიტანი. საბედნიეროდ, უმეტეს შემთხვევაში ეს ცდები წარუმატებელი იყო, მაგრამ ამავედროს იქმნებოდა სიტუაციები, რომელთაგან განრიდება მის ძალებს აღემატებოდა...

...1926 წელი, რუსთაველის თეატრიდან წავიდა უკიდურესად განაწყენებული კოტე მარჯანიშვილი. კონფლიქტებით, ეჭვებით, შინაგანი ყოყმანით, ბოლოს, ავადმყოფობით განანამებს ერთი ბიძგი აკლდა ამ მძიმე გადაწყვეტილების მისაღებად. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ (დრამა „ოთხ კამარად“. პირველი ორი „კამარა“ დადგა კოტემ, ბოლო ორი — სანდრო ახმეტელმა) ხილვამ დაარწმუნა, რომ თეატრში უკვე მეორე თეატრი გაჩნდა, რომ მის თეატრალურ ესთეტიკას მეორე, ძალზე განსხვავებული, ენაცვლებოდა. წავიდა კოტე და მას თან გაჰყვა რეჟისორის თანამოაზრე მსახიობთა უმეტესობა. არ გაჰყოლიან უშანგი ჩხეიძე — ჰამლეტის როლის შემსრულებელი!!!) — და თამარ ჭავჭავაძე — ლაურენსია — ტრიუმფალურ „ცხვრის წყაროში“ (რეჟისორის ორი დიდი „აღმოჩენა“). თითქმის ორი წელი რუსთაველის თეატრში დარჩენი და მთავარ გმირთა როლები შეასრულეს სანდრო ახმეტელის საეტაპო სპექტაკლში „რღვევა“. როსტომ ჩხეიძე, ჩემი აზრით, სწორად მიიჩნევს, რომ უშანგის არ უღალატია კოტესათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, თვით კოტე იყო ამ ღალატში დარწმუნებული. ამ ფსიქოლოგიურ დილემას დიდი ტაქტით ხსნის ბიოგრაფიის ავტორი. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უშანგის საქციელს სხვაგვარად აღიქვამდნენ.

როგორც კი ქუთაისში შეიქმნა თეატრი (1928 წ.), უშანგი პირველივე დაძაბილზე კოტეს გვერდით აღმოჩნდა. სწორედ ამის შემდეგ შეძლო კოტე მარჯანიშვილმა ისეთი ახალი თეატრის შექმნა, რომლის ესთეტიკა ძირითადად უშანგის სასცენო მონაცემებსა და მის ოსტატობაზე იყო აგებული. რასაკვირველია, არ ვივინყებ ვერიკო ანჯაფარიძის შედეგს — ივლითს, მაგრამ ხომ ცხადია, რომ რეპერტუარი „მიჰყავდა“ უშანგის, რომ ის იყო მშვენიერი ორკესტრის „პირველი ვიოლინო“ (ტომასი — ერნსტ ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, ურიელი, ჩენჩი, ყვარყვარე). შეეძლო თუ არა დარჩენა მას რუსთაველის თეატრში? რასაკვირველია შეეძლო, და თუ მის მოქნილ, ელასტიურ სამსახიობო ბუნებას გავითვალისწინებთ, წარმატებითაც „ჩაენერებოდა“ — სანდრო ახმეტელის გმირულ-რომანტიკული თეატრის ესთეტიკაში. არც ის დავგავინწყდეს, რომ სანდრო ახმეტელი მას დიდ პატივს სცემდა და ენდობოდა, მაგრამ მან მაინც უპირატესობა მიანიჭა კოტე მარჯანიშვილის თეატრს. ეს მთავარი ტენდენცია, რასაკვირველია, როსტომ ჩხეიძის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. აქვე შეიძლება ვილაპარაკოთ, წმინდა, აქტიორულ პატივმოყვარეობაზეც, პროტაგონისტობის სურვილზეც, რაც თეატრალურ სამყაროში სრულიად არ არის დასაძრახი ამბავი. ასეთი შინაგანი მისწრაფების გარეშე არცერთ დიდ მსახიობს არ უცხოვრია. უშანგისთვის ცხადი გახდა, რომ „ახმეტელის თეატრში“ ორი დიდი აკაკის — ვასაძის და ხორავას

— დრო დგებოდა, რომ მალე ისინი თეატრის ესთეტიკის ყველაზე სრულყოფილი გამომხატველნი გახდებოდნენ (და გახდნენ კიდეც სულ მალე). ქართული თეატრის საბედნიეროდ, უშანგი წავიდა იქ, სადაც წასვლას მას გუმანი და ინტელექტი ჰკარნახობდა.

უშანგის ცხოვრებაში, როგორც ამას ნათლად გვიჩვენებს როსტომ ჩხეიძე, მაინც ყველაზე რთული და მძიმე გადასატანი აღმოჩნდა კონფლიქტი მარჯანიშვილსა და მის მიერ შექმნილ თეატრის მსახიობს შორის. მართალია, ამ კონფლიქტში უფრო სხვა მსახიობები თამაშობდნენ აქტიურ როლს, მაგრამ მაინც უშანგი, ნებით თუ უნებლიეთ, სხვადასხვა გარემოებათა საბედისწერო გადახლართვის შედეგად, ჩართული აღმოჩნდა ამ ბრძოლაში.

როსტომ ჩხეიძე წერს: „სულს მოითქვამდა ქუთაისში მარჯანიშვილი და, ახალი მხნეობით აღვსილი, დიდ მიზნებს დაისახავდა, მაგრამ ეს ტკივილი არა და არ მოეშვებოდა: უშანგი როგორ გარიეს შეთქმულებაში (აქ იგულისხმება კოტეს წასვლა რუსთაველის თეატრიდან — ნ.გ.). ის უმტკიცებდა... შენი წინააღმდეგი რომ ვყოფილიყავი, სანდრო ახმეტელთან დავრჩებოდი, ქუთაისში ხომ არ წამოგყვებოდიო.“

უფრო ნათელი და მტკიცე არგუმენტი რაღა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერა და ვერ აჯერებდა: ეგ ახლა, თორემ მაშინო“.

„ეგ ახლა“ კიდევ ერთხელ განმეორდა, უკვე „მეორე დრამის ქართულ თეატრში“ (შემდეგ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი), თბილისში. ეს არის კრება, რომელიც მსახიობებმა მოუწყვეს თავიანთი დიდი მასწავლებელს. კრება უკიდურესად დაძაბული, უსამართლო საყვედურებით, აუხსნელი პრეტენზიებით და გულისმომკველელი ბრალდებით სავსე. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდი ქართული თეატრის ისტორიაში. როსტომ ჩხეიძე, რომელიც, ამ შემთხვევაში, ეყრდნობოდა რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის მოგონებებს, და რომელსაც იგი ავსებს და ამდიდრებს ფსიქოლოგიური დეტალებით, ასე აგვიწერს ამ ამბავს: „ალარაფერს გაძლევთ? — ჩაილაპარაკებდა კოტე მარჯანიშვილი და სათითაოდ რომ მიაჩერდებოდა ყველას და მზერას დოღო ანთაძეზე გადაიტანდა, ვახტანგ ტაბლიაშვილს ძალაუნებურად გაახსენდებოდა რეჟისორთა და მსახიობთა ერთი წყების წასვლა თეატრიდან იმის გამო, რომ მარჯანიშვილმა არ გაწირა დოღო ანთაძე, არ გაწირა კი იმიტომ, რომ უშანგი ჩხეიძე გადაეფარებოდა... გამჭოლი მზერისას კი რეჟისორი ყველაზე ბოლოს შალვა ღამბაშიძეს შეხედავდა და მთელი ძალით უყვირებდა:

— დამიბრუნე ჩემი ოტელო!

ოტელო-ღამბაშიძე ჯერ გაფითრდებოდა, მერე გაშავდებოდა და განა მართო იგი ამ მართლაც საბედისწერო დღეს კოტე მარჯანიშვილისთვის“, და ყველა იქ დამსწრესათვის, დავსძენ ჩემი მხრივ... „შემდეგ კი უშანგისაკენ მიავხედდა ხელს და ისე წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს, არც შეხედავდა — „აი, თქვას, რომ ითამაშებს „ყაჩაღებში“ და ხვალვე შევედგები რეპეტიციას“. მოულოდნელად, უმიძმესი განსაცდელის პირისპირ აღმოჩნდა უშანგი — მის ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული კოტეს თეატრში დარჩენა — ამას გვკარნახობს შექმნილი სიტუაციის ლოგიკა... ჩემი ვარაუდით კი, უშანგის რომც განეცხადებინა თანხმობა, კოტე მარჯანიშვილი მაინც წავიდოდა მოსკოვში, სადაც მას უკვე ელოდებოდა ორი თეატრი, აქედან ერთი სახელგანთ-

ქმული „მცირე თეატრი“. წავიდოდა ადამიანთა უმადურობით, ღალატით, ბოლშევიკური პრესისაგან შეურაცხყოფებით გატანჯული.

როსტომ ჩხეიძე: „ის... არას მიუგებდა. მოგვიანებით თავს იმართლებდა, ავადმყოფობის გამო არ შემეძლო თანხმობა განმეცხადებინა, ისე კი სამუდამო ნატვრად დამრჩა ფრანც მოორის შესრულებათ“.

სერგო ზაქარიაძისაგან (რომელსაც როსტომ ჩხეიძე სამართლიანად მიიჩნევს უშანგი ჩხეიძის შემოქმედებით მემკვიდრედ და რომელიც ყველაზე ახლოს იყო დიდ მსახიობთან) განაგონი მაქვს, უშანგი ჩხეიძე სიცოცხლის ბოლომდე ნანობდა იმ დუმილს და გულისტკივილით იხსენებდა იმ საბედისწერო შეკრებასაც. საერთოდ კი, ამ თემაზე ლაპარაკს ერიდებოდაო.

მთელი ამ ვითარების აღწერას აგვირგვინებს მწერლის „დამამშვიდებელი“ ფრაზა: „მასწავლებლის განწირვა აღმზრდელებისაგან არც პირველი შემთხვევა ყოფილა და არც უკანასკნელი იქნებოდა“.

და ბოლოს, უკანასკნელი ფაზა უმადურობისა და ღალატისა, რომელმაც მოურჩენელი ჭრილობა გააჩინა უშანგის ისედაც მრავალგზის დაჭრილ გულში — იყო იაგოს საკადრის ოსტატობით მოქსოვილი ინტრიგის ქსელი, მისი „რბილი ჩაჩოჩება“ თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის პოსტიდან, რასაც თეატრთან მისი სამუდამო განშორება მოჰყვა. ჭეშმარიტად განუმეორებელი ზეშთაგონება ენჯია იმ წუთებში ინტრიგის ხლართების გამბმელს, როცა უშანგის უბიძგა თავისი ნებით დაწერა განცხადება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისიის სახელზე (1934 წ. მაისი) თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გათავისუფლების თაობაზე.

აქ როსტომ ჩხეიძე, მართლაც ოსტატურად ხატავს იმ ადამიანის პორტრეტს, ვინც ეს საქმე ითავა და ბოლომდე მიიყვანა კიდეც. ეს გახლდათ (დიდად სამწუხაროდ) უშანგის სიყრმის მეგობარი დოღო ანთაძე: „ვინც შეეცდებოდა ფარული ხლართები საგულდაგულოდ მიემალა, რათა ინტრიგების იმ დუღილიდან, მიზანმიმართულად რომ წარმართავდა, გარეგნულად შეუბღალავად რომ ამოეღწია“, მაგრამ ვერ ამოაღწია და თუ აქამდე ყრუდ იყო მიმალული ინტრიგის სულისჩამდგმელი, ახლა, პირველად, როსტომ ჩხეიძემ დააყენა იგი პროჟექტორით განათებულ ავანსცენაზე.

მაგრამ მაინც — გულწრფელად ვიტყვი, შემძრა დოღო ანთაძის მოთქმა-გოდებამ უშანგი ჩხეიძის ცხედართან: — „ბიჭო უშანგი... ბიჭო უშანგი. ოცი წელია არ მინახავხარ. რატომ ნახვედი ჩემი უბირი, ძმაო... მოვსულიყავი, ერთს გამარტყამდი... ხომ არ მომკლავდი?...“ ეს „ბიჭო“ და „ძმაო“ სულისშემძვრელია! ნინო ჩხეიძე, უშანგის და, თითქოს შეუნდობს კიდეც ცოდვას, უშანგის მოგვარე, როსტომ ჩხეიძე, არ შეუნდობს ამ ცოდვას, „ამხელა დარტყმა რომ მიაყენა ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, მეტიც — მთელს კულტურას“.

ასე მძაფრი კონტრასტების ფონზეა წარმოდგენილი დიდი ქართველი მსახიობის ცხოვრება და მე ვიზიარებ როსტომ ჩხეიძის ამ ფრაზას: „თვითონ უშანგი ჩხეიძეც რა, ეროვნულ ტრაგედიაში მოყოლილი ხელოვანი არ გახლდათ?! ეგაა, ნიღბებს იქ ირგებდა და იცვლიდა — სცენაზე... კომიკურსაც, ტრაგიკულსაც, ერთნაირი ოსტატობით და შთამბეჭდაობით რომ განასახიერებდა ჰამლეტსაც და ყვარყვარესაც...“

ეს მე ვარ — შორენა ლებანიძე

ნიემბრის თვეში „დიოგენეს“ ნიგნის სახლში მოეწყო ცნობილი ჟურნალისტის შორენა ლებანიძის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების „ეს მე ვარ — ფიროსმანი“ პრეზენტაცია.

სპორტის სასახლის უკან, სიღრმეში, მაღალი შენობის პირველი სართულის კუთხე განსაკუთრებით იყო გაჩახჩახებული და შორიდანვე იგრძნობოდა ერთგვარი ხალხმრავლობა. გამომცემლობა „დიოგენეს“ ლამაზი ლოგო — ყვითლად ტანაყრილი ხის ტოტები მწვანე ფონზე — საზეიმოდ ანათებდა და თითქოს ხაზს უსვამდა შეკრებილთა სასიამოვნო მოლოდინს.


„დიოგენეს“ თანამშრომელმა (პროდიუსერმა) ზურაბ ჯიჯიაშვილმა პირველი სიტყვა ავტორს გადასცა. ყველა ნიგნს თავისი დაწერის ისტორია აქვს და შორენა ლებანიძემაც სწორედ „ეს მე ვარ — ფიროსმანის“ თავგადასავალზე ისაუბრა. შემდეგ მაღლობა გადაუხადა იმ მხატვრებს და ხელოვნებამცოდნეებს, რომლებმაც ერთგვარი პროფესიული მეგზურობა გაუწიეს ავტორს ფიროსმანის დიდ სამყაროში შესასვლელად.

შორენამ ასევე მაღლიერებით მოიხსენია როსტომ ჩხეიძე და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია, რომელთანაც, როგორც ავტორს, წლების ურთიერთობა აკავშირებს და ამჯერადაც ნიგნის გამოცემამდე მსჯავრის დასადებად „ეს მე ვარ — ფიროსმანი“ სწორედ ამ რედაქციაში მიიტანა.

გამომცემლობა „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ პროექტების მთავარმა კოორდინატორმა, მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ ავტორს გულითადად მიულოცა და განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა იმის გამოც, რომ სწორედ „არტანუჯმა“ ითავა ამ ნიჭიერად დაწერილი ნიგნის გამოცემა.

არსებობს დანაშაულის გენეტიკური განცდა, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა და რომელსაც დამოუკიდებლად, გინდა თუ არ გინდა, ქვეცნობიერში დაატარებ, როგორც შენს პირად ცოდვას, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ დიდი მხატვრის ცხოვრებაში, ამ განცდის გასაჩენად ფიროსმანის დაკარგული საფლავიც კმარა, — ამ სიტყვებით დაიწყო თავის გამოსვლა მწერალმა მაკა ჯოხაძემ და აღნიშნა, რომ გარდა მრავალი ღირსებისა, გარდა აღფრთოვანებისა და სიხარულისა, ნიგნმა ერთგვარი საყოველთაო მოვალეობისა და ღირსების განცდაც გააჩინა, რადგან XXI საუკუნის ავტორმა მოახერხა და ფიროსმანის თანამედროვეთა, რბილად რომ ვთქვათ, დაუდევრობა, ერთგვარად გამოისყიდა კიდევ ამ ნიგნით.

გამოსვლის დასასრულს ქალბატონმა მაკამ ნიგნის ხიბლს, მის ინტონაციას გაუსვა ხაზი, რომელიც აბსოლუტურად დაცულია კატეგორიულისგან, მტკიცებულებისა და ამბიციებისგან და ის ქართული ზღაპრის უმშვენიერეს უვერტიურას „იყო და არა იყო რა“ ყოფნა-არყოფნის, სიზმარ-ცხადის ზღვარზე გავლას შეადარა.



როსტომ ჩხეიძემ დამსწრე საზოგადოებას შორენა ლებანიძეზე, როგორც ნიჭიერ და სასურველ ავტორზე საუბარი ცოტა შორიდან დაიწყო. ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა სალიტერატურო სივრცეში მისი რედაქტორობით გამოშვალ ჟურნალში „ომეგა“ და გაზეთში „ჩვენი მწერლობა“ იბეჭდებოდა მისი ძალიან საინტერესო ნერილები.

ბ-ნმა როსტომმა აღნიშნა, რომ შორენა ლებანიძე არა მხოლოდ ნიჭიერი ჟურნალისტი, არამედ კარგად ფლობს არქივზე მუშაობის საკმაოდ რუტინულ და შრომატევად ხელოვნებას. აღმოჩნდა, რომ დიდ კეთილსინდისიერებასთან ერთად ღმერთს მისთვის ბელეტრისტის ნიჭიც მიუმაღლებია და აი, შედეგიც — შესანიშნავი მხატვრულ-დოკუმენტური ნიგნი ფიროსმანზე, ბიოგრაფიული რომანის ხელშესახები ნიმუში.

ბ-ნმა როსტომმა ერთგვარ ტენდენციასაც გაუსვა ხაზი, როცა ბოლო წლებში ჟურნალისტებმა და მათ შორის განსაკუთრებით ქალბატონებმა, მხატვრულ პროზაშიც სცადეს ბედი და საკმაოდ წარმატებულადაც. და როგორც წესი, თითქმის უმეტეს შემთხვევაში სწორედ ქალბატონი მაკა ჯოხაძე იყო მათი პირველად-

მომჩენი, შემფასებელი და სტიმულის მიმცემი. ამის აღიარება კი რატომღაც „ავინყდებათ“ ე.წ. წარმატებულ ავტორებს თავთავიანთ ინტერვიუებში. ეს ისე, იუმორით, თორემ შორენა ლებანიძის პიროვნული მენტალიტეტი რომ უმადურობის გრძნობისგან სრულიად დაცულია, კარგად ვიციო — დაასრულა თავისი გამოსვლა როსტომ ჩხეიძემ.

ხელოვნებამცოდნეებმა გურამ ჯავახიშვილმა და ლარისა ჩხეიძემ სიამოვნებით ისაუბრეს არა მხოლოდ ნიგნსა და მის ავტორზე — შორენა ლებანიძეზე, არამედ თვით ფიროსმანის საოცარ ფენომენზე და იმ დიდ საუნჯეზე დიდი მხატვრის შემოქმედების სახით, რისი მფლობელიც ჩვენი ქვეყანაა, და რასაც ნებისმიერი დიდი კულტურის მქონე ერი ინატრებდა. ბ-ნმა გურამმა მოსწრებულად აღნიშნა: „ეს მე ვარ — ფიროსმანის“ ავტორს თავისუფლად შეუძლია გაიმეოროს: „ეს მე ვარ — შორენა ლებანიძე“.

განსაკუთრებით ემოციური იყო ცნობილი ჟურნალისტის ბატონ ელგუჯა ლებანიძის გამოსვლა, რომელმაც ბუნებრივია პირველმა წაიკითხა ქალიშვილის ნაშრომი და მას წარმატება უნინასწარმეტყველა. მაგრამ როგორც ხდება ხოლმე — ნინასწარმეტყველის შენდობა საკუთარ სამშობლოში რომ არა აქვს, არც ჩვენს ოჯახურ გარემოში დარღვეულა ეს ბიბლიური ჭეშმარიტებაო, ნახევრად ხუმრობით აღნიშნა ბ-ნმა ელგუჯამ და ქალიშვილის მეგობრებს, კოლეგებს, მოწვეულ სტუმრებს ფიროსმანისადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსიც წაუკითხა, ამ ნიგნით შთაგონებული მთელი ციკლიდან.


დასასრულ შორენა ლებანიძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მაღლობა დამსწრე საზოგადოებას, გამომსვლელებს და განსაკუთრებით იმ მხატვრებს და ხელოვნებამცოდნეებს, რომლებიც ფაქტობრივად ნიგნის პერსონაჟებსაც წარმოადგენენ და რომელთა შემწეობითაც მისი თქმით შეაბიჯა ავტორმა ფიროსმანის დიდებულ სამყაროში.

სალომე ასათიანი

შალვა ხერხეულიძე და ის ორნი

(ოთარ ჩხეიძის
ერთი ნოველის ექსკურსი)

ამ პატარა წერილის მიზანს არ შეადგენს ოთარ ჩხეიძის ნოველის „წერეთლის მწვადი“ კრიტიკული ანალიზი. მკითხველს შევახსენებ მოკლედ მის შინაარსს: დიდი სიცივის და გაჭირვების ფონზე, მეორე მსოფლიო ომს რომ გამოუწვევია, გორის თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლის ამბავია ამოტივტივებული მწერლის მეხსიერებაში და ვინაიდან მას შემდეგ საკმაოდ დროა გასული, ავტორი ტაქტიანად, მოკრძალებით გვაუწყებს, რომ ველარ იგონებს ოჯახის მასპინძლის დიმიტრის მსახიობ სტუმრებს ერთის გარდა — ეს ერთი შალვა ხერხეულიძეა, შემდგომში ქართული თეატრისა და კინოს აღიარებული ხელოვანი. ...თამაშდება სპექტაკლი გაყინულ თეატრში. ცივა. ზამთარია. იანვარია. სცენაზე კი ზაფხულია და აკანკალებთ შილიფად ჩაცმულ მსახიობებს.



შალვა ხერხეულიძე

თეატრში სულ ცხრა კაცი მისულა სპექტაკლის სანახავად. მერე ველარ გაუძლია შვიდს და ორნიღა შერჩენიან მაყურებელთა დარბაზს — ნაომარი და ყავარჯნიანი დიმიტრი და მთხრობელი (მოთხრობა-მოგონება პირველ პირშია დანერვილი).

შემდეგ მოვლენები ასე ვითარდება — შეიცოდებენ გაყინულ მსახიობებს ის ორნიც და სპექტაკლის მეორე მოქმედება ფაქტობრივად აღარ თამაშდება — სამი მსახიობი დიმიტრისა და მთხრობელის ტაბლას მიუსხდება. მოხდიან ქოცოს. „ნახევრად სარდაფია. დაბალია. სუფთა. შუაში ქოცო. ქოცოსთან ტაბლა. ტაბლაზე: ყველი, ბადრიჯნის მხალი, წნილი კოფხილოსი (ოთარ ჩხეიძისგან არ მისწავლია, მაგრამ მეც „წნილი“ მიყვარს. ღმერთმა გაანათლოს ჩვენი „კეისარი“) ტაბლასთან ჯორკოეზი. მაყალიც იქვე. მაყალი ითხოვს სამწვადესა. თახჩის ალყაზე ბზინავს შამფურები, სამაყლე შამფურები, ბზინავს...“

სპექტაკლის დამდგმელი და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამ დროს თბილისშია წასული. მსახიობებისთვის დაუბარებია, ჩამოგისწრებთო. მათ კი აიკვირადლეს და დიმიტრის სარდაფში ამოყვეს თავი.

მწერალი ჩვეული ოსტატობით გადმოგვცემს წერეთლის მწვადის სურნელებას — ეს ჩვეულებრივი ხახვია შამფურზე აგებული და მაყალზე შემწვარი. მეორე დღეს გაცეცხლებული რეჟისორი ჯვარს აცვამს დისციპლინის დამრღვევ და „უსინდისო“ კოლეგებს, რომ მწვადებს მის გარეშე მიირთმევენ. შალვა ხერხეულიძეს სპექტაკლის ჩაშლისთვის სასტიკი საყვედური გამოუცხადა და ბრძანებაც კედელზე გააკრევიანა...

როდესაც პავლეს მოგვიანებით აუხსნეს, რა იყო „წერეთლის მწვადი“, გული მოუღება. შერიგდნენ. ბოლო კეთილია, როგორც ბანქოთი მკითხავები იტყოდნენ ხოლმე.

მოთხრობაში მწერალი, ჩვენი დროის მართლაც ჭეშმარიტი მემატინე, დროდადრო ჩართავს პოლიტიკურ ნიაღვრებს. სტალინი, ომი, ბერია, საქართველოს დაკარგული სამხრეთი, ქერჩი, თეირანის კონფერენცია, რუზველტი — სრულიად ძალდაუტანებლად ერთვიან თხრობის მდინარებას და საამო საკითხავს ხდიან ერთ-ერთ გამოორჩეულ მოთხრობას „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“.

გორის თეატრის, რაც თავი მახსოვს, ერთგული მაყურებელი ვარ. გამიჩნდა ჟინი, რომ აღმედგინა თუ დამედგინა ის პიროვნებანი, ვინც მაშინ ჩემი მასწავლებლისა და გამზრდელის გვერდით იმყოფებოდნენ. თვითონ მას მხოლოდ შალვა ხერხეულიძე ახსოვდა და ორ მსახიობს ველარ იგონებდა. გამოვარკვიე, რომ სცენაზე თამაშდებოდა ძმები ტურებისა და შეინინის „საგანგებო კანონი“, პიესა 4 მოქმედებად, თარგმანი ნ. მიქავასი, დადგმა პ. ფრანგიშვილისა. მხატვარი ი. იაქაშვილი, კომპოზიტორი ვ. შავერზაშვილი.

მწერალი გადმოგვცემს: „ომია, სამშობლო განსაცდელშია, დიდი სამშობლო, დიდი, დიდი, რუკაზეც რომ ვერ გადააწვდენდი თვალსა, „სამშობლო ხევსურისა“ რო უკიდურესი კარჩაკეტილობაა და რაფიელ ერისთავი გამოჩურჩუტებული ბებერია. ვაჟკაცები ომში წასულან. ესეც (შალვა ხერხეულიძის გმირი — ჯ. ი.) იქ უნდა იყოს. არაო. დაუტოვიათ განსაკუთრებული დავალებითა. დაუტოვიათ ბრძანებითა“.

ამ ორმა წინადადებას ხელთ მომცა გასაღები პიესის დადგენისა. ეს პიესა კი გორის თეატრში 1944-45 წლების სეზონში იდგმებოდა. ოთარი აღნიშნავს: „მე ჩავათავე გაზეთები ლამის მთელი თვისა. ადვილად ჩავათავე. ერთიდაიგივეა. ერთიდაიგივე გახლდა: ვისევეთო. დროებითაო. ახლა: წინ მივიწვევთო. გვეგებებიან დასავლეთ ევროპის ჩაგრული ერებიო. აღფრთოვანებითაო“.

პიესა კი დავადგინე, მაგრამ ის ორი — ვერა, ვერა, სამწუხაროდ. სამაგიეროდ მკითხველს გავუშიფრავ რამდენიმე სახელს, რომლებსაც მწერალი ახსენებს მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებში. „ვერ გამირჩევია, ვინ იქნებოდნენ, — ვაჟა, ლადო, გივი, ბახვა, ჩეკო, გოგი, ამირანი?... არა. არა. ესენი მერე იყვნენ. მერე. მერე. მაშინ ალბათ რო ციგასაც ვერ მორევოდნენ“. ამ შემთხვევაში მწერალი გულისხმობს ვაჟა ფაჩულიას, ლადო ცხვარიაშვილს, გივი ციციშვილს, ბახვა ღონლაძეს, ჩეკო ტატალაშვილს, გოგი ბასიშვილს, ამირან ჩრდილელს.

უფრო ქვემოთ: „მინც იქა ვარ, — ვასო, საშა, სინო, სტეპკო, შოთა, გოგი, — ადრინდელი გოგი, — ვანო, ერვანდა, სიკო?... რომელი?... რომელი?... ვინ უდგნენ შალვასა აქეთ-იქითა“.

მივყვეთ მიმდევრობით: ვასო — კახნიაშვილია, საშა — იმერლიშვილი, სინო — კალანდარიშვილი, სტეპკო — სტეფანე გრიჭუროვი, შოთა — ხაჯალია, გოგი — აბრამაშვილი, ვანო — ოსაძე, ერვანდა — არაქელოვი, სიკო — ვანჩაძე.

აქ თავდება ჩემი „საძიებო გათხრები“. ინტუიციით კი მგონია, რომ შალვას ამფსონები საშა და სინო უნდა ყოფილიყვნენ.

ჯეპალ ინჯია

ფრანსუაჰ ჟირუ (1916-2003) — ამ ფსევდონიმითაა ცნობილი ლეა ფრანს გურჯი, ფრანგი ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. იყო საფრანგეთის რადიკალურ-სოციალისტური პარტიის ვიცე-პრეზიდენტი, კულტურის მინისტრი, პოლიტიკური პრესის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1945-53 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი. 1953 წელს დააარსა და 1974 წლამდე რედაქტორობდა ყოველკვირეულ LExpress-ს.

ჟირუ რამდენიმე რომანის, ნოველებისა და ნარკვევების მთელი ციკლის ავტორია. ეს თხზულებანი გამოირჩევიან მრავლისმნახველი და დახვეწილი გემოვნების ჟურნალისტისთვის დამახასიათებელი მახვილი თვალთ, სხარტი და დინამიური სტილით, მოქნილი წერის მანერით. მისი თანაავტორობით არაერთი ცნობილი ფრანგული ფილმის სცენარი დაინერა.

მწერალი ბევრ ნოველაში მსუბუქი იუმორით შეზავებული მაღალი ჰუმანურობით ადამიანის ოთხფეხა მეგობრებსაც თანაურად რძნობს, რისი დასტურიცაა წინამდებარე თარგმანი.

ფრანსუაჰ ჟირუ

რა ვუყოთ პლატონს?

ყველაფერი კბილის პასტით დაიწყო.

იმ დილით პიერი სააბაზანოში კბილებს იხეხავდა და თან შვიდსაათიან საინფორმაციოს უსმენდა. მისი ცოლი, დუსი, აბურდული, ვენებიანი ლამის მოწმე, ლოგინში ნე-ბივრობდა. გარედან შემოპარული სინათლის სუსტი სხივი სახეზე ელამუნებოდა. რადიო გაზაფხულის დარიან დღეს პირდებოდა მსმენელებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. „დღეს ჩემს ახალ ლურჯ კოსტუმს ჩავიცვამ“ – გაიფიქრა ნახევრად მთვლემარე დუსმა.

პლატონმა, შავმა ლაბრადორმა, ენის მოსმით მიანიშნა პატრონს, ჩემი გასეირნების დროაო, მაგრამ პიერი ელვის სისწრაფით გამოვარდა სააბაზანოდან, საჩქაროდ გაუყარა ფეხი შარვალში, გადაიცვა პერანგი, პიჯაკი, ძლივს იპოვა მანქანის გასაღები, გზად, ტუჩის კუთხეში აკოცა ცოლს და დაუბარა: „მაგვიანდება. არ დაგავინწყდეს პლატონის გაყვანა. სალამომდე, საყვარელო!“ თითქოს დუსს როდისმე რამე ავიწყებოდა! მაგრამ პიერს ჩვევად ჰქონდა, საჭირო იყო თუ არა, მაინც ეთქვა: „არ დაგავინწყდეს შემახსენო, რომ კბილის ექიმთან ვარ წასასვლელი... არ დაგავინწყდეს, რომ რეკამიესთან ვხვდებით.“

იშვიათი ვინმეა!

პლატონი კარებამდე გაედევნა მას, მერე განბილებული ისევ დუსს მიუბრუნდა მუდარით სავსე თვალებით. ქალი ადგა, მიიხედა-მოიხედა ოთახში, ბრძოლის ველს რომ მოგაგონებდათ: მიყრდ-მოყრდილი ტანსაცმელი, კარადის მოლიავებული კარი, მოფრიალებული ფარდები. უნესრიგობა პიერს ახასიათებდა. სააბაზანოში შევიდა, მკაცრი თვალთ დააკვირდა თავის ანარეკლს სარკეში: მშვენივრად დანყობილი ლამაზი სახე, სულ ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები ტუჩების კუთხეებში, ხავერდოვანი კანი, მაგრამ მცირედი სილურჯე ქვედა ქუთუთოებზე... ამოიოხრა და მაღლა აკრეფილი ნაბლისფერი თმები გრძელი სარჭით კინკრინოზე დაიმაგრა. შხაპმა გამოაფხიზლა. პირსახოცი რომ მოიძია, ერთი პიერს სულ დაესველებინა, მერე აბაზანაში ჩავარდნილიყო. მერე კბილის პასტა მოხვდა თვალში, როგორც ყოველთვის, თავლია. „ისევ! წარმოუდგენელია! ნუთუ არ შეიძლება თავი დაახუროს? არა, მომბეზრდა, ეს უკვე აუტანელია!“

პლატონი შესაბრა-ლისად წკმუტუნებდა. დუსმა მკვირცხლად ჩაიცვა ჯინსები და პერანგი. საბელს დაუნყო ძებნა; სად ჯანდაბაში შეჩურთა პიერმა საბელი? კორდიები ვენსა-ნის ტყის მახლობლად ცხოვრობდნენ. დუსმა გაუშვა პლატონი და ისიც გავარდა, ხან ჩიტებს დასდევდა, ხან იქით გაინავარდებდა, ხან აქეთ...

რაც შეეხება პიერს, დილის პიკის საათის საცობში გაჭედილი, მოთმინებას კარგავდა. საკმარისია, ოდნავ შეგავიანდეს გამოსვლა, რომ მანქანების პირველმა ნაკადმა გზა ჩახერგოს. მას ქალაქის მეორე ბოლოში ელიან. პლატონის გამო კორდიები ვერ ტოვებენ ვენსანის უბანს. სულ პატარა ლეკვი იყო, პიერმა რომ იყიდა, და ეს ძალი მათი მტკიცე ოჯახური კავშირის სიმბოლოდ იქცა. ფილოსოფოს პლატონის სახელი დაარქვეს, რომლის მიხედვითაც, ადამიანის სული ორ ნაწილად არის გაყოფილი, და თითოეული მისგან მოკვეთილი მეორე ნახევრის ძიებაშია, და როდესაც იპოვნიან და შეერწყმიან, ნეტარებაც მაშინ ისადგურებს ამ სულებში... მოკლედ, რაღაც ამგვარს ამტკიცებდა პლატონი, და ისინიც თვლიდნენ, რომ ცალ-ცალკე ნახევარსულებად ხეტიალის შემდეგ მიაგნეს ერთმანეთს და ბედნიერი ერთობით ტკებობდნენ. მგზნებარე სიყვარულში გატარებული სამი წელი... ერთმანეთისადმი დაუოკებელი ლტოლვა... განცდა იმისა, რომ სიყვარულის ქალღმერთის რჩეულნი არიან!..

მანქანაში გამომწყვდეულმა პიერმა მობილური ჩართო, უნდოდა ცოლისთვის დაერეკა, მაგრამ მისი ხაზი დაკავებული იყო. დუსის ტელეფონები მუდამ დაკავებულია, სახლისაც, სამსახურისაც, მობილურიც. არანორმალურად ბევრს ლაპარაკობს. ამ დილით პიერს ძალიან მოუნდა მისი ხმის გაგონება. შინიდან გასვლისას რატომღაც მოეჩვენა, თითქოს მათ ჰარმონიულ თანაცხოვრებას ბზარი გაუჩნდა. ამიტომ მოუთმენლად ელის, როდის გათავისუფლდება ხაზი, რათა დაურეკოს იმის სათქმელად, რომ უყვარს, და იმისაც, რომ არ შეიძლება ასე სულ ტელეფონზე იყოს ჩამოკიდებული.

დუსი მაღალი მოდის სპეციალიზებულ სალონში მუშაობს, კავშირთა უზრუნველყოფა აბარია და საქმე თავსა-



ყარად აქვს. თან ხელოვანთა ჭირვეულობა უნდა ითმინოს, თან წითელი კვერცხი უფროს განებვიერებულ კლიენტებს, მაგრამ პიერთან შეხვედრის შემდეგ ამ კაცის ახირებულმა ხასიათმა, ასე განსაჯეთ, საგრძნობლად შეუმსუბუქა ეს მძიმე ტვირთი; ფიქრები აღარ თრგუნავდა, რადგან სხვაგან ჰქროდა. როდესაც უფროსი მეტისმეტად გაიგიჟებდა თავს, დუსი იქვე, სამუშაო მაგიდის ქვეშ მოყურებულ პლატონთან დაიჩივლებდა და ასე იოხებდა გულს უურნალისტებთან, მქარგავსა თუ ფოტოგრაფთან სატელეფონო საუბრებს შორის. მუდმივად დაძაბულ გარემოში თავისი ავკარგიანობითა და მოქნილობით ახერხებდა რთული ვითარების განმუხტვას. ამასთან, ისიც შველოდა, რომ ბევრი ფიქრის დროც არ ჰქონდა...

თუმცა იმ დღეს სამჯერ დააჭირა თავი, რომ უეცრად მოაგონდა კბილის პასტა, პიერის ეს მუდმივი დაბნეულობა, მისი მოუნესრიგებლობა. ნეტა როგორ ართმევს თავს სამსახურის საქმეებს? გადანყობია, ერთი მაგრად გაჯივროს.

პიერი ერთ-ერთ სამეცნიერო ლაბორატორიაში მნიშვნელოვანი კვლევებით იყო დაკავებული და სწორედ ამ საქმიანობის გამო ყოველდღიურ ცხოვრებაში ყურადღება გაფანტული ჰქონდა. თავში მხოლოდ თავისი მოლექულები უტრიალებდა, თუმცა შიგადაშიგ, როდესაც ყავის დასალევად დროს გამონახავდა, დუსიზეც ფიქრობდა. ურთიერთობის დასაწყისში ქალს ხიბლავდა ეს ჩაღრმავება ფიქრებში, განსაკუთრებით, როდესაც თვითონ იყო მისი ობიექტი, თუმცა პიერს ასევე თავისუფლად შეეძლო საუბარი სხვა რამეზეც, რემბოს პოეზია იქნებოდა თუ ინფორმატიკის სფერო. ამ დროს მისი აზრები თემატურად ერთმანეთისგან გამომდინარეობდა და ლაღად იშლებოდა, მაგრამ, გაჩუმდებოდა თუ არა, მისი ფიქრები სულ სხვაგან ჰქროდა.

ბევრად უფრო ჩვეულებრივ მამაკაცებთან ურთიერთობას ჩვეული დუსი თავიდან მონუსხული იყო, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, გრძობდა, თანდათან როგორ კარგავდა მოთმინებას. პიერის გვერდითაც მეტწილად მიმზიდველი, მაგრამ ქარაფშუტა ენატიკტიკა ქალები ტრიალებდნენ, ყველგან და ყოველთვის განუწყვეტლივ რომ ქაქანებენ, და ის ალტაცებაში მოჰყავდა დუსის თვისებას, თვალეგაბრწყინებულს ესმინა მისთვის. არავის შეეძლო მოსმენა ისე, რო-

გორც დუსს. ამასთან, საოცარი იყო, რომ ის არასდროს ლაპარაკობდა თავის თავზე, სამსახურებრივ პრობლემებზე, თავის ბავშვობაზე, თავის სატიკვიარზე. ძალიან გვიან გააცნობიერა პიერმა, რომ არაფერი იცოდა მის შესახებ, და რომ ქალის სიტყვაძუნობაში რაღაც აგრესიულობა იმალებოდა, რაც გაუთავებელი სატელეფონო საუბრებით – ამ უძლველი მეტოქით – ირონიულად უპირისპირდებოდა მას. ო, აქ კი მთელი გულით იკლავდა ქალი ლაპარაკის ჟინს!



მხატვარი მალხაზ იაშვილი

და მას. ო, აქ კი მთელი გულით იკლავდა ქალი ლაპარაკის ჟინს!

სამწლიანი სიამტკილობის შემდეგ პირველმა რომელმაც იგრძნო, რომ აღარ უყვარს? ძნელი სათქმელია. მსგავსი რამ მუდამ ხდებოდა და ხდება, ამაზე ბევრი დანერვილა, მაგრამ აქ არავითარი წესები არ მოქმედებს. თუ მცირედი რამ ცნობილია, ეს ერთი ნახვით შეყვარებას შეეხება: თავდავინყებას თურმე ცხვირქვეშა პანია ჯირკვლიდან გამოშვებული მკვეთრი სუნი ინვევს, როცა ის თავისნაირ სურნელს გადაეყრება, და მაშინ მათ ერთმანეთს ვეღარაფერი დაამორებთ. ასეთი რამ თურმე ლომებსა და მაიმუნებშიც შეიმჩნევა. დუსმა ეს რომელიღაც გაზეთში ამოიკითხა და მისი რომანტიკულობიდან აღარაფერი დარჩა. რა?! სად სიყვარული და სად რაღაც პანია სუნიანი წანაზარდები?! პიერმა დაუდასტურა, რომ ეს საკითხი სერიოზულადაა გამოკვლეული და მეცნიერულ-ლირიკული ამონაბეჭდი გაუკეთა ბუნდოვანების გასაფანტად სექსუალობასთან მიმართებით. ქალი გაოგნდა. მასთან არავის არასოდეს ულაპარაკია ასე სექსუალობის შესახებ. თუმცა იმდენად იყო კაცს მინ-

დობილი, იმხანად ისევე წარმატებით შეიძლებოდა მასთან საუბარი, მაგალითად, სატელეფონო წიგნზე. კაცი კი თავის სტიქიაში გახლდათ. ასე თუ ისე, ორ კვირაში მათ შეხმატკილებულად შეეძლოთ აჰყოლოდნენ ედიტ პიფს:

„სიყვარული ჩვენი დარი მეორე ხომ არსად არი.“
თვალშისაცემად ხელიხელჩაკიდებულნი დადიოდნენ, თვალებით ერთმანეთს ჭამდნენ, რესტორანში ერთნაირ კერძებს უკვთავდნენ, ჩვეულ სივარეტებზე უარი თქვეს, რათა ერთნაირი მოენიათ. დაივიწყეს, რაც წაეკითხათ ან გაეგონათ სიყვარულის, როგორც მყიფე გრძნობის გამოცდილებიდან, და ერთმანეთს უმტკიცებდნენ, ჩვენს შემთხვევაში ეს სულ სხვა რამ არისო...

უზომოდ მოხიბლულები თავიდან მხოლოდ ერთმანეთით სულდგმულობდნენ. მერე ორივე ცოტა მარტოობამ

შეაწუხა და მეგობრებისკენ იბრუნეს პირი, რომლებიც ღიმილით უყურებდნენ შეყვარებულთა განმარტობას: ქალები – ნოსტალგიურად, კაცები – თანაგრძნობით. არაფერი ემოქრებოდა მათ ერთად ყოფნას. თუ რამე მოხდებოდა, ყველა განსაცდელს გაუმკლავდებოდნენ.

ერთ ზაფხულს, მთელი თვის მანძილზე, ირლანდიაში რომ გაატარეს, თავიდან დუსს ართობდა პიერის ჩვევა, ორი ნაბიჯით მასზე წინ ევლო. ნეტა სად მიიჩქარის? კაცმა გაიკვირვა – არასოდეს დაკვირვებია ამ ჩვევას, როგორც ჩანს, გამოუსწორებელს.

პიერი უამრავ გაზეთს ყიდულობდა – სამ ენაზე, რომ მერე ისინი ფურცელ-ფურცელ დაეფანტა, ზოგჯერ დაეხია კიდეც. დუსს ეამაყებოდა, რომ მისი ქმარი სამ ენას ფლობდა და ყველაფერი აინტერესებდა, მაგრამ მერე როგორ დაეკლაგებინა არეულ-დარეული გვერდები, მისთვის სასურველი სტატია რომ წაეკითხა? რა ექნა, წესრიგისკენ მოეხმო? არა, ისევ თვითონ მიეჩვია მისთვის საინტერესო გაზეთების კითხვას სამსახურში.

დუსი მაინცდამაინც საუკეთესო მზარეული არ ყოფილა. პიერიც დიდად არ არჩევდა კერძებს, მაგრამ დილაობით აუცილებლად თოხლო კვერცხს მიირთმევდა. ეს მისი ძირითადი საკვები იყო თავლიან გაზუხულ პურთან ერთად. კვერცხი მდულარე წყალში იხარშებოდა ოთხ წუთს. არც სამს, არც ხუთს, ზუსტად ოთხს. ამ დროს სამიდან ერთ შემთხვევაში ტელეფონი რეკავდა და, ვიდრე დუსი ლაპარაკობდა, კვერცხი მაგრად იხარშებოდა. ერთ დღეს პიერმა გადაწყვიტა, თვითონვე მოეხარშა. ქალმა თავი დამნაშავედ იგრძნო.

ხშირად პიერი დუსს ფისუნიას ეძახდა, რაც ქალს უკიდურესად ალიზიანებდა.

– ასე ეძახდა ბენჟამენ კონსტანი* თავის მეგობარ მადამ დე სტალს. არ მოგწონს ბენჟამენ კონსტანი?

– საქმე ეს არ არის. თუ არ მოიშლი, ტოტოს დაგიძახებ.

– ო, არა!

როდესაც პლატონი შემოვიდა მათ ცხოვრებაში, ერთმანეთს ეჯობებოდნენ, ვინ მეტად შეაყვარებდა თავს პატარა ლეკვს. პლატონმა დუსის მხარეს არჩია სანოლთან დანოლა, რამაც პიერი ძალზე გაანაწყენა. დუსი ამოდ ეცადა, პლატონს ადგილი შეეცვალა. მოგვიანებით, რომ წამოიზარდა, ძალი იქიდან საერთოდ მიაბრძანეს, მაგრამ შუქი რომ ჩაქრებოდა, ზოგჯერ ახერხებდა შეპარულიყო და სანოლში მათ შორის ძვრებოდა.

პირველი ცეცხლოვანი ვნებები ჩაცხრა და პიერი და დუსი ნაკლები გზნებით ეტრფიან ერთმანეთს. აღარ არის მათი ყოველი ნაკვითი ალერსისა და მოფერების საგანი. ო, ეს ხალი მარჯვენა ძუძუზე!.. „რ“-ების შენეული წარმოთქმა!.. შენი თმების სურნელი!.. შენი ტერფები, ასე ლამაზი!.. იცი, რაც ყველაზე იშვიათია, ეს ლამაზი ტერფებია, რითაც მწაღია ლოყაზე მომითათუნო...

გაოგნებამ გაიარა და არ დაახანა ერთი შეხედვით უწყინარმა საყვედურებმა, მაგალითად, კბილის პასტის გამო, თავმოხდილი რომ იყო თავდახურულის ნაცვლად. დიდი არაფერი, მართლაც რომ სერიოზული არაფერი, რალაც პატარა შემცივნებასავით, სიყვარული ალერსიან ბუზღუნში

რომ გადადის, ისეთში, რომლითაც ამდენი ხანდაზმული წყვილი ტკბილად შეაბერდება ერთმანეთს. მაგრამ ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლისანებს ჯერ არ ეთქმით ხანდაზმული წყვილი. ცოტა ხმამალალი შელაპარაკება, ჯერ გასაღების გამო, პიერმა სადღაც რომ მიაჩერჩვია, მერე დუსის გაუთავებელი სატელეფონო საუბრები, რის გამოც პიერმა ვერ მოახერხა მისი გაფრთხილება, რომ დაგვიანებით დაბრუნდებოდა. საბოლოო წერტილი დუსმა დასვა. კაცი, რომელიც ეგზომ უყვარდა, ახლა აუტანელი გახდა მისთვის. როდესაც მან ძალიან მშვიდად განუცხადა ქმარს, ჩემი აზრით, უკეთესია გავშორდეთო, პიერი არ დაეთანხმა, თუმცა სინამდვილეში გულზე მოეშვა, რადგან თვითონ ამის თქმას ვერასოდეს გაბედავდა. ორივე ძალიან ღელავდა, მოგონებები გულზე უკანარავდა. ვახშობის დრო იყო. მოშივდათ. გადანწყვიტეს უკანასკნელად წასულიყვნენ ერთად რესტორანში, რათა თითქმის არარსებული პრაქტიკული წვრილმანი საკითხი გადაეჭრათ, როგორც ერთხმად აღნიშნეს, სრული ურთიერთგაგებისა და თანხმობის ატმოსფეროში. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, დუსი სწვდა პლატონის საბელს.

– მოდი, პლატონს მე დავიტოვებ, – სთხოვა პიერმა.

– არავითარ შემთხვევაში! – შეეპასუხა ქალი, – პლატონი ჩემია!

– ის ჩვენია, ორივესი. შაბათ-კვირაობით მაინც დამითქე... უნდა არსებობდეს რაიმე სპეციალური კანონი განქორწინებულ წყვილთა ძალღების შესახებ.

– იქნებ ალიმენტიც დაუნიშნონ! – განიწმატა დუსი.

უკვე ხმასაც აუნიეს, რომელშიც ცუდმა ნოტებმა გაიჟღერა. უსიამო შენიშვნები ხვლიკებით მოსრიალებდნენ მათი პირიდან. აღმოჩნდა, რომ დუსი ძილში კბილებს აკრაჭუნებს, პიერს კი მუდამ ცივი აქვს ფეხები.

პლატონი ხვდებოდა, კარგი რომ არაფერი ხდებოდა, და გამწარებული ყვფდა.

ბოლოს ქანცვანყვეტილი მოკრივეებით ერთბაშად მოეშვნენ, ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდათ. საკუთარი თავის შერცხვათ.

– მისმინე... ყური მიგდე, – ხმადაბლა მიმართა დუსმა, – მოდი, ყველაფერს ნუ გავაფუჭებთ. პლატონმა თვითონვე აირჩიოს. შენ იქითკენ იარე, მე საწინააღმდეგო მიმართულებით წავალ. ვნახოთ, ვის გაჰყვება.

პიერი ერთი პირობა შეყოვნდა, მერე დათანხმდა. მოკლე ნაბიჯებით გაუყვნენ ქუჩას საპირისპირო მხარეს, თან ძალღს თავისკენ უხმობდნენ.

მაშინ პლატონი დუსს გაედევნა, მაგრამ რაც პიერი შინიდან წავიდა, ლაბრადორი აღარც საქმელს აკარებს პირს, აღარც სასმელს, პიერის სანოლზე წევს და დღითიდღე პატრონს ხელში ადნება. ვეტერინარმა დუსს აუხსნა: „მისი თირკმელები აღარ ფუნქციონირებს. ხდება ხოლმე, რომ ძალღები დიდ დარღს ვერ იტანენ და თავს იკლავენ. მახსოვს, ერთი ფანჯრიდან გადახტა. პლატონსაც, რახან მისი პატრონი შინ არ ბრუნდება, სიცოცხლე აღარ სწაღია... ნუ ტირით, ქალბატონო, მის ნაცვლად სხვას იყოლიებთ!“

ასე დასრულდა სიყვარულის ეს ამბავი.

დუსმა პლატონის ნაცვლად სხვა ძალი აღარ გაიჩინა.

* ბენჟამენ კონსტანი (1767-1830) ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ავტორი ცნობილი რომანისა „ადოლფი“ (1816)

* * *

ლევან ბრეგაძეს ნაცნობი დაემგზავრება, ენას რომ არ აჩერებს და გამაბეზრებელ სიტყვათნაკადში ამასაც გამოურევს:

— მე გლდანში კი ვცხოვრობ, მაგრამ გლდანის ვაკეში!..

და ამაყად მიმოატარებს მზერას.

— მეც გლდანში ვცხოვრობ, — მიუგებს ლევანი, — თანაც, გლდანის გლდანში.

გახსოვთ ილიას „მგზავრის წერილებიდან“? ერთი სომხის დახლიდარი გახლავართო, რუსის ოფიცერს რომ ეტყვის მთხრობელი და ის კი ამის გაგონებისთანავე დიდკაცურ სანახაობას მიიღებს, მხრებს მოიმარჯვებს და იმ პირველ მორიდებულ ლაპარაკს სხვა ჰანგზე შეცვლის: გაკვირვებასა და დაცინვაზე.

ლევანსაც ეს ერთბაშად შეცვლილი სხვა ჰანგი მოესმოდა, ვიდრე ნაცნობი ნაჩქარევად მიატოვებდა.

ანკი რატომაც არა — სიამაყე კაცმა არასოდეს ქვემოთ არ უნდა დაუშვას!..

* * *

ქართული ზეპირსიტყვიერებიდან გვახსოვს სიკვდილთან ასეთი გამოთამაშება.

ბერიკაცი მოდის ტყიდან, ზურგზე ფიჩხის გუდურა აუკიდია და ხენეშა-ხენეშით მოაბიჯებს, უფრო სწორად, მოლასლასებს. დაიღვება, ქანცი გაუნწყდება და შესასვენებლად რომ ჩამოჯდება და სულს ძლივძლიობით მოითქვამს, სიკვდილს ინატრებს: მოდი, რაღას აგვიანებო!.. და კიდევ გამოეცხადებოდა სიკვდილი: აგერ ვარ, რისთვის მიხმეო?! — და შეჩქვიფდებოდა ბერიკაცი მის დანახვაზე, მაგრამ ისეც არა, გონება დაეკარგა, და სთხოვდა: ეგებ ამ გუდურის მოკიდებაში დამხმარებოდით.

შავი იუმორიც სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილთან გამოთამაშების სურვილი.

ნოდარ დუმბაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას შემთხვევას როგორ გაუმკვებდა ხელიდან, რომ ჯეკ ლონდონის სახლ-მუზეუმი და საფლავი არ მოენახულებინა. მისი სამოგზაურო ნარკვევი „ოდი-სევსის დაბრუნება“ ცხადყოფს, როგორ ყვარებია ეს მწერალი და რაოდენ კარგად იცნობდა მის ბიოგრაფიასაც. ლიტერატურულ თავყრილობაზე ჩასულს ეგებ ვერც ღირსებოდა ამ სურვილის აღსრულება, რომ არა თავგამოდება, სამშობლოში გამოფრენის წინ როგორმე მოესწრო სახლ-მუზეუმის მიმოვალაიერება მაინც. მასპინძლებიც ძალიან მოინდომებდნენ და... მანქანა ისე გაქროლდებოდა, მძღოლი სიჩქარეს უსაშველოდ გადააჭარბებდა. პოლიციის მანქანა რომ წამოენეოდით, ნოდარ დუმბაძე ასე გვამცნობს, ჩვენი მძღოლი ვალენტინ კატაევის ავტორიტეტმა გადაარჩინა, რომლის ნიგებებიც თურმე ნაკითხული ჰქონია პოლიციელსო. იგი დიდსულოვნად აპატიებდა მძღოლს წესრიგის დარღვევას, ყველას კეთილ მგზავრობას უსურვებდა და დასძინდა:

— ისე ნუ იჩქარებთ, რომ ვიდრე ჯეკ ლონდონის სახლ-მუზეუმს ნახავდეთ, თვითონ ჯეკ ლონდონი ნახოთ!

პოლიციელი და ასეთი!..



აი, იუმორის გრძნობა, თუ... თუ თვითონ ნოდარ დუმბაძეს არ მოუგია პოლიციელის სამოსი და თავის ამ ხუმრობას მას არ მიანერს.

რა, მენანება ამერიკელი პოლიციელისთვის ეს მოხდენილი ხუმრობა და ქართველი მწერლისათვის უფრო მემეტება?! ასეც რომ იყოს, ეგებ არც დამედრახებოდეს.

ამ შემთხვევაში კი არავის მიენერება სხვისი შავი იუმორი, რაკილა მონანილენი ყველანი ქართველები არიან და დასაეჭვებელიც არაფერია. აბა, ამერიკელის პოლიციელი ვალენტინ კატაევის თავგადაკლული მკითხველი საიდან უნდა ყოფილიყო, როდესაც რუსი მილიციელიც არ ეყოლებოდა მკითხველთა შორის.

ეს ამბავიც მანქანის ქროლვის ფონზე ხდება, მძღოლობა გოგი დოლიძეს რომ უთავია და ლამის სიჩქარის გადაჭარბების რეკორდიც მოუხსნია. „ქართული ხმების“ წევრებს ძალიან არ ეჭაშნიკებათ ეს აწყვეტილი ქროლვა, მაგრამ მინც თავს იკავებენ, ვიდრე მომღერალი ზაურ ბოლქვაძე, პოეტის მოგვარსახელე, ჩამქრალი ხმით არა სთხოვს მეგობარს: იქნებ ცოტა მოუკლო სიჩქარესო.

გოგი უარზეა.

— მე რა, მინდა ეს ქროლვა? მაგრამ კონცერტი რომ გვაქვს, ხომ უნდა მოვასწროთ ბათუმში ჩასვლა — დაბანა გვინდა, გაპარსვა, ჩაცმა... როდისლა?!

და ზაურ ბოლქვაძე, კიდევ უფრო მიმწყდარი ხმით:

— არ შეიძლება, რომ ეს ყველაფერი ჩვენით მოვიმოქმედოთ?!

მზამზარეული იუმორესკაა და ვითომ რითიმე ჩამოუვარდება ნოდარ დუმბაძის იუმორისტულ ჩანახატს?..

სიკვდილს რომ თვალეზში შეჰყურებ გოგი დოლიძის მძღოლობის გადამკიდე და... კიდევ ხუმრობის თავი გაქვს იმ ბერიკაცივით, სიკვდილს რომ გაეჭილიკებოდა: იქნებ გუდურა ამაკიდებინო, — და კიდევ მოიხვეჭდა ფოლკლორულ და შემდგომ უკვე ლიტერატურულ უკვდავებას.



* * *

იყო დრო, როდესაც ქალის დაჯდომა მანქანის საჭეს-თან ჩვენში ლამის სენსაციად აღიქმებოდა. ყოველ შემთხვევაში, თითზე ჩამოსათვლელი ქალი გაბედავდა მძღოლობას. მერე და მერე კი იმატებდნენ და იმატებდნენ მშვენიერი სქესის წარმომადგენელნი საჭესთან და... დათვლას ვეღარც აუზვიდოდი. თანდათან სულაც გათანაბრდებოდნენ და... ამასობაში ნონასწორობაც დაირღვეოდა... ქალების სასარგებლოდ.

დღეს სადმე რომ გაჩერდე და მიადევნო მზერა, აქა-იქ თუ გამოერევა მამაკაცი, თორემ ქალი-მძღოლები ლამის უწყვეტ ნაკადად მოედინებიან.

ასევე რომ დაირღვეს ნონასწორობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქალებმა წარმართონ საზოგადოებრივი მოვლენები, ეგებ უმჯობესიც იყოს ქვეყნისათვის, თუმც იმ საჭეზე დაე მერე ვილაპარაკოთ, ამჯერად კი მანქანის საჭეს მივუბრუნდეთ.

საბჭოთა სახელმწიფოს დამხობა თანდათან ახალი ცხოვრების წესს რომ გამოკვეთდა, ამ სტილისათვის ოჯახში ორი მანქანა ჯერ მაინც ფუფუნებად გამოჩნდებოდა, მაგრამ მერე და მერე ის აუცილებლობა შეიქნებოდა, ურომლისოდაც გაძნელებოდა ყოფა — ევროპა-ამერიკული ცხოვრების წესისა არ იყოს.

— ხომ ხედავ, რომ ჩვენთვისაც აუცილებელია ორი მანქანა, — გაუმეორებდა და გაუმეორებდა მეუღლე თემურ მურაჩაშვილსაც, — სხვა რამე მოვიკლოთ და მეორე მანქანა შევიძინოთ ჩემთვის.

— ერთითაც აკლავართ, — ის მიუგებდა, მაგრამ მეუღლე ისე მოწინაინებულყოფილ ავტომობილის მართვას, სამანქანო კურსებზეც ივლიდა და მართვის მოწმობასაც აიღებდა.



გააქროლებდა და გამოაქროლებდა ქმრის მანქანას, მაგრამ თავისი უნდოდა, თავისი, და თემურიც ერთხელ გადანყვეტდა, რომ სხვა საყოფაცხოვრებო აუცილებლობანი მოიცდიდა, მანქანა კი უსათუოდ უნდა შეეძინა ცოლისათვის.

ახლოვდებოდა იმისი დაბადების დღე და: ბარემ დავამთხვევო. და ორი დღით ადრე კიდევ უსაჩუქრებდა და ნანა ალტაცებით ცას დაენოდა — ქროლვა ახლა გენახათ, როდესაც საკუთარი ავტომობილის საჭეს ატრიალებდა და მახლობელ მაღაზიაში მისვლაც აღარ უნდოდა ფეხით.

იმ ორ დღეში მისი დაბადების დღეც მოაწვედა. გადახდის არც დრო ჰქონდათ, არც ხალისი საქმეებში შებმულთ... და შელამებულზე, როდესაც სულის მოსათქმელად და სასაუბროდ მოიცლიდნენ, ნანა დამანამუსებელი სახით ეტყოდა:

— სულ აღარ გახსოვარ... ეს დღევანდელი დღე რალამ დაგავინყა, ხომ არაფერს გთხოვ, ერთი ყვავილი რაღა იყო, ყვავილი მაინც გერჩუქებინა.

ეს... გაოგნებული მიაჩერდებოდა.

„დავამტვრევ!“

ცხადია, მანქანაზე გაიფიქრებდა.

კიდევ კარგი ქვემოთ კი არ ჩავიდოდა, აივნიდან გადახედავდა მთვარის შუქზე აკრიალებულს, აბზინებულს, ალაპლაპებულს.

ნანა აივანზეც გამოჰყვებოდა.

— ერთი ყვავილი, ერთადერთი... ეს მაინც როგორ არა!..

მანქანას კი გაუდიოდა კრიალი, ბზინვა, ლაპლაპი.

ხან მაინც რა ნათელი მთვარე იცის თბილისში.

* * *

ტელეკომპანია „იმედი“ გააგრძელებდა თავის იმ წამოწყებას — „ვარსკვლავები ცეკვაები“ — განსაკუთრებულ პოპულარობას რომ მოიპოვებდა და ლამის მთელ საქართველოს ტელეეკრანებთან მიაჯახავდა.

იმ დღეს ქართულ ეროვნულ ცეკვებს დაეთმობოდა ასპარეზი.

რატი ნითელაძე, ევროპის ჩემპიონი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში, ხევსურულ სამოსში გამოწყობილი გადმოიჭრებოდა და ფარ-ხმლით ცეცხლს რომ დააგზნებდა სცენაზე, დარბაზი ოვაციად დაიღვრებოდა, ჟიური კი არც მოწონების სიტყვებს დაიშურებდა და არც აღმტაც ეპითეტებს.

მანამდე ჟიურის შემადგენლობა ხუთი წევრით განსაზღვრულიყო, იმ დღეს კი მეექვსესაც დაუმატებდნენ — ჯემალ ჭკუასელს, „ერისიონის“ ხელმძღვანელს, და, ამასთან, ცეკვისა და სიმღერის ამ ანსამბლსაც მოიწვევდნენ — შოუს გასალამაზებლად და გასამრავალფეროვნებლად.

და მოწონების სიტყვებიდან და ეპითეტებიდან ყველაზე ეფექტურად სწორედ ბატონი ჯემალის ფრაზა გაისმოდა:

— რატი, დღეს შენ მართლაც დაგვარატიანე!..

იუმორიც ამშვენებს ამ შესანიშნავ მოცეკვავეს.

მის იუმორს კი ენობრივი ექსცენტრიკაც ალამაზებს.

ისეთი რა ვთქვი, დაგვარატიანა და ეს აღვნიშნე მხოლოდო, — ღიმილით გაიოცებდა ჯემალ ჭკუასელი, ამ მახვილსიტყვას რომ მოუწონებდნენ.



მეგობრული შარყები ბადრი გაგნიძისა

ქება ქართული ბატონიშვილისა

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში რუსული პრესის ფურცლებზე ადგილობრივი მასშტაბის განგაში ატყდა. შემფოთებას და გარკვეულ აღმფოთებას ველარ მალაგდენენ, რამეთუ როსტოვისა და პენზის ოლქებში, დაღესტანსა და ჩრდილოეთ ოსეთში, კრასნოიარსკისა და კრასნოდარის მხარეებში პურის ფასი უცრად გაიზარდაო.

პურის ცხოვრის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი შექმნილ ვითარებას ამგვარად ხსნის: „საუკეთესო მარცვლეული შესყიდულია და ინახება სპეკულანტთა ბელლებში — საექსპორტო გადაყიდვისათვის. ელოდებიან, რომ მსოფლიო ბაზარზე დადგება მისი ღირებულების პიკი. ამ ადამიანებს მიუფურთხებიან თანამემამულეთათვის. მათი ანგარიში მარტივია — მართლაც სადა გვაქვს გასაქცევი, ჩვენ ხომ ნებისმიერ ფასად შევიძინებთ პურს!“

მთავარი სპეციალისტი ეჭვს გამოთქვამს, მაღალი რანგის ჩინოვნიკები მსხვილ-მსხვილ სპეკულანტებთან გარიგებაში ხომ არ ჩაბმულანო?

როგორ არ უნდა ირწმუნო ძველისძველი სიბრძნე: არაფერია მზის ქვეშ ახალი; რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდებაო.

ეს ნაღვლიანი თეზა არაერთხელ დამტკიცებულა და, ალბათ, ვრცელდება იმ გრანდიოზულ მოვლენებზე, კაცობრიობის ისტორიაში ღრმა კვალი რომ გაუვლიათ და იმ წერილმან-წერილმანზეც, ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას რომ დაჰყვება.

არაფერია მზის ქვეშ ახალი...

აგერ, ათიოდე საუკუნის წინანდელი:

თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს სახელგანთქმული ვეზირი ნიზამ ალ-მულქი გადმოგვცემს, რომ ლაზნაში ხაბაზებს დაუქეციათ დუქნები და ქალაქში პური გამქრალა. რასაკვირველია, განსაკუთრებით ღარიბ-ღატაკნი შეწუხებულან. თავიანთი გასაჭირი მოახსენეს ლაზნევიდ იბრაჰიმ-სულთანს (1069-1099). მან კი უბრძანა ყველა ხაბაზს, გამოცხადებულიყვნენ სამეფო კარზე. ჰკითხა, პურს რატომ აღარ აცხობთო? უპასუხეს: ყოველთვის, როცა ქალაქში შემოაქვთ ხორბალი, შენი მეპურეები ყიდულობენ და ბელელში ინახავენ. ამბობენ, ასეთი არის ბრძანებო. სულთანმა დაუყოვნებლივ იხმო სამეფო კარის მთავარი ხაბაზი და ბრძანა: სპილოს ფეხქვეშ შეაგდეთო. მერე გვამი გამოაბეს სპილოს ეშვებს და ქალაქში გაატარ-გამოატარეს, ყველას რომ ენახა. საჯაროდ აცხადებდნენ: ყველა მეპურეს ასეთი დღე დაადგება, ვინც დუქნის კარს არ გააღებსო. დააცარიელეს მისი საწყობი და იმავე საღამოს, ნამაზის დრო რომ დადგა, ყოველ დუქანში ოხრად ეყარა პური და ჭამე, არ მიხდაო.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ნიზამ ალ-მულქის დამონმებული ამბავი არა ძველდება და ახალ-ახალ ფერებს იძენს უკვდავების გზაზე.

XVIII საუკუნის დამდეგს ბედის უკუღმა ტრიალმა ქართველ მეფე-ბატონიშვილებსა და თავად-აზნაურებს სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობა არგუნა წილად.

თავი არც იქ შეურცხვინიათ.

თვითმხილველი ავტორი სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს, რომ 1707 წლის 9 ივნისს წმინდა ქალაქ მუშქედში ისპანიდან მოვიდა ჩაფარი და მთელი თავისი ამალა-ჰარამხანით სალოცავად წამოსულ შაჰ-ჰუსეინს (სეფიანთა დინასტიის უკანას-

კნელ მბრძანებელს) ამცნო საგანგაშო ამბავი: „ისპანის ხალხის უკუდგომა და შიმშილით შეწუხება, ხელმწიფის ალაყაფის კარის ქვით ჩაქოლვა“. შაჰ-აბასს ეს რომ გაეგონა, საფლავში გადაბრუნდებოდა. გასაჭირის ტალკვესად კვლავ ქართველები იგულეს. ქაიხოსრო ბატონიშვილს (ანუ ხოსრო-მირზას) სასწრაფოდ უბოძეს ისპანის ტარულობა (გამგებლობა) და სატახტო ქალაქში ნესრიგის დასამყარებლად გაისტუმრეს.

ქაიხოსრო, ქართველ მხედართა რაზმითურთ, სწრაფად მიემუწრებოდა ცხელი ნერტილისაკენ. დრო არ ითმენდა. გზა კი საკმაოდ გრძელი იყო. მანძილი მეშვიდედან ისპანამდე თითქმის ათასი კილომეტრია!

ყური ვათხოვოთ სეხნია ჩხეიძეს:

„ვიარეთ ორმოცისა დღისა სავალი თორმეტს დღეს. მივედით. რა შევიდა ქალაქსა შინა (ქაიხოსრო), შეიქნა სიხარული დიდი“.

ისპანში კარგად იცნობდნენ ქაიხოსროს და იმედი მიეცათ, გვიმვლესო.

ქაიხოსროს მშვენივრად მოესხენებოდა, რომ შიმშილი ისპანში პურის ნაკლებობას კი არ მოჰყვა, არამედ იმათ ხრიკებს, ვინც მალავდა საზრდოს და კეტავდა გზებს, საიდანაც ქალაქში შემოჰქონდათ ხორბალი.

ისპანის ამბოხება გამოიწვია ხელოვნურად შექმნილმა შიმშილმა და ამბოხების ჩასაქრობად საჭირო იყო შიმშილის მოსპობა. დასჯას იმსახურებდნენ გაიძვერა ვაჭრუკანები და დიდმოხელეთა აგენტები, და არა — ამბოხებული მოსახლეობა.

თვითმხილველი ქართველი ისტორიკოსი ულმობელი ნატურალიზმით აღწერს ქართველი ბატონიშვილის ბრძანებით ჩატარებულ რეპრესიებს:

„შეჯდა მეორესა დღესა ცხენსა და ქნა ნასალი უცხო და საკვირველი. ზოგი დახივა მუცელ-ზედა, ზოგი ყურით მიაბა დარაბასა, ზოგი დასჭედა ნალ-ლურსმნითა“.

და აი, ნაყოფიც იძულებითი სისასტიკისა:

„მეორე დღეს გენახათ, ქუჩა და ქუჩა ხვარბლით აივსო... შეიქნა ისპანში სიმშვიდე და იეფობა“.

ასე გონივრულად ჩააქრო ამბოხება ქაიხოსრომ და ისპანის ღარიბ-ღატაკნი „ლოცვიდენ შიმშილის მორჩენისათვის“.

ქაიხოსროს, როგორც მხედართმთავარს, კარგად იცნობენ ევროპული წყაროები, მაგრამ ისპანის ტარულობა გამოჩენიათ. და სწორედ სეხნი ჩხეიძის მონათხრობზე დაყრდნობით XX საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ორიენტალისტი ლოურენს ლოკარტი თავის მონოგრაფიაში „სეფიანთა დინასტიის დაცემა“ აღნიშნავს: „ქაიხოსრომ, ქართველთა უმეტესობის დარად, მამაცი და ნიჭიერი სარდალი რომ იყო, სწრაფად ჩაახშო ისპანის ამბოხება“.

სხვათა შორის, ზემოთქმულ ამბავზე ნახევარი საუკუნით ადრე მომხდარს იმავე ირანში შესწრებია ცნობილი ფრანგი მოგზაური და სოვდაგარი ჟან შარდენი. სამეფო კარის ერთ „ჭკვიან და ენერგიულ პიროვნებას“ ასევე სასტიკად დაუსჯია შიმშილის გამომწვევი ბოროტმოქმედნი და ასევე მეორე დღეს აღდგენილა სიმშვიდე ისპანში.

შარდენის სიტყვით, ხსენებული დიდებული მოქმედება მიბაძვის ღირსია ევროპელთათვის — იქაურ ქალაქებში ანალოგიური ვითარებისას.

რომ შესწრებოდა, ცხადია, ასევე შეაქებდა ქართველ ბატონიშვილს.

სუთიულები, ათიულები...

ნახევარი საუკუნე იქნება მას შემდეგ გასული, რაც ერთმა, შემდგომში ფრიად სახელმწიფოეჭილმა, ქართველმა პოეტმა ქართული პოეზიის დიდოსტატთა ყველა დროის ნაკრები ანუ ხუთეული შეადგინა. უნდა გენახათ, რამხელა დავიდარაბა ატყდა, რა დღე აყარეს დედის წინ მორბენალ კვიცს. ვინ შეარჩენდა, რომ მისი ხუთეული ისევე სუბიექტური იყო, როგორც მისივე თაყვანისმცემელთა უსაზღვრო თაყვანისცემა მისივე პოეზიისა.

აღშფოთებით უკიჟინებდნენ: ხუთეული ხომ უკვე შედგენილია და ცეკასგან დადგენილიცაა, რატომ დაგავინწყდა: შოთა, აკაკი, ილია, ვუაჟა და გალაკტიონიო... შენ კი მეცამეტე გოჭივით გამომხტარხარ და საბჭოთა ახალგაზრდობას თავგზას უბნევო.

ნელ-ნელა რომ აიხადა ე.წ. რკინის ფარდა, ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ რეიტინგები დასავლეთში იყო გამოგონილი და კარგა ხანია თავს იქცევდნენ ამ უწყინარი გართობით.

მრავალ რეიტინგთაგან ამჯერად უნდა გამოვარჩიოთ კინოს ბრიტანული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული სია ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ათი საუკეთესო ფილმისა. ეს სია შეუდგენია იქაურ პოპულარულ ჟურნალს, „საიტ ენდ საუნდ“ რომ ჰქვია, მსოფლიოს ყველაზე ცნობილ კინორეჟისორთა (თუ კინომცოდნეთა?) შორის ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე.

და აი, ფედერიკო ფელინის მუდმივი ბიოგრაფი კოსტანცო კოსტანტინი მორიგ შეკითხვებს უსვამს სახელოვან იტალიელ კინორეჟისორს:

— მესამე და მეოთხე ადგილები მიენიჭა შენს ფილმებს „რვანახევარი“ და „გზა“ (საბჭოთა კავშირში ასე მონათლეს: „ისინი დაეხეტებოდნენ გზებზე“). კმაყოფილი ხარ?

— ძალიანაც კმაყოფილი ვახლავარ, მაგრამ ვინაიდან ჩემთვის უცნობია დანარჩენთა სახელწოდებანი, მეტს ვერაფერს ვიტყვი (დახეთ, არც კი კითხულობს პოპულარულ კინო-ჟურნალს. არა სცალია!).

— დაგისახელებ დანარჩენებსაც. პირველ ადგილზეა ორსონ უელსის „მოქალაქე კეინი“. ეთანხმები ამას? (აბუზარი ჟურნალისტი განხეთქილების ვაჟს უგორებს პირველობის უეჭველ პრეტენდენტს).

— სავსებით ვეთანხმები. მაგრამ მაინც მინდა განვაცხადო წინასწარ, რომ როდესაც დროდადრო ადგენენ ამგვარ სიებს, ჩვეულებრივ, გვთხოვენ დავასახელოთ მსოფლიო კინოს ათი ფილმი, რომელთაც გადავარჩენდით რაღაც ჰიპოტეტური კატასტროფის ფაშს. ყოველთვის ძნელია პასუხის გაცემა ამგვარ შეკითხვებზე. როგორ უნდა განსაზღვრო საუკეთესო ფილმები? ყოველი ფილმი, ისევე როგორც წიგნი ანდა კონცერტი, ფასდება შესაბამისად იმ სულიერი მდგომარეობის, რომელშიც იმყოფება ადამიანი. მან ნახა ესა თუ ის ფილმი თავისი

ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, გარკვეულ საათს, გარკვეულ ქალაქში, ხოლო მის გვერდით იყო ვიღაც ნაცნობი, ან პირიქით — სრულიად უცნობი პიროვნება,

რომლის თანდასწრებამ შესაძლოა გააძლიერა ან შეასუსტა ფილმის ნახვისას განცდილი სიამე.

კოსტანცო კოსტანტინი ჩააცვივდება ფელინის: შენ ხომ თქვი, „მოქალაქე კეინის“ შეფასებას ვეთანხმებიო. რატომ ეთანხმები?

ფელინი ბეჯითად ასაბუთებს, რომ გარდა აღძრული თემის დიდი მნიშვნელობისა ორსონ უელსის ფილმი მოასწავებდა კინემატოგრაფის ენაში მომხდარ რევოლუციას.

ფელინი ასევე ასხამს ხოტბას მეორე ადგილზე გასულ ფილმს „ცოფიანი ხარი“ (დამდგმელი რეჟისორი — მარტინ სკორსეზე).

„გზის“ მხარდამხარ მეოთხე ადგილზე გასული „ატალანტა“ (ჟან ვიგო) თურმე არ უნახავს (ჩემდა სამარცხვინოდო, აღიარებს ფელინი), მაგრამ მიიჩნევს მას თვალსაჩინო რეჟისორად.

ჩარლი ჩაპლინის ხსენებისას აღფრთოვანება, შთაგონება და მადლიერება გვიპყრობსო, ამბობს ფელინი, მაგრამ მეხუთე ადგილზე გასული „ახალი დროება“ მის სხვა ფილმებს („დიდი ქალაქის ჩირაღდნები“, „მესიე ვერდუ“) ჩამოუვარდებაო.

დრაიერი და კუროსავა გენიოსები არიანო. ფელინის ვერ გაურკვევია, რომელი ფილმი უფრო მოსწონს იაპონელი რეჟისორისა: „შიდინ სამურაი“ თუ „რასიომფერი“ (ათეულში ორივე შესულა). კოპოლასი თითქმის ყველაფერი უნახავს, მაგრამ სწორედ „ნათლია“ (მე-5 ადგილი) და „ნათლია-2“ (მე-9 ადგილი) გამოირჩეინა! საერთოდ კი აქებს და ადიდებს კოპოლას — მშვენიერი მთხრობელი, თანმიმდევრული, ტემპერამენტიანი, მძლავრიო.

— კიდევ რომელ რეჟისორთა რომელი ფილმებს შეიტანდი ამ სიაში? — ეკითხება მისი ბიოგრაფი.

ფელინი ჩამოთვლის: „დიდი გასიერება“ (ჯონ ფორდი), „პაიზა“ (რობერტო როსელინი), „ბურჟუაზიის იდუმალი ხიბლი“ (ლუის ბიუნუელი), ინგმარ ბერგმანის „სახე“ ან „მარწყვის მდელი“... გაოცებას გამოთქვამს, როგორ შეიძლება ამგვარ სიაში ბერგმანის ერთი ფილმიც კი არ შეიტანო. ანკი ფილმები ჯეიმს ბონდზე როგორ გამორჩათო? ფილმები დაუმარცხებელ და მომხიბლავ გამორზე, აღსავსენი თავბრუდამხვევი თავგადასავლებით, ეგზოტიკით, მშვენიერი ქალებით, სატრფიალო ვნებათაგან რომ მოთენთილან...

როგორც ჩანს, ფელინისთვის ნება რომ მიეცათ, საუკეთესო ფილმთა ათეულს, ალბათ, ასეულად გადააქცევდა.

მივუტევოთ ესოდენ უჩვეულო დიდსულოვნება.

ძალაუხერად იფიქრებ, ამ დალოცვილ დიდოსტატს ძარღვებში ცოტაოდენი ქართული სისხლიც ხომ არ უჩქევდაო?!

23 ნოემბერს, გიორგობას, მიხეილ ჯავახიშვილის სახელმუზეუმში გაიმართა ამ დიდებული მწერლის ხსოვნის საღამო — ტრადიციად დამკვიდრებული წლების მანძილზე, მისი ქალიშვილი, რუსუდან ჯავახიშვილი რომ თაოსნობდა და უძღვებოდა. ამჯერად საღამო ქალბატონი რუსუდანის გარეშე გაიმართა და სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

თავყრილობას უძღვებოდა მუზეუმის დირექტორი ლელა სენიაშვილი, მონაწილეობდნენ: ცისანა გენძეხაძე, ლელა ნიქარიშვილი, როსტომ ჩხეიძე, ნონა კუპრეიშვილი, ილაპაზ ნიწიშვილი, ლელა ნიფურია, ირინე გოგონაია. მათმა გამოსვლებმა კიდევ ერთხელ ცხადყო მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლის აქტუალურობაც მაღალი დონეც და მომავლის პერსპექტივაც.

გათვალსაზიროვდა ისიც, რომ ბევრი პრობლემა და სატიკივარი, რომელთაც მწერალი დაუირიდებლად ამივლებდა თავისი

დროზე, ჯერაც მოუგვარებელია. და რომ, ეს ყოველივე არის არა მარტოდენ წარსულის მწუხარე სურათები, არამედ დაბრკოლებაც დღევანდელ რეალობაში — საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. მიხეილ ჯავახიშვილი წინასწარმეტყველ მწერალთა რიგს მიეკუთვნება, რაც ნიშნავს, რომ ყურად უნდა ვილოთ მისი რჩევანი და შეგონებანი და შესაფერისადაც გამოვიყენოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, თორემ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში ხომ თავისთავად.

გამოიკვეთა ახალი ნაკადიც მწერლის შემოქმედების შესწავლისას — მისი მოთხრობებისა და რომანების მონაწილეობა თეატრალურსა და კინემატოგრაფიულ ყოფაში — რა ვითარებაა ამჟამად და რა სასიკეთო მოვლენებია მოსალოდნელი, თუკი გაღრმავდება და გაგრძელდება ის ცალკეული წარმატებანი, მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებს რომ მოუპოვებია სცენასა თუ ეკრანზე.